დემურ გურეშიძე

# ქველმოქმედება საქართველოში

(ისტორიული ნარკვევი)

ქუთაისი
1993 წ.

მონოგრაფია წარმოადგენს დასავლეთ საქართველოში საქველმოქმედო საზოგადოებათა საქმიანობის კომპლექსური შესწავლის პირველ მცდელობას (XIX ს. 70-იანი — XX ს. 10-იანი წლები). ამგვარ საზოგადოებათა შექმნას თავის დროზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში, ამდენად იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანული შემადგენელი ნაწილი. წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენციის კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მოღვაწეობის შესწავლას, გაანალიზებულია მისი როლი და მნიშვნელობა ახალგაზრდა თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საკითხში.

მონოგრაფიაზე მუშაობისას ავტორს გამოყენებული აქვს როგორც გამოქვეყნებული წყაროები და ლიტერატურა, ასევე მდიდარი საარქივო მასალები, რომელთა დიდი ნაწილი მის მიერაა გამოვლენილი და შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში.

აღმოსავლეთ საქართველოს ანალოგიურ საზოგადოებათა მოღვაწეობა განხილული იქნება მომდევნო წიგნში.

რედაქტორი პეტრე ვაჭრიძე

წიგნი გამოიცა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მზრუნველთა საბჭოს საონსორობით

ᲞᲣᲙᲚᲔᲜᲘ ᲛᲐᲘᲘᲡ —
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲜᲐᲗᲔᲚ
ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

# Შ Ე Ს Ა Ვ Ა Ლ Ი

XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან საქართველოში ჩამოყალიბებას იწყებს სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საზოგადოებანი, რომლებიც არა მარტო ნივთიერ დახმარებას უწევდნენ მოსახლეობის დაჩაგრულ ფენებს, არამედ მიზნად ისახავდნენ ხელი შეეწყოთ სწავლა-განათლების გავრცელებისათვის ხალხთა ფართო მასებში, აღერიცხათ, შეეგროვებინათ და დაეცვათ ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, თავიანთი წვლილი შეეტანათ სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ეროვნული კადრების მომზადებაში. ასეთ საზოგადოებებში მუშაობა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის მოღვაწეობის ერთ, მეტად მნიშვნელოვან მხარეს შეადგენდა, რაც ჯერჯერობით სათანადოდ არაა შესწავლილი.

ქველმოქმედებას, როგორც ფ ი ლ ა ნ თ რ ო პ ი ა ს (მოწყალებას, თანაგრძნობას, დახმარებას გაჭირვებულისადმი) ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ძველი რომის დიდი მოაზროვნეები — ციცერონი, პლინიუსი და სხვანი მიუთითებდნენ, რომ უნდა დავეხმაროთ მათ, ვისაც უჭირს. ქრისტიანულმა რელიგიამ ქველმოქმედება ღმერთისადმი სამსახურის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა და ორგანიზებული ხასიათი მისცა მას. ყოველივე ამან, ცხადია, პრაქტიკული გამოხატულებაც ჰპოვა. საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელიც თავისი ჰუმანური იდეებით მკვეთრად გამოირჩეოდა აშკარად აგრესიული ხასიათის სხვა მსოფლიო რელიგიების ფონზე, საქველმოქმედო ხასიათის არაერთი აქცია განახორციელა, რისთვისაც ფართოდ იყენებდა შემოწირულობებსა და სხვა გზით შეგროვილ სახსრებს.

ქველმოქმედების შედარებით მაღალი ფორმაა საზოგადოებრივი მზრუნველობა. ეკლესია-მონასტრებისა და სახელმწიფოს სახსრებით ეწყობოდა ღარიბთა სახლები და დავრდომილთა თავშესაფრები.

XVII–XVIII საუკუნეებში, ევროპის მსგავსად, რუსეთშიც დაარსდა საქველმოქმედო დაწესებულებანი. ეკატერინე მეორის მეფობის დროს გუბერნიებში შეიქმნა „საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზები“,[1] რომელთაც ევალებოდათ სახალხო სკოლების მოწყობა, საავადმყოფოების აშენება, დამშეულთა გამოკვება და ა. შ. XIX საუკუნის 60-იან წლებში „საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზები“ გაუქმდა და მისი ფუნქციები საერობო დაწესებულებებს გადაეცა. 1892 წელს შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელსაც დაევალა გადაესინჯა რუსეთში მოქმედი კანონმდებლობა ღარიბებზე მზრუნველობის შესახებ. ამ კომისიას, პრაქტიკულად, რაიმე მნიშვნელოვანი საქმე არ გაუკეთებია, იგი მალე გაუქმდა და საკითხები, რაც მის კომპეტენციაში შედიოდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა. მან შეადგინა კანონპროექტი სახელმწიფო მზრუნველობის შესახებ, რომელიც ამ დარგში გატარებული ღონისძიებების საფუძველი გახდა.

ქველმოქმედებას საქართველოშიც ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას ისე, როგორც სხვაგან, აქაც ქრისტიანული მოძღვრება ედო საფუძვლად. ეკლესია გლახაკთათვის დახმარებას მაღალ მორალურ თვისებად მიიჩნევდა. ჯერ კიდევ იაკობ ცურტაველმა ათქმევინა შუშანიკს: „ესე ყოველი ცხოვრებაი ვითარცა ყუავილი ველთაი, წარმავალ არს და დაუდგრომელ და ვინ სთესა — მოიმკო და ვინ განაბნია გლახაკთათჳს — შეიკრიბა“.[2]

პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონის მიხედვით შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული გლახაკთა სასარგებლოდ ქველმოქმედების გაცემა. შოთა რუსთაველის სიტყვები „ვეფხისტყაოსანში“ — „მიეც გლახაკთა საჭურჭლე“ — იყო დევიზი ამ მიმართულებით XII საუკუნის საქარ-

---

[1] Очерки истории СССР, Россия во второй половине XVIII века, М., 1956, стр. 290.

[2] ი. ცურტაველი, შუშანიკის წამება, თბ., 1979, გვ. 51.

თველოს ცხოვრებაში გატარებული ეკონომიური აქციებისა".[1] ქველმოქმედების გაცემის საქმეში განსაკუთრებით სიუხვეს იჩენდნენ დავით აღმაშენებელი[2] და თამარ მეფე. ქველმოქმედება განსაკუთრებით მეფეთა მხრიდან განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ გლახაკთა ფენა ქვეყანაში ანგარიშგასაწევ ძალად იქცა (ამას ემატებოდა საზოგადოებრივი აზრი). ეს ძალა იმდენად გაიზარდა და მნიშვნელოვანი გახდა, რომ ცალკეულ პირთა (თუნდაც მეფეების) ქველმოქმედება საკმარისი აღარ იყო, ამიტომ ამ საქმეში ერევა სახელწმიფო და თავის ღონისძიებებს ატარებს[3].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც რუსეთში რევოლუციურ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ფართო საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო, ქველმოქმედებამ ახალი შინაარსი შეიძინა. რუსეთის ინტელიგენციამ, რომლის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა, საქველმოქმედო საზოგადოებანი განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში ჩააყენა. XIX საუკუნის რუსეთში როცა ეროვნულმა ბურჟუაზიამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ხელში განმათავისუფლებელი მოძრაობის სადავეების აღება, ხოლო გლეხობა ინტელექტუალური სიბნელის გამო ჭაობში იყო ჩაფლული, რევოლუციის პროცესის ძირითად სუბიექტად გამოვიდა საზოგადოების განათლებული ფენა — ინტელიგენცია. დღეს რუსულ ისტორიოგრაფიაში ფეხმოკიდებულია მოსაზრება „...დაგვიანებული ბურჟუაზიული განვითარება განსაზღვრავს შეძლებულ

---

[1] რ. მეტრეველი, დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში V-XII სს; გლახაკები, თბ., 1976, გვ. 46.

[2] უცნობი მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს დავით აღმაშენებლის ქველმოქმედებას. მისი თქმით, მეფეს ერთი პატარა ქისა ჰქონია, რომელსაც „აღავსის დრაჰკნითა რა დღე სარწმუნოთა თვისთა ხელითა, და სამწუხროდ ცალიერი მოაქუნდის იგი მხიარულსა სულითა და პირითა". თუ ისეთი დღე გამოერეოდა, რომ გლახაკს ვერსად გადაეყრებოდა, დავითს გული ჰმუხვით ევსებოდა და იტყოდა: „დღეს ვერა მივეც ქრისტესა მარცხებითა ჩემთა ცოდვათათა". ისტორიკოსს არც იმის აღნიშვნა დაავიწყდა, რომ მეფე უპოვართა განსაკითხავად მხოლოდ საკუთარ ქონებას გასცემდა — „და ამას არა თუ კელოსანთაგან მორთმეულისა იქმოდის, ანუ თუ საჭურჭლით, არამედ ხელთა თვსთა ნაღირებულისა" — იხ. „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 353.

[3] რ. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი; გვ. 52.

კლასთა ორი ჯგუფის — ტრადიციული-მემამულურისა და ახალბურჟუაზიულის სისუსტესა და მზარდ კრიზისს, რომელთაგან პირველი მორალურად და პოლიტიკურად დეგრადაციას განიცდის, ხოლო მეორეს საშუალება არა აქვს „მხრები გაშალოს“. ამას თან ერთვოდა მასობრივი შეგნების განუვითარებლობა, ტრადიციული სტრუქტურებისა და იდეების ძალადობა. რაც, თავისთავად იწვევდა ჩამორჩენილი საზოგადოების დემოკრატიული ინტელიგენციის სოციალური როლის ზრდას[1].

სიტყვა ინტელიგენცია, რომელიც ლათინური წარმოშობისაა („intelligens“ — მოაზროვნე, შეგნებული), რუსულ პუბლიცისტიკაში, სოციოლოგიური თვალსაზრისით, XIX საუკუნის 60-იან წლებიდან შევიდა. ხოლო ქართულში იგი უფრო გვიან, ამავე საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა[2].

რუსეთის დემოკრატიულმა ინტელიგენციამ განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა (რაზნოჩინულ და ე. წ. პროლეტარულ) ეტაპებზე საქველმოქმედო საზოგადოებანი გამოიყენა, როგორც ხალხთან ახლოს მისვლის, მშრომელთა ფართო მასებში რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდის ერთ-ერთი ფორმა.

ქართველმა ინტელიგენციამ საქველმოქმედო საზოგადოებათა მოღვაწეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებს დაუქვემდებარა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი — ქართველი ინტელიგენციის ძირითადი ნაწილი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდა (იმის გამო, რომ მაშინ საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა). ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობა აქტიურად იყო ჩაბმული რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობაში და თავდადებით იბრძოდა თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ. ეს რეჟიმი მიაჩნდა მას როგორც ქართველი, ასევე რუსი ხალხის უბოროტეს მტრად. „ამიტომაც იყო ყოველთვის ქართველ ეროვნულ-განმათავისუფლებელი

---

[1] И. Пантин, Е. Плимак, В. Хорос, Революционная традиция в России 1783-1883, М., 1986, стр. 48-49.

[2] ა. სურგულაძე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 36.

მოძრაობის შესვეურთათვის მახლობელი და მშობლიური დეკაბრისტებიც და გერცენიც, რუსეთის სამოციანელებიც და „ნაროდნაია ვოლიას" გმირებიც. თავის მხრივ, რუსეთის განაპირა ეროვნულ რაიონებში გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აზვირთებულ მდინარეს ერთვოდა, როგორც ცალკე შენაკადები და მას წყალუხვს ხდიდა"[1]. უფრო ზუსტად — „ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო".[2]

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეოლოგია 60-იანი წლების თერგდალეულთა[3] თაობამ ჩამოაყალიბა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. XIX საუკუნის 60-80-იანი წლებიდან მოყოლებული ეს იდეოლოგია ქართული კულტურის მთავარი შინაარსი გახდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ძირითადი ამოცანები იყო: ცარიზმის კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაცია, პერსპექტივაში სრული ეროვნული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, ქართველი ხალხის განათლება და მასში ეროვნული თვითშეგნების აღზრდა, ქართული ენისა და კულტურის დაცვა თვითმპყრობელობის უხეში შემოტევებისაგან და სხვა.

საქართველოში საქველმოქმედო საზოგადოებათა მოღვაწეობას ჩვენ განვიხილავთ ამ ამოცანებთან მჭიდრო კავშირში. მიუხე-

---

[1] ა. სურგულაძე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 19.

[2] იქვე, გვ. 359, ეს მოსაზრება ძირითადად სწორია, თუმცა მისი აბსოლუტური მნიშვნელობით მიღება მაინც არ შეიძლება. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსული რევოლუციური დემოკრატიისათვის (რომელიც არქირეაქციული შოვინიზმით ძლიერ გამოირჩეოდა და ახლაც გამოირჩევა) თავისი საბოლოო მიზნით — სრული ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებით — ცხადია, მიუღებელი იყო ისევ და ისევ დიდმპყრობელურ-ველიკორუსული ფსიქოლოგიის გამო.

[3] მართალია „თერგდალეულები" 60-იანელთა თაობის სახელწოდებად დამკვიდრდა ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში, მაგრამ ეს სიტყვა ამგვარივე მნიშვნელობით, ჯერ კიდევ 30-იან წლებში იყო ცნობილი. შეიძლება გავიხსენოთ წერილი, მიწერილი გრიგოლ ორბელიანისათვის მისი ბიცოლას ელისაბედის მიერ, რომელშიც მსუბუქი საყვედურია გამოთქმული ამბის შეუტყობინებლობის გამო და ბოლოში აღნიშნულია: „მაგრამ თერგდალეულს ვილა მოაგონდება"! (იხ. მ. ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 7).

დავად იმისა, რომ ეს საზოგადოებანი მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებით მოქმედებდნენ და მათ საქმიანობაზე ადგილობრივი ხელისუფლების მკაცრი კონტროლი იყო დაწესებული, (ყოველი ღონისძიების გამართვისათვის, სპექტაკლი იქნებოდა ეს, მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო თუ სხვა რამ, გუბერნატორის სპეციალური ნებართვა იყო საჭირო), მაინც ხერხდებოდა მათი გამოყენება ხალხთა მასებში ეროვნული და რევოლუციური იდეების პროპაგანდის მიზნით. ამიტომ იყო, რომ მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა მათ მოღვაწეობას და დიდ სიფრთხილეს იჩენდა ასეთი საზოგადოების დაარსებისათვის ნებართვის გაცემის დროს. გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, 60-იანი წლების თერგდალეულთა თაობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი კირილე ლორთქიფანიძე საქველმოქმედო საზოგადოებებისადმი მთავრობის დამოკიდებულების შესახებ 1884 წლის დეკემბერში ილია ჭავჭავაძეს წერდა: ,,...მთავრობას ერთობ უძნელდება ჩვენში სხვადასხვა ახალის საზოგადოების დაარსებისათვის ნების დართვა, თითქოს სინანულშიც არის, რომ მისი ნებით დაარსდა ორიოდე იმისთანა საზოგადოება, რომელსაც ის ახლა ეჭვის თვალით უყურებს...''[1] ეს ეჭვი, ცხადია, უსაფუძვლო არ იყო. საერთოდ, საქართველოში მოქმედი საქველმოქმედო საზოგადოებათა სახით დემოკრატიულმა და რევოლუციურმა ინტელიგენციამ მოღვაწეობის ფართო ასპარეზი ჰპოვა. მათ ასეთი საზოგადოების საშუალებით, შეფარვით თუ აშკარად ხალხთა მასებამდე მიჰქონდათ განმათავისუფლებელი მოძრაობის მგზნებარე იდეები, რაც ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ზრდას.

ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების დაცვა, შესწავლა და გამოყენება ჩვენი სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს. სამწუხაროდ, დღეს ამ თვალსაზრისით ჩვენ ბევრი გვიკლია წამყვანი ქვეყნების გამოცდილებამდე, სადაც ეროვნული საგანძურის მოვლა-პატრო-

---

[1] ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი (შემდეგში ქიმ), ფონდი 2173, საბ. 487.

ნობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. ანტიხალხური კომუნისტური მმართველობის წლებში ამ მიმართებით მიღებულ დადგენილებებს, კარგად ცნობილი მიზეზების გამო, რაიმე ქმედითი ღონისძიებანი არ მოჰყოლია. თუ რაიმე გაკეთდა, ისიც ლოკალურ გეოგრაფიულ რეგიონში, უამრავი ხარვეზითა და დარღვევით, რაც ხვალ-ზეგ სათავცემოდ გაუხდება ჩვენს მომავალ თაობას.

ასეთ პირობებში რევოლუციამდე მოქმედ საქველმოქმედო საზოგადოებათა მოღვაწეობის შესწავლას, მათი გამოცდილების გამოყენებას ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის დაცვის საქმეში, აქვს არა მარტო აქტუალური თეორიულ-შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც.

საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებათა ისტორიისადმი ინტერესს აძლიერებს კიდევ ერთი გარემოება, ამ საზოგადოებებში მოღვაწე ინტელიგენციის ერთი ნაწილი დაიღუპა ბოლშევიკური რეპრესიების დროს, ნაწილი კი დავიწყების ჩრდილშია მოქცეული. ცხადია, ჩვენი ვალია ხელოვნურად წაყრილი ფერფლი გადავაცალოთ საქართველოს უახლესი ისტორიის ამ უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებს, რომლებიც ცარიზმის შავბნელი რეჟიმის ბატონობის პერიოდში თავიანთი მრავალმხრივი მოღვაწეობით ეწეოდნენ ეროვნული იდეების ცხოველმოსილებითს მძიმე ჭაპანს და ყველაფერი გააკეთეს საკუთარი ხალხის წინაშე თავიანთი მოქალაქეობრივი ვალის პირნათლად მოხდისათვის.

აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ საქართველოში რევოლუციამდე მოქმედ საქველმოქმედო საზოგადოებათა ისტორია და ის უდიდესი პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რაც მათ საქმიანობას ობიექტურად გააჩნდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაში.

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია როგორც გამოქვეყნებული, ასევე გამოუქვეყნებელი წყაროები, რომელთა ძირითადი ნაწილი ჩვენს მიერაა გამოვლენილი და პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში, ასევე, საკითხის შესახებ მასალები მოიპოვება საქართველოს, რუსეთის (მოსკოვი, პეტერბურგი) და ესტონეთის სახელმწიფო არქივებსა და სიძველეთა საცავებში.

ცალკე დასავლეთ საქართველოში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განყოფილებათა შესახებ საინტერესო მასალებია დაცული საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის 481 ფონდში (1879-1922 წწ.), ხოლო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებების შესახებ ამავე არქივის 517-ე ფონდში (1906-1921 წწ.). ქუთაისის დრამატული საზოგადოების საქმიანობის ამსახველი მასალები ინახება საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის (ლხცსა) მე-18 ფონდში — (1909-1920 წწ.).

ღარიბ ბავშვთა და ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებების შესახებ საყურადღებო დოკუმენტები არსებობს ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის (ქცსა) მე-9 (ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია) და მე-20 (ქუთაისის რეალური სასწავლებელი) ფონდებში.

დასავლეთ საქართველოში არსებული საქველმოქმედო საზოგადოებების შესახებ ყველაზე მდიდარი მასალებია დაცული ქუთაისის აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. აქ ინახება ღარიბ მოწაფეთა დამხმარე (1878-1918 წწ., ფონდი 6412), ღარიბ ბავშვთა (1892-1918 წწ., ფონდები: 5271, 5279, 5282, 5283, 5285, 5950), ღარიბ სტუდენტთა დამხმარე (1907-1918 წწ., ფონდი 6465), ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო (1912-1927 წწ., ფონდები: 5286, 5947) და ბუნებისმოყვარულთა ქუთაისის (1910-1914 წწ., ფონდი 6406) საზოგადოებების საქმიანობის ამსახველი მასალები. ეს ფონდები (წესდებები, ოქმები, ანგარიშები, საზოგადოებათა წევრების სიები, ჩატარებულ ღონისძიებათა ამსახველი დოკუმენტები, მიწერ-მოწერა ცალკეულ პირებთან და ორგანიზაციებთან და სხვ.) მთლიანად მოიცავს დასახელებული საზოგადოებების მოღვაწეობას. მათ შორის, მასალების სისრულითა და სიმდიდრით გამოირჩევა ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების ფონდი. აღნიშნული ფონდების გარდა დასავლეთ საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებათა ისტორიის ცალკეული მო-

მენტების შესახებ პირველხარისხოვანი დოკუმენტებია დაცული გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების — კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძის, გიორგი ფელიქსის ძე მაიაშვილი-ზდანოვიჩის და ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილის პირად არქივებში, რომლებიც ასევე ქუთაისის მუზეუმში ინახება (ფონდები: 2173, 6412, 2175), აქვეა დაცული აგრეთვე ივანე პურადაშვილისა (ხელნაწერთა წიგნი 595) და ილია ბახტაძის (ხელნაწერთა წიგნი 65) უაღრესად საინტერესო, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მოგონებები, რომლებშიც დახასიათებულია დასავლეთ საქართველოში მოქმედ რიგ საქველმოქმედო საზოგადოებათა საქმიანობა.

გავეცანით მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში — მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის (418), პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში — პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის (14,733) და ესტონეთის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში იურიევის — დერპტის (ტარტუ) უნივერსიტეტის (296, 402, 404) ფონდებს, რომლებშიც დაცულია საყურადღებო პირველწყაროები დასავლეთ საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებებთან დასახელებულ უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობის ურთიერთობის, მათი საქართველოსა და რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ. ეს მასალები ასახავენ აგრეთვე, ერთის მხრივ, ქართველი სტუდენტების საქმიანობას სამშობლოს გარეთ ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში და მეორეს მხრივ, მათ ბრძოლას რუსი და რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სხვა ეროვნების ახალგაზრდობასთან ერთად თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

გამოქვეყნებული წყაროებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ საქველმოქმედო საზოგადოებათა წესდებები და მათი მოღვაწეობის ანგარიშები. მაგალითად, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების

1912 წლის[1] და 1913-1914 წლების ანგარიშები[2], ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა[3], ანგარიში ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა 1913-1915 წლებში[4] ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედების 1915 წელს[5]; ქუთაისის ქალთა საზოგადოების 1912-1913 წლების ანგარიში[6]; ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მოქმედების ანგარიში 1912 წელს[7]; ქართული კულტურის მოყვარულთა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შესახებ საინტერესო მასალები აქვს გამოქვეყნებული ლ. გოდერიძეს[8]; საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობას ეხება ე. თაყაიშვილის საყურადღებო ნაშრომი[9]; ასევე ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოღვაწეობას ეძღვნება აპ. წულაძის — „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს"[10] და სხვ.

———————

[1] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების 1912 წლის ანგარიში, ქუთაისი, სტამბა იოსებ ხელაძისა, 1912.

[2] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილეიის 1913-1914 წლების ანგარიში, ქუთაისი, 1915.

[3] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლის, თბ., 1915.

[4] ანგარიში ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა 1913-1915 წლებში, ქუთაისი, 1916.

[5] ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წელს, თფილისი, 1916.

[6] ქუთაისის ქალთა საზოგადოების 1912-1913 წლების ანგარიში, ქუთაისი, 1913.

[7] ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მოქმედების ანგარიში 1912 წელს, ქუთაისი, 1912.

[8] ლ. გოდერიძე. მასალები ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, 27-28, თბ., 1973, მისივე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, 37-38, თბ., 1978, 41-42, თბ., 1980.

[9] ე. თაყაიშვილი, მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში (1907-1917), კრებული აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966.

[10] აპ. წულაძე. ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს, თფილისი, 1915.

დასავლეთ საქართველოში მოქმედ საქველმოქმედო საზოგადოებათა მოღვაწეობის შესახებ მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავს რევოლუციამდელი პრესა. გაზეთები: „დროება", „ივერია", „კვალი", „ცნობის ფურცელი", „მნათობი", „ფონი", „კოლხიდა", „იმერეთი", „აზრი", „თემი", „ერი", „მერცხალი", „შრომა", „საქართველო", „სამშობლო", „სახალხო ფურცელი", „სიმართლის ხმა", „თანამედროვე აზრი", „ჩვენი ერი", „ჩვენი ქვეყანა", და სხვა; ჟურნალები: „ცისკარი", „თეატრი და ცხოვრება", „განათლება" და სხვანი სისტემატურად ათავსებდნენ ინფორმაციებს და ხშირად დაწვრილებით ანგარიშებსაც საქველმოქმედო საზოგადოებათა მიერ ჩატარებული ღონისძიებებისა და საერთოდ, მათი მუშაობის შესახებ.

ჩვენი თემის გარშემო ანგარიშგასაწევი მასალებია დაცული ნ. ნიკოლაძის, ი. მანსვეტაშვილის, გ. ქიქოძის, დ. კლდიაშვილის, გ. ლასხიშვილის, შ. დადიანის, დ. ანთაძის, მ. ქორელის, კ. ერისთავისა და სხვათა მოგონებებში[1].

რევოლუციამდელ საქართველოში არსებული საქველმოქმედო საზოგადოებების ისტორია მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის, მაგრამ ამ თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე არა ერთი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში. შეიძლება დავასახელოთ რ. მეტრეველის „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება", ტრ. ხუნდაძის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", ბ. ბაკურაძის „სახალხო უნივერსიტეტები", ს. ხუციშვილის „მანათობელი[2], რომლებიც შეიცავენ საინტერესო მოსაზრებებს დასახე-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, მოგონებები, თბ., 1984; ი. მანსვეტაშვილი. მოგონებანი, თბ., 1985; გ. ქიქოძე. მოგონებები. სიტყვები და წერილები, თბ., 1956; დ. კლდიაშვილი. ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1964; გ. ლასხიშვილი. მემუარები, თბ., 1934; შ. დადიანი, რაც გამახსენდა, თბ., 1959; დ. ანთაძე. თეატრალური ზესტაფონი, თბ., 1959; მ. ქორელი, მოგონებები, თბ., 1969; კ. ერისთავი, მოგონება, თბ., 1973.

[2] რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982; ტრ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960; ბ. ბაკურაძე, სახალხო უნივერსიტეტები, თბ., 1973; ს. ხუციშვილი, „მანათობელი", თბ., 1980.

ლებული საქველმოქმედო საზოგადოებების პროვინციებთან და კონკრეტულად, დასავლეთ საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის ცალკეულ მხარეებს ეხებიან ლ. ტოროშელიძე და მ. ნიკოლეიშვილი[1]. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართველი ინტელიგენციის როლისა და საქველმოქმედო საზოგადოებებში მისი მუშაობის შესახებ საყურადღებო მონაცემები აქვთ აკ. სურგულაძეს, მ. გაფრინდაშვილს, გ. გიორგაძეს და სხვ[2] საერთოდ, რუსეთში რევოლუციური ტრადიციების შექმნის საქმეში საინტერესო მოსაზრება აქვთ გამოთქმული ი. პანტინს, ე. პლიმაკს და ვ. ხოროსს[3].

ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის საქველმოქმედო საზოგადოებებთან ურთიერთობისა და რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ მდიდარი მასალები აქვთ მოცემული კ. მეძველიას, პ. რატიანს, ვ. სიფრაშვილს ირ. ტატიშვილსა და თ. დეკანოსიძეს, ვ. გაგუას, ვ. შადურს, ს. ჯორბენაძეს, ზ. შველიძეს, ს. ისაკოვს, მ. ლემკეს, მ. გორგიძეს და სხვ.[4] გარად ამისა გ. მარგიანის. ო. გიგინეიშვილის, პ. ვაჭრიძის,

---

[1] ლ. ტოროშელიძე, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XV, ქუთაისი, 1956; მ. ნიკოლეიშვლი, განძი და საგანძური, ქუთაისი, 1986.

[2] ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973; მისივე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977; მისივე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1980; მისივე, ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში, თბ., 1986, მ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ.; 1959; გ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905 წწ. თბ., 1928.

[3] Н. Пантин, Е. Плимак, В. Хорос, Революционная традиция в России 1783-1883. М., 1986.

[4] კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციური მოღვაწეები, თბ., 1959; მისივე, თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე. თბ., 1965; პ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ., 1962; ვ. სიფრაშვილი, პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობა და ქართველი სტუდენტობა, თბ., 1961; ირ. ტატიშვილი, თ. დეკანოსიძე, მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბ.,

ტრ. ხუნდაძის, ვ. ონიანის, ი. მიქაძისა და ვ. გაგუას, გ. ბუხნიკაშვილის, ს. გერსამიას, რ. მეტრეველის, პ. რატიანის, პ. ვაჭრიძისა და გ. გაბუნიას, აბ. სურგულაძის, ხ. ახვლედიანის, ი. გენძეხაძის, ლ. მენაბდეს, ს. გამსახურდიას[1] და სხვათა წიგნებსა და

---

1960; ვ. გაგუა, ტარტუს უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა და საქართველოს პრესა (1895-1905 წწ.), კრებული „მეგობრობა“, თბ., 1981; მისივე, ქართველი სტუდენტები ტარტუში და მათი მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში (1898-1903 წწ.), კრებული „მეგობრობა“, თბ., 1983; ვ. შადური, ლენინგრადი და ქართული კულტურა, ჟურნ. „მნათობი“, 1943, №8; ს ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1961; ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960; მისივე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიიდან ამიერკავკასიაში, თბ., 1964; С. Исаков, Сквозь годы и расстояния, Таллин, 1969; М. Ломке. Очерки освободительного движения «Шестидесятых/ годов», С. Петербург, 1908; М. Горгидзе, Грузины в Петербурге, Тб., 1976.

[1] გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი (1864-1917 წწ.), თბ., 1976; ო. გიგინეიშვილი. თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963; პ. ვაჭრიძე. ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან, თბ., 1977; ტ. ხუნდაძე, ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბ., 1976; მისივე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები). თბ., 1939; ვ. ონიანი, რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენცია XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს, თბ., 1960; ი. მიქაძე, ვ. გაგუა, ძველი სენაკის საშუალო სკოლა, თბ., 1978; პ. ვაჭრიძე, გ. გაბუნია, ქუთაისი, თბ., 1967; გ. ბუხნიკაშვილი, თეატრალური ქუთაისი, თბ., 1967; ს. გერსამია ქუთაისის თეატრი, თბ., 1947; რ. მეტრეველი, კვალი განათლებული (იეანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი), თბ., 1975; მისივე, დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში V-XII საუკუნეებში, გლახაკები, თბ., 1976; აბ. სურგულაძე, გულო კაიკაციშვილი, ბათუმი, 1975; მისივე, განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში, ბათუმი, 1978; ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1956; ი. გენძეხაძე, ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან. ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XXV, ქუთაისი, 1963, ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, С. Гамсахурдия, История просвещения в Грузии до XIX Века, Тб., 1984.

სტატიებში მოცემულმა კონკრეტულმა მასალებმა თუ დებულებებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს აღნიშნულ საკითხზე მუშაობის დროს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას ასახოს საქველმოქმედო საზოგადოებათა მოღვაწეობა და ამდენად ბუნებრივია, მას ნაკლიც ექნება. ავტორი დიდი გულისყურითა და მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნასა და წინადადებას, რაც მას საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს მოსალოდნელი შეცდომები მეორე წიგნზე მუშაობისას.

თავი I

# საქველმოქმედო საზოგადოებანი სახალხო განათლების დარგში

## § 1. ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებანი დასავლეთ საქართველოში (1878-1918 წწ.)

მეფის თვითმპყრობელობა, რომელსაც შიშს გვრიდა დემოკრატიული, რევოლუციური მოძრაობის ზრდა, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ხალხთა მასების გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის საქმეს. მოსახლეობის უდიდესი ნაწილის უწიგნურობა რუსეთის საშინაო ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი იყო. ცარიზმი უძლური იყო თვით ცენტრალურ გუბერნიებშიც კი ნაწილობრივ მაინც გადაეჭრა განათლების სფეროში არსებული რეფორმები, სადაც კომპაქტურად იყო თავმოყრილი საკუთრივ რუსული მოსახლეობა. კიდევ უფრო ცუდად იყო საქმე განაპირა მხარეებში, რომელიც შოვინისტური წრეებისათვის საძულველი „ტუზემცებით“ იყო დასახლებული და სადაც ცარიზმი განათლების დარგში კოლონიურ პოლიტიკას ატარებდა. მეფის მთავრობა განსაკუთრებით აბრკოლებდა სწავლა-განათლების გავრცელებას საქართველოში, ხოლო სკოლას იყენებდა ეროვნული ჩაგვრის იარაღად. რევოლუციამდელ სახელმწიფო სასწავლებლებში გამეფებული იყო როზგზე დამყარებული სწავლა-აღზრდის სისტემა, რომლის მიზანი იყო აღეზარდათ ცარიზმისადმი მონურად ერთგული, სულიერად და ფიზიკურად დაბეჩავებული გენეტიკური პროდუქცია. რუსული სკოლა ცდილობდა ქართველ ახალგაზრდობაში ჩაეხშო ყოველივე ეროვნული, ჩაენერგა მასში მეფისა და ეკლესიისადმი ღრმა მორჩილების სულისკვეთება. შოვინისტურად განწყობილი პედაგოგი — ჩინოვნიკები ხშირად აბუჩად იგდებდნენ თავიანთი

ქართველი აღსაზრდელების ნაციონალურ ღირსებას. უხეშად დასცინოდნენ ქართველ ხალხს, მის ენას, კულტურას და ისტორიას. ბევრი ხელმოკლე ოჯახი იძულებული იყო განათლების გარეშე დაეტოვებინა შვილები. ბავშვები ადრეული ასაკიდან ებმებოდნენ საარსებო საშუალებებისათვის ბრძოლაში.

მოსახლეობის ფართო ფენებში განათლების შეტანა მუდამ წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად საკითხს. პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებებით ცდილობდა დახმარება აღმოეჩინა საკუთარი ხალხისათვის, რათა მათ ბავშვებს დაწყებითი განათლება მიეღოთ. ამ მიზანს ემსახურებოდა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება, რომელმაც საქმიანობა დაიწყო 1878 წლიდან.

1878 წლის 20 მაისს, კავკასიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაამტკიცა ქუთაისის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების წესდება.

საზოგადოება მიზნად ისახავდა საჭირო მატერიალური დახმარება აღმოეჩინა ქუთაისის სასწავლებლების ღარიბ მოწაფეთათვის, მიუხედავად მათი წოდებისა და სარწმუნოებისა. საჭირო სახსრების შესაგროვებლად საზოგადოებას განზრახული ჰქონდა სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებათა ჩატარება, შეწირულებათა შეკრება და სხვა. საზოგადოებას მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას აღუთქვამდა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი. საზოგადოების საქმეებს პრაქტიკულად აწარმოებდა საერთო კრების მიერ არჩეული განმკარგულებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ორ-ორი წარმომადგენელი ქუთაისში არსებული ყველა სასწავლებლიდან.

ღარიბი მოსწავლეებისადმი დახმარება გამოიხატებოდა შემდეგში: სწავლის ქირის გადახდა, ერთდროული ფულადი დახმარება, სახელმძღვანელოების, სასწავლო ნივთების, ტანსაცმელის შეძენა და სხვ. ერთი სიტყვით, საზოგადოება მიზნად ისახავდა

საშუალება მიეცა ღარიბი მოწაფეებისათვის მატერიალური ხელმოკლეობის გამო სკოლისათვის თავი არ დაენებებინათ და სწავლა დაესრულებინათ[1].

სხვადასხვა დროს საზოგადოების განმკარგულებელი კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ: კ ლორთქიფანიძე, ა. მუსხელიშვილი, პ. რომანოვი, ე. ლორთქიფანიძე, დ. კობიაშვილი, ტ. ნაზარიშვილი, კ. ხარაზიშვილი და სხვ.[2]

საზოგადოების საპატიო წევრად ითვლებოდა მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ქუთაისში მცხოვრები პრინცი კ. ოლდენბურგი, რომელიც ამ სიმპათიურ საქველმოქმედო დაწესებულებას გულუხვ მატერიალურ დახმარებას უწევდა.

ქუთაისის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება სათავადაზნაურო ბანკის მუდმივი მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა. მაგალითად, ბანკის საერთო კრებამ 1880 წლის 19 ივნისის დადგენილეიბთ საზოგადოებას გამოუყო 1000 მანეთი[3], ხოლო ცოტა მოგვიანებით, კიდევ 3000 მანეთი ღარიბ მოწაფეთა სწავლის ქირისაგან გასათავისუფლებლად. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში.

განმკარგულებელი კომიტეტის სული და გული იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ილიასა და აკაკის ღირსეული თანამესანგრე კირილე ბექანის ძე ლორთქიფანიძე.

საზოგადოების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს მთელი პროგრესული ინტელიგენცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია დამსახურება ქართველი მანდილოსნებისა, რომლებიც დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ეკონომიკურად შევიწროვებული ახალგაზრდობისათვის სწავლა-განათლების პირობების გასაუმჯობესებლად. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: ეკატერინე წულუკიძე, ანა მესხიშვილი, ეკატერინე ჩიქოვანი და ეკატერინე ნიკოლაძე (ნიკო ნიკოლაძის და), რომლის შესახებ დავით კლდიაშვილი წერდა: „საყურადღებოა და არდასავიწყარი ის შრომა, რომელიც მას (ეკატერინეს — დ. გ.)

---

[1] ქიმ. ფონდი 6412, საბ. I, ფურც. 1-4.
[2] ქიმ. ფონდი 6412, საბ. I, ფურც. 559.
[3] იქვე, ფურც. 83.

გაუწევია ქუთაისში კულტურული მუშაობის გასაშლელად. მე პირდაპირ მავიწყდებოდა ჩემი ავადმყოფობაც. მოღლაც, როცა პატივცემული კატო შეგვატყობინებდა, რომ განზრახულია ამა და ამ დროისათვის ბავშვთა დილაო და გვიწვევდა სამუშაოდ... მისი წახალისებული ქუთათური მანდილოსნები მხურვალე შემწეობას აძლევდნენ მას მუშაობაში."[1]

ილია ჭავჭავაძე სპეციალურ სტატიაში — „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის" (დაარსდა 1878 წელს, თბილისში) წერდა: „ვისაც რა შეუძლიან და რითაც შეუძლიან, ყველამ უნდა გაიჭიროს საქმე და ამ საზოგადოებას ნივთიერი ღონისძიება მისცეს მისდა კეთილის განზრახვის აღსრულებისათვის. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველი გროში, ამ დიდის საქმისათვის შეწირული, ჩვენს შვილებს მოხმარდება, მათის კაცად გახდომისათვის, მათის ბედნიერებისათვის, მათის განათლებისათვის იმოქმედებს, აქ უკან დახევა შვილების ღალატია, ქვეყნის გმობაა, საუკუნოდ საწყევარი".[2]

საშუალო ტიპის თითქმის ყველა სასწავლებელში არსებობდა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც „საქალაქო საზოგადოების" ხელმძღვანელობით მოქმედებდა. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიასთან, ქართულ გიმნაზიასთან, წმინდა ნინოს ქალთა და რეალურ სასწავლებლებთან არსებული ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებანი ათეული წლების მანძილზე უანგარო და დიდ საშვილიშვილო საქმეს ემსახურებოდნენ. ასე მაგალითად, 1904 წლისათვის ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებას 140-მდე წევრი ჰყავდა. მარტო საწევრო შესატანებისაგან საზოგადოება ყოველწლიურად კრებდა 300 მანეთზე მეტს, რაც მას საშუალებას აძლევდა ღარიბ მოწაფეთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლის ქირისაგან გაეთავისუფლებინა, შემწეობა აღმოეჩინა სასწავლო ნივთებისა და ტანსაცმელის შეძენაში. გარდა საწევრო გადასახადისა, საზოგადოება გარკვეულ თანხას აგროვებდა საქველმოქმედო

---

[1] დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984, გვ. 178.

[2] ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, თბ., 1955, გვ. 326.

ღონისძიებათა გამართვის გზით (ლიტერატურულ-მუსიკალური დილა-საღამოები, თეატრალური წარმოდგენები და ასე შემდეგ).

ქართული გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ა. დ. წერეთლისა, ე. ი. წულუკიძისა, ნ. ი. მღვდლიევისა, ე. ნ. ჩიქოვანისა, ე. ი. ნიკოლაძისა, ა. დ. თორაძე, გ. გ. ჭუბაბრია, მ. ი. კობახიძე, ი. ი. პურადაშვილი, ვ. ა. ბურჯანაძე და სხვები[1].

აქტიურად მოქმედებდა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებაც. როგორც გიმნაზიის დირექტორი თ. კოტილევსკი წერდა გაზეთ „იმერეთში“, 1914 წლის 25 მარტს გამართული საქველმოქმედო საღამოსაგან „საზოგადოებამ“ 950 მანეთი შემოსავალი მიიღო, რაც ღარიბ მოწაფეებზე განაწილდა[2]. წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებას ქალაქის საბჭო ყოველწლიურად 300 მანეთს აძლევდა.

ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებანი, გარდა ქუთაისისა, მოქმედებდნენ აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებშიც. გაზეთი „ივერია“ წერდა: „ქ. ოზურგეთში მოსწავლეთა რიცხვი ყოველწლივ სასწავლებლებში ჰმატულობს და ამასთანავე, რასაკვირველია იზრდება რიცხვი იმ ხელმოკლე მოსწავლეებისა, რომელნიც თავისის უკიდურესი სიღარიბისა გამო იძულებულნი არიან ხოლმე სრულიად ხელი აიღონ სწავლაზედ და გულჩათუთქულნი შინვე დაბრუნდნენ. ასეთს არა სასიამოვნო მოვლენას მიაქცია ყურადღება ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის საპედაგოგიო რჩევამ და ორი-სამი წლის წინად განიზრახა დაარსება საქველმოქმედო საზოგადოების, რომელმაც უნდა იზრუნოს ორივე სქესის მოსწავლეთა მდგომარეობაზედ ოზურგეთის სასწავლებლებში. ამისათვის შეადგინეს წესდება, რომელიც 1893 წლის 24 მკათათვეს დამტკიცებულ იქნა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან.“[3]

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904, 18 ივნისი, № 2528.
[2] გაზ. „იმერეთი“, 1914, 30 აპრილი, № 42.
[3] გაზ. „ივერია“, 1894, 6 დეკემბერი, № 258.

1893 წლის 17 ოქტომბერს შედგა ოზურგეთის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების დამფუძნებელი კრება, მისი წევრობის სურვილი განაცხადა სამოცზე მეტმა კაცმა. საზოგადოება ენერგიულად შეუდგა მუშაობას და მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევდა ღარიბ მოსწავლეებს. თანხების შეგროვების მიზნით იგი ხშირად მართავდა საქველმოქმედო აქციებს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების შესახებ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა: „12 ოქტომბერს ოზურგეთის კლუბში გამართული იყო სასიმღეროსამუსიკო-სალიტერატურო და საცეკვაო საღამო. შემოსავალი გადადებული იყო ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისათვის. საღამოში მონაწილეობას იღებდნენ: პ. კორინევსკისა, ა. ბებურიშვილისა, მ. ჯაყელისა, ვ. კეჟერაძისა, წმინდა შემოსავალი დარჩა 50 მანეთი, რომელიც გადაეცა საზოგადოების ხაზინადარს ანტონ ღლონტს, ამ შემოდგომაზედ ეს მეორედ იმართება ოზურგეთში საქველმოქმედო აზრით წარმოდგენა“.[1]

ასეთი საზოგადოებები არსებობდა აგრეთვე ფოთში, ზუგდიდში, ხონში და სხვ.

ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებებმა, მიუხედავად მატერიალურ შესაძლებლობათა შეზღუდულობისა, შეიძლება ითქვას, გარკვეული როლი შეასრულეს მოსახლეობის ფართო ფენებში განათლების შეტანის საქმეში. საზოგადოებამ 1918 წლამდე იარსება და მრავალი ქართველი ახალგაზრდა გამოსტაცა უწიგნურობის კლანჭებს და საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანად აქცია.

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897, 19 ოქტომბერი, № 345.

## § 2. ღარიბ ბავშვებზე მზრუნველი ქუთაისის განყოფილება (1892-1918 წწ.)

ღარიბ ბავშვებზე მზრუნველი ქუთაისის საზოგადოება დაარსდა 1892 წელს[1]. მას სათავეში ედგა საზოგადოების წევრთა საერთო კრების მიერ არჩეული გამგეობა ტატიანა იურის ასულ ნაზარიშვილის თავმჯდომარეობით.

ტ. ნაზარიშვილი იყო ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზარიშვილის მეუღლე. მასთან ახლო ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებდათ ა. წერეთელს, კ. ლორთქიფანიძეს, ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს, გ. ზდანოვიჩს (მაიაშვილი), ს. და ე მესხებს, კ. აბაშიძეს, დ. ბაქრაძეს, ა. ჭიჭინაძეს და ქართველი ინტელიგენციის მრავალ გამოჩენილ მოღვაწეს. ისინი თავს იყრიდნენ ცოლ-ქმარ ნაზარიშვილების ბინაზე და მსჯელობდნენ ქართული მწერლობის, კულტურისა და ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე, მეფის თვითმპყრობელობის ანტიხალხურ პოლიტიკაზე.

ტ. ნაზარიშვილის ხელმძღვანელობით აღნიშნულმა საზოგადოებამ არა ერთი ღონისძიება გაატარა, რომელთა მიზანი იყო ღარიბი ბავშვების ცხოვრების პირობების შემსუბუქება, მათთვის დაწყებითი განათლების მიცემა და სხვ.

რევოლუციამდელ საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის იმპერიაში საერთოდ, მრეწველობის თითქმის ყველა დარგში ფართოდ გამოიყენებოდა მცირეწლოვანთა და მოზარდთა შრომა. მათ სრულწლოვანებზე უფრო მცირე ხელფასი ეძლეოდათ და მეტწილად უპატრონოდ და უბინაოდ იყვნენ მიტოვებული.[2] მუშა ბავშვების აუტანელი მდგომარეობის შესახებ ხშირად წერდნენ ჟურნალ-გაზეთები. ბავშვებს, რომლებიც ადრეული ასაკიდან იძულებულნი იყვნენ ლუკმა-პურის მოპოვებაზე ეფიქრათ, ცხადია საშუალება არ ჰქონდათ რაიმე განათლება მიეღოთ. მათზე ზრუნვა საზოგადოების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას შეადგენდა.

---

[1] ქიმ, ფონდი 5950. საბ. 335. ფურც. 2.

[2] გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი (1864-1917 წწ.), თბ., 1976, გვ. 524.

საზოგადოების მოღვაწეობის პირველ ხანებში მისი საქმიანობა ძირითადად ღარიბი ბავშვებისათვის მატერიალური და სამედიცინო დახმარების აღმოჩენით განისაზღვრებოდა. საზოგადოების ხელმძღვანელობის თხოვნით 1901 წელს ქუთაისის საქალაქო გამგეობამ მას იჯარით გადასცა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც ტ. ნაზარიშვილის ინიციატივით დაიწყო ღარიბი ბავშვებისათვის უფასო სკოლის შენობის აგება. მშენებლობა შეწყდა ტ. ნაზარიშვილის გარდაცვალების გამო.[1] 1905-1906 წლებში, ამავე მიზეზის გამო, საზოგადოებამ პრაქტიკულად შეწყვიტა საქმიანობა და კვლავ განაგრძო იგი 1907 წელს, როდესაც აირჩიეს ახალი გამგეობა. მასში შედიოდნენ: ნატალია ალმასხანის ასული ლორთქიფანიძე (თავმჯდომარე), დ. მანუილოვი (მდივანი), მ. ვარდოსანიძე, ე. ნივინსკი, ს. ოცხელი, ტ. ჯაფარიძე, ი. მელიქიშვილი.

საზოგადოების ახალმა გამგეობამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო ღარიბი ბავშვებისათვის უფასო სკოლის გახსნით (1908 წ. დეკემბერი).[2] თავდაპირველად სკოლაში 40 უღარიბესი, ძირითადად, ობოლი ბავშვი სწავლობდა, მომდევნო, 1909 წელს სკოლა გაფართოვდა, მას უკვე სამი განყოფილება ჰქონდა ორივე სქესის 164 მოსწავლით. სკოლაში სწავლება უფასო იყო. მოსწავლეები ყველა სახელმძღვანელოსა და სასწავლო ნივთებს უსასყიდლოდ იღებდნენ, ხოლო საშობაო დღესასწაულების დროს მათ თბილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც ეძლეოდათ, სკოლა მოთავსებული იყო კერძო ბინაში და საზოგადოება სოლიდურ თანხას უხდიდა მის მფლობელს. საჭირო იყო საკუთარი შენობის გამოძებნა, მითუმეტეს, რომ გამგეობამ გადაწყვიტა გაეფართოებინა სასწავლებლის პროფილი და მოსწავლეებისათვის წერა-კითხვის ცოდნასთან ერთად მიეცათ ყოველდღიურ საქმიანობაში გამოსაყენებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მთელი სიმწვავით წამოიჭრა სკოლა-თავშესაფარის დაარსების საკითხი, რომელსაც, ამავე დროს, ნაწილობრივ, დაწყებითი სახელოსნო სასწავლებლის ფუნქციაც უნდა შეესრულებინა. ამ მიზნით საზოგადოებამ 1912 წელს თხოვნით

---

[1] ქიმ, ხელნაწერთა წიგნი 595, ივ. პურადაშვილი, მოგონებანი, წიგნი II, გვ. 268.
[2] ქიმ. ფონდი 5950, საბ. 227, ფურც. 2.

მიმართა ქალაქის გამგეობას დაეთმო მისთვის მიწის ის ნაკვეთი, რომელზედაც უკვე რამდენიმე წლის წინათ დაწყებული იყო სკოლის მშენებლობა. საკითხი დადებითად გადაწყდა. სასკოლო შენობის აგებას გარკვეული თანხა ჭირდებოდა, რაც საზოგადოებას იმხანად მთლიანად არ გააჩნდა, ამიტომ მან შემწეობისათვის მიმართა მარგანეცის მრეწველობის ყრილობის საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი ზდანოვიჩს. მიმართვაში ნათქვამი იყო: „საზოგადოება მაღალ მიზნებს ისახავს — მისცეს შესაძლებლობა ბავშვებს, რომლებიც განწირული არიან სიღატაკისა და მძიმე ცხოვრებისათვის, ჩადგნენ პატიოსან მშრომელთა რიგებში და სარგებლობა მოუტანონ მშობლიურ მხარეს... ამისათვის აუცილებელია ბავშვებს ანბანთან ერთად რაიმე ხელობა შევასწავლოთ. ეს კი მოითხოვს სპეციალურ სასკოლო შენობას, რომლის აგება დაწყებულია და მის დასამთავრებლად საზოგადოებას ამჟამად სათანადო თანხა არ გააჩნია".

გამგეობა თხოვდა მარგანეცის მრეწველთა საბჭოს არა მარტო დახმარებოდა სკოლის მშენებლობაში, არამედ გამოეყო ყოველწლიური სუბსიდია მის შესანახად.

საზოგადოებამ შეძლო ტ. ნაზარიშვილის მიერ დაწყებული საქმის დამთავრება. XX საუკუნის 10-იანი წლების შუა ხანებისათვის ღარიბ ბავშვთა უფასო სკოლას უკვე ჰქონდა საკმაოდ კარგი შენობა (ამჟამად ამ შენობაში მოთავსებულია ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო, ჩეჩელაშვილის ქ. № 24).

ღარიბ ბავშვთა უფასო სკოლის პირველ განყოფილებაში სწავლობდნენ ქართულ წერა-კითხვას იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი „დედა ენის" საფუძველზე. მეორე განყოფილებაში მის მიერვე შედგენილი „რუსსკოე სლოვოს" გამოყენებით მოსწავლეები ეუფლებოდნენ წერა-კითხვას რუსულად. ამის პარალელურად, მათ ეძლეოდათ შრომის გაკვეთილები და როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეისწავლიდნენ სხვადასხვა ხელობას (კალათების მოწვნა, ხელოვნური ყვავილების, ლერწმის ავეჯის დამზადება და სხვა).[1].

---

1 ქიმ, ფონდი 5950, საბ. 248.

როგორც გამგეობის წევრის ა. ოდიშარიას ანგარიშიდან ირკვევა, სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე კარგად იყო დაყენებული. პედაგოგები: ტ. ჭეიშვილი, ნ. შევარდნაძე და სხვანი კეთილსინდისიერად და ენერგიულად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ამის შედეგი იყო ის, რომ უფასო სკოლის კურსდამთავრებულები საფუძვლიან დაწყებით განათლებას იღებდნენ და საკმაოდ იყვნენ მომზადებულები პრაქტიკული საქმიანობისათვის[1].

სკოლა-თავშესაფარში ღარიბი და უღარიბესი ბავშვები იყვნენ მოთავსებული. ზოგ მათგანს პატრონი საერთოდ არ გააჩნდა და აღნიშნული საზოგადოების მზრუნველობის იმედზე იყო დარჩენილი. ზოგს, მართალია, დედ-მამა ჰყავდა, მაგრამ სიღატაკისა და გაჭირვების გამო მშობლის მოვალეობის შესრულება აღარ შეეძლო. „...ნუ დაგვავიწყდება, რომ საზოგადოება ზრუნავს იმ ბავშვებზე, რომელნიც მათზე დამოუკიდებელი გარემოების გამო ქუჩაში ყრიან და იქ იტანჯებიან. შემდეგ კი ყაჩაღობისა და ავაზაკობის საშუალებით ცხოვრების სახსარს ეძებენ და საზოგადოებისათვის მავნე ელემენტებად იქცევიან. ასეთ ბავშვებზე ზრუნვას არათუ ქველმოქმედება და კაცთმოყვარეობა მოითხოვს, არამედ ცხოვრების წესიერების შეგნებაც, რადგან უპატრონო ბავშვები მომავალი დამნაშავენი არიან" — წერდა გამგეობის ერთ-ერთი წევრი ტ. ჯაფარიძე გაზეთ „კოლხიდაში"[2].

საზოგადოებას ასეთ ბავშვებზე დახმარების ფართო გეგმები ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ მისი მატერიალური სახსრები საკმაოდ შეზღუდული იყო, ხშირად იძულებული ხდებოდა მხოლოდ მინიმუმით დაკმაყოფილებულიყო — უფასოდ მკურნალობდა ავადმყოფ ბავშვებს, უსასყიდლოდ აძლევდა მათ სხვადასხვა სახის მედიკამენტებს. ამ კეთილშობილურ საქმეში თავისი წვლილი შეჰქონდათ ქალაქში ცნობილ ექიმებს. წამლები უფასოდ გაიცემოდა ვიტუშინსკის ცნობილი აფთიაქის მოიჯარადრის გრიგოლიას მიერ. საზოგადოების სახსრებს კი შეადგენდა: — საწევრო შენატანები, კერძო შეწირულებანი, სხვადასხვა სახის საქველმოქმედო

---

[1] ქიმ, ფონდი 5283, საბ. 53.
[2] გაზ. „კოლხიდა", 1911, 14 მაისი, № 38.

ღონისძიებებიდან შემოსული და ყულაბებით შეგროვილი თანხა და ა. შ.

საზოგადოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით არაერთხელ დასმულა საკითხი მისი მოქმედების სფეროს გაფართოების შესახებ. იყო წინადადება გამგეობა სათავეში ჩადგომოდა ქუთაისში შრომის სახლის შექმნას. ამ სახლს, ფაქტობრივად, სახელოსნო-სასწავლებლის როლი უნდა შეესრულებინა და გარკვეული სპეციალობა მიეცა ღარიბი ბავშვებისათვის.[1]

სახსრების მოზიდვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენდა თეატრალური დილა-საღამოებისა და საშობაო დღესასწაულების გამართვა.

თეატრალური დილა-საღამოების მომზადებისა და ჩატარების საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ ქუთაისის დრამატული საზოგადოების წევრები, ცნობილი მსახიობები და საზოგადო მოღვაწეები. ღარიბ ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოების გამგეობამ ფულადი სახსრების გადიდების მიზნით დრამატული საზოგადოების წინაშე დააყენა საკითხი პერიოდულად გაემართა სპექტაკლები რუსულ ენაზე, რათა ქუთაისის რუსულენოვან მოსახლეობას საშუალება ჰქონოდა დასწრებოდა წარმოდგენას, რაც გაზრდიდა სპექტაკლებიდან შემოსული თანხის რაოდენობას.[2]

ხშირად გამგეობა თეატრალურ თუ მუსიკალურ დილა-საღამოებს ატარებდა თვით ღარიბ ბავშვთა მონაწილეობით. „4 იანვარს — წერდა 1910 წელს გაზეთი „ფონი“ — ადგილობრივ ბავშვებისათვის მზრუნავ საზოგადოების გამგეობის ინიციატივით და მეცადინეობით გაიმართა ჩვეულებრივი საბავშვო დღესასწაული თეატრის დარბაზში, რომელიც გაჭედილი იყო ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა ბავშვებით. დღესასწაულის სულსა და გულს შეადგენდა აღნიშნული საზოგადოების მიერ დაარსებული ჯერ ახალგაზრდა პირველდაწყებითი შკოლის მოსწავლეთაგან გამართული სალიტერატურო დილა მწყობრი, შეთანხმებული საშკოლო სიმღერები შობის ხის გარშემო. პაწაწკინტელა ბავშვების მიერ ლამაზათ წაკითხული ლექსები ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა და

[1] ქიმ, ფონდი 5950, საბ. 251, ფურც. 2.
[2] ქიმ, ფონდი 5262, საბ. 31.

სრულს სიმპატიას იწვევდა დამსწრე. გარეშე საზოგადოებისას...
დღესასწაულის გათავების შემდეგ ბავშვებს დაურიგეს საჩუქრები
(ქუდები, ხალათები, წინდები, ცხვირსახოცები, ფეხსაცმელები და
სხვ.).[1] საბავშვო დღესასწაულს ხელმძღვანელობდა საზოგადოების
გამგეობის წევრი მანჟილოვი, რომელიც ერთ საუკეთესო მუშაკათ
უნდა ჩაითვალოს მოხსენებული საზოგადოების დღიდან მისი და-
არსებისა ქუთაისში".[2]

ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოების ერთ-ერთ ტრადიციულ
ღონისძიებას, რომელიც გარკვეულ მატერიალურ შემოსავალს იძ-
ლეოდა, წარმოადგენდა ე. წ. „შობის ხის" დღესასწაულის მო-
წყობა.

1909 წელს საზოგადოებას ჰყავდა 171 წევრი, რომლის შე-
მადგენლობა ყოველწლიურად იზრდებოდა. საწევრო-შესატანების
გარდა „საზოგადოებას" მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა მის
მიერ გამართული სხვადასხვა სახის ღონისძიებები. მაგალითად,
1909 წელს ქალაქის ბაღში გამართული სეირნობიდან გამგეობას
შემოსულია 688 მანეთი და 25 კაპიკი, 1910 წელს — 829 მა-
ნეთი და 97 კაპიკი.[3] 1914 წელს მოწყობილი ღონისძიებისაგან
630 მანეთი.[4] ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელთა
კორპორაციამ და მეოთხე კლასის მოწაფეებმა საზოგადოებას გა-
დასცეს ურთიერთშორის შეკრებილი 78 მანეთი ბავშვებისათვის
ტანისამოსის შესაძენად. ხოლო მოწამეთის ეკლესიის არქიმანდ-
რიტმა ნესტორმა საზოგადოებას შესწირა 50 მანეთი[5].

ღარიბ ბავშვებზე მზრუნველმა ქუთაისის საზოგადოებამ 1918
წლამდე იარსება და მან დიდი ღვაწლი დასდო ხელმოკლე და
ობოლ ბავშვთა მოვლა-პატრონობის საქმეს.

---

1 გაზ. „ფონი", 1910, 10 იანვარი, № 2.
2 გაზ. „იმერეთი", 1914, 8 ივლისი, № 99.
3 ქ. ფონდი 5279, საქ. 44.
4 ქ. მ, ფონდი 5285, საქ. 21.
5 ქაძ, ფონდი 5950, საქ. 16.

## § 3. ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება

## (1907-1918 წწ.)

დასავლეთ საქართველოში არსებულ საქველმოქმედო საზოგადოებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას. მის უპირველეს მიზანს შეადგენდა მატერიალურად დახმარებოდა საზღვარგარეთ წასულ სტუდენტ-ახალგაზრდობას და ამით ხელი შეეწყო სახალხო მეურნეობის, განათლების, კულტურისა და მეცნიერების ეროვნული კადრების აღზრდისათვის.

უმაღლეს განათლებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს[1]. ჯერ კიდევ III საუკუნის II ნახევარში მეცნიერული აზრის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა კოლხეთის უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ[2], რომლის ტრადიციები ააღორძინა და კიდევ უფრო განავითარა სახელგანთქმულმა გელათის აკადემიამ, რომელიც დავით აღმაშენებელმა დააარსა XII საუკუნის პირველ მეოთხედში. გელათის აკადემია, რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით „...არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღუარად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა..."[3], თავის კედლებში აერთიანებდა ქართული კულტურის ყველაზე გამოჩენილ და პროგრესულ წარმომადგენლებს. XII საუკუნეში იგი გადაიქცა ქართული „რენესანსის ერთ-ერთ მძლავრ კერად[4].

არსებობს გვიანდელი ხანის ცნობები იმის შესახებ, რომ XII საუკუნის საქართველოში, გარდა გელათისა, უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა იყალთოში აკადემიის სახით, რომელსაც არსენ

---

[1] С. Гамсахурдиа, История просвещения в Грузии до XIX Века, Тб., 1984, стр. 5-9.

[2] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ, თბ., 1981, გვ. 168.

[3] „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 330-331.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 377.

იყალთოელი ხელმძღვანელობდა. გადმოცემით უმაღლესი სკოლა უნდა არსებულიყო გრემშიც[1]. ამავე პერიოდში ევროპა, მცირე აზია და ახლო აღმოსავლეთი მოფენილი იყო ქართული ეკლესია-მონასტრებით, რომლებიც ინტენსიურ კულტურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ[2].

შემდეგ საქართველოს ძნელბედობის ხანა დაუდგა. ერთიანი სახელმწიფო დაიშალა. ქართველი ხალხი გარეშე მტრების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. შეწყდა გელათისა და იყალთოს აკადემიების სამეცნიერო საქმიანობა, მნიშვნელოვნად შეფერხდა კავშირი ევროპასთან.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ, იმის გამო, რომ ჩვენში უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა, ქართველი ახალგაზრდობა განათლების მისაღებად რუსეთისა და საზღვარგარეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში მიემგზავრებოდა. „...სურვილი ყოვლად მხსნელის სწავლისა და ცოდნისა გულში უქმად, ცარიელ სურვილად არ დაგვშთომია, — წერდა ილია ჭავჭავაძე — იგი... არა ერთსა და ორს ყმაწვილ კაცს გაიტაცებს ხოლმე თავგამომეტებით თავის საყვარელის სამშობლოდამ, რომ იქ შორს, შორს სადმე დაეწაფოს უმაღლესის ცოდნის ანკარა წყაროსა, რადგანაც ახლო იგი წყარო ნეტარებისა ჯერ არა სჩქეფს“[3].

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველ სტუდენტთა რიცხვი ერთეულებით განისაზღვრებოდა. უმაღლესი ცოდნის შეძენის სურვილით გატაცებული ახალგაზრდობის ლტოლვა რუსეთისა და ევროპის საუნივერსიტეტო ქალაქებისაკენ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გაიზარდა, საგლეხო რეფორმის გატარებისა და კაპიტალიზმის განვითარების პირობებში, ხოლო შედარებით ფართო ხასიათი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მიიღო.

ქართველი სტუდენტობის პირველმა თაობამ — „თერგდალეულებმა“, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ა. წე-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 378-379.
[2] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 20-25.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, თბ., 1955, გვ. 336.

რეთელი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. და ნ. ღოღობერიძეები, გ. წერეთელი, ი. ოქრომჭედლიშვილი, დ. ბაქრაძე, დ. ყიფიანი, დ. აბდუშელიშვილი და სხვები[1] — საფუძველი ჩაუყარა ქართველი ახალგაზრდობის საუნივერსიტეტო ქალაქებში ცხოვრების, სწავლისა და საზოგადოებრივ მოძრაობაში მონაწილეობის მყარ ტრადიციებს, რომლის მტკიცედ დაცვა და განვითარება საზღვარგარეთ მოსწავლე ყოველი ქართველი სტუდენტის მორალურ მოვალეობად იქცა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის ათიან წლებში ქართველი ახალგაზრდები სწავლობდნენ რუსეთის ქალაქების: პეტერბურგის, მოსკოვის, დერპტის (იურიევი, ტარტუ), ყაზანის, ხარკოვის, კიევის, ოდესის, ტომსკის, ეკატერინოსლავის, როსტოვის, ვარშავის და სხვ., საზღვარგარეთ — კენიგსბერგის, ლაიფციგის, ციურიხის, ჟენევის, ბრიუსელის, ტულუზის, პარიზის და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

განსაკუთრებით დიდი იყო ქართველი ახალგაზრდობის ლტოლვა მოსკოვის, პეტერბურგის, ხარკოვის, დერპტის, ოდესის, ლაიფციგის, ჟენევისა და პარიზის უნივერსიტეტებისაკენ. ამას თავისი კონკრეტული მიზეზები ჰქონდა. მაგალითად, პეტერბურგის შესახებ გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ი. მანსვეტაშვილი წერდა: ,,პეტერბურღს ჩვენს დროში დიდი მიმზიდველობითი ძალა ჰქონდა ახალგაზრდობისათვის, ვინც სწავლისა და განვითარების წყურვილსა ჰგრძნობდა. ამის მიზეზი მრავალგვარი იყო, ჯერ ერთი ისა, რომ იქ იმყოფებოდა ყოველგვარი უმაღლესი სასწავლებელი სხვადასხვა მეცნიერების დარგისა..., სადაც ათი ათასობით ითვლებოდა სტუდენტობა; მეორე კიდევ. აქაური პროფესორები ითვლებოდნენ საუკეთესო მეცნიერებად მთელ რუსეთში. და ბოლოს, პეტერბურღს უმეტესად ამშვენებდა ის, რომ აქ ჰქონდათ თავი მოყრილი საუკეთესო საზოგადო მოღვაწეთ, აქ შეკრებილიყვნენ საუკეთესო მწერლები და პუბლიცისტები, იქ იბეჭდებოდა საუკეთესო ჟურნალები და გაზეთები. პეტერბურღის დახასიათება ამ მხრივ მოკლედ რომ შეიძლებოდეს, ასე ვიტყოდი: ეს ამოდენა გონებრივ

---

[1] კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, თბ., 1959, გვ. 182.

ძალას, ნიჭს, ცოდნას, შეკრებილს ერთ ალაგას უხილველ გაუქ-ღენთია მთელი აქაური ჰაერი. ამ ჰაერს სუნთქავ და მასთან ერთად ამ დიდ საუნჯესაც, შენდაუნებურად მდიდრდება შენი ჭკუა და გონება, გეცვლება მსოფლმხედველობა, იზრდება შენი სულიერი მოთხოვნილება".[1] ნიკო ნიკოლაძე კი პეტერბურგს ასე ახასიათებდა: „...პეტერბურგი ის ქალაქია, სადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაწვილური ოცნების ეშხი გამიცვნია. სადაც პირველად ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება ღირსებია ჩემს ტვინს და გულს".

ოდესის და ხარკოვის უნივერსიტეტებს ქართველი ახალგაზრდობა ეტანებოდა სამხრეთული ჰავისა და სამშობლოსთან სიახლოვის გამო, ხოლო მოსკოვისა და ვარშავის უნივერსიტეტებს მათი მაღალი მეცნიერული ავტორიტეტის გამო.

ქართველი სტუდენტობა ყოველთვის მრავალრიცხოვანი იყო დერპტის უნივერსიტეტში, რომლისადმი ინტერესი საქართველოში აღმოცენდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში. ცნობილია, რომ 1830-იან წლებში ქართველმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა, რომელიც რამდენიმე ხნით მსახურობდა არმიაში ბალტიისპირეთში, რეკომენდაცია მისცა ნიკოლოზ ბარათაშვილს შესულიყო სწორედ დერპტის უნივერსიტეტში.

პირველი ქართველი სტუდენტები დერპტში გამოჩნდნენ მხოლოდ 1890-იან წლებში.

საქართველოში ძალიან უყვარდათ დერპტი. ამას გააჩნდა თავისი მიზეზებიც. დერპტის უნივერსიტეტი სარგებლობდა დიდი მეცნიერული ავტორიტეტით, იგი იძლეოდა კარგ მომზადებას, ჰყავდა პროფესორთა კვალიფიციური შემადგენლობა. აქ 1897 წლიდან იღებდნენ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ სასულიერო სემინარია. ამგვარი პრაქტიკა სიახლეს წარმოადგენდა და იგი დანერგილი არ ყოფილა სხვა უნივერსიტეტებში[2]. დერპატის უნივერსიტეტში შესვლას ახერხებდნენ

---

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985, გვ. 67-68.
[2] ქ. ერისთავი, მოგონება, თბ., 1973, გვ. 21.

„პოლიტიკურად არასაიმედო“ პირებიც. დერპტის სტუდენტობა სარგებლობდა რამდენადმე თავისუფლებით, ავტონომიით. აქ ისე ძლიერად არ იგრძნობოდა თვითმპყრობელობის „მძიმე ხელი“. გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა მატერიალურ ფაქტორსაც — დერპტში ცხოვრება იყო ბევრად უფრო იაფი, ვიდრე მოსკოვსა და პეტერბურგში[1]. შემდგომში დერპტის, ამ უძველესი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტის კედლებში აღიზარდა და განათლება მიიღო 400-მდე ქართველმა ახალგაზრდამ.

ფილოსოფიით გატაცებული ქართველი ახალგაზრდობა ძირითადად ლაიფციგის უძველესი და მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული უნივერსიტეტისაკენ მიეშურებოდა. ლაიფციგისაკენ „ჩვენ მიდრეკილებას აძლიერებდა ის პოეტური წარმოდგენა ბურუსიან გერმანიაზე, რომელიც „ნიბელუნგების სიმღერისა“, გოეთეს, შილერის, ჰაინეს ლექსებისა, ჰოფმანის მოთხრობების მიხედვით გვქონდა შედგენილი“ — წერდა გ. ქიქოძე[2].

სწავლამოწყურებული ქართველი ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ევროპული დემოკრატიის მექისაკენ — პარიზისაკენ მიეშურებოდა. გერონტი ქიქოძის სიტყვებით „ისინი მუშათა გარეუბნებში ივლისისა და თებერვლის ბარიკადების რელიკვიებს ეძებდნენ. პერ ლაშეზის სასაფლაოს კედლებზე კომუნარების სისხლის ლაქებს ხედავდნენ, ხოლო პანთეონში ვოლტერის და რუსოს სარკოფაგების წინ იჩოქებდნენ“[3].

შვეიცარიას კი ქართველი ახალგაზრდობა ეტანებოდა იქ გამეფებული შედარებით დემოკრატიული, პოლიტიკური ატმოსფეროს გამო.

რუსეთსა თუ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სტუდენტობა აქტიურად მონაწილეობდა არა მარტო იმ უნივერსიტეტის ცხოვრებაში, სადაც სწავლობდა, არამედ, საერთოდ, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში და მუდამ გამოირჩეოდნენ თავიანთი აქტიური პოზიციით, სამხრეთული ტემპერამენტით.

---

[1] ვ. გაგუა. ტარტუს უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა და საქართველოს პრესა (1895-1905 წწ.). კრებული „მეგობრობა“, თბ., 1981, გვ. 74.

[2] გ. ქიქოძე. მოგონებები, სიტყვები და წერილები, თბ., 1956, გვ. 76.

[3] იქვე, გვ. 75.

ჯერ კიდევ 1861 წლის ოქტომბერში, როდესაც პეტერბურგში ახალი „საუნივერსიტეტო წესდების“ შემოღებასთან დაკავშირებით სტუდენტთა დიდი გამოსვლა მოხდა — ქართველი ახალგაზრდები „განათლების სისტემის გასამხედროების“ წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ. სტუდენტთა მღელვარების აქტიური მონაწილეები: ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, მ. ღოღობერიძე, გრ. ჯავახიშვილი, გ. წერეთელი, პ. ალხაზიშვილი, დ. აბდუშელიშვილი, დ. ღოღობერიძე, ი. ისარლიშვილი, ა. ჩოლოყაშვილი და სხვები დააპატიმრეს და შლისელბურგის ციხეში ჩასვეს.[1]

პეტერბურგის უნივერსიტეტის კვალდაკვალ სტუდენტთა გამოსვლები ახალი საუნივერსიტეტო წესდების შემოღებასთან დაკავშირებით მოედო მოსკოვის, ყაზანის, ხარკოვისა და, თითქმის, რუსეთის იმპერიაში არსებულ ყველა უმაღლეს სასწავლებელს.

სტუდენტთა ამ გამოსვლებს[2] მჭიდრო კავშირი ჰქონდა იმ საზოგადოებრივ მოძრაობასთან, რომელიც რუსეთში დაიწყო საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით და რომელსაც ხელმძღვანელობდა რუს რევოლუციონერთა ახალი თაობა.

რევოლუციონერ-დემოკრატების ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლიუბოვის იდეებზე აღზრდილი ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ეტაპზე აქტიურად მონაწილეობდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველმა სტუდენტებმა თავი გამოიჩინეს რევოლუციურ-ნაროდნიკული ორგანიზაციების მუშაობაში. გ. ზდანოვიჩი (მაი-

---

[1] . სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973, გვ. 216; იხ. აგრეთვე პ რ. კეკელიძე, აკაკი წერეთელი, თბ., 1985, გვ. 125; ვ. შადური, ლენინგრადი და ქართული კულტურა, ჟურნ. „მნათობი“, 1943, № 8, გვ. 142.

[2] იხ. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე, მოგონებები, თბ., 1984; პ რ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ., 1962; კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, ნაწ. I, თბ., 1959; მისივე, თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე, თბ., 1965; ვ. სიფროაშვილი, პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობა და ქართველი სტუდენტობა, თბ., 1961.

აშვილი), ა. გამრეკელი, ი. ჯაბადარი, მ. ჩიკოიძე, ა. ციციშვილი და სხვ. იყვნენ მონაწილენი გახმაურებული „ორმოცდაათის პროცესისა", რომელიც ცარიზმმა მოაწყო ხალხოსანთა მოსკოვის ორგანიზაციის წევრთა წინააღმდეგ[1].

ქართველი სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციური ორგანიზაციის „თავისუფლების ლიგის" საქმიანობაში, რომელიც აგრძელებდა 60-80-იანი წლების მოწინავე ქართველ სტუდენტთა საიდუმლო წრეების რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებლურ იდეებსა და ტრადიციებს. მისი აქტიური წევრები იყვნენ: ნ. შენგელია, ალ. მიქაბერიძე, ნ. მელიქიშვილი, ს. მიქაძე, თ. სახოკია, ა. გელაზაროვი, შ. დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), ე. და მ. მირიანაშვილები.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გავრცელებას იწყებს მარქსიზმი. ქართველი სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი აქტიურად ჩაება ამ ახალი, ჯერ კიდევ ხეირიანად გაუთვითცნობიერებელი მოძღვრების პროპაგანდაში.

ქართველი ახალგაზრდობა რუსეთის ახალგაზრდობის მხარდამხარ რუსეთის სამივე რევოლუციაში თავგანწირვით იბრძოდა მეფის თვითმპყრობელობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხთა უკეთესი მომავლისა და თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლის პროცესში გამოიჭედა ქართველი ახალგაზრდობის რევოლუციური, პოლიტიკური და სამეცნიერო მეგობრობა რუს, უკრაინელ, ბელორუს, ბალტიისპირელ და კავკასიელ ახალგაზრდობასთან.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს მუშათა მოძრაობის აღმავლობასთან ერთად იზრდება სტუდენტი ახალგაზრდობის რე-

---

[1] იხ. ამის შესახებ, В. Н. Фигнер, «Процесс 50-ти» в 1877, М., 1927; ა. სურგულაძე, დასახელებული ნაშრომი; ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960; მისივე რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიიდან ამიერკავკასიაში, თბ., 1964; გ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905 წწ., თბ., 1963; М. Ф. Горгидзе, Грузины в «Процессе 50-ти», журн. «Литературная Грузия», 1964, № 6, стр. 78-84.

ვოლუციური გამოსვლებიც. 1899 წელს პეტერბურგში დაიწყო სტუდენტთა მღელვარება,[1] რომელმაც მალე მთელი იმპერია მოიცვა და 900-იან წლებამდე გრძელდებოდა. სპეციალური ლიტერატურისა და საარქივო[2] მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ამ გამოსვლებში ქართველი სტუდენტობა არა მარტო მონაწილეობდა. არამედ ზოგჯერ ხელმძღვანელ როლსაც კი თამაშობდა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ქართველი ახალგაზრდობის როლი დერპტის უნივერსიტეტის სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში.[3]

უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში წასვლას, უმთავრესად, შეძლებული წრიდან გამოსული ახალგაზრდობა ახერხებდა. მიუხედავად ამისა ქართველი სტუდენტების დიდ უმრავლესობას მატერიალურად ყოველთვის უჭირდა. მრავალი ნიჭიერი სტუდენტი ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო იძულებული ხდებოდა სწავლისათვის თავი დაენებებია და სამშობლოში დაბრუნებულიყო. ჩრდილოეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში დაავადდა და უდროოდ გამოესალმა სიცოცხლეს დიდი მომავლის მქონე მრავალი ახალგაზრდა.

უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილისაგან ამხანაგთა დაავადებისა და გარდაცვალების შესახებ ხშირად იწერებოდნენ სტუდენტები ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. 1869 წლის სექტემბერში გაზეთ „დროებაში" დაიბეჭდა ნ. ცხვედაძის „კორესპონდენცია პეტერბურგიდამ". მასში აღწერილია პეტერბურგში მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრება და მოტანილია ასეთი მაგალითი: ერთი ღარიბი სტუდენტი გაცივდა და გულით დაავადდა. ექიმებმა სამშობლოში დაბრუნება ურჩიეს, მაგრამ ავადმყოფს სამგზავრო ფული არ აღმოაჩნდა. ამიტომ იგი პეტერბურგში დარჩა, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მისი ჯანმრთელობა. ბოლო დროს

---

[1] ვ. ონიანი. რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენცია XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს, თბ., 1960, გვ. 181.

[2] Центральный государственный исторический архив ЭССР (ЦГИА ЭССР), фонд 296, оп. 102, Д. 10., фонд 402, оп. 7, Д. 72, 363. 373, 463, 490: фонд 404, оп. 1, Д. 4010, 4021.

[3] ვ. გაგუა, ქართველი სტუდენტები ტარტუში და მათი მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში (1893-1903 წწ.). კრებული „მეგობრობა", თბ., 1983, გვ. 116-138.

ეს ახალგაზრდა ისე დაუძლურდა, რომ საქართველოში დაბრუნება უკვე ველარ შეძლო. „რამდენი ამისთანა გულსაკლავი ფაქტები მომხდარან და ხდებიან ჩვენ მოსწავლე მემამულეების თავზე! რამდენი კიდევ სიღარიბის გამო, თუმცა დიდი სურვილი აქვთ მაღალ სასწავლებელში სწავლის მიღებისა, რჩებიან საქართველოში, და არ იციან, თუ როგორ მოახერხონ, რომ მიიღონ გვარიანი განათლება"[1] — აღნიშნავდა ნ. ცხვედაძე.

1901 წელს გაზეთ „კვალის" რედაქციამ გამოაქვეყნა ნაწყვეტები „სტუდენტის დღიურიდან", რომელსაც ხელს აწერდა „ვან-ქანი". აი, რამდენიმე ადგილი ამ დღიურიდან: „20 ნოემბერი... „არსაიდან ხმა, არსით ძახილი", ნამდვილად ასეა ჩემს „კამორკაში", არც წერილები, არც მომსვლელები, ამხანაგებიც არ მაწუხებენ... ან ვის მოძულებია თავი, რომ აქ შემოვიდეს? და მე თვითონ აბა სად წავალ ამისთანა მაისის დღეებში უპალტოვოთ და უკალოშოდ, თორემ ჩემს ოთახში ახლა ყოფნას ქვის კოდვა ჯობია. გარეთ უფრო თბილა ვინემ აქ. სულ ლოგინში როგორ გავატარო დღეები ტანმთელმა კაცმა და თუ ლოგინს მოვცილდი. იმისთანა თქვენს მტერს, მე რომ მომივა, — მართლა რომ სამუდამოდ ლოგინად ჩავვარდები. დალოცა ღმერთმა, რომ სადილის საჭმელად სასადილოში წასვლა აღარ მჭირდება, რადგან შინ ვიხდი „შვიდოულს", თორემ მაშინ იქნებოდა ქოჩრის გლეჯა! დაღამდა კიდეც და, მგონი, ნავთიც აღარ მაქვს, დილას შაქარმაც თავი დამიკრა, გამომემშვიდობა და არ ვიცი როდის მობრუნდება. ეს ოხერი, რაღა ახლა გამომელია ყველაფერი? შიმშილიც მე და ბნელში ყოფნაც! მართლა სახლის პატრონი — ქალი... დღეს უკანასკნელი ვადაა სექტემბრის და ოქტომბრის ფულის მისაცემი. სადაც არის ისიც შემოვა. ოცისთვის რომ შევპირდი, რომელი ჯამაგირის აღებას მოველოდი, მკითხოს კაცმა?... 10 იანვარი... პირველი სემესტრი, როგორც იყო, გავატარე, მაგრამ ამ მეორეს რაღა ეშველება! დღეები დღეებს მიყვება, თვეები თვეებს, ჩემს შიმშილს კი არაფერი ეშველა, სადაც წავალ თან მიმყვება. ეტყობა ძლიერ შევყვარებივარ. საფიქრალია სამარემდეც მიმაცილებს...

---

[1] გაზ. „დროება", 1869, 3 მარტი, № 37.

25 თებერვალი... აქ ჩემ შიმშილს გავუძლო, თუ იქ — დედაჩემისას, ეს უფრო მიკლავს გულს... 14 ივლისი... ჯერჯერობით უხუვეშოთ მიდის ჩემთვის ეს ზაფხული. როგორც ვხედავ, იმედები მიცრუვდება. თითქოს ძალა აღარც კი შემწევს. გული ნელნელა სასოწარკვეთილებისაკენ მიილტვის.

15 ენკენისთვე... სრული უიმედობა"...[1]

აქ ნაჩვენებია არა მარტო დღიურის ავტორის, არამედ სამშობლოს მოცილებული ქართველი სტუდენტობის მძიმე ცხოვრების ნათელი სურათი. როგორც სტუდენტები იწერებოდნენ უმაღლესი სასწავლებლის შენობების კედლებზე ხშირად შეხვდებოდით ასეთ განცხადებებს: „ამხანაგებო! სიცივით ვკვდები, მაჩუქეთ თუ რომელიმეს გაქვთ ძველი ტანისამოსი! მისმინეთ, ნუ მომკლავთ სიცივით", ანდა „ამხანაგებო! ფეხზე არ მაცვია, ფეხშიშველა სიარული უნივერსიტეტში და ისიც ყინვაში თქვენ იცით შეუძლებელია, მომეცით თუ ვისმეს გაქვთ ძველი ფესსაცმელები"[2] და ა. შ.

ქართველი სტუდენტობა ენერგიულად ცდილობდა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით ისინი ხელს ჰკიდებდნენ შავ სამუშაოს, შოულობდნენ კერძო გაკვეთილებს, სეზონურად მუშაობდნენ სხვადასხვა სახის წარმოება-დაწესებულებებში და ა. შ. მაგრამ ზოგჯერ სამუშაოს შოვნა შეუძლებელი ხდებოდა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ სტუდენტთა ერთი ნაწილი თვითმკვლელობით ამთავრებდა სიცოცხლეს. „დიახ! ბევრი ვერ იტანს მუდმივ შიმშილობას, ვერ იკმაყოფილებს თავს მარტო პურითა და იძულებული ხდება თავისი ხელით მოისპოს სიცოცხლე, იზრდება თვითმკვლელობათა რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში (კვირაში თვითმკვლელობის სამი-ოთხი შემთხვევა არის). ისინი ტოვებენ მოკლე, ლაკონურ წერილებს: „ვერ გავუძელ მუდმივ შიმშილობას", ან „ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია"[3] და სხვა. წერდა გაზეთ „თემში" მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტუდენტი.

---

[1] გაზ. „კვალი", 1901, 18 ნოემბერი, № 47.
[2] გაზ. „მნათობი", 1908, 2 იანვარი, № 2.
[3] გაზ. „თემი", 1912, 27 აგვისტო, № 86.

1898 წელს გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „ქ. ლიონში (საფრანგეთი) ორი მოსწავლე ქართველია, რომლებიც გულმოდგინეთა სწავლობენ მეურნეობასა და თავიანთის ნიჭითა და მხნეობით ყველას ყურადღებას იქცევენ, მაგრამ ისეთნაირად არიან ბედისა და ცხოვრებისაგან დაჩაგრულები, რომ ყველაფრის ხალისი დაეკარგებათ. არამც თუ საჭირო წიგნებისა და რვეულების ყიდვა არ შეუძლიანთ, არამედ ხშირად პურის ფულიც არ მოეპოვებათ... დიახ, ბატონებო, მოსწავლეს ხშირად ხმელი პურიც კი ენატრება ხოლმე. უბედურება ეს არის კიდევ, რომ შინიდგანაც არაფერს მოელიან[1].

ცხოვრების მძიმე პირობები მსხვერპლად იწირავდა უმაღლესი ცოდნის შეძენის სურვილის მქონე ბევრ ახალგაზრდას. „კიდევ გამოაკლდა ერთი წევრი ჩვენს ისედაც პატარა წრეს, თითქოს განგება განრისხებულია ჩვენზე — ყოველ წელიწადს თითო-ოროლა მსხვერპლს იწირავს ჩვენგან. ოთხი წელიწადი არ არის ჯერ, რაც ნ. ღოღობერიძე დავმარხეთ, და მეორე ამხანაგის სიკვდილის ამბავი მოგვივიდა. მერე როგორ არჩევს მწარე სიკვდილი და ნიშანში იღებს საუკეთესო ყმაწვილებს? ი. სალაყაიასა და მ. ჭანტურიას სიკვდილს აღარ დაგვაჯერა და ამ დღეებში წაგვართვა კიდევ ა. სანაძე. ღმერთო ჩემო, რა დაგვიშავებია ამის ფასი, რომ ამისთანა ყმაწვილები, როგორიც ი. სალაყაიაა, მ. ჭანტურია და ა. სანაძე, აკლდებიან ჩვენს დასს? ნუთუ არაფერი საშველი არ არის, ვიხსნათ როგორმე თავი ამ უბედურებისაგან? ნუთუ კიდევ ბევრი წელიწადი გაივლის, კიდევ ბევრს მსხვერპლს შეიწირავს ჩვენთვის აუტანელი ჰავა, სანამ ჩვენში მაღალი სასწავლებელი გვეღირსებოდეს?!“[2]

საქართველოში უმაღლესი განათლების აღორძინება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად მიზანს შეადგენდა. საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა, ცალკეული პატრიოტი მამულიშვილები ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის ბრძოლასთან ერთად, ვიდრე ეს საკითხი დადებითად არ გადაწყდებოდა, ცდილობდნენ მატერიალუ-

---

[1] გაზ, „ივერია“, 1898, 24 თებერვალი, № 40.
[2] გაზ. „ივერია“, 1888, 30 დეკემბერი, № 275.

რი დასმარება აღმოეჩინათ ქართველი სტუდენტებისათვის. ამ უკანასკნელის დასახმარებლად ტარდებოდა სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებანი. ეწყობოდა ლიტერატურული დილა-საღამოები, თეატრალური წარმოდგენები. გროვდებოდა შეწირულებანი და სხვა.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში იყო ცდები დაეარსებინათ პეტერბურგში მოქმედი ე. წ. „სტუდენტთა შემწეველი" საზოგადოების ანალოგიური საზოგადოება, რომელიც მატერიალურად დაეხმარებოდა ყველა ეროვნების კავკასიელ სტუდენტებს. სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების წინადადებას შეიცავდა ნიკო ცხვედაძის ზემო დასახელებული კორესპონდენცია პეტერბურგიდან. „მკითხველო თუ კაცური გული გიცემს და გაქვს მამულის სიყვარული — წერდა იგი, ეჭვი არ მაქვს, რომ ცნობისმოყვარეობით იკითხავთ, თუ რა სასსრებით შეიძლება შეწევნა აქაური მოსწავლე ქართველი ყმაწვილებისათვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ სამშობლოში, ცოტა რომ ვთქვა, ორასი კაცი მაინც მოიპოვება, რომლებსაც მოსწავლე ყმაწვილების გარემოება და მათი მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ეცოდინებათ. ამ ორას კაცს ჯერჯერობით შეუძლიან კარგი შემწეობა აღმოუჩინოს ღარიბ ქართველ სტუდენტებს. თითოეულმა ამათგანმა ყოველ წელიწადს, რომ გადაიხადოს ხოლმე თითო თუმანი, კარგი ფული შედგება... ამ ფულით შეიძლება ათ კაცზე მეტს ცვარიანი შემწეობა მიეცეს ყოველ წელიწადს"...[1]

ჟურნალ „ცისკრის" ცნობით ჯერ კიდევ 1862 წელს თბილისის „პროვიანტის მაღაზიის" მუშაკებმა შეაგროვეს მცირე თანხა და პეტერბურგის ღარიბ სტუდენტებს გაუგზავნეს.[2]

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ქართველ სტუდენტებს მცირე დახმარებას უწევდა „თბილისის კეთილმოქმედი საზოგადოება", რომლის ძირითად მიზანს საშუალო სკოლის ღარიბ მოწაფეებზე ზრუნვა შეადგენდა.

მატერიალურ დახმარებას რომ უფრო ორგანიზებული ხასიათი ჰქონოდა, ქართველ საზოგადოებას უნდა სცოდნოდა სად რამ-

---

[1] გაზ. „დროება", 1869, 3 მარტი, № 37.
[2] ჟურნ. „ცისკარი", 1862, № 2, გვ. 212.

დენი სტუდენტი სწავლობდა. ამ მიზნით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა თხოვნით მიმართა სტუდენტებს მოეწერათ თავიანთი მდგომარეობის შესახებ[1]. ამ მიმართვამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჟურნალ-გაზეთებში დაიწყო წერილების გამოქვეყნება სტუდენტთა ცხოვრებისა და სწავლის პირობების შესახებ. ამ წერილებში გამომჟღავნებულმა სტუდენტთა გულშემზარავმა მდგომარეობამ მთელი ქართველი საზოგადოებრიობის საპასუხო რეაქცია გამოიწვია. ილია ჭავჭავაძე წერდა: ,,ვერავინ გულს ვერ გაიგრილებს, ვერავინ ყურს ვერ მოიყრუებს: როცა სწავლისათვის თავგანწირულ ყმაწვილ-კაცის ძახილი მოდის, მიშველეთო... ნუთუ ქართველობა ისე გაძუნწდება, რომ ამ სასოწარკვეთილების ხმას ყურს არ ათხოვებს და გაჭირვებულთ მოძმეთ არ გაუწვდის შემწეობის ხელსა!.. აქ ყოველი გროშიც განძია და იმედი გვაქვს, რომ არავინ დაიშურებს, შეძლებისამებრ. რაიმე შეაწიოს. სწორედ ამისთანა საქმისათვის არის თქმული: ,,რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია"[2]. ამ მოწოდების პასუხად გახშირდა საქველმოქმედო საღამო-წარმოდგენები თბილისში, ქუთაისში, გორში, საჩხერეში, ხონში, ყვირილაში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ფოთში, ოჩამჩირეში და სხვ.

ხონში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ხშირად იმართებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები და თეატრალური წარმოდგენები, რომელთა უმრავლესობას საქველმოქმედო მიზანი და დანიშნულება ჰქონდა. ასეთი სახის თეატრალური წარმოდგენა ხონში რუსეთისა და უცხოეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში მოსწავლე ღარიბ ქართველ სტუდენტთა დასახმარებლად გაიმართა. ამით ხონი ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მოწოდებას ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ სახსრების შეგროვების შესახებ[3].

ზაფხულობით აბაშაში და მის დიდ ეზოებში, — წერს პ. კანდელაკი — ეწყობოდა სეირნობები ცეკვებითა და ლატარი-

---

[1] გაზ. „დროება", 1879. 17 იანვარი, № 12.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ.. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 335.
[3] პ. ე ა ჰ რ ი ძ ე, ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 121-122.

ით. ასეთი სახის ღონისძიებებს ხშირად და, შეიძლება ითქვას უმეტეს შემთხვევაში საქველმოქმედო მიზანი ჰქონდა. საღამოების შემოსავალი ხმარდებოდა ღარიბ სტუდენტებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, კლუბის ასაშენებელ ფონდსა და სხვ[1].

ისევე როგორც მთელ საქართველოში საერთოდ, დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და დაბებშიც სისტემატურად იმართებოდა ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ სხვადასხვა ღონისძიებები. ზოგჯერ იმ სტუდენტის ვინაობას, რომელთა სასარგებლოდ ესა თუ ის ღონისძიება ტარდებოდა, არ ამხელდნენ მისი თავმოყვარეობის დაცვის მიზნით[2].

1880 წელს ქუთაისის ბანკმა დახმარება გაუწია პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს[3]. 1890 წლის სექტემბერში საჩხერეში მოეწყო საქველმოქმედო საღამო, ხელმოკლე სტუდენტებისათვის[4], ასევე ყვირილაში გაიმართა ქიდაობა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის ჯინორიძის სასარგებლოდ[5]. 1898 წელს ქუთაისში დაიდგა აკაკი წერეთლის პიესა „პატარა კახი“, რომლის შემოსავალი გადაეცა კიევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს[6].

1897 წელს ქუთაისში ანა ლორთქიფანიძისა და ეკატერინე ბაქრაძის ინიციატივით გაიმართა წარმოდგენა კიევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ[7].

საქველმოქმედო ღონისძიებებისა და შემოწირულებათა გზით გროვდებოდა სათანადო თანხა, რომელიც სტუდენტებს ეგზავნებოდა[8].

მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ქართველ სტუდენტებს ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: ნიკოლოზ ღოღობერიძე, დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები, ძმები ლევან, სტე-

---

1 პ. კანდელაკი, მოგონებები, თბ., 1978, გვ. 24.
2 დ. ანთაძე, თეატრალური ზესტაფონი, თბ., 1978, გვ. 46.
3 გაზ. „დროება“, 1880, 11 მარტი, № 54.
4 გაზ. „ივერია“, 1890, 26 სექტემბერი, № 205.
5 გაზ. „ივერია“, 1836, 15 ნოემბერი, № 248.
6 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, 21 ივნისი, № 1501.
7 გაზ. „კვალი“, 1897, 30 მარტი, № 14.
8 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, 10 აგვისტო, № 1549.

ფანე, იაკობ ზუბალაშვილები, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ნიკოლოზ ცხვედაძე, გერასიმე ქიქოძე და სხვები.

სტუდენტებს სერიოზული გულშემატკივარი გაუჩნდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახით. ამ საზოგადოებას ეკუთვნის კავკასიელ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების შექმნის ინიციატივა, რომელსაც სათავეში ედგნენ: ცნობილი ექიმი გ. ტარსაიძე, ს. ესაძე, ექიმი ონანოვი, ნაფიცი ვექილი ნ. შევალიე, წიგნის მაღაზიის მეპატრონე ლ. ხელკელი და სხვ.[1]

მეფის მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა საქველმოქმედო საზოგადოებათა საქმიანობას და ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა მათი რაოდენობის ზრდისათვის. სწორედ მთავრობის მხრივ შექმნილ დაბრკოლებათა გამო გაჭიანურდა კავკასიელ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების შექმნის საქმე. „ამიერკავკასიის სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოების განხორციელება დაბრკოლდა. საზოგადოების პროექტი პეტერბურგში არ დაამტკიცეს და ეს ამბავი მთავარმართებელს აცნობეს. პროექტის შემდგენელთ განზრახვა აქვთ ხელახლა აღძრან ამ საქმის შესახებ შუამდგომლობა პეტერბურგში“ — წერდა გაზეთი „კვალი“,[2] ამ საქმის ინიციატორთა ენერგიული მოქმედების შედეგად 1902 წელს მთავრობამ საზოგადოების წესდება დაამტკიცა. კავკასიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების დამფუძნებელი სხდომა გაიმართა 1902 წლის 17 მარტს.[3]

კავკასიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება მოქმედებდა 1902-1905 წლებში და უაღრესად სასარგებლო მუშაობა ჩაატარა სტუდენტთა მატერიალური დახმარების საქმეში.

საქველმოქმედო საზოგადოების შექმნას, რომელიც მიზნად ისახავდა, რათა ღარიბი სტუდენტებისათვის დახმარებას ორგანიზებული ხასიათი მისცემოდა, მხურვალედ გამოეხმაურა დასავლეთ საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია. მაგალითად, იმის გამო, რომ რუსეთსა და საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ სტუდენ-

---

[1] ი. ტატიშვილი, თ. დეკანოსიძე, მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბ., 1960, გვ. 160.
[2] გაზ. „კვალი“, 1897, 6 აპრილი, № 15.
[3] გაზ. „კვალი“, 1902, 24 მარტი, № 13.

ტთა რიცხვი სისტემატურად იზრდებოდა, წარმოიშვა აზრი კავკასიის საზოგადოებასთან ერთად ქუთაისშიც დაარსებულიყო ასეთი საზოგადოება[1]. მაგრამ აქაც ახალი საქველმოქმედო საზოგადოების შექმნას სერიოზული სიძნელეები შეხვდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კავკასიის საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა, ქუთაისის ინტელიგენციის იდეა განხორციელდა. 1907 წელს დაარსდა ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება. ეს საზოგადოება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედებდა.

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება აღნიშნული საზოგადოების საარქივო ფონდი, რომელიც მდიდარ მასალებს შეიცავს ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ[2].

საარქივო ფონდში ინახება საზოგადოების წესდება, წლიური ანგარიშები, გამგეობის სხდომების და საერთო კრების ოქმები, სტუდენტთა თხოვნები და კერძო წერილები, მიწერ-მოწერა საუნივერსიტეტო ქალაქების ქართულ სათვისტომოებთან, საზოგადოების წევრთა სიები, მასალები სტუდენტთა სასარგებლოდ გამართულ ღონისძიებათა შესახებ.

საზოგადოების სრული სახელწოდება იყო «Общество вспомоществования нуждающимся учащимся высших учебных заведений жителям Кутаисской губернии».

წესდებით, რომელიც ქუთაისის გუბერნატორმა 1907 წლის 5 მაისს დაამტკიცა[3], საზოგადოების მიზანს შეადგენდა მატერიალური დახმარება აღმოეჩინა ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბი სტუდენტებისათვის. დახმარება შეიძლება შემდეგი სახის

---

[1] გაზ. „ერი“, 1914, 15 თებერვალი, № 36.

[2] ქიმ, ფონდი 6465.

[3] რევოლუციამდელ თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში არსებობდა მატერიალურად გაჭირვებაში მყოფ სტუდენტთა დამხმარე სალარო, წრე თუ საზოგადოება. მაგალითად, Устав общества вспомоществования студентам Петербургского университета, ЛАН, фонд 247, оп. 2, Д. 91; Уставы землячеств: Евпаторийского, Костромского, Петербургского. Протоколы заседаний временного комитета Петербургского землячество, ЦГИАЛ, фонд 14, оп. 25, Д. 54; фонд 733, оп. 27, Д. 318; фонд 733, оп. 154, Д. 398.

ყოფილიყო: ლექციების მოსმენის უფლებისათვის სათანადო თანხის გადახდა; სტიპენდიების დანიშვნა, რომლის რაოდეობას საზოგადოების საერთო კრება განსაზღვრავდა, მაგრამ არანაკლებ 30 მანეთისა თვეში; დამატებითი სტიპენდიის დანიშვნა საერთო კრების მიერ განსაზღვრული რაოდენობით, მაგრამ არანაკლებ 15 მანეთისა იმ სტუდენტებისათვის, რომელთა თვიური ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფდა მათ ცხოვრებას უმაღლესი სასწავლებლის მქონე ქალაქებში; ერთდროული დახმარების მიცემა უმაღლეს სასწავლებელში გამგზავრების მიზნით. ყოველთვიური და ერთდროული დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში (ავადმყოფობა, სიკვდილი, კვალიფიკაციის ამაღლება), შესაფერის სამუშაოზე მოწყობა არდადაგების პერიოდში.

ერთდროული დახმარებისა და სტიპენდიების დანიშვნისა და მოხსნის დროს საზოგადოება ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სათვისტომოების რეკომენდაციით. ყველა დახმარება და სტიპენდია ითვლებოდა გრძელვადიან უპროცენტო სესხად, რომელიც საზოგადოებას დაუბრუნდებოდა ყოფილი სტიპენდიანტის აქტიური საზოგადოებრივი მუშაობით.

საზოგადოების წევრთა რაოდენობა წესდებით განსაზღვრული არ ყოფილა, ისინი იყოფოდნენ ნამდვილ და საპატიო წევრებად. საპატიო სტატუსს საერთო კრება ანიჭებდა იმათ, ვინც მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები შეწირეს, ან სხვა სახის დახმარება აღმოუჩინეს საზოგადოებას.

ნამდვილ წევრად ითვლებოდა ყველა ის, ვინც გადაიხდიდა ყოველთვიურ საწევროს საერთო კრების მიერ განსაზღვრული ოდენობით არანაკლებ 5 მანეთისა, ან ის, ვინც ერთდროულად შეიტანდა გარკვეულ თანხას არანაკლებ ასი მანეთისა.

საზოგადოების მატერიალურ სახსრებს შეადგენდა საწევრო შესატანები, საზოგადოების კაპიტალისა და ქონებისაგან მიღებული შემოსავალი, ცალკეულ პირთა და სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებათა შეწირულებანი, ანდერძით დატოვებული ქონება, საზოგადოების მიერ მოწყობილ საქველმოქმედო ღონისძიებებით

შეგროვილი თანხები და ა. შ. აღნიშნული თანხების გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ საერთო კრების გადაწყვეტილებით.

საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა საერთო კრება. რომელიც ნამდვილი წევრებისაგან ირჩევდა გამგეობას შვიდი პირის შემადგენლობით. თავის მხრივ, გამგეობა ირჩევდა თავმჯდომარეს, მის ამხანაგს (მოადგილეს), ხაზინადარსა და მდივანს. გამგეობის სხდომები ტარდებოდა ყოველთვიურად, ხოლო საერთო კრება წელიწადში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში გამგეობას შეეძლო მოეწვია საგანგებო საერთო კრება. საზოგადოების მთელ მუშაობას კონტროლს უწევდა საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისია.

საზოგადოების დამფუძნებელი კრება გაიმართა 1907 წლის 20 მაისს[1].

საზოგადოების დაარსების ინიციატორები იყვნენ: ეკატერინე იაკობის ასული ნიკოლაძე. ვენერა სიმონის ასული ბერიძე, ოლღა ლუკას ასული ქორქაშვილი, მარიამ ქორქაშვილი, ილია კირილეს ძე მათიკაშვილი, მარიამ შიუკაშვილი-მათიკაშვილისა, ფადეი გიორგის ძე მატიუხოვი, დავით ნიკოლოზის ძე ავალიანი და სხვები. დამფუძნებელმა კრებამ საზოგადოების გამგეობის პირველ შემადგენლობაში აირჩია: მ. ი. მათიკაშვილი, ო ლ. ქორქაშვილი, ი. გ. ანჯაფარიძე. ს. ი. ხეჩინაშვილი, დ. ნ. ავალიანი, ე. ა. როსტომოვა, ს. დ. ჯაფარიძე და სხვები.[2] გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს დავით ოტიას ძე ნიჟარაძე (ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი). 1911-დან 1918 წლამდე, საზოგადოების ლიკვიდაციამდე გამგეობას სათავეში ედგა ელისაბედ ნიკოლოზის ასული ხეჩინაშვილი, შესანიშნავი ქველმოქმედი ქართველი მანდილოსანი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ამ ეროვნულ საქმეს. იგი იყო სტუდენტთა სასარგებლოდ გამართული საღამო-წარმოდგენების ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე. პრესისა და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ საზოგადოებას თავისი არსებობის მანძილზე არ ჩა-

---

[1] ქიმ. ფონდი 6465, საბ. 1307.
[2] ქიმ, ფონდი 6465, საბ. 59.

უტარებია არც ერთი ღონისძიება, რომლის თაოსანი და სულისჩამდგმელი ე. ხეჩინაშვილი არ ყოფილიყოს. თავის მეუღლესთან ექიმ სიმონ ივანეს ძე ხეჩინაშვილთან ერთად იგი იყო საზოგადოების საპატიო წევრი. გამგეობის სხდომები და ბევრი სხვა ღონისძიება ხშირად იმართებოდა ელისაბედ და სიმონ ხეჩინაშვილების ბინაზე.

საზოგადოების გამგეობამ დაბეჭდა და გაავრცელა სპეციალური მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო: „მოწყალეო ხელმწიფევ! გიგზავნით რა ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების წესდებას გასაცნობად და ჩვეის წიგნს, საზოგადოების გამგეობა გთხოვთ გახდეთ საზოგადოების წევრი და წინადადება მისცეთ თქვენს ახლოს მყოფ პირებს ისინიც გახდნენ ამ საზოგადოების წევრები. ფულად და სხვა საქმეებთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიმართოთ საზოგადოების მდივანს ი. ნიკოლაძეს. 1908 წლის თებერვალი."[1]

საზოგადოებამ თავისი არსებობის პირველი დღიდანვე მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საუნივერსიტეტო ქალაქებში ჩამოყალიბებულ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოებთან.

სტუდენტთა სათვისტომოებს საერთოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. სათვისტომო (Землячество) აერთიანებდა ერთი ეროვნების ან ერთი მხარის სტუდენტ-ახალგაზრდობას. თავდაპირველად სათვისტომოების უპირველესი მიზანი იყო მატერიალური მხარდაჭერა აღმოეჩინათ ხელმოკლე სტუდენტებისათვის, ორგანიზებული ურთიერთობა ჰქონოდათ სამშობლოსთან და თვალყური ედევნებიათ იმისათვის, თუ როგორ ასრულებდა შორიდან ჩამოსული სტუდენტი თავის მოვალეობას — როგორ სწავლობდა იგი უმაღლეს სასწავლებელში და ეუფლებოდა მეცნიერებას. შემდეგში კი სათვისტომოების საქმიანობამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო და მასში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის იდეებმა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ

[1] ქიმ, ფონდი 6465, საბ. 1304.

პეტერბურგის სტუდენტთა სათვისტომო 60-იან წლებში. სადაც „თერგდალეულთა" იდეური მიმდინარეობა ჩამოყალიბდა.[1] ნიკო ნიკოლაძის სტუდენტობის დროს (XIX საუკუნის 60-იანი წლები) „სათვისტომოს ჰქონდა სალარო, ბიბლიოთეკა, ჰყავდა საამხანაგო სასამართლო და სხვ. იგი წესდების ძალით მოქმედებდა და მის საქმეს კომიტეტი განაგებდა."[2] ხოლო ცოტა მოგვიანებით, 80-იან წლებში მ. ლასხიშვილის სიტყვებით ქართველ სტუდენტებს საკუთარი „წრე" გვქონდა (ეხლანდებურად სათვისტომო) დამხმარე კასითა და პატარა ბიბლიოთეკით. პირველ ხანებში, სანამ კიდევ შეიძლებოდა თავისუფლად თავის მოყრა, ხშირად ვიკრიბებოდით, ვკითხულობდით რეფერატებს, ვკამათობდით და სხვ. წრეში მალე პატარა ჯგუფი შესდგა, რომელმაც განიზრახა რეფორმა და წრის ხასიათის შეცვლა, ამ ჯგუფის წევრთ ვერ გვაკმაყოფილებდა წრის კულტურულ-ქველმოქმედებითი ხასიათი და გადავწყვიტეთ პოლიტიკურ წრედ გვექცია...[3]

სათვისტომოების გარკვეული ნაწილი XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ფაქტობრივად სტუდენტთა პოლიტიკურ წრეებს წარმოადგენდნენ და ამიტომ ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა მისი საქმიანობის შეზღუდვას.

ქართველ სტუდენტთა პირველი სათვისტომოები შეიქმნა პეტერბურგის, მოსკოვის, დერპტის და სხვა უნივერსიტეტებში, ხოლო XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის 10-იან წლებში ასეთი ჯგუფები არსებობდა თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში. სათვისტომოს ჰქონდა თავისი წესდება, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება ამტკიცებდა. მთავრობის თვალის ახვევის მიზნით „წესდებაში" ხაზგასმული იყო, რომ სათვისტომო არსდება სტუდენტებისადმი მატერიალური დახმარების მიზნით.[4]

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წესდებაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ სათვისტომო

---

ა. სურგულაძე. ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან. თბ., 1980, გვ. 245.

[2] ნ. ნიკოლაძე. მოგონებები. თბ., 1984, გვ. 100.

[3] გ. ლასხიშვილი, მემუარები. ტფილისი, 1934, გვ. 15.

[4] იხ. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წესდება. Центральный Государственный исторический архив Ленинграда (ЦГИАЛ), ф. 14, оп. I, Д. 7782, стр. 35.

არსდება „მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური ურთიერთდახმარების მიზნით[1]. მხოლოდ ტარტუში მოხერხდა სათვისტომოს დაარსების მიზანი ასე განსაზღვრულიყო: იურიევის (ტარტუ) ქართველ სტუდენტთა სათვისტომო არსებობს მის წევრთა ურთიერთდახმარებისა და გონებრივი ინტერესების საფუძველზე გაერთიანების მიზნით[2].

აი, რას წერდა სათვისტომოების შესახებ ლიფლანდიის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი 1910 წლის დეკემბერში: „ჩემს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით იურიევში არსებული საზოგადოებანი: „რუს სტუდენტთა საზოგადოება", „კავკასიელთა საზოგადოება", საზოგადოება „თანხმობა", ქართული და სომხური სათვისტომოები მიზნად ისახავდნენ უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლეთა შორის რევოლუციური იდეების პროპაგანდა გასწიონ და, რომ ამ საზოგადოებათა წევრები უნივერსიტეტის სტუდენტები რაქდენ მათეს ძე არსენიძე, ილია იუდელის ძე გელერი, დავით ლუკას ძე კიღურაძე, იონა ბესარიონის ძე მებურიშვილი, გიორგი კონსტანტინეს ძე ხირსელი, ნოხიმ შამშონის ძე შამშონი, ვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტები: ნიკოლოზ ანდრიას ძე ივანოვი, სერგეი ივანეს ძე ხოტიაინცი, პროფესორ როსტოვცევის კერძო საუნივერსიტეტო კურსის მსმენელი შეინა მოსეს ასული ზარეცკაია სტუდენტებს შორის ეწევიან მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას უმაღლეს სასწავლებლებში არეულობის გამოწვევის მიზნით. ჩემი განკარგულებით მათზე დამყარებულია მკაცრი მეთვალყურეობა"[3].

რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობასთან ერთად სტუდენტთა სათვისტომოები მრავალმხრივ ნაყოფიერ, სასარგებლო საზოგადოებრივ, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ. ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პეტერბურგის უნივერსიტეტი ქართული ინტელიგენციის განათლების, რევოლუციურ-დემოკრატიული შემართების, ქართვე-

---

[1] Центральный Государственный исторический Архив Москвы (ЦГИАМ), ф. 418, оп. 498, ед. хр. 27, стр. 1-2.
[2] ЦГИА ЭССР, ф. 402, оп. 7, ед. хр. 629, стр. 1.
[3] ЦГИА ЭССР, ф. 296, оп. 107, ед. хр. 115, стр. 1.

ლოლოგიური მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა, რომელსაც იგი მთელ რევოლუციამდელ პერიოდში ინარჩუნებდა.[1] სწორედ ამ სახელგანთქმული უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ინიციატივით და ივანე ჯავახიშვილის უშუალო თაოსნობით 1907 წელს დაარსდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე,[2] რომლის სამეცნიერო მუშაობიდან საკმარისია დავასახელოთ მისივე ხელმძღვანელობით სტუდენტების მიერ ქართულ ერთდროულ გამოცემებში მოთავსებული სტატიებისა და მასალების ბიბლიოგრაფიის შედგენა.[3]

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კვალდაკვალ იმავე 1907 წელს მოსკოვის უნივერსიტეტშიც დაარსდა „ქართული კულტურის მოყვარულთა წრე“, რომელსაც 1909 წლიდან ილია ჭავჭავაძის სახელი მიეკუთვნა.[4]

პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, დერპტის, ოდესის და რუსეთის იმპერიაში არსებულ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ქართული სათვისტომოების მიერ დაარსებულმა სამეცნიერო წრეებმა. რომლის სხდომებსა და მეცნიერულ შეკრებებზე ხდებოდა ქართული კულტურის მონაპოვართა შესწავლა და გაცნობა რუს და სხვა ეროვნების მცხოვრებთათვის ნათლად დაანახა ქართველობას, თუ რა მნიშვნელობა აქვს აქ წაკითხულ მოხსენებებსა და გამართულ კამათს საქართველოს ისტორიისა და კულტურის საფუძვლიანი შესწავლისათვის. სპეციალურ საღამოებსა და სხდომებზე ქართველი ახალგაზრდობა პირადად ეცნობა რუსული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. ასეთი კონტაქტები შემდეგში ბევრი მათგანის მტკიცე, ხანგრძლივ სამეცნიერო შემოქმედებით ურთიერთობაში გადაიზრდებოდა ხოლმე, რასაც დიდი

---

[1] ა. სურგულაძე, ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში, თბ., 1986; გვ. 220.

[2] რ. მეტრეველი, კვალი განათლებული (ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი), თბ., 1975, გვ. 27.

[3] ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 42.

[4] ЦГИАМ, ф. 418, оп. 499, д. 14, стр. 1-2; იხ. აგრეთვე. ლ. გოდერიძე, მასალები ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, 27-28, თბ., 1973, გვ. 227.

მნიშვნელობა ჰქონდა ორი ერის ინტელიგენციის პოზიციათა შემდგომი დაახლოებისათვის[1]. სათვისტომოს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა-ქართული დილა-საღამოების გამართვა და ა. შ. ორ უმთავრეს მიზანს ისახავდა — ჯერ ერთი, გარკვეული თანხა შეეგროვებინათ და დახმარებოდნენ ხელმოკლე ამხანაგებს, მეორეც საქართველოს ისტორია და კულტურა გაეცნო სხვა ხალხთა წარმომადგენლებისათვის.

სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების დაარსების ინიციატორებმა წინასწარ დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარეს. სათვისტომოების დახმარებით დაზუსტდა რუსეთსა და საზღვარგარეთ მოსწავლე ქართველ სტუდენტთა რაოდენობა, შესწავლილ იქნა მათი მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები. ამიტომ შესაძლებელი გახდა საზოგადოება 1907 წელსვე შედგომოდა პრაქტიკულ საქმიანობას. ამ მრივ საინტერესოა საზოგადოების გამგეობის 1907 წლის ანგარიში, რომლის მიხედვით დაარსების პირველ წელს იგი აერთიანებდა 87 წევრს. მიუხედავად წევრთა მცირერიცხოვნებისა, საზოგადოებამ თანაგრძნობა მოიპოვა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა შორის და გამგეობას საშუალება მისცა მთელი სისრულით თუ არა, რამდენადმე მაინც განეხორციელებინა თავისი მიზანი. ჩატარდა საქველმოქმედო საღამოები ქუთაისში, ხონში, ყვირილაში, (ზესტაფონი), ბორჯომსა და სურამში. აღნიშნული საღამოებიდან წმინდა შემოსავალი დარჩა 117 მანეთი და 50 კაპიკი. ასევე გამგეობამ სათავადაზნაურო ბანკიდან მიიღო 500 მანეთი დახმარების სახით, საწევრო ანარიცხებისა და შემოწირულებიდან შეგროვდა 690 მანეთი და 50 კაპიკი. საღამოების გასამართავად დახარჯულა 199 მანეთი და 57 კაპიკი. საკანცელარიო ნივთების შეძენაზე 30 მანეთი.

ზოგიერთი ხელისშემშლელი პირობის მიუხედავად საზოგადოების გამგეობამ შეძლო თავისი არსებობის პირველი წელი მოგებით დაემთავრებინა და რამდენიმე ხელმოკლე სტუდენტისათვის ხელი გამართა[2]. მარტო 1907 წელს დახმარება გაეწია 40

---

1 ტატიშვილი, ფეკანისიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 218.

[2] ქიმ, ფონდი 6465, საქ. 41.

სტუდენტს (მათ შორის ოდესაში ორს, ხარკოვში თერთმეტს, ყაზანში ექვსს, მოსკოვში ცხრას, იურიევში ოთხს, პეტერბურგში ექვსს, ტომსკში ერთს, ასევე კიევში ერთს[1]. სულ გაცემული იქნა 1050 მანეთზე მეტი თანხა).

ქართველი სტუდენტები დიდი სიხარულით შეხვდნენ საზოგადოების დაარსებას და იმედით შესცქეროდნენ მის მოღვაწეობას. ამიტომ იყო, რომ გამგეობის სახელზე ხშირად მოდიოდა სტუდენტთა თხოვნები და წერილები, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და სწავლა ქართველ ახალგაზრდობას. სტუდენტთა ცუდი მატერიალური პირობების ნათელსაყოფად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „უკვე მეორე წელია საუნივერსიტეტო ქალაქში ვათრევ საბრალო ცხოვრებას და ქრონიკულ შიმშილისაგან ჯანმრთელობა შემერყა — წერდა ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი — ერთადერთი მხარდამჭერა კეთილი ამხანაგები და კაპიკიანი გაკვეთილებია, რომლებსაც ყოველთვის ვერ ვშოულობ. მყავს ქრონიკულად დაავადებული მამა, რომელიც 12 წელია ავადაა ძვლის ტუბერკულიოზით, ჩვენი ოჯახი შედგება 7 სულისაგან, რომელსაც ნახევარ-მშივრად არჩენს ჩემი უფროსი ძმა თავისი მცირე ჯამაგირით“[2].

სულისშემძვრელი მდგომარეობაა დახატული მეორე თხოვნაში, რომელიც საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ 1909 წლის 4 თებერვალს მიიღო. „ორი წელია, რაც ჩემი ძმა, ტომსკის უნივერსიტეტის სტუდენტი — წერს განცხადების ავტორი — სულიერად დაავადებული ყაზანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობს ხან ამხანაგების, ხან უნივერსიტეტის მმართველობის, ხან კიდევ თვით საავადმყოფოს მხარდაჭერით. ამჟამად იგი სულიერად მომჯობინდა ისე, რომ მისი შემდგომი ყოფნა საავადმყოფოში მისთვის უკვე საზიანოა. გარდა ამისა, როგორც საავადმყოფოს დირექტორმა მაცნობა იგი სირიოზულადაა დაავადებული ფილტვებით. უდროოდ გარდაცვალების თავიდან ასაცილებ-

[1] იქვე, ქიმ, ფონდი 6465, საბ. 67.
[2] იქვე, საბ. 364, 365.

ლად საჭიროა მისი სამშობლოში დაბრუნება... მაგრამ მე არ მაქვს საშუალება საავადმყოფოს გავუგზავნო ფული მისი აქ ჩამოსაყვანად. ვთხოვ გამგეობას გაუწიოს ჩემს ძმას მატერიალური დახმარება, რათა ჩამოიდეს ქუთაისში და გამოიკეთოს თავისი ჯანმრთელობა".[1]

ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ალექსანდრე შვანგირაძე წერს: „ოთხ წელზე მეტია მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა მამაჩემი, მღვდელი თადეოზ შვანგირაძე და დასტოვა ცოლი და შვიდი მცირეწლოვანი ობოლი ყოველგვარ საცხოვრებელ სახსარს მოკლებულნი...

...იმედი მაქვს ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობა ყურადღებას მიაქცევს ზემოთნათქვამს და რამე დახმარებას აღმომიჩენს მის განკარგულებაში მყოფ თანხიდან".[2] ა. შვანგირაძის აუტანელ მდგომარეობას ადასტურებს ხარკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუედნტთა სათვისტომო. მას გაუწიეს დახმარება.

იყო შემთხვევა, როდესაც სასწავლებლად წასული სტუდენტი წლების განმავლობაში არდადეგების დროს ვერ ჩამოდიოდა შინ გზის ფულის უქონლობის გამო, ასევე გაჭირვებული მდგომარეობა ახალგაზრდებს აიძულებდა დროებით მიეტოვებინა უნივერსიტეტი და უკან გამობრუნებულიყო იმ იმედით, რომ სამშობლოში რაიმე სახსარი მოეპოვებინა სწავლის გასაგრძელებლად. „...სიღარიბემ მაიძულა წარსული წლის დეკემბერში (1914 წ. — დ. გ.) რუსეთიდან უკანვე დავბრუნებულიყავი — წერდა ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ილარიონ ჟღენტი — და მიმეტოვებინა დროებით მეცადინეობა. წამოვედი იმ იმედით, რომ სამშობლოში რაიმე საშუალებას გავიჩენ, უკანვე დავბრუნდები და დროს მაინც არ დავკარგავდი, მაგრამ აქაც ვერაფერი გავაწყვე, ვინაიდან ათი შვილის მამამ ვერ შესძლო მოეცა რაიმე შემწეობა ჩემთვის, რადგან ათი შვილიდან რვა მოწაფეა და ამოდენა ხარჯს ვერც გაუძლო ისედაც ღარიბმა კაცმა. მე სხვა არავითარი საშუალება არ მქონდა

---

[1] ქიმ, ფონდი 6465, საბ. 391.
[2] იქვე, საბ. 469.

გარდა მშობლების დახმარებისა, მაგრამ ბედმა აქაც მიმტყუნა და დღეს, როდესაც უნივერსიტეტში უნდა ვიყო აქა ვარ... ამისათვის უმორჩილესად გთხოვ მიაქციოთ ყურადღება ჩემს ასეთ მდგომარეობას და მომცეთ ერთდროული დახმარება, თუნდაც მოკლევადიანი სესხის სახით, რომ წავიდე. კიდევ გთხოვთ ნუ დამღუპათ. მე სხვა წყარო საშუალებისა არა მაქვს რა. მომეცით საშუალება დაჩქარებით წავიდე".[1] ზემოაღნიშნულ სტუდენტს მიეცა დახმარება 30 მანეთი.

ასეთი მაგალითების დასახელება დაუსრულებლად შეიძლება.

გარდა სტუდენტებისა, ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის დახმარების გაწევის მიზნით „საზოგადოებას" ხშირად მიმართავდნენ ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მათ შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ივანეს ძე ოცხელი, რომელიც მამობრივ მზრუნველობას იჩენდა თავის აღსაზრდელებზე არა მარტო სასწავლებლის კედლებში, არამედ, შეიძლება მტკიცედ ითქვას, მთელი მათი ცხოვრების მანძილზე. „დიდად პატივცემულო სიმონ ივანეს ძევ — წერდა იოსებ ოცხელი 1911 წლის 20 აგვისტოს „საზოგადოების" გამგეობის ერთ-ერთ დამფუძნებელ წევრს ს. ი. ხეჩინაშვილს — მაპატიეთ, რომ გაწუხებთ. ამ ყმაწვილმა გვარად ბეგლარ ფაღავამ შარშან გაათავა ჩვენი გიმნაზია საუკეთესო მოწაფედ, მაგრამ სიღარიბის გამო შარშან ვერ წავიდა უნივერსიტეტში. წელსაც საშინელ მდგომარეობაშია — საწყალი იღუპება — გზის ფულიც არ აქვს, რომ რუსეთში წავიდეს. ბატონო სიმონ! ეგებ რაიმე შემწეობა მოუხერხოთ დამხმარებელი საზოგადოების კასიდან... ყმაწვილი კაცი შესანიშნავია როგორც ნიჭით, ისე ზნეობით. მეტისმეტი ღარიბი და ამასთანავე ერთი წელიწადი გააცდინა და თუ მეორე წელიც გაუცდა უფლებას დაკარგავს რომ უნივერსიტეტში შევიდეს. კიდევ გთხოვ უყურადღებოდ ნუ დატოვებთ ამ ყმაწვილს[2].

მეორე წერილიც, რომელიც დათარიღებულია 1917 წლის 14 ივ-

---

[1] ქიმ, ფონდი 6465, საქ. 466.
[2] ქიმ, ფონდი 6465, საქ. 800.

ხისით ი. ოცხელი წერდა: „ბატონო სიმონ! გუშინ გაზეთში იყო მოთავსებული ცნობა იმის შესახებ, რომ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას ქონდა ერთი სტიპენდია თავისუფალი.

წელს ჩვენი გიმნაზია გაათავა ყოვლად ღარიბმა, მაგრამ ნიჭიერმა ყმაწვილმა ეპიფანე ნიჟარაძემ. ჩემს წმინდა მოვალეობათ ვთვლი ვიშუამდგომლო იმის შესახებ და თუ შესაძლებელი იქნება მისთვის იმ სტიპენდიის დანიშვნა თქვენგან გამოუთქმელი კეთილი საქმე იქნება და ამ ყმაწვილისათვის პირდაპირი ბედნიერება"[1]. საზოგადოების არქივში ასეთი წერილებიც საკმაოდ ბევრია.

ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება გულისყურით ეცნობოდა სტუდენტთა თხოვნას და შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ცდილობდა ხელი შეეწყო მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

საზოგადოებას გულწრფელი სურვილი ჰქონდა დახმარება გაეწია ყველა ახალგაზრდისათვის, ვინც კი მას მიმართავდა, მაგრამ ღარიბ სტუდენტთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ეს ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომ საზოგადოება იძულებული იყო ხელმოკლე სტუდენტთა შორის ამოერჩია განსაკუთრებით მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფნი და მათთვის გაეწია პირველი რიგის დახმარება. ამ მიზნით საზოგადოება სათვისტომოებს უგზავნიდა „გამოკითხვის ფურცლებს" სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის შესახებ[2].

„საზოგადოება" სათვისტომოებისაგან სისტემატურად ღებულობდა მასალებს სტუდენტთათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ. ასე მაგალითად, 1913 წლის იანვარში კიევიდან მიღებულ წერილში ნათქვამი იყო: „კიევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო დიდის სიამოვნებით მიეგება ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდათა დამხმარე საზოგადოების მიერ შემუშავებულ ზომას მატერიალურ დახმარების განაწილებისა, ვინაიდან იგი სამართლიანობის პრინციპზეა დამყარებული და შეადგინა სია ქუ-

[1] იქვე, საბ. 578.
[2] იქვე, საბ. 959.

თაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა, რომელნიც საქოალნიშნულ საზოგადოების შეკითხვის მისედვით ორ კატეგორიად დაჰყო: პირველს ეკუთვნიან ის პირნი, რომელნიც სახლიდან არავითარ მატერიალურ დახმარებას არ იღებენ და იძულებულნი არიან თავის შრომით ირჩინონ თავი, რაც ძალიან ძნელია (ჩამოთვლილია სტუდენტთა გვარები). მეორე კატეგორიას ეკუთვნიან ის პირნი, რომელნიც იღებენ დახმარებას თვეში არა უმეტეს 15 მანეთისა (დასახელებულია სტუდენტთა გვარები)".[1] საზოგადოებას პეტერბურგიდან სწერდნენ: „ამ რამდენიმე ხნის წინად მოგვივიდა თქვენგან ცნობა გვეცნობებია სია სათვისტომოს ღარიბ სტუდენტთა. გამგეობა პირველად დიდ მადლიერებას გწირავთ ამისათვის და შემდეგ კი გიგზავნით განსაკუთრებით ღარიბ სტუდენტთა სახელებს და გვარს. თუ ვინცობაა აქ ჩამოთვლილთაგანს დაენიშნება რამე, იმათ ვინც ამჟამად ქ. ქუთაისში არიან მიეცემათ პირადათ თქვენგან და დანარჩენების გადასაცემად გთხოვთ გადმოუგზავნოთ გამგეობის ხაზინადარს ალექსანდრე ზალდასტანიშვილს... ამასთან საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ყველა ზემოთ მოხსენებული პირი ძლიერ მუყაითად მუშაობენ და ითვლებიან მომეცადინე ყმაწვილებად (სია თან ერთვის, 1913 წლის იანვარი)".[2]

საინტერესოა ეკატერინოსლავიდან (დნეპროპეტროვსკი) მიღებული წერილი. „გავეცანით რა გამგეობის წინადადებას შესახებ უღარიბესი ქართველი სტუდენტის გვარის მოწოდებისა, ჩვენ ეკატერინოსლავის ქართველი სტუდენტობა საჭიროთ ვსთვლით, სანამ უღარიბეს სტუდენტზე მიუთითებდეთ გავაცნოთ გამგეობას ჩვენი მდგომარეობა და ჩვენი პირობები. ქართველი სტუდენტები აქ ცოტანი ვართ (სულ ათამდე), რის გამო მოკლებულნი ვართ საშუალებას მოვაწყოთ თანამემამულეთა წრე, ან სხვა რაიმე ორგანიზაცია. მეორე მხრივ ეკატერინოსლავი რუსეთის ერთი იმ ქალაქთაგანია, სადაც ქართველობას გარდა თვით სტუდენტობისა ვერ შეხვდებით. ასე, რომ ის სტუდენტი, რომელიც მოკლებულია საშუალებას მუდმივ იქონიოს ფული ჯიბეზე, ძალიან ხშირად მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ვარდება...

---

[1] ქიმ, ფონდი 6465, საქ. 1001.
[2] იქვე, საქ. 992.

თქვენი წინადადების შესახებ გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ათ ქართველ სტუდენტთა რიცხვისაგან, რომლებიც ვიმყოფებით ეკატერინოსლავის სამთო ინსტიტუტში, ცხრამ ერთხმად ვიცანით უღარიბეს სტუდენტად მეათე ჩვენი ამხანაგი ივანე (იგივე ვარდენ) ყარამანის ძე ჩიქოვანი, რომელიც არსით არავითარ დახმარებას არ ღებულობს და იძულებულია მხოლოდ თავის შრომით, კერძო გაკვეთილებით იცხოვროს. გაკვეთილები საზოგადოთ დაუნდობელი სახსარია: დღეს გვაქვს, ხვალ აღარა. ამასთან მეტად ძალდატანებულმა შრომამ თავისი ქნა: ამხანაგი მეტად სუსტად გრძნობს თავის თავს. ერთი სიტყვით ამ ამხანაგის შევიწროვებული მდგომარეობა ყოველ ეჭვს გარეშეა და ჩვენ ყველანი დავალებულად ჩავთვლით თავის თავს, თუ საზოგადოება ჩიქოვანს მნიშვნელოვან დახმარებას აღმოუჩენს".[1]

უმაღლეს სასწავლებლებიდან მიღებული ასეთი მასალები გამგეობის სხდომების სპეციალური მსჯელობის საგანი იყო სტიპენდიის დანიშვნის საკითხის გადასაწყვეტად. გამგეობა მოითხოვდა აგრეთვე სათვისტომოების მიერ დამოწმებულ სიღარიბის მოწმობას. მაგალითად ნ. მოსეშვილის სახელზე გაცემულ მოწმობაში ნათქვამია: „როგორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგეთ უმაღლეს კურსების მსმენელი ნადეჟდა სიმონის ასული მოსეშვილი იმყოფება უკიდურეს სიღარიბეში და არავითარ დახმარებას იგი არსაიდან არ ღებულობს. ამიტომ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობამ ერთხმად დაადგინა მიეცეს მას სიღარიბის მოწმობა და თვითონაც შუამდგომლობს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მას ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობამ. ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობა, 17 დეკემბერი, 1912 წ."[2]

გარდა სტიპენდიებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოება ხელმოკლე სტუდენტებს ერთდროულ დახმარებასაც უწევდა. იმის დასაზუსტებლად, თუ რომელ სტუდენტს უნდა გაწეოდა დახმარება საზოგადოების გამგეობა სათვისტომოებს პერიო-

---

[1] ქიმ, ფონდი 6465, საბ. 1241.
[2] ქიმ, ფონდი 6465, საბ. 1016.

ღულად უგზავნიდა მიმართვებს დაესახელებინათ ისეთი ამხანაგები, რომლებსაც ერთდროული დახმარება ესაჭიროებოდათ, სათვისტომოები აქტიურად ეხმაურებოდნენ საზოგადოების ასეთ მიმართვას და სისტემატურად უგზავნიდნენ მათ თავიანთ მოსაზრებებს. მაგალითად, 1916 წლის 23 იანვარს საზოგადოების გამგეობის სახელზე მოვიდა თხოვნა პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობისაგან. მასში ვკითხულობთ — „თანახმად თქვენი წინადადებისა პეტროგრადის უნივერსიტეტთან არსებულმა ქართულმა გამგეობამ იქონია მსჯელობა იმაზე, თუ ვინ დაასახელოს კანდიდატებად ერთდროული დახმარების მისაღებათ. გამგეობა კანდიდატების დასახელების დროს სელმძღვანელობდა ორი მოსაზრებით: უპირველესად ყოვლისა უპირატესობას აძლევდა მატერიალურად შევიწროებულებს, მაგრამ იღებდა მხედველობაში აგრეთვე კანდიდატის შრომისმოყვარეობასაც... გამგეობა სასურველად და საჭიროდაც სთვლის მთელი თანხა, რომელიც გადადებული იქნება აქაურ სტუდენტებისათვის გამოუგზავნოთ გამგეობას, რომ მეტი სამართლიანობით დაარიგოს იგი" — გამგეობის სახელით დ. დეკანოზიშვილი[1].

ასეთი თხოვნის საფუძველზე, ხშირად, საზოგადოება სტუდენტთა დახმარებისათვის გამოყოფილ თანხას უგზავნიდა სათვისტომოებს, რომლებიც შემდეგ მას თავიანთი შეხედულებისამებრ ანაწილებდნენ.

საზოგადოების არქივში ინახება დიდი ქართველი მწერლების კ. გამსახურდიას და გ. რობაქიძის, ცნობილი მეცნიერების ი. ყიფშიძის, ა. პაპავას, ს. დანელიას., კ. ერისთავის, ს. ხუნდაძის, პოეტების გ. ტაბიძის, შ. აფხაიძის, ს. ცირეკიძის და სხვათა წერილები. მათ სტუდენტობის დროს საზოგადოებამ გაუწია მატერიალური დახმარება.

საზოგადოების ინიციატივით ყოველწლიურად 12 იანვარს ქუთაისში და საერთოდ, საქართველოს დაბა-ქალაქებში, ე. წ. „ტატიანას დღესთან"[2] დაკავშირებით, იმართებოდა სტუდენტთა

---

[1] იქვე. საბ. 146.

[2] 1755 წელს გრაფმა შუვალოვმა თავის დედას ტატიანას მისი დაბადების დღეს — 12. იანვარს საჩუქრად მიართვა უმაღლესი ბრძანება მოსკოვის უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. ამის გამო 12 იანვარი ტრა-

ტრადიციული საღამოები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი მოწინავე ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, არდადაგებზე თუ სხვადასხვა მიზეზების გამო სამშობლოში მყოფი სტუდენტებიც. საინტერესოა „საზოგადოების" გამგეობის 1910 წლის 6 დეკემბრის სხდომის ოქმი. გამგეობამ განიხილა „ტატიანას დღის" აღნიშვნის საკითხი და დაადგინა: დაევალოს ე. ნ. ხერჩინაშვილს ქუთაისის საზოგადო საკრებულოს შენობაში 1911 წლის 12 იანვარს ჩაატაროს სტუდენტთა ტრადიციული საღამო. გარდა ამისა საზოგადოების სახსრების გასაძლიერებლად ეთხოვოთ შემდეგ პირებს სტუდენტთა სასარგებლოთ ჩაატარონ რაიმე ღონისძიება: ხონში — სამასწავლებლო სემინარიის დირექტორს ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძეს, ოზურგეთში — მეტყევე გრიგოლ იოსების ძე აბაკელიას, ფოთში — კონსტანტინე იოსების ძე მიქაბერიძეს, ჭიათურაში — ექიმ სიმონ დავითის ძე მიქაბერიძეს და საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს თეოფილე ვახტანგის ძე ჯაყელს, ყვირილაში (ზესტაფონი) — ალექსანდრა სამსონის ასულ აბაშიძეს[1].

ქუთაისის საზოგადოებრიობა სიამოვნებით მონაწილეობდა „ტატიანას დღის" აღნიშვნაში. „დღეს ტატიანას დღეა — ვკითხულობთ ერთ-ერთ მოწოდებაში ქუთათურებისადმი — დღესასწაული ჩვენის მოზარდის თაობისა. საზოგადო საკრებულოს დარბაზში ტრადიციული საღამო იმართება. იმართება როგორც ჩვენში, ისე რუსეთის სხვა ქალაქებშიაც.

12 იანვარი — ეს ისტორიული დღეა სტუდენტთა ცხოვრებაში. ამ დღეს ყველა იმაზე ფიქრობს, თუ რით დაეხმაროს ნივთიერად ჩამორჩენილ სტუდენტობას.

ყველა თავის წილს იღებს მათ დასახმარებლად. ჩვენც ამაზე უნდა ვიფიქროთ და ჩვენი წვლილი გავიღოთ, რომ სამშობლოში დარჩენილი სტუდენტები სწავლის გასაგრძელებლად რუსეთის ცივ ქალაქებში გავისტუმროთ.

მაგრამ გავისტუმროთ ისე, რომ იქ. უცხოეთში შიმშილითა და სიცივით არ დაიხოცნენ.

---

დიციულად აღინიშნებოდა როგორც სტუდენტთა დღე. (გაზ. „ერი", 1914, 11 იანვარი, № 9).

[1] ქიმ, ფონდი 6465, საქ. 87.

სუ დავივიწყებთ დღევანდელ ისტორიულ დღეს და ყველამ სტუდენტთა საღამოზე გავსწიოთ"[1].

ქუთაისის საზოგადოება, როგორც უკვე აღინიშნა, ამ პერიოდში სტუდენტთა დამხმარე ერთადერთი ორგანიზაცია იყო საქართველოში. ამას ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სწორედ მას ეგზავნებოდა სურამში, ბორჯომში, გორში და სხვა ადგილებში ამ მიზნით შეკრებილი სახსრები.[2]

1911 წელს გაზეთი „კოლხიდა" წერდა: „ქუთაისის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობამ 1907 წლიდან 1911 წლამდე ცხრა საღამო და ორი სეირნობა მოაწყო. ღონისძიებანი გამართა ქუთაისში, ხონში, ყვირილაში, სურამში, ბორჯომში, ბაკურიანსა და გორში. დღიდან დაარსებისა გამგეობამ შეაგროვა 3985 მანეთი და ათი შაური. ერთდროული დახმარება აღმოუჩინა 175 ღარიბ სტუდენტს".[3]

საინტერესოა სტუდენტთა ტრადიციული საღამოს აფიშა, რომელიც ქუთაისში გაიმართა 1917 წელს. დოკუმენტში ნათქვამია: ხუთშაბათს 2 თებერვალს, ქუთაისის საზოგადო საკრებულოს დარბაზში ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ გაიმართება სტუდენტთა ტრადიციული საღამო მუსიკალურ-ვოკალურ, ლიტერატურული განყოფილებებით. ალ. იმედაშვილის რეჟისორობით ქუთაისის ქართული დრამატული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მესამე მოქმედება ა. ცაგარელის პიესიდან „მათიკო", საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის კონსერვატორიის მოწაფე მ. ს. ხეჩინაშვილის ასული, თავისუფალი მხატვარი ე. ს. სკორუპსკი, პეტროგრადის კონსერვატორიის თანამშრომელი პიანისტი მ. გ. ნეიგაუზი, მოსკოვის კონსერვატორიის თანამშრომელი, მევიოლინე ე. მ. გუზიკოვი. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობენ: ია ეკალაძე, ვ. ბაღანჩივაძე, ქ. ახოსპირელი, ა. ფაღავა და სხვები. ვახშამი და სამზარეულო გამგეობის წევრი ექიმების მეთვალყურეობით. დაუკრავს სიმებიანი სამხედრო ორკესტრი.[1]

---

1 გაზ. „საქართველო", 1916, 12 იანვარი, № 8.
2 ქიმ, ფონდი 6465, საქ. 134, 135, 354.
3 გაზ. „კოლხიდა", 1911, 3 მაისი, № 29.
4 ქიმ, ფონდი 6465, საქ. 1130.

1914 წლის 12 იანვარს ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების ფინანსურმა შემოსავალმა (ბილეთების, პროგრამების, ლატარიის, შამპანურის, ჩაისა და ყვავილების გაყიდვით მიღებული სახსრები) საერთო ჯამში 2024 მანეთი და 32 კაპიკი შეადგინა. ფულათ შემოსწირეს: იმერეთის ეპისკოპოსმა 5 მანეთი, დონ დამიანმა 5 მანეთი, უგანათლებულესმა კნეინამ მ. ბაგრატიონისამ 10 მანეთი, ვიცეგუბერნატორმა მაკაროვმა 10 მანეთი, ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა 10 მანეთი, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ ფედოროვმა 10 მანეთი, ღენერალ-ლეიტენანტმა ოგანოვსკიმ 3 მანეთი, ი. ზ. მელიქოვმა 5 მანეთი, ი. აბაშიძემ 5 მანეთი, დ. ნ. ლორთქიფანიძემ 5 მანეთი და სხვ. სულ შემოწირულების შედეგად და საერთოდ, შეგროვდა 2171 მანეთი და 38 კაპიკი. საღამოს მოწყობისათვის დაიხარჯა 782 მანეთი და 77 კაპიკი. წმინდა შემოსავალი დარჩა 1388 მანეთი[1].

1913 წელს ქუთაისელმა ქველმოქმედმა ქალმა ე. ს. დუჭაიძე-ფიფინაშვილმა საზოგადოებას უანდერძა 7000 მანეთი. ამ თანხის პროცენტებიდან დაარსდა ეკატერინე ფიფინაშვილის სახელობის ერთი სტიპენდია.

საზოგადოების არქივში დაცული მასალების მიხედვით მას სტუდენტებისათვის დახმარების სახით მიუცია: 1907 წელს — 1050 მან; 1908-1909 წლებში 950 მან; 1910 წელს — 662 მან; 1911 წელს — 1195 მან; 1912 წელს — 1220 მან; 1913 წელს — 1181 მან; 1914 წელს — 1048 მან; 1915 წელს — 1426 მან; 1916 წელს — 1956 მან, სულ 11448 მანეთი[2].

სხვადასხვა დროს საზოგადოების გამგეობის წევრები იყვნენ: ე. და ს. ხეჩინაშვილები, ს. ტერტეროვი, მ. მგალობლიშვილი, ა. სვანიძე, ვ. ლეჟავა, მ. მოსეშვილი, დ. მაჭავარიანი, მ. ჩიქოვანი, ს. წერეთელი, ი. ცინცაძე, ა. ელიგულაშვილი, შ. იაკობიშვილი, ტ. მარგველაშვილი, ა. გიგინეიშვილი და სხვები[3].

საზოგადოების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ე. ჩიქოვანი, კ. ნიკოლაძე, დ. ნაზარიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ივ. პუ-

---

[1] გაზ. „იმერეთი“, 1914, 11 მარტი, №

[2] ქიმ, ფონდი 6405, საბ. 40, 41, 42, 44, 46, 48, 50, 52, 55.

[3] იქვე, საბ. 1322.

რადაშვილი, ი. ასლანიშვილი, ი. ბაქრაძე, ა. ბახტაძე, გ. გველესიანი, ა. ერიქაშვილი, ა. გიგინეიშვილი, ლ. კოკოჩაშვილი, დ. ლოთქიფანიძე, გ. ცაგარეიშვილი, სვანიძე, ა. წერეთელი, ი. ცინცაძე, ფ. ჭელიძე, ტ. ყურაშვილი, ს. რობაქიძე, ჯ. ჯორჯიკია, ი. კაკაბაძე, დ. მდივანი, გ. ბადრიძე, ე. როძევიჩი, გ. ბეთანელი, შ. ვარდოსანიძე, ნ. ფურცელაძე, გ. ქორქაშვილი, მატიუხოვი, ი. ჩიქოვანი, ე. ჯინოევა, პ. ყიფიანი, პ. ჯაყელი, ი. კემულარია, დ. მაჭავარიანი, დ. ქუთათელაძე, ა. ჭირაქაძე, გ. ნაცვლიშვილი და სხვა ცნობილი მოღვაწენი.

ქუთაისის გუბერნიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებამ იარსება 1918 წლამდე.

აღნიშნულ საზოგადოებასთან ერთად ქართველ სტუდენტთა მატერიალურ დახმარებაზე ზრუნავდნენ ქუთაისის ქალაქის საბჭო, სათავადაზნაურო ბანკები და სხვ. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ამ საქმეში ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭოს ღვაწლს. იგი 1896 წელს შეიქმნა და სათავეში ედგა გამოჩენილი ქართველი ხალხოსანი — რევოლუციონერი, „50-ის" გახმაურებული პროცესის მონაწილე, პუბლიცისტი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი-მაიაშვილი (1854-1917 წწ.)[1]

გიორგი ფელიქსის ძე მაიაშვილის პირადი არქივის[2] ზედაპირულად გაცნობაც კი გვარწმუნებს იმაში, რომ ეს მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე ქართველი სტუდენტების ნამდვილი ნუგეში იყო. ამ მხრივ საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის ერთი წერილი გ. მაიაშვილისადმი, რომელიც შემდეგში გამოჩენილი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის დახმარების საკითხს ეხება.[3]

საყურადღებოა აგრეთვე პართენ გოთუას (ლევან გოთუას მამა) წერილი გიორგი მაიაშვილისადმი: „პატივცემულო გიორგი

---

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბ., 1979, გვ. 491.

[2] დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილი) პირადი არქივი, ფონდი 6416.

[3] აღნიშნული წერილი გამოაქვეყნეს: მ. ნიკოლეიშვილმა (იხ. გაზ. „სტალინელი", 1959, 30 აგვისტო. № 171) და რ. მეტრეველმა (იხ. ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1975, გვ. 150-151).

ფელიქსის ძე! — წერს იგი — ამ წერილის მომტანი არის უფროსი ვაჟი ჩვენი პოეტის ვაჟა-ფშაველასი. მან გაათავა სააზნაურო გიმნაზია ტფილისში, აქვს მოწმობა, რომელიც აძლევს ნებას შევიდეს საზღვარგარეთის უნივერსიტეტში.

აგერ ორი წელი გავიდა და ის კი დარჩა ტფილისში და სოფლად უმაღლეს სწავლას მოკლებული.

როგორც მე, ისე აქაური ინტელიგენტნი უმორჩილესად გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამ ყმაწვილს, ლევან რაზიკაშვილს და დასდოთ თვალი, როგორც თვით ვაჟა-ფშაველას, ისე ყველა ჩვენ და მისცეთ მას საშუალება, რომ საზღვარგარეთის სასწავლებელში წავიდეს და უმაღლესი სწავლა მიიღოს. მე ვფიქრობ ამის შესახებ ხვეწნა-მუდარა მეტია, თვითონ თქვენც იმდენად უნდა იყოთ დაინტერესებული, რომ ვაჟას შვილი უსწავლელი არ დარჩეს, როგორც ჩვენ ვართ დაინტერესებული. ვიცი, რომ ახლა სტიპენდიები უკვე გაქვთ განაწილებული, მაგრამ იქნებ კიდევ დაგრჩათ რაიმე ან მომავალში მოახერხოთ მაინც.

ერთი სიტყვით მოიქეცით ისე, როგორც უნდა ჰქონდეს თქვენი იმედი ქართულ საზოგადოებას".[1] წერილი დათარიღებულია 1913 წლის 4 ნოემბრით. ქართველი ინტელიგენციის ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

გიორგი მაიაშვილისადმი ქართველი ახალგაზრდობის დამოკიდებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ საფრანგეთიდან 1908 წლის 20 იანვრის სპირიდონ კედიას[2] მიერ გამოგზავნილ წერილს: „დიდად პატივცემულო გიორგი! პარიზში ქართველების რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა. თუ გასულ სამოსწავლო წლის დამდეგს 3-4 კაცი ობლათ ბინადრობდა, დღეს აქ სამოცამდე ქალი და კაცი ითვლება. საფუძვლიანად ვფიქრობთ, რომ მომავალშიც ეს სასურველი ემიგრაცია ჩვენი სტუდენტობისა საზოგადოთ საზღვარ-

---

[1] ქიმ, ფონდი 6416, საქ. 478.

[2] სპირიდონ კედია (1884-1948) — პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, გაზ. „საქართველოს" ერთ-ერთი დამფუძნებელი. 20-30-იან წლებში ის რედაქტორობდა პარიზში გამომავალ ჟურნალებს — „სამშობლოსათვის" და „საქართველოს გუშაგი". დაკრძალულია პარიზთან ახლომდებარე სოფელ ლევილში ქართულ სასაფლაოზე.

გარეთ და კერძოდ პარიზში, ეს მათი ხარბი დაწაფება ევროპიულს განათლებაზე კიდევ უფრო იმატებს. ეს სახარბიელო ზრდა ჩვენი მოსწავლეთა უცხოეთში. ბუნებრივად განამტკიცებს პირდაპირ სულიერ კავშირს ჩვენს სამშობლოსა და ევროპას შორის სწავლა-განათლების სფეროში. ამრიგათ პირდაპირ უშუამავლოთ გაიდება ხიდი აზროვნულ-გონებრივ აღებ-მიცემობაში ევროპასთან; ამ გზით ჩაიყრება ჩვენ მშობლიურ ნიადაგში ცხოველმყოფელი თესლი ევროპის სწავლა-მეცნიერებისა. ყოველი, ვისაც გული შესტკივა ჩვენი სამშობლოს კულტურულ დაწინაურებაზე, უნდა ხალისით მიესალმოს ამ მოვლენას და ჯანსაღი გონივრული ანგარიში გაუწიოს მას. ამნაირად, ფაქტი სანატრელი ხდება, თანდათანობით ზრდაშია, საჭიროა მხოლოდ მისი კარგად გამოყენება, საჭიროა და გონიერებასაც მოითხოვს. ამ ფაქტიდან, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა გამოიწუროს. ამისათვის კი იბადება გადაუდებელი საჭიროება შემაერთებელი ორგანიზაციის შექმნისა. იბადება საჭიროება ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამის გასათვალისწინებლად და მისთვის პასუხის გასაცემად ქართულ საზოგადოებების მოწყობისა უცხოეთში. პარიზში მყოფ ქართველებმა სწორედ ამ თვალით შეხედეს საგანს და დააარსეს ერთი მთლიანი საზოგადოება, რაიცა მოკლეთ გამოიწვია:

1. სხვადასხვა საერთო მოთხოვნილებათა გასაძღოლად პარიზის ქართველობის ერთად შეყრის, შეჯგუფვის საჭიროებამ, 2. ჩვენი სამშობლოს სულიერი ცხოვრება-ვითარებასთან მუდმივ მონაწილეობასა და ურთიერთობაში ყოფნის აუცილებელ საჭიროების შეგნებამ, 3. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის საფრნაგეთის ცხოვრების პირობების, სწავლა-განათლების და კულტურულ დაწესებულებათა გასაცნობათ მუდმივი ხასიათის ორგანიზაციის არსებობის აუცილებელ საჭიროებამ და 4. იმ უმთავრესად მოსაზრებამ, რომ აქ მომუშავე ქართველს ხელთ ქონდეს მისი ერის სულიერი ნაცხოვრის აღლადიდება საჭირო მუშაობის წასამართავად.

პრაქტიკულად ყველა ეს გამოიხატება სამკითხველო ბიბლიოთეკის დაარსებაში, ქართულის და საქართველოს შესახებ უცხო ენებზე დაწერილი წიგნების შეძენაში, რეფერატების წაკითხვაში,

ქართველების ვინაობისა და რაობის პროპაგანდაში და საერთო-ერთო მატერიალურ დახმარებაში.

პარიზის ქართული საზოგადოების გამგეობა გაუწყებთ რა ქართული საზოგადოების დაარსებას ზემოაღნიშნულ საფუძველზე, იმედოვნებს, რომ თქვენ მიიღებთ ხალისიან მონაწილეობას საზოგადოების მატერიალურ მდგომარეობის გაძლიერებაში და გაუადვილებთ მას დასახულ მისწრაფებათა მიღწევას".[1]

ქუთაისის გუბერნიაში არსებულმა სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებამ თავისი არსებობის მანძილზე ნაყოფიერი საქველმოქმედო საქმიანობა ჩაატარა, მატერიალური დახმარება აღმოუჩინა მრავალ ქართველ სტუდენტს და ამით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეცნიერების სხვადასხვა დარგში ეროვნული კადრების აღზრდის საქმეს, რამაც შემდეგში გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების საქმეში.

## § 4. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებანი დასავლეთ საქართველოში (1909—1927 წწ.)[2]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რაც დაკავშირებული იყო ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევასთან და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან. ამ უკანასკნელს კი ხელი შეუწყო 1861 წელს გატარებულმა საგლეხო რეფორმამ.

[1] ქიმ, ფონდი 6416, საქ. 1942.

[2] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა ქუთაისისა და რეგიონალური განყოფილებების დაარსებისა და საქმიანობას ვეხებით იმდენად, რამდენადაც ეს საზოგადოებები ეწეოდნენ საქველმოქმედო მოღვაწეობას. იგივე ითქმის ქუთაისის დრამატული საზოგადოებისა და სახალხო უნივერსიტეტის შესახებ.

მართალია, საქართველოში საგლეხო რეფორმა შედარებით გვიან გატარდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მან თავისი კვალი დააჩინა მხარის შემდგომ განვითარებას. ვაჭრობისა და მრეწველობის აღმავლობამ, რკინიგზის გაყვანამ ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და მის დაკავშირებას საერთო რუსულ ბაზართან, რამაც ახალი პერსპექტივები დასახა ქართველი ხალხის წინაშე.

მეფის მთავრობა შემოერთებულ თუ დაპყრობილ ტერიტორიებზე ამკვიდრებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ახშობდა მათი ეროვნული თვითშეგნებისა და შემოქმედებითი ინიციატივის ყოველგვარ გამოვლინებას. ცარიზმი ცდილობდა ხალხთა ფართო მასები მუდმივ უმეცრებასა და წყვდიადში ჰყოლოდა, აფერხებდა განაპირა მხარეების კულტურულ განვითარებას, სდევნიდა ნაციონალურ ენას სკოლიდან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან.

დამორჩილებულ ხალხთა გარუსება, მშობლიური ენის უგულებელყოფა და განსაკუთრებით ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ იერიშის მიტანა მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.[1] მისი ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებული სიმწვავით იჩენდა თავს საქართველოში, რომელიც თავის დაუმორჩილებელი ხასიათით კერკეტი კაკალი გამოდგა ცარიზმისათვის და აშკარად გამოირჩეოდა იმპერიის ჭრელ ეთნიკურ სპექტრში.

ცარიზმის ამ რეაქციულ პოლიტიკას ერის მოჭირნახულე შვილები ხალხის გათვითცნობიერებისა და მათში სწავლა-განათლების შეტანით პასუხობდნენ.

მეფის მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. ის ერთადერთი საქველმოქმედო დაწესებულება იყო რეაქციის ხანაში, რომელიც მტკიცე დარაჯად ედგა წერა-კითხვის სწავლებას მშობლიურ ენაზე და თავგამოდებით იცავდა თვითმყოფადი ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული კულტურის დაცვის საქმეს.

---

[1] იხ. ამის შესახებ, ტ რ. ხ უ ნ დ ა ძ ე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1940.

ამ საზოგადოების შექმნის იდეა 70-იანი წლების დასაწყისში დაიბადა.

1878 წლის 20 ივნისს დიმიტრი ყიფიანმა, ბესარიონ ღოღობერიძემ, ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, ვახტანგ თულაშვილმა და ნიკო ცხვედაძემ შეადგინეს საზოგადოების წესდება 126 დამფუძნებელი წევრის ხელმოწერით და წარუდგინეს დასამტკიცებლად მეფის ნაცვალს.

1879 წლის 31 მარტს წესდება ზოგიერთი ცვლილებით დამტკიცებულ იქნა. იმავე წლის 15 მაისს თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკის შენობაში შედგა დამფუძნებელ წევრთა პირველი კრება, რომელმაც თავმჯდომარედ აირჩია დ. ყიფიანი, ხოლო გამგეობის წევრებად — ი. ჭავჭავაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ნ. ცხვედაძე, ივ. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, რაფ. ერისთავი; კანდიდატებად — დ. ავალიშვილი, ლ. ქანანოვი, გ. უთურგაული.

1880 წლის 20 იანვარს საზოგადოების გამგეობის წევრებად დამატებით აირჩიეს გ. წერეთელი, ი. მეუნარგია, თ. ჟორდანია, ი. გამყრელიძე, გ. თუმანიშვილი, გ. უთურგაული, ხოლო კანდიდატებად — დ. ავალიშვილი და ვ. მიქელაძე.[1]

საზოგადოების დანიშნულება მხოლოდ წერა-კითხვის გავრცელებით როდი განისაზღვრებოდა. მისი მიზნები და ამოცანები მრავალფეროვანი იყო. „თუმცა ჩვენი საზოგადოება იწოდება წერა-კითხვის გამავრცელებლად — აღნიშნავდა საანგარიშო მოხსენებაში გამგეობის თავმჯდომარე, — მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ვითომ მის დამაარსებლებს სახეში ჰქონებოდათ მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება. დამფუძნებელთა გულითადი სურვილი იყო უპირველესად შექმნა სკოლისა, როგორც კულტურის კერისა. კულტურა კი არის ქვეყნის სულიერი და ნივთიერი ფართო განვითარება, აი, ეს კულტურა იყო სანატრელი საგანი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა."

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: „წერა-კითხვის

---

[1] ვ. გაგუა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1979, გვ. 7.

გამავრცელებელი საზოგადოების განზრახვა და მოქმედობა შორსა სწვდება... თუ მართლა საზოგადოებამ და მისმა გამბედაობამ მთლად აღასრულეს ყოველიფერი, რაც კი წესდებულებაში არის მოხსენებული, იმედია, რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს; გავრცელდება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ საგვარტომო და თვითმომქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გავა რამდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰფენს ნათელს ყოველს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, რომელიც კი აქამომდე თვალგაუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა. მართალია, მარტო პირველდაწყებითი სწავლა საკმარისი არ არის, მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ როგორც მოგეხსენებათ. სახლი უსაძირკვლოდ ვერ დაიდგმის; გარდა ამისა, არსებობს ჩვენში შკოლა, ჯერ-ჯერობით მოსამზადებელი, რომელიც უნდა გახდეს საშუალო სასწავლებლად და მით შეივსოს საქმე, რომლისათვის ხელის მოკიდებას აპირობს ახლად დაარსებული საზოგადოება, ეს საშუალო სასწავლებელი, — ჩვენი საკუთარი, ქართული სასწავლებელი, — შეიქმნება ჩვენის ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლების შესაძენად; ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ ჩვენს საკუთარს, ქართველს ინტელიგენციას, ე. ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა".[1]

1882-85 წლებში საზოგადოების თავმჯდომარე იყო ი. მუხრანსკი, ხოლო 1885 წლიდან გარდაცვალებამდე ილია ჭავჭავაძე. საზოგადოების მდივნებად მუშაობდნენ ალ. სარაჯიშვილი, ი. მეუნარგია, გრ. ყიფშიძე, დ. კარიჭაშვილი.[2]

ახლადდაარსებულ საზოგადოებას პირველ წელს ჰყავდა 245 წევრი, მეორე წელს — 282, მესამე წელს — 311 წევრი. 1882-83წლებში საზოგადოების სალაროში საწევრო შემოვიდა 370 მა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V. თბ., 1955, გვ. 46-47.

[2] ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე 37-38, თბ., 1978, გვ. 9.

ხეთი. 1896 წელს საზოგადოებაში 518 წევრი ითვლებოდა, ხოლო 1903 წელს წევრთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა[1].

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ზრუნავდა მდაბიო ხალხში მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მასობრივად გავრცელებისათვის. ამ მიზნის განსახორციელებლად გამგეობა ხსნიდა სკოლებს, ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, წიგნის მაღაზიებს. ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და გათვითცნობიერებისათვის საზოგადოება ზრუნავდა ქართველი ერის კულტურისა და ისტორიის ძეგლებზე — აგროვებდა ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, ისტორიულ და მხატვრულ ლიტერატურას, ფოლკლორულ და ნუმიზმატიკურ მასალებს, ზრუნავდა ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე. გარდა ამისა, საზოგადოება ცდილობდა სკოლებისათვის მოეწვია მასწავლებლები და მოემზადებინა შესაფერისი კადრები.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას სკოლების გახსნა და არსებული სკოლებისათვის დახმარების გაწევა წარმოადგენდა. თავისი არსებობის მანძილზე, ცარიზმის ხელისუფალთა წინააღმდეგობის მიუხედავად, საზოგადოებამ გახსნა 33 სკოლა, რომელსაც თავისი ხარჯით ინახავდა[2].

1915 წლიდან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებში ყველა საგანი ქართულ ენაზე ისწავლებოდა, რუსული ენა რჩებოდა, როგორც ცალკე საგანი. ყველა სკოლაში 35 წლის განმავლობაში (1879-1914 წწ.) უსწავლია 26763 მოსწავლეს.[3]

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო სახელმძღვანელოებისა და ქართული წიგნების გამოცემის საქმე. დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა", „ბუნების კარი" და „რუსსკოე სლოვო". ამ სახელმძღვანელოებში დიდი ადგილი ეჭირა საქართველოს ისტორიას, ეთნოგ-

---

[1] ტ რ. ხ უ ნ დ ა ძ ე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1958, გვ. 5.

[2] თ. ჩ ხ ი ტ უ ნ ი ძ ე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა, თბ., 1980, გვ. 5.

[3] ლ. გ ო დ ე რ ი ძ ე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1901-1920), საისტორიო მოამბე, 41-42, თბ., 1960, გვ. 227.

რაფიისა და მხარეთმცოდნეობითი გეოგრაფიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. აღნიშნული წიგნებით სწავლობდა ქართველი ახალგაზრდობის მრავალი თაობა სიყვარულს მშობლიური ქვეყნისადმი[1].

დაარსების დღიდან ლიკვიდაციამდე საზოგადოებამ გამოსცა 250-ზე მეტი დასახელების წიგნი, რაც მის დიდ ეროვნულ საქმიანობაზე მეტყველებს. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით დაარსდა ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონი. მოეწყო საქართველოში პირველი იუბილე რაფიელ ერისთავის სამწერლო მოღვაწეობის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით და სხვ.

საზოგადოება ცარიზმის სასტიკი რეაქციის პერიოდში იღვწოდა ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, მწერლობისა და საერთოდ კულტურულ ტრადიციების დაცვა-განვითარებისათვის[2].

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას საქართველოს ქალაქებსა და დაბა-სოფლებში ჰყავდა თავისი რწმუნებულები, ანუ აგენტები. მათ მოვალეობას შეადგენდა საზოგადოებაში ახალ წევრთა მიზიდვა, საწევრო გადასახადების აკრება, საქველმოქმედო ხასიათის ღონისძიებების ჩატარება, ქართული სკოლების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებისათვის ხელის შეწყობა და ა. შ.

1884 წელს გაზეთი „დროება" იუწყებოდა: „ქუთაისში განათლებულ ახალგაზრდებს განუზრახავთ „წერა-კითხვის საზოგადოების" განყოფილების შედგენა. ამ სასიამოვნო განზრახვის მალე სისრულეში მოყვანა მით უფრო სასურველია, რომ ამ „განყოფილებას" განუზრახავს სახელმძღვანელოებისა და სახალხო საკითხავი წიგნების თარგმნა, შედგენა და გამოცემა", მაგრამ ეს იდეა არ განხორციელებულა[3].

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებული ქუთაისში და საერთოდ, დასავლეთ საქართველოში ხანგრძლივი

---

[1] ა. იოსელიანი, ქართული ეროვნულ-კულტურული და სამეურნეო საზოგადოება-დაწესებულებანი რეაქციის წლებში, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 658.

[2] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბ., 1986, გვ. 463.

[3] გაზ „დროება", 1884, 7 თებერვალი, № 28.

დროის მანძილზე იყო კირილე ლორთქიფანიძე, მისი ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით წერა-კითხვის საზოგადოება დასავლეთ საქართველოში ატარებდა ბევრ ისეთ ღონისძიებას, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქართული მოსახლეობის არა მარტო წიგნიერების, არამედ ეროვნული თვითშეგნებისა და სოციალური საკითხებით დაინტერესებას. კ. ლორთქიფანიძე პირველ რიგში ცდილობდა საზოგადოებაში ახალი წევრების მიზიდვას და საწევრო გადასახადების სრულად და ვადამდე აკრებას. ამ მხრივ საინტერესოა მის პირად ფონდში დაცული ერთი დოკუმენტი, რომელიც 1887 წლის 3 თებერვლითაა დათარიღებული. დოკუმენტში კ. ლორთქიფანიძე ასე მიმართავს საზოგადოების ერთ-ერთ წევრს: „თქვენის სურვილის თანახმად, თქვენ შერიცხული ბრძანდებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილ წევრად 1879 წლიდან. წევრი ნამდვილი წესდების მეშვიდე პარაგრაფის მეორე მუხლის ძალით, მოვალეა წარმოუდგინოს საზოგადოების გამგეობას ყოველწლივ ექვსი მანეთი. ამის მიხედვით, თქვენზე ითვლება ექვსი წლის შემოსატანი საწევრო ფული 36 მანეთი... უმორჩილესად გთხოვთ მიბოძოთ ამა 1887 წლის შემოსატანი საწევრო ფული ექვსი მანეთი და ამასთანავე წინა წლების შესავსებად ოთხი მანეთი, სულ ათი მანეთი, რომლის მიღებისთანავე თქვენ მოგერთმევათ ჩემგან ჯეროვანი კვიტანცია."[1]

საზოგადოების გამგეობა ხშირად მიმართავდა კ. ლორთქიფანიძეს კიდევ უფრო გაეფართოებინა თავისი მუშაობა საწევრო გადასახადების აკრების საქმეში. ამ საკითხზე კ. ლორთქიფანიძეს ეგზავნებოდა სპეციალური მიმართვები ილია ჭავჭავაძის თუ მისი მოადგილის ნ. ცხვედაძის ხელის მოწერით.[2]

საზოგადოების დავალებით კ. ლორთქიფანიძე ნაყოფიერად შრომობდა ძველი ხელნაწერებისა და წიგნების შესაგროვებლად. 1889 წლის 14 დეკემბერს ილია ჭავჭავაძე წერდა კ. ლორთქიფანიძეს: „გამგეობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა უმორჩილესად გთხოვთ გამოუგზავნოთ საზოგადოების წიგნთსა-

---

1 ქიმ, ფონდი 2173, საბ. 1151.
2 იქვე, საბ. 563, 1048, 1049, 1151.

ცავს ძველი წიგნები, რომელიც თქვენთვის გადმოუცია ი. ბაქრაძეს[1]

დასავლეთ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გატარებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქუთაისში ქართული სკოლის დაარსებას, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო მოწინავე ინტელიგენციამ კ. ლორთქიფანიძის მეთაურობით.

1879 წლის 28 აპრილს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის კრებამ დაადგინა: ბანკის მოგებიდან გადაიდოს საჭირო თანხა (8000 მან.) სათავადაზნაურო სკოლის დასაარსებლად და ეთხოვოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას თავის თავზე აიღოს სკოლის მოწყობა და მართვა-გამგეობა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ 1879 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე განიხილა ზემოაღნიშნული თხოვნა და გადაწყვიტა, რომ მისი სახელით და სათავადაზნაურო ბანკის მატერიალური დახმარებით დაარსებულიყო ქუთაისში პირველდაწყებითი სკოლა ორი განყოფილებით.

1880 წლის 3 თებერვალს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა ქუთაისში, რომლის გამგედ დაინიშნა გამოცდილი და ენერგიული პედაგოგი ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე.

სკოლისაკენ ლტოლვა სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობისა იმდენად დიდი იყო, რომ სამზრუნველო კომიტეტი იძულებული შეიქნა პარალელური კლასები გაეხსნა.

როგორც აღენიშნეთ, დაარსებისთანავე სკოლაში გაიხსნა პირველი ორი განყოფილება, ხოლო შემდეგი ორი წლის განმავლობაში მათ მიემატა მესამე და მეოთხე განყოფილებაც.

პირველად 1882 წლის ივნისში მოსწავლეებმა დაასრულეს ოთხი განყოფილება[2]. მაგრამ ვინაიდან სკოლა უუფლებო იყო, მათ არ ჰქონდათ უფლება სხვა სასწავლებლებში შესულიყვნენ.

---

[1] ქიმ, ფონდი 2173, საქ. 1047.

[2] ტ. რ. ხუნდაძე, ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 14.

სკოლის მზრუნველი კომიტეტი და მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები ცდილობდნენ სასწავლებელი უფლებამოსილ გიმნაზიად გადაექცეთებინათ, რომ კურსდამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება ჰქონოდათ. ცდას შედეგი მოჰყვა და 1882-83 სასწავლო წლის დამდეგს მთავრობის ნებართვით გაიხსნა პირველი პროგიმნაზიული კლასი, შემდეგ ყოველ წელს ემატებოდა თითო კლასი 1886 წლამდე, სანამ სასწავლებელმა ოთხკლასიანი პროგიმნაზიის სახე არ მიიღო[1].

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში სწავლობდნენ არა მარტო ქუთაისელი ახალგაზრდები, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლეებიც. ამასთან დაკავშირებით საზოგადოება სურვილს გამოთქვამდა, რომ სასწავლებელი როგორმე დაახლოვებოდა იმ რაიონებს, რომელნიც შორს იყვნენ ქუთაისიდან. ამავე დროს ამის მიზანი ისიც იყო, რომ მოსწავლეთა მშობლებისათვის შეემსუბუქებინათ „მომეტებული ხარჯი", რასაც ისინი სწევდნენ შვილების აღზრდისათვის. ამის გამო დაიბადა აზრი სკოლის პარალელური განყოფილებები გადაეტანათ გურია-სამეგრელოში[2]. მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც სხვა იყო, რაც მდგომარეობდა შემდეგში: 80-იანი წლები მთელს რუსეთში და საქართველოშიც რეაქციის თარეშით აღინიშნა, რაც სხვა უარყოფით ღონისძიებებთან ერთად იმითაც გამოიხატა, რომ მთავრობის მოხელეები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ სკოლებში ქართულად სწავლებისათვის. მათ იერიში მიიტანეს სამეგრელოზე და მოითხოვეს სკოლებიდან ქართული განედევნათ და სწავლება მეგრულ ენაზე შემოეღოთ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი. მან ამ მიზნის განსახორციელებლად „მეგრული ანბანი" შეამუშავებინა და შეუდგა მეგრული სახელმძღვანელოების შედგენას. ამ გაუგონარი მკრეხელობის წინააღმდეგ აღსდგა მთელი ქართველი ხალხი და სამეგრელოს მოსახლეობა. რადგან წერა-კითხვის გამავრცელებელ

---

[1] ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში ქცსა), ფონდი 9. საქ. 47. ფურც. 37.

[2] იქვე, ფურც. 37.

საზოგადოებას ასეთ რთულ ვითარებაში სკოლის გახსნის ნებართვას არავინ მისცემდა, 1884 წელს გამგეობამ ქუთაისის ქართული სკოლის პარალელური განყოფილებები ძველ სენაკში გადაიტანა, როგორც ქუთაისის სასწავლებლის ფილიალი. წერა-კითხვის საზოგადოებამ სკოლის ინსპექტორად (გამგე) დანიშნა განათლებული და ერუდირებული მასწავლებელი სამსონ ყიფიანი.

ძველი სენაკის სკოლამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამეგრელოში ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას, ქართული ენისა და კულტურის განმტკიცების საქმეს. ცარიზმის მოხელეები ამ სკოლის მნიშვნელობას კარგად ხედავდნენ და მის მესვეურებს შეუნელებლად ებრძოდნენ, მაგრამ უშედეგოდ. 1887 წლიდან 1918 წლამდე ყოველწლიურად სენაკის სკოლის კურსდამთავრებული 15-20 ახალგაზრდა შედიოდა უგამოცდოდ ქუთაისის ქართული სკოლის პირველ კლასში.[1]

1905 წელს ქუთაისის სათავდაზნაურო სკოლა გიმნაზიად გადაკეთდა და მას ნება დაერთო წარჩინებულ მოსწავლეთათვის მიეცა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება.

ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიას სხვადასხვა დროს განაგებდნენ: ალექსი ჭიჭინაძე, სპირდონ ჯორჯიკია, ვასილ ყიფიანი, სიმონ ღოღობერიძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, ხოლო 1901 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ივანეს ძე ოცხელი (1865-1919).

ი. ოცხელი დიდი გატაცებითა და ენთუზიაზმით შეუდგა მასზე დაკისრებულ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულებას. თავისი საპატიო მისიის შესასრულებლად მან გარს შემოიკრიბა იმდროინდელი ცნობილი მასწავლებლები და საზოგადო მოღვაწეები: სილოვან ხუნდაძე, სამსონ ყიფიანი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, გერასიმე ცაგარეიშვილი, სერგო რობაქიძე, დომენტი ოყრუშიძე (თომაშვილი), თომა მთავრიშვილი, სიმონ ოცხელი, იასონ ნიკოლეიშვილი და სხვ.

---

[1] ტ. რ. ხ უ ნ დ ა ძ ე. ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 18.

ქართულ გიმნაზიაში მოღვაწეობდნენ აგრეთვე შემდეგში ცნობილი მეცნიერები, აკადემიკოსები: დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, გიორგი ახვლედიანი, პროფესორი ტროფიმე ხუნდაძე და სხვ. საერთოდ, იმდროინდელი გიმნაზია ცნობილ მოღვაწეთა საკრებულო იყო. გამოჩენილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი იგონებდა: „ქართული გიმნაზია თავის გამგიდან — დაუვიწყარ იოსებ ოცხელიდან დაწყებული უკანასკნელ მასწავლებლამდის — შეგროვება იყო ერთგვარი ფანატიკოსებისა, ყოველგვარი იდეით გატაცებულებით, რომელნი განსხვავებული გატაცებით მუშაობდნენ მომავალი თაობის აღსაზრდელად“.[1]

ქართული გიმნაზიის და ი. ოცხელის მოღვაწეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა. ი. ოცხელი და მის გარშემო შემოკრებილი პედაგოგები ს. ხუნდაძე, ს ყიფიანი, გ. ცაგარეიშვილი, ა. გარსევანიშვილი, დ. ოყრეშიძე, ა. ჯანელიძე, დ. უზნაძე, ს. რობაქიძე არაერთი სახელმძღვანელოების ავტორები იყვნენ და ქართველი მოსწავლეები მათ წიგნებზე იზრდებოდნენ.[2]

ქართული გიმნაზიის მასწავლებლები და მოსწავლე ახალგაზრდობა არაერთხელ გამოსულა ცარიზმისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. უნდა აღინიშნოს, რომ გიმნაზია წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას დასავლეთ საქართველოში. მის აღსაზრდელებს მრავალჯერ უსახელებიათ თავი რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობით[3].

დღეს გიმნაზიის სახელოვან ტრადიციებს აგრძელებს მის ფუნდამენტზე აღმოცენებული მე-2 საშუალო სკოლა, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა მთელს ქალაქში.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა, როგორც უკვე აღინიშნა, თავის ურთიერთობას რაიონებთან რწმუნებულების (აგენტების) საშუალებით ახორციელებდა, მაგრამ იმის

---

[1] დ. კლდიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 177.
[2] ი. გენძეხაძე, ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები. ტ. XXV, ქუთაისი, 1963, გვ. 122.
[3] იხ. დაწვრილებით. ტრ. ხუნდაძე, ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 52-69.

გამო, რომ საზოგადოების მუშაობა ყოველწლიურად სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა, პროვინციებთან რწმუნებულების საშუალებით ურთიერთობა უკვე აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა. ამიტომ დაისვა საკითხი ადგილებზე საზოგადოების განყოფილებათა შექმნის შესახებ, რასაც ძველი წესდება არ ითვალისწინებდა. ამიტომ 1907 წლის 21 მარტს დამტკიცებულ იქნა ახალი წესდება. განყოფილებების შექმნამ კი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობა უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა და ნაყოფიერი გახადა.

განყოფილებების შესაქმნელად გამგეობამ შეიმუშავა სპეციალური ინსტრუქცია: ადგილებზე იქმნებოდა საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც უნდა შეედგინა წერა-კითხვის საზოგადოების წევრობის მსურველთა სია. მასში არანაკლებ 30 წევრისა უნდა ყოფილიყო. იგი ეგზავნებოდა დასამტკიცებლად მთავარ გამგეობას. ამის შემდეგ ადგილებზე იმართებოდა სხდომა, რომელიც გამგეობის წინაშე აყენებდა საკითხს განყოფილების დაარსების შესახებ. შემდეგ კი კრება ირჩევდა განყოფილების გამგეობას, აგრეთვე განსაზღვრავდა თავის სამოქმედო რაიონს.

გამგეობის კომპეტენციაში შედიოდა: წევრების მიზიდვა, საწევრო ანარიცხების აკრეფა, სკოლების გახსნა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსება და მათი ხელმძღვანელობა, ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოებისა და თეატრალური წარმოდგენების გამართვა, ლექციების ორგანიზაცია, ცნობილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა იუბილეების მოწყობა, საზოგადოების გამოცემათა გავრცელება, ზრუნვა განყოფილების ნივთიერ საშუალებათა გაძლიერებაზე.

ფილიალის სახსრების 20% (1916 წლიდან 10%) მთავარ გამგეობას უნდა გადაგზავნოდა.

პირველ წლებში განყოფილება საზოგადოების საერთო კრებაზე თავის წარმომადგენელს გზავნიდა, 1917 წლიდან საზოგადოების საერთო კრება განყოფილებათა დელეგატების ყრილობით შეიცვალა.

ახალი წესდების ძალით 1909-1910 წლების განმავლობაში გაიხსნა 12 განყოფილება, ხოლო 1913 წლის დამლევს საზოგადოება აერთიანებდა 25 განყოფილებას.[1]

1909 წელს დასავლეთ საქართველოში შეიქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რამდენიმე განყოფილება, რომელთა მიერ გაწეული საქმიანობის ზოგადად მაინც ჩვენება ინტერესმოკლებული არ იქნება.

*ქუთაისის განყოფილება* ჩამოყალიბდა 1909 წლის დასაწყისში.[2] გამგეობაში შედიოდნენ: გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი (თავმჯდომარე), იოსებ ოცხელი (თავმჯდომარის ამხანაგი), იასონ ბაქრაძე (მდივანი), იაკობ ფანცხავა, სილოვან ხუნდაძე, სამსონ ყიფიანი, ბათლომე მოსეშვილი, შემდეგ წლებში მათ შეემატათ: გიორგი ტუსკია, მარიამ ვარდოსანიძე, მელანია გველესიანი, ელისაბედ ტყეშელაშვილი, ისიდორე კვიცარიძე, სიმონ ხეჩინაშვილი, ტრიფონ ჯაფარიძე, ევტიხ ჩხარტიშვილი, გრიგოლ გიორგაძე, სერგო რობაქიძე[3].

ქუთაისი განყოფილების შექმნას ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი პრესა. გაზეთი „კოლხიდა“ წერდა: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ძირითადია ქართულ დაწესებულებათა შორის. ჭეშმარიტ ნიადაგზე აღმოცენდა ეს დაწესებულება და ფასდაუდებელიცაა მისი მიზანი... დღეს უმთავრესი მიზეზი ჩვენი ეკონომიური დაქვეითებისა და მოქალაქეობრივი სილაჩრისა არის ჩვენი გაუნათლებლობა. განათლება არის უპირველესი იარაღი, რომლის შემწეობითაც ხალხი სიბნელის ბორკილს ამტვრევს, ხალხში დამალულ გონებრივ ძალებს სამოძრაოთ იწვევს... განათლება ქმნის ჭეშმარიტ კულტურას, რომელსაც ერი ნეტარებაში შეყავს. განათლება დაამყარებს ქვეყნიურ კეთილდღეობას, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა იგი უმცირესობის კერძი არ იქნება, როცა იგი ზოგად მოვლენათ იქცევა.

---

[1] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლის, თბ., 1915, გვ. 5.
[2] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქ. (შემდეგში საქ. ცსსა), ფონდი 481, ანაწ. I, საქმე 1581, ფურც. 41.
[3] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების 1912 წლის ანგარიში, ქუთაისი, 1912, გვ. 1.

აი, ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი ჭირისუფლები, როცა აარსებდნენ ამ საზოგადოებას. ეს საზოგადოება ხსნის შკოლებს, აარსებს წიგნსაცავ-სამკითხველოებს, ავრცელებს ჟურნალ-გაზეთებს და ბეჭდავს სხვადასხვა სასარგებლო შინაარსის წიგნებს. ამგვარი საშუალებით შეაქვს მას ხალხში განათლების სხივი, რითაც თანდათან უკაფავს გზას საუკეთესო მომავლისაკენ. ამ ბოლო დროს საბედნიეროთ თანდათან შეიგნო ჩვენმა საზოგადოებამ ამ დაწესებულების მნიშვნელობა და წევრთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს[1]".

ქუთაისის განყოფილების სამოქმედო ასპარეზი იყო ქუთაისის, რაჭის, ლეჩხუმის, შორაპნის, მაზრები. 1909 წელს განყოფილებას ჰყავდა 89 წევრი, 1910 წელს — 114, 1911 წელს — 176, ხოლო 1912 წელს — 338 წევრი[2].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების საქმიანობასთან ახლოს მდგომი ილია ბახტაძე თავის მოგონებებში წერს: „...ქუთაისის განყოფილებამ თავდაპირველად, როდესაც მუშაობა დაიწყო, ძალიან ცოტა წევრები ჰყავდა. მაგრამ მალე აქ, წევრების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. დიდი ავტორიტეტი გიორგი ზდანოვიჩისა და იოსებ ოცხელის საკმარისი შეიქმნა იმისათვის, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას დიდი რაოდენობით მოეზიდა საზოგადოებაში წევრებად ქართველი მოწინავე ყველა ინტელიგენტი, საზოგადო მოღვაწე, ხელოსანი, მუშა და ნოქარი"[3]. და მართლაც 1913 წელს საზოგადოების წევრთა რიცხვმა 406 კაცს მიაღწია.

---

[1] გაზ. „კოლხიდა", 1912. 1 მარტი, № 47.

[2] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების 1913-1914 წლის ანგარიში, ქუთაისი, 1915, გვ. 4.

[3] ი. ბახტაძე, ცოტა რამ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებაში 1909-1912 წლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ, გვ. 4. (დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში, ხელნაწერთა წიგნი 65).

საზოგადოების ბიუჯეტი 1910 წელს 1453 მანეთს შეადგენდა, 1911 წელს — 3235 მანეთს, ხოლო 1913 წელს — 10662 მანეთსა და 61 კაპიკს[1].

საზოგადოებას ნინო (პუპი) აბაშიძემ შესწირა ხუთი ათასი მანეთად ღირებული მამული; გრიგოლ გველესიანმა — 1500 მანეთი; ვასილ ქორქაშვილმა — 16 ქცევა მამული; სიმონ მაჭავარიანმა — უძრავ-მოძრავი ქონება სოფელ დიმში[2], ზურაბ გველესიანმა — 1500 მანეთი; გიორგი ზდანოვიჩმა — 100 მანეთი[3], ტერეზია კაშიამ საზოგადოებას უანდერძა ქუთაისში ივანოვის ქუჩაზე მდებარე თავისი სახლი[4].

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახალხო წიგნსაცავ-სამკითხველოების დაარსებას.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების დაარსებამდე ქალაქში არსებობდა ბიბლიოთეკა, რომლის შექმნის მოკლე ისტორია ასეთია: 1896 წელს ქუთაისელმა მანდილოსნებმა შეადგინეს საინიციატივო ჯგუფი იაფფასიანი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დასაარსებლად, მასში შედიოდნენ: ეკატერინე ნიკოლაძე, ანასტასია ბაქრაძე და ოლიმპია ქორქაშვილი[5]. იმავე წლის 5 თებერვალს არჩეულ იქნა წიგნსაცავის დამაარსებელი კომიტეტი, რომელმაც თხოვნით მიმართა ქართველათა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას გაეხსნა ქუთაისში ბიბლიოთეკა-სამკითხველო. მან თავის მხრივ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომელმაც დააკმაყოფილა თხოვნა და 1896 წლის 29 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბიბლიოთეკა. მას ეწოდა ეპისკოპოს გაბრიელის სახელი. გამგედ დანიშნეს ელენე ჯინოშვილი.

---

[1] ტრ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960, გვ. 95.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 481, ანაწ. I, საქ. 1561, ფურც. 41.
[3] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა, თბ., 1915, გვ. 67.
[4] გაზ. „იმერეთი", 1914, 15 აპრილი, № 30.
[5] ი. ჩხიტუნიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 99.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ყოველწლიურად იზრდებოდა და 1899 წელს 2200 ბიბლიოგრაფიულ ერთეულს მიაღწია, ხოლო 1902 წლისათვის 3400 ერთეულს.

ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდა შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „მოამბე“, „კრებული“, „კვალი“, „ივერია“, „ჯეჯილი“, „მწყემსი“, „მეურნე“, „ცნობის ფურცელი“, „კავკაზი“, „ნივა“, „რუსსკაია ვედომოსტ“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ.

ქუთაისის ბიბლიოთეკას დიდ დახმარებას უწევდნენ როგორც ფულადი სახსრებით, ასევე წიგნების შეწირვით. 1911 წელს ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გამართულ საღამოდან წმინდა შემოსავალი დარჩენილა 500 მანეთი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ე. ჯინოშვილი გაზეთ „კოლხიდას“ საშუალებით მადლობას უცხადებდა იმ პირთ, ვინც აღნიშნულ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო.[1] შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ბიბლიოთეკას უანდერძა 500 მანეთი, საურთიერთო ნდობის კრებამ — 50 მანეთი, ბაქოს ქართველობამ 150 მანეთი. ქუთაისელმა ნოქრებმაც გაიღეს თავიანთი წვლილი 45 მანეთის ოდენობით.[2]

ბიბლიოთეკის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აკაკი წერეთელი, პ. წულუკიძე, ი. მატარაძე, ნ. ღოღობერიძე და სხვ. ბიბლიოთეკამ ქუთათურ მკითხველთა დიდი სიყვარული და მხარდაჭერა მოიპოვა და გარკვეული როლი შეასრულა ქალაქის მშრომელთა ცოდნის დონის ამაღლებისა და წიგნის პოპულარიზაციის საქმეში.

1912 წლის იანვრისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას უკვე ჰქონდა რვა ბიბლიოთეკა. ამავე წელს ახალი ბიბლიოთეკები გაიხსნა სოფლებში — დიმი, წესი, აგარა, წკადისი და ზედა მაღლაკი. ასე, რომ 1912 წლის ბოლოს საზოგადოების განკარგულებაში იმყოფებოდა 11 ბიბლიოთეკა, რომელთაგან შვიდი ამავე განყოფილებამ გახსნა, ხოლო 4 მას გადასცა მთავარი საზოგადოების გამგეობამ. 1912 წელს ქუთაისის განყოფილებას ბიბლიოთეკები ჰქონდა: ქუთაის-

[1] გაზ. „კოლხიდა“, 1911, 17 მაისი. № 40.
[2] თ. ჩხიტუნიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 101-102.

ში (არქიელის გორაზე), სიმონეთში, კურსებში, ხრესილში, სვირში, სუფსაში, დიმში, წესში, მუხიანში, ქვემო ქვიტირში, ბაღდათში. ბიბლიოთეკა-სამკითხველოების რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. 1913 წლის 1 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ დაბა ლაილაშში გახსნა წიგნსაცავ-სამკითხველო,[1] 1914 წელს ხრეითსა (შორაპნის მაზრა) და სორში (რაჭის მაზრა),[2] ამავე წელს გახსნილა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები სოფელ როდინოულსა და გეგუთში, ასევე ქუთაისში ბალახვნის ქუჩაზე, რომელსაც ეწოდა დავით კლდიაშვილის სახელი.[3] ივანე ვასილის ძე სვანაძე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წინაშე შუამდგომლობდა, რათა სოფელ საყულიაში დაარსებულიყო ბიბლიოთეკა იქაური სკოლის მასწავლებლის ნინა სვანაძის პასუხისმგებლობით. ბიბლიოთეკის ხარჯს თვით ი. სვანაძე კისრულობდა. შუამდგომლობა დააკმაყოფილეს".[4]

გამგეობა ცდილობდა ბიბლიოთეკების მუშაობისათვის სათანადო პირობები შეექმნა. თუმცა ამ მიმართულებით მას სერიოზული დაბრკოლებების გადალახვა უხდებოდა, როგორც განყოფილების 1912 წლის ანგარიშიდან ჩანს, ბიბლიოთეკების უმეტესობა უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა — არ ჰქონდათ შესაფერისი ბინა, ავეჯი, მცირე იყო წიგნადი ფონდი, რაც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო იმისა, რომ ბიბლიოთეკები ვერ ახერხებდნენ მკითხველთა ფართო წრის მოზიდვას. მდგომარეობის შეძლებისდაგვარად გამოსწორების მიზნით გამგეობის მიერ გატარებულ ერთ-ერთ ღონისძიებას შეადგენდა ბიბლიოთეკებისათვის საზოგადოების განყოფილების წევრთაგან მეთვალყურის გამოყოფა.

მეთვალყურის მოვალეობას შეადგენდა წიგნის კითხვის სასარგებლო პროპაგანდა გაეწია ხალხში, დახმარებოდა ბიბლიოთეკას წიგნადი ფონდისა და მკითხველთა რაოდენობის გაზრდაში. გამგეობის გადაწყვეტილება ბიბლიოთეკებისათვის მეთვალყურის

---

გაზ. „მერცხალი", 1913, 25 ოქტომბერი, № 71
გაზ. „იმერეთი", 1914, 11 მარტი, № 5.
გაზ. „იმერეთი", 1914, 14 ივნისი, № 79.
საქ. ცსსა, ფონდი 481, ანაწ. I, საქ. 1521, ფურც. 10.

გამოყოფის შესახებ ძალაში შევიდა 1912 წლის 15 იანვრიდან და მას დადებითი შედეგები მოჰყვა.

ბიბლიოთეკების ნორმალურ მუშაობას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ არ არსებობდა სპეციალური საბიბლიოთეკო წესდება, რის გამოც მუშაობის ავკარგი მთლიანად დამოკიდებული იყო გამგის ცოდნასა და გამოცდილებაზე. გამგეობამ გაითვალისწინა რა ეს, შეადგინა ბიბლიოთეკის წესდების დაწვრილებითი პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად გაუგზავნა მთავარ გამგეობას. მართალია, ეს პროექტი არ დაუმტკიცებიათ. მაგრამ ქუთაისის განყოფილებამ იგი მაინც დაურიგა თავის გამგებლობაში შემავალ ბიბლიოთეკებს დროებითი სარგებლობისათვის. ამასთან ერთად ბიბლიოთეკებს დაეგზავნათ კატალოგის, შემოსავალ-გასავლის, წიგნების მოძრაობის და მკითხველთა აღრიცხვის სპეციალური ჟურნალები.

გამგეობა ცდილობდა ყოველწლიურად გაედიდებია ბიბლიოთეკებზე მატერიალური დახმარების ფონდი. ამ მიზნით როგორც ქუთაისში, ისე იმ დაბა-ქალაქებში, სადაც ბიბლიოთეკები არსებობდა, ხშირად იმართებოდა სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებანი, ასევე ცალკეულნი ქველმოქმედნი ხშირად სწირავდნენ თანხას ამა თუ იმ ბიბლიოთეკას ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად. მაგალითად, 1911 წლის აპრილში ქუთაისის ბაღში ელენე ჯინოშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა დიდი სეირნობა, რომლის შემოსავალი მოხმარდა გაბრიელის სახელობის ბიბლიოთეკას.[1] საჩხერის წიგნსაცავ-სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებდა ნეცა წერეთელს, რომელმაც 1911 წლის 17 ივლისს გამართული საღამოს შემოსავალი 134 მანეთი და 68 კაპიკი გადასცა განყოფილებას,[2] 1914 წელს „რადიუმში“ მოწყობილი ღონისძიების შემოსავალი გადაეცა წყალტუბოს აკაკი წერეთლის სახელობის წიგნსაცავ-სამკითხველოს წიგნადი ფონდის შევსებისათვის.[3] ასევე სოფელ მუხიანის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გაიმართა თეატრალური წარმოდგენა. ქუთაისის დ. კლდია-

[1] გაზ. „კოლხიდა“, 1911, 27 აპრილი, № 24.
[2] გაზ. „კოლხიდა“, 1911, 4 ივნისი, № 54.
[3] გაზ. „კოლხიდა“, 1914, 24 იანვარი, № 19.

შვილის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის ი. კოსტა-ვას საგრძნობი თანხა შეუწირავს.[1]

ეს თანხები ნაწილდებოდა ბიბლიოთეკებს შორის. ასე მაგალითად, 1911 წელს გამგეობამ დაწყებული სამუშაოს დასამთავრებლად 150 მანეთი მისცა მუხიანის ბიბლიოთეკას, ასევე ყველა ბიბლიოთეკას გამოეყო ათი მანეთი წიგნების კარადების შესაძენად. გამგეობა თავის ბიუჯეტიდან თითოეულ ბიბლიოთეკას უწერდა: ორ ყოველდღიურ და აგრონომიულ გაზეთს, საყმაწვილო ჟურნალს და სხვ.

გარდა სარაიონო ბიბლიოთეკებისა, წერა-კითხვის ქუთაისის განყოფილება 20 სკოლას უწერდა ჟურნალებს: „ჯეჯილსა“ და „ნაკადულს“. სენაკის მაზრაში: ფოცხის ორკლასიან სკოლას, ეკისის, გეჯეთის, კოდრის; ზუგდიდის მაზრაში: ხიბულის, ნარაზენის, ჭოლის, საჯიჯაოს, კირცხის; ოზურგეთის მაზრაში: საჯავახოს სამრევლო სკოლას; რაჭაში: უწერის სამ სკოლას, აგრეთვე თლუღის; ლეჩხუმის მაზრაში: ტვიშის სამ სკოლას, მექვენის, დერჩის; ქუთაისის მაზრაში: ჯვარისას, წყნორის, ხომულის, ახალჭალის და აჭარა წყლის.

გამგეობა თავის სამკითხველოებს წიგნებითაც ეხმარებოდა. თითოეულ მათგანს გაუგზავნა 15 მანეთის წიგნი, ასევე ზოგიერთ ხელმოკლე ბიბლიოთეკას შეუძინა წიგნების შესანახი კარადები.[2]

1913 წელს განყოფილების გამგეობაში იმყოფებოდა 18 ბიბლიოთეკა, რომელთაგან 14 მის მიერ იყო გახსნილი. ბიბლიოთეკების საერთო ხარჯთაღრიცხვა 1100 მანეთს შეადგენდა. ყოველწლიურად განყოფილების ბიბლიოთეკებს დაახლოებით 31640 მკითხველი ჰყავდა. თითო სამკითხველოში ყოველდღიურად საშუალოდ 7 მკითხველი შედიოდა. შედარებით მცირე იყო წიგნების სახლში გაცემის რიცხვი, რაც ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის სიღარიბით უნდა აიხსნას. ყველა ბიბლიოთეკიდან წლის განმავლობაში გაიცემოდა 2694 წიგნი, საშუალოდ 150 წიგნი თითოეულიდან. 1913 წელს განყოფილებამ ბიბლიოთეკებზე დახარ-

[1] გაზ. „სამშობლო“, 1913, 5 თებერვალი, № 278.
[2] გაზ. „იმერეთი“, 1912, 20 დეკემბერი, № 71.

ჯა 1297 მანეთი, ე. ი. თითოეულ მათგანზე საშუალოდ 72 მანეთი.[1] ბიბლიოთეკების მუშაობის ყველაზე სუსტ ადგილს საკუთარი ბინის უქონლობა წარმოადგენდა. 1913 წლისათვის საკუთარი შენობა ჰქონდათ მუხიანისა და ზედა მაღლაკის ბიბლიოთეკებს. ამავე წელს აიგო წყალტუბოსა და ამბროლაურის ბიბლიოთეკების შენობებიც. 1917 წლისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას უკვე 39 ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჰქონდა. მათ შორის 3 ქალაქ ქუთაისში: შოთა რუსთაველის (ბალახვნის ქ.), აკაკი წერეთლისა (არქიელის გორაზე) და დავით კლდიაშვილის (საფიჩხიაზე) სახელობისა.[2]

შოთა რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკას საკმაოდ მოზრდილი ოთახი ეკავა, რომლის კედლებს ამშვენებდა ქართველ მწერალთა პორტრეტები. ბიბლიოთეკას მოდიოდა მრავალი ჟურნალ-გაზეთი, სახელდობრ: „თანამედროვე აზრი", „ზვირთი", „განათლება", „მეგობარი", „თეატრი და ცხოვრება", „ნაკადული", „სამშობლო", „სასოფლო გაზეთი", „საქართველო", „სახალხო გაზეთი", „ჯეჯილი", „რუსსკი ვედომოსტი", „ოგონიოკი", „კავკაზსკი ტელეგრაფი" და სხვ. წიგნადი ფონდი შედგებოდა 862 ქართული და 492 რუსული ეგზემპლარისაგან. 1916 წელს სამკითხველოს ჰყოლია 8452 მკითხველი.[3]

ბიბლიოთეკის მზრუნველი წრე საკმაოდ ენერგიულ და შრომატევად მუშაობას ეწეოდა, რასაც დიდი სარგებლობა მოჰქონდა ახალგაზრდობის სულიერად აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სამკითხველოთა მეთვალყურეს მელიტონ დოლაბერიძეს, ქობულეთის ბიბლიოთეკისათვის მთავრიშვილისა და ამხანაგობის, ძმები ოცხელების წიგნის მაღაზიებმა გადასცეს შოთა რუსთაველის, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის,

---

[1] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ანგარიში 1913-1914 წლის, ქუთაისი, 1915, გვ. 9-10.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 481, ანაწ. I, საქ. 1581, ფურც. 24.

[3] ჟურ. „განათლების" დამატება, № 4-5, 1917, გვ. 31.

ივანე გომართელის პორტრეტები, ხოლო გაზეთ „იმერეთის" რედაქციამ ილია ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ე. ნინოშვილის სურათები.[1]

განყოფილების მიზანს წარმოადგენდა გაეხსნა სკოლები ისეთ ადგილას, სადაც უფრო საჭირო იყო მისი დახმარება და ქართული წერა-კითხვის გავრცელება. ასეთ კუთხედ გამგეობამ ჩათვალა აჭარა, სადაც ცხოვრობდნენ მაჰმადიანი ქართველები. ამ მიზნის განსახორციელებლად 1914 წლის 12 ივნისს გამგეობას დაუდგენია: „აღიძრას სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა ქობულეთში გაიხსნას პირველდაწყებითი ორგანყოფილებიანი სასწავლებელი. ამ სასწავლებელში მომავალ სექტემბრიდან უნდა გაიხსნას პირველი განყოფილება და შემდეგ ყოველწლობით თითო განყოფილება მიემატოს.[2]

აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად გამგეობამ ქობულეთში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი, რომელსაც მოსახლეობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ქუთაისის განყოფილებამ მთავარი გამგეობის საშუალებით მთავარმართებლის წინაშე აღძრა შუამდგომლობა სკოლის გახსნის შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, არ დააკმაყოფილეს.

ქუთაისის გამგეობამ 1912 წლის 4 მარტს კრებაზე დააყენა საკითხი ქალაქის ებრელთა უბანში სკოლის გახსნის შესახებ,[3] მაგრამ ეს საქმე სხვადასხვა მიზეზის გამო შემდეგისათვის გადაიდო.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნაყოფიერმა მოქმედებამ შესაძლებელი გახადა საქართველოში გახსნილიყო ორი ქართული გიმნაზია — თბილისსა და ქუთაისში. ქართული გიმნაზიის კურსდამთავრებულებს უფლება ჰქონდათ უმაღლესი განათლება მიეღოთ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო უმაღლესი განათლების მსურველთათვის წასულიყვნენ რუსეთის თუ საზღვარგარეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში. დახმარების ერთ-ერთ საშუალებას შეადგენდა წერა-კითხვის საზოგადოების

---

1 გაზ. „იმერეთი", 1914, 28 აგვისტო, № 140.
2 გაზ. „იმერეთი", 1914, 14 ივნისი, № 79.
3 გაზ. „კოლხიდა", 1912, 6 მარტი, № 51.

სტიპენდიები, რომლებიც ეძლეოდათ ხელმოკლე სტუდენტებს. მართალია, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას თავისი საკუთარი სასტიპენდიო ფონდი არ ჰქონდა, მაგრამ მას ხშირად მიმართავდნენ უმაღლესი განათლების მიღების მსურველი ახალგაზრდები, ეშუამდგომლა მთავარი გამგეობის წინაშე დახმარების მიღების საკითხზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივში ამ საკითხზე დაცულია არა ერთი საინტერესო დოკუმენტი. მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძე 1915 წელს ქუთაისის წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებას მიმართავდა შემდეგი თხოვნით: „საშინელ მატერიალურ გაჭირვებას ჩვენში ბევრი ახალგაზრდა მწერალი განიცდის, მაგრამ სულ სხვაგვარია ჩემი მდგომარეობა: მე შვილი ვარ უღარიბესი მშობლების, ვერავითარ დახმარებას ოჯახიდან ვერ ვიღებ. არც მეგობრები, არც დამხმარე მყავს ისეთები, რომ შემეძლოს თავი დავახწიო იმ მდგომარეობას, რომელშიდაც დღეს ვიმყოფები. ჩემი ბავშვობიდანვე გულში ჩანერგილი სურვილი: უმაღლესი განათლება მიმეღო, სურვილათვე დარჩა და საუკეთესო იმედები სიღარიბემ სრულიად გამინადგურა. ერთად-ერთი გზა, რომლის მიღწევასთან სრულიად გამოიცვლება ჩემი ცხოვრება, ეს არის სტიპენდიის დანიშვნა ჩემთვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან (თავისუფალია ათი სტიპენდია). ამით მე შეძლება მომეცემა შევიძინო განათლება მოსკოვში შ ა ნ ი ა ვ ს კ ი ს უნივერსიტეტში. უმორჩილესად ვთხოვ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას შევიდეს ჩემს მდგომარეობაში და მიშუამდგომლოს თბილისის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. მე დარწმუნებული ვარ ქუთაისის წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება ყურადღებას მიაქცევს ჩემს თხოვნას და უარს არ მეტყვის დახმარებაზე."[1]

ანალოგიური თხოვნებით მიმართავდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას: კონსტანტი-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 481, ანაწ. I, საქ. 1555, ფურც. 157.

ნე გამსახურდია, ვარლამ დონდუა, აკაკი პაპავა, ტერენტი ყურაშვილი და სხვ[1].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ განიზრახა სტამბის დაარსება. როცა ამ საკითხს წყვეტდა, გამგეობა სამი ძირითადი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა: 1. ქ. ქუთაისში სტამბის საქმის მაღალ დონეზე დაყენება, 2. განყოფილების საგამომცემლო საქმის გაადვილება და 3. მუდმივი შემოსავლის წყაროს შექმნა[2].

გამგეობამ თავისი გადაწყვეტილება სტამბის დაარსების შესახებ მოახსენა განყოფილების წევრთა საგანგებო კრებას, რომელიც გაიმართა 1912 წლის 25 ნოემბერს. კრებამ თავის მხრივ მოიწონა გამგეობის პროექტი და მიზანშეწონილად ცნო სტამბის დაარსება, რომელიც მუშაობას შეუდგა 1913 წლის 14 ნოემბრიდან[3].

ივ. პურადაშვილი იგონებდა: „საუცხოვო სტამბა იყო გამოწერილი გერმანიიდან, ყოველივე საჭირო მასალებით და გაიმართა სტამბა წითელ ხიდთან, ქალაქის თვითმმართველობის შენობაში, ქვემო სართულში. სტამბის გამგეთ იყო მელიტონ დოლაბერიძე"[4].

სტამბის დაარსებამდე გამგეობამ ე. ხელაძისა და ი. კილაძის სტამბაში დაბეჭდა ეკ. გაბაშვილის ორი საბავშვო მოთხრობა „თინას ლეკური" და „მაგდანას ლურჯა". აღნიშნული გამოცემების დიდი ნაწილი უფასოდ დაურიგდა წიგნსაცავ-სამკითხველოებსა და სკოლებს. ასევე „საზოგადოებამ" 1910-1911 წლებში ფერაძისა და კილაძის სტამბებში დაბეჭდა პოლევოის „ორი მეგობარი" და პალმის „მათიკო და მისი გიშერა".

სტამბის დაარსების შემდეგ განყოფილებამ თავისსავე გამომცემლობაში დაბეჭდა: ვუჩეტიჩის „წითელი ფარანი", ეკ. გაბაშვილის „ღვინია გადაიჩეხა", „ოჯახის ბურჯი", შიო მღვიმელის

---

[1] იქვე, ფურც. 6. 76. 104, 302.

[2] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ანგარიში 1913-1914 წლის, ქუთაისი, 1915, გვ. 11.

[3] იქვე, გვ. 11.

[4] ი. პურადაშვილი, მოგონებანი, II, გვ. 178. (დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ხელნაწერთა წიგნი 595).

„რჩეული ლექსები", „ქართული ანბანი" (შემდგენლები: ი. ოცხელი, თ. მთავრიშვილი, ს. ყიფიანი), ს. ხუნდაძის „რაფიელ ერისთავი", ალ. ჯანელიძის „ეროვნული შემოქმედება", გ. გოკიელის „ხოლერა", „არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვით სავარჯიშოების კრებული" და მრავალი სხვა.

იმისათვის, რომ სტამბას მუდმივი სამუშაო ჰქონოდა და მტკიცე ნიადაგზე დაეყენებია თავისი საქმიანობა, თხოვნით მიმართა მთავარ გამგეობას გადმოეცა ქუთაისის სტამბისათვის დასაბეჭდად სახელმძღვანელოების ნაწილი იმავე პირობებით, როგორითაც მთავარი გამგეობა აბეჭდვინებდა თავის დაკვეთებს თბილისის კერძო სტამბებს. ამით მთავარ გამგეობას შესაძლებლობა ექნებოდა თავისი ინტერესების დაურღვევლად გარკვეული დახმარება აღმოეჩინა ქუთაისის ფილიალისათვის, მაგრამ სამწუხაროდ მან ზემოაღნიშნული თხოვნა ვერ დააკმაყოფილა.

1913 წელს სტამბის შემოსავალი შეადგენდა 7711 მანეთსა და 36 კაპიკს, ხოლო 1914 წელს 26701 მანეთსა და 62 კაპიკს.

სტამბის გახსნის დღიდან, 1914 წლის 1 აგვისტომდე ყოველთვიური შემოსავალი საშუალოდ აღწევდა 1028 მანეთს. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ თავისი დაღი დააჩნია საგამომცემლო საქმესაც. წიგნები იმ რაოდენობით ვერ იცემოდა, როგორც ომამდე.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის სტამბაში 1920 წლამდე 126 სახელწოდების წიგნი დაიბეჭდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ხალხში წიგნის გავრცელებისა და პოპულარიზაციის საქმეს.

განყოფილების ზრუნვის მუდმივი საგანი იყო ნივთიერ საშუალებათა გაძლიერება, რომლის ძირითადი წყარო იყო: საწევრო გადასახადი და სხვა შეწირულება სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პირების მიერ, საზოგადოების სასარგებლოდ გამართული სეირნობა, სტამბის მოგება, ყულაბებით შეგროვილი თანხა, ნაანდერძევი მამულების შემოსავალი და სხვ.

1911 წელს ელექტროთეატრ „რადიუმს" ნახევარი დღის შე-მოსავალი შეუწირავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის.[1]

1912 წელს ქალაქის ბაღში („ბულვარში") გაიმართა სეირნობა, რომელმაც საზოგადოების ბიუჯეტს შემატა 1086 მანეთი და 66 კაპიკი. ამავე წელს ყულაბებით შეგროვდა 81 მანეთი და 57 კაპიკი.

1912 წლის 27 ოქტომბერს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ ქალაქის სახალხო უნივერსიტეტთან და დრამატულ საზოგადოებასთან ერთად პეტრე ყიფიანის დახმარებით გამართა ილია ჭავჭავაძის ტრადიციული საღამო, რომლის შემოსავალი გადაეცა გამგეობას. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მოუწვევიათ ვანო სარაჯიშვილი, კავსაძე, ს. მგალობლიშვილი, ტ. უზნაძე და ქუთაისის დრამატული დასი.[2]

1913 წელს ყულაბებით შემოსულა 126 მანეთი. განყოფილების წევრთა — მელანია გველესიანის, მარიამ ვარდოსანიძის, ელისაბედ ტყეშელაშვილისა და ქუთაისელ მანდილოსანთა თაოსნობით მოეწყო საჯარო სეირნობა, რომელმაც დატოვა წმინდა შემოსავალი 1355 მანეთი და 68 კაპიკი.[3]

იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ საზოგადოებას შესწირა 60 მანეთი[4].

მე-20 საუკუნის 10-იან წლებში ქართველ საზოგადოებაში მისაბაძი ტრადიცია დამკვიდრდა: ზოგიერთი დაწესებულება და კერძო პირი მიცვალებულის გვირგვინებით შემკობის ნაცვლად თანხას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სწირავდა. მაგალითად, გამგეობა მადლობას უცხადებდა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციას, რომელმაც განსვენებუ-

---

[1] გაზ. „კოლხიდა", 1911, 24 ივნისი, № 71.
[2] გაზ. „კოლხიდა", 1911, 26 ოქტომბერი, № 170.
[3] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ანგარიში 1913-1914 წლის, ქუთაისი, 1915, გვ. 5.
[4] გაზ. „კოლხიდა", 1912, 6 მარტი, № 51.

ლი სოსო ღოღობერიძის პატივსაცემად გვირგვინების ნაცვლად საზოგადოებას შესწირა 25 მანეთი[1], ასევე ფარმაცევტებს გვირგვინების მაგივრად ურთიერთშორის შეკრებილი თანხა საზოგადოებისათვის გადაუციათ[2]. ასეთი ღონისძიებებით საზოგადოებას ერთი წლის მანძილზე შემოსვლია 273 მანეთი და 45 კაპიკი.

ამგვარად, საზოგადოება სხვადასხვა გზითა და საშუალებებით ცდილობდა გაეძლიერებინა თავისი ნივთიერი მდგომარეობა და თუ შევადარებთ ერთმანეთს ყოველი წლის ანგარიშს, დავრწმუნდებით, რომ გამგეობის მოქმედება ამ მიმართულებით სულ უფრო და უფრო ნაყოფიერი ხდებოდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა დაკავშირებულია იმ ნათლითმოსილ პიროვნებებთან, რომლებიც მზად იყვნენ ყოველგვარი პიროვნული, კერძო, მსხვერპლად მიეტანათ საერთო-სახალხო, ეროვნული საქმის საკეთილდღეოდ. ესენი იყვნენ: გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), დავით კლდიაშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, სილოვან ხუნდაძე. კიტა აბაშიძე, იოსებ ოცხელი, დიმიტრი ნაზარიშვილი, სიმონ ქვარიანი, სამსონ ყიფიანი, იასონ ბაქრაძე, ვლადიმერ (ლადო) დარჩიაშვილი, ტრიფონ ჯაფარიძე, ბათლომე მოსეშვილი, სერგო რობაქიძე; ქუთაისში სახელმოხვეჭილი, მოწინავე მუშა მელიტონ ბერიშვილი, ალექსანდრე კრინიცკი; ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალები: მელანია (მელაშა) გველესიანი, ელისაბედ ტყეშელაშვილი, მარიამ ვარდოსანიძე, ელენე ჯინოშვილი, ეკატერინე (კატო) ნიკოლაძე, ელენე ხელთუფლიშვილი, ეკატერინე ხეჩინაშვილი, ლიზა მეძმარიაშვილი; სიმონ ხეჩინაშვილი, ვარლამ ბურჯანაძე, მიტროფანე ლაღიძე. ივანე პურადაშვილი, სერგო გერსამია, ალექსანდრე გარსევანიშვილი, მეთოდე კაკაბაძე, ივანე გომართელი და მრავალი სხვა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების *ხონის განყოფილების* წევრთა დამფუძნებელი კრება ჩა-

---

[1] გაზ. „იმერეთი", 1914, 25 მარტი, № 17.
[2] გაზ. „ერი", 1914, 4 იანვარი, № 3.

ტარდა 1909 წლის 11 თებერვალს,[1] ხოლო საქმიანობა დაიწყო იმავე წლის 22 აპრილს.[2] გამგეობაში შედიოდნენ ალექსი ჭიჭინაძე (თავმჯდომარე), ივანე შარაშიძე (თავმჯდომარის ამხანაგი), გრიგოლ ბურჭულაძე (მდივანი), ლ. ჩიმაკაძე, ვ. მებუკე, პ. ჩხიკვიშვილი. ს. მამალაძე, ე. ცაგარეიშვილი, მ. ქელიძე, ლ. სანოძე, შ. მიქელაძე, ე. ბახტაძე და სხვ.

1909 წელს საზოგადოებას 30 წევრი ჰყავდა. 1911 წელს — 68, ხოლო 1917 წელს — 196.[3]

განყოფილებამ განიზრახა სახალხო სახლის აგება, სადაც გაიმართებოდა თეატრალური წარმოდგენები, ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები, ჩატარდებოდა ლექციები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, მაგრამ ეს კარგი წამოწყება ვერ განხორციელდა. ამის შესახებ გამგეობა თავის ანგარიშში აღნიშნავდა: ,,მეფის მოადგილემ არ შეიწყნარა თხოვნა, რომელიც გაეგზავნა მას ჩვენგან რომანოვთა გვარის სამასი წლის იუბილეს გამო და, რომლითაც ვთხოულობდით ნებართვას შეგვეგროვებია კავკასიაში ნებაყოფლობითი შემოწირულება დაბა ხონში სახალხო სახლის ასაგებად[4].

ხონის განყოფილებაში შემოდიოდა მათხოჯის, ხონის, ნაოდალევის, გუბის და გორდის ბიბლიოთეკები, რომელთა მზრუნველობა მინდობილი ჰქონდა გამგეობის წევრს ეკატერინე ბახტაძეს. ბიბლიოთეკების მთელი ხარჯი (348 მანეთი და 52 კაპიკი) გაიღო ადგილობრივმა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. ხონის ბიბლიოთეკისათვის შეძენილ იქნა ივანე შარაშიძის სახლი. ამ საქმეს მოხმარდა სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებებში გადადებული თანხა 585 მანეთისა და 66 კაპიკის ოდენობით[5].

გამგეობას გახსნილი ჰქონდა წიგნის მაღაზია, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობაში. აქ იყიდებოდა მხატვრული ლიტერატურა და საკანცელარიო ნივთები.

---

1 საქ. ცსსა, ფონდი 481, ანაწ. I, საქ. 1150, ფურც. 49.
2 იქვე, ფურც. 16.
3 პ. ვაჰრიძე, ჭალაქ წულუკიძის ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 136.
4 საქ. ცსსა, ფონდი 481, ანაწ. I, საქ. 1150, ფურც. 114.
5 იქვე, ფურც. 116.

საზოგადოებამ ადგილობრივი ინტელიგენციის დახმარებით დააარსა თეატრალური სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პ. კიკალიშვილი და ს. მამალაძე. წარმოდგენების დადგმაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქ. ღოღობერიძე, დავითაშვილი, ლოლუა და სხვ.[1]

ხონში სავსებით მომწიფებული იყო ნიადაგი თეატრის არსებობისათვის, მაგრამ საკუთარი შენობის უქონლობა ხელს უშლიდა ამ კულტურული წამოწყების ბოლომდე მიყვანას.

საზოგადოების გამგეობამ 1916 წელს გახსნა საკვირაო სკოლა და გამართა ორი სახალხო კითხვა[2]. ხონის განყოფილების გამგებლობაში შედიოდა ივანე შარაშიძის სახელობის ფონდი (466 მანეთი), რომლის შემოსავლიდან ყოველწლიურად სწავლის ქირისაგან თავისუფლდებოდა ორი ღარიბი მოსწავლე[3].

მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობა ყოველნაირად ზღუდავდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილების მუშაობას, მან მაინც დიდი ღვაწლი დასდო ახალგაზრდობისა და საერთოდ მოსახლეობის ფართო ფენებში სწავლა-განათლებისა და წიგნიერების საქმეს.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ დაარსდა 1909 წელს. თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი სიხარულიძე, ხოლო გამგეობის წევრებად: ანეტა სიხარულიძე, ისიდორე სტურუა, მალაქია ტოროშელიძე, სოლომონ წერეთელი, დავით კვანტალიანი, ბარნაბ სურგულაძე, რაჟდენ ნანეიშვილი, ერუსდან არდიშვილი, ს. წერეთელი და სხვ.

1912 წელს განყოფილებას ჰყავდა 38 წევრი, ხოლო 1914 წელს — 61. განყოფილებას ჰქონდა წიგნსაცავი — სამკითხველოები: დაბა სამტრედიაში, სოფელ სამტრედიაში, საჭილაოში და ჯიხაიშში. ბიბლიოთეკები ღებულობდნენ თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთს და ორ რუსულ პერიოდულ გამოცემას.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამტრედიის განყოფილებასთან დაარსდა წარმოდგენების მომწყობი სექცია,

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 481, ანაწ. I, საქ. 1150, ფურც. 55.

[2] იქვე, ფურც. 52.

[3] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა, თბ., 1915, გვ. 163.

რომელსაც ხელმძღვანელობდნენ: გ. სიხარულიძე, მ. სურგულაძე და გ. ურუშაძე[1].

ამასთან დაკავშირებით გაზ. „იმერეთში" ვკითხულობთ: „ქს რამდენიმე ხანია, რაც სამტრედიაში დაარსდა წარმოდგენების მმართველი სექცია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან... წარმოდგენები თუ ყოველ კვირა არა, ორ კვირაში მაინც იმართებოდა და სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, ხალხი ყველა წარმოდგენას ბლომათ ესწრებოდა. უკანასკნელმა წარმოდგენამ მოლოდინს გადააჭარბა. ამდენი ხალხი ჩვენს თეატრში იშვიათად გვინახავს, რამდენათაც ხალხმა შეიგნო ხელოვნების მნიშვნელობა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ეროვნულ თეატრს მისი გათვითცნობიერებისათვის[2].

დრამატულ სექციას განუხორციელებია ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯის"[3], ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „ციმბირელის" და სხვ. დადგმები[4].

საზოგადოების შეუნელებელი ყურადღების საგანი იყო ქართული წარმოდგენების გამართვა, მაგრამ მუშაობის ფართოდ გაშლა მას არ შეეძლო თეატრის შენობის უქონლობის გამო.

1916 წელს გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, რათა სამტრედიაში გახსნილიყო საბავშვო ბიბლიოთეკა და ამ მიზნით გამოჰყო 100 მანეთი. 1916 წელს გამართული სეირნობიდან და წარმოდგენიდან გამგეობას შემოსვლია 626 მანეთი და 51 კაპიკი[5]. ასევე განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევდა წიგნის ვაჭრობის საქმეს და ამ მიზნით გაუხსნია წიგნის მაღაზია[6].

სენაკის განყოფილება გაიხსნა 1909 წელს. მისი ხელმძღვანელები იყვენნ ოლღა ხოფერია (თავმჯდომარე), გიორგი ბაღნარაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), პოლიკარპე ლორთქიფანიძე (მდივანი), ანასტასია ჭკადუა (ხაზინადარი), გიორგი გამზარდია, ნიკო ჯიჯიხია, მიხეილ თათარაშვილი. 1912 წელს მას ჰყავდა 46, ხოლო 1914 წელს 521 წევრი.

---

[1] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა, თბ., 1915, გვ. 149.
[2] გაზ. „იმერეთი", 1914, 25 მარტი, № 17.
[3] გაზ. „კოლხიდა", 1912, 8 თებერვალი, № 28.
[4] გაზ. „იმერეთი", 1914, 13 მარტი, № 7.
[5] ჟურნ. „განათლების" დამატება, № 4, 1916, გვ. 47.
[6] გაზ. „კოლხიდა", 1912, 10 თებერვალი, № 30.

განყოფილება თავისი ხარჯით ინახავდა ერთ და ხელმძღვანელობდა სამ სხვა წიგნსაცავ-სამკითხველოს, ხოლო 1914 წლისათვის განყოფილების მზრუნველობაში იმყოფებოდა 12 ბიბლიოთეკა-სამკითხველო: ახალ სენაკში, ბანძაში, აბაშაში, აბედათში, გურძემში, ეწერში, ლეხაინდრაოში, ნოქალაქევში, ნოსირში, ონტოფოში, სეფიეთში, წყემში. შემდეგ ბიბლიოთეკები გაიხსნა: სამიქაოში, გეზათში, გეჯეთში და ლეძაძამეში. ბიბლიოთეკებს გამოწერილი ჰქონდათ 14 ერთდროული გამოცემა.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისათვის გამგეობას შემუშავებული ჰქონდა ორი ინსტრუქცია. კერძოდ, ერთი სენაკის ბიბლიოთეკისათვის, ხოლო მეორე სოფლების ბიბლიოთეკებისათვის.

სენაკის განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევდა სკოლის საკითხს. აქ ჯერ კიდევ 1884 წელს, ფილიალური განყოფილების შექმნამდე გაიხსნა დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც წარმოადგენდა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსამზადებელი კლასების განყოფილებას.

1913-1914 სასწავლო წელს სკოლაში სწავლობდა 130 მოსწავლე. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მასწავლებლები: პოლიკარპე ლორთქიფანიძე, გიორგი ბოკერია, კირილე ძოძუაშვილი და რაჟდენ გამსახურდია.[1] სენაკის სკოლას მეურვეობდა ქუთაისის თავადაზნაურობა.

სენაკის სკოლას ჩინებული ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელშიაც 231 სახელმძღვანელო, 2075 სხვადასხვა სახის წიგნი და აგრეთვე მასწავლებელთათვის საჭირო 386 ცალი წიგნი ინახებოდა.[2]

სკოლისა და ბიბლიოთეკების სასარგებლოდ ხშირად იმართებოდა საჯარო სეირნობა და თეატრალური წარმოდგენები. 1913 წლის 29 იანვარს გამგეობამ გამართა სეირნობა, რომლისგანაც წმინდა მოგება დარჩენილა 409 მანეთი და 40 კაპიკი[3]. 1915 წელს ჩატარდა აკაკის საღამო, რომლის შემოსავლის ერთი ნაწილი გაეგზავნა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, ხო-

---

[1] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა, თბ., 1915. გვ. 199.
[2] იქვე, გვ. 200.
[3] გაზ. „მერცხალი", 1913, 5 ნოემბერი, № 80.

ლო მეორე — სენაკის აკაკის სახელობის ბიბლიოთეკას. ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკმა სკოლას მისცა 4173 მანეთი.[1]

1911 წელს სენაკის სკოლის შენობა დაიწვა (გარდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისა, გადაარჩინა მაშინდელმა გამგემ, ცნობილმა მწერალმა დიმიტრი ოყრეშიძე-თომაშვილმა) და იგი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამას ისიც დაერთო, რომ სათავადაზნაურო ბანკმა შეუწყვიტა თანხის მიცემა. ამ შემთხვევით ისარგებლეს ზოგიერთებმა და აღძრეს საკითხი სკოლის ძველი სენაკიდან ახალ სენაკში გადატანის შესახებ, მაგრამ გამგეობამ უარყო იგი და სკოლა ისევ ძველ სენაკში დარჩა. ამ დიდ ტრაგედიასთან ერთად წყალდიდობამაც საგრძნობი ზარალი მიაყენა სკოლას. ადიდებულმა ცხენისწყალმა წალეკა სკოლის ხეხილისა და ვენახის ბაღი, დაანგრია სასწავლებლის ქვის გალავანი[2].

მხოლოდ სკოლის მასწავლებელთა თავგამოდებამ და ადგილობრივ მკვიდრთა დახმარებამ, რომელთაც შეაგროვეს რვა ათასი მანეთი (მას დაემატა დაზღვევიდან მიღებული 7 200 მანეთი) იხსნა სკოლა დახურვისაგან და 1912 წლის სექტემბერში სწავლა კვლავ განახლდა[3].

სენაკის განყოფილებამ გახსნა საკვირაო სკოლა, მაგრამ, რადგან სწავლის მსურველნი არ აღმოჩნდნენ, ეს საქმე ჩაიშალა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობის დადგენილებით დაარსდა დრამატული საზოგადოება პოლიკარპე ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით[4].

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ გაიხსნა 1909 წელს. გამგეობის შემადგენლობაში შედიოდნენ: მარიამ ანჩაბაძე (თავმჯდომარე), დესპინე გელოვანი (თავმჯდომარის ამხანაგი), სალომე ლოლუა, თეკლე თურქია, ოლღა გოგრიჩიძე (ხაზინადარი), ნიკოლოზ ჯანაშია (მდივანი), ნინო მაჭავარიანი, ელეონორა მახვილაძე, ნიკოლოზ თავდგირიძე, პლატონ გელოვანი და სხვ.

---

[1] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა. თბ., 1915, გვ. 200.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 517, ანაწ. 1, საქ. 23, ფურც. 16.

[3] ი. ზიქაძე, ვ. გაგუა, ძველი სენაკის საშუალო სკოლა, თბ., 1978, გვ. 24.

[4] ჟურნ. „განათლების" დამატება, № 4, 1916, გვ. 58-59.

1912 წელს სოხუმის განყოფილებაში ითვლებოდა 293, 1914 წელს — 344, ხოლო 1917 წელს — 724 წევრი.

განყოფილება ინახავდა ერთ პირველდაწყებით სკოლას, რომელიც დაარსდა 1910 წელს. სკოლა მოთავსებული იყო სპეციალურად მისთვის აგებულ შენობაში. გამგედ მოწვეულ იქნა ნიკოლოზ ჯანაშია, ხოლო მასწავლებლებად ნოე ქურიძე (ზომლეთელი) და თამარ თაყაიშვილი.

1912-1913 სასწავლო წელს სკოლაში სწავლობდა 120 მოსწავლე, ხოლო 1914 წელს — 140.

წერა-კითხვის ადგილობრივ განყოფილებას 1914 წლის განმავლობაში სკოლის საჭიროებისათვის დაუხარჯავს 2902 მანეთი და 68 კაპიკი.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, აგვისტოს პირველი რიცხვებიდან სოხუმში ისეთი პირობები შეიქმნა, რომ სკოლამ საქმიანობა შეწყვიტა. განყოფილების გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე მთავარმა გამგეობამ სოხუმის განყოფილებას მისცა 200 მანეთი სკოლის საჭიროებისათვის. აგრეთვე მასწავლებლებსაც ერთდროული დახმარების სახით მიეცა 150 მანეთი.[1] ომის წლებში სოხუმის განყოფილებას მოუწყვია თავშესაფარი ბავშვებისათვის და გაუხსნია სახელოსნო განყოფილება სკოლასთან.

საზოგადოების მიზანი იყო თეატრისათვის შენობის აგება. მალე მშენებლობა დაიწყეს კიდეც, მაგრამ უსახსრობის გამო საქმეს თავი ვერ მოება.

გამგეობა ყოველი წლის 14 იანვარს მართავდა ტრადიციულ „ნინოობას". 1910 წელს ასეთი საღამოდან განყოფილებას შემოუვიდა 354 მანეთი; 1913 წელს — 1556 მან, ხოლო 1916 წელს 6000 მანეთი.

სოხუმის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ბახვა გაბუნიამ 40 ქცევა მიწა შესწირა. ილარიონ მაღლაკელიძემ — 600 მანეთი, არჩილ იოსელიანმა — 100 მანეთი. 1912 წელს სკოლის სასარგებლოდ თანხების შესაგროვებლად ხელმოწერა გაუმართავს გამგეობას, რაზედაც ხელი 328 კაცს მოუწერია — 1200

---

[1] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა, თბ., 1915, გვ. 202.

მანეთისა და 80 კაპიკის რაოდენობით. ასეთი ღონისძიებით სოხუმის განყოფილება განაგრძობდა თეატრის შენობის აგებას და სკოლის მიმდინარე ხარჯების გასტუმრებას.[1]

თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გამგეობას მოუწყვია „ფინჯან ჩაიდ" წოდებული სავაჭრო, რომელიც ყოველწლიურად იძლეოდა წმინდა შემოსავალს 500 მანეთამდე[2].

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების საქმიანობას დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა მოსახლეობა, რაც იქიდან ჩანს, რომ ისინი სიამოვნებით ეწერებოდნენ საზოგადოების წევრებად და აქტიურად მონაწილეობდნენ მის მიერ გამართულ ყველა ღონისძიებაში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება ყ ვ ი რ ი ლ ა შ ი გაიხსნა 1909 წელს.[3] მისი ხელმძღვანელები იყვნენ: ბარბალე წერეთელი (თავმჯდომარე), მ. სიხარულიძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ბ. კელენჯერიძე (მდივანი), პ. კიკნაველიძე (ხაზინადარი). 1912 წელს განყოფილებაში ითვლებოდა 12, 1914 წელს კი 33 წევრი. ყვირილის განყოფილებამ დააარსა სკოლა, რომელშიაც 120 მოსწავლე სწავლობდა.

საზოგადოების გამგებლობაში ირიცხებოდა ერთი წიგნსაცავ-სამკითხველო დაბა ყვირილაში. ამის გარდა, მისი მფარველობის ქვეშ გაიხსნა ხარაგაულის, მუხურის, ილემის, ძირულის, საქარის, ჩხარის, ამაშუკეთის, თერჯოლისა და წევის ბიბლიოთეკები. გამგეობის წევრები დროგამოშვებით ათვალიერებდნენ სამკითხველოებს და ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევდნენ მას.

განყოფილების გამგეობის მონდომებითა და საქმიანობით ქუთაისის საადგილმამულო ბანკზე დარჩენილი ზესტაფონის ძველი თეატრის შენობა განყოფილების სახელზე იქნა დამტკიცებული.

---

[1] ტ რ. ხ უ ნ დ ა ძ ე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960, გვ. 104.
[2] ჟურნ. „განათლების" დამატება, № 3, 1917. გვ. 24.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 481, ანაწ. I, საქ. 1148, ფურც. 22.

ყვირილის განყოფილების შემოსავლის პირველი წყარო იყო საწევრო ანარიცხებიდან შემოსული თანხა, მეორე — ყულაბებით შეგროვილი ფული, მესამე — თეატრალური წარმოდგენებისა და სეირნობის გამართვა, აგრეთვე შემოწირულებანი სხვადასხვა პირებისაგან.

1915 წელს განყოფილებას შემოსვლია 2335 მანეთი და 61 კაპიკი, წარმოდგენისა და სეირნობისაგან დარჩენილა 103 მანეთი და 40 კაპიკი, ხოლო 1918 წელს მარტო სეირნობისაგან განყოფილებას შემოსვლია 840 მანეთი, 14 იანვარს გამართული წარმოდგენიდან 350 მანეთი.[1]

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყვირილის განყოფილებამ ჩაატარა რამდენიმე ლექცია და ხუთი წარმოდგენა, აგრეთვე მოეწყო ცნობილი მსახიობის ნატო გაბუნიას საიუბილეო საღამო იუბილარის მონაწილეობით.[2]

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჭ ი ა თ უ რ ი ს გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა დაარსდა 1909 წლის 4 მაისს.[3] თავმჯდომარედ აირჩიეს ივანე აბაშიძე, თავმჯდომარის ამხანაგად ივანე გომელაური, მდივნად — ალექსანდრე მითაიშვილი.[4]

1912 წელს განყოფილებას ჰყავდა 32 წევრი. მან მიზნად დაისახა სახალხო და საბავშვო წიგნების გამოცემა. გარდა ამისა, გახსნა ერთი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მოაწყო სტამბა და გამოსცა ი. გომელაურის „ასტრონომია".[5] განყოფილებას განზრახული ჰქონდა სხვა წგინების გამოცემაც, მაგრამ მსოფლიო ომმა, რომელმაც გამანადგურებლად იმოქმედა ჭიათურის მრეწველობაზე, ხელი შეუშალა მის საქმიანობასაც.

ფოთის განყოფილება დაარსდა 1910 წელს. გამგეობაში შედიოდნენ: იონა მეუნარგია (თავმჯდომარე), ლ. წულაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), კ. გამყრელიძე (მდივანი), ა. ჟვანია (ხაზინადარი), ი. კოხრეიძე, ვ. გაგუა, ლ. ტუღუში, პ. ქუთათელაძე და სხვ. განყოფილებაში 54 წევრი ირიცხებოდა.

---

[1] ჟურნ. „განათლების" დამატება, № 1, 1917, გვ. 7 8.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 481, ანაწ. I, საქ. 1148, ფურც. 31.
[3] იქვე, საქ. 1149, ფურც. 3.
[4] იქვე, ფურც. 11.
[5] იქვე, ფურც. 65.

1913 წლის ოქტომბერში გამგეობამ ფოთის განაპირას, ე. წ. „ნაბადაზე“, მუშათა რაიონში გახსნა სკოლა მათივე შვილებისათვის. მასწავლებლად მოიწვიეს ნინო კასრაძე.

გამგეობის ზრუნვის საგანი იყო სახალხო სახლის აგება. ამიტომ მან ქალაქის საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა შენობის ასაგებად ადგილის გამოყოფის შესახებ. საბჭომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და სახალხო სახლის ასაგებად საუკეთესო ადგილი გამოყო სკარებულო ტაძრის ახალი შენობის მახლობლად.

შეიქმნა საამშენებლო სექცია, რომელშიც შედიოდნენ: ა. ქავთარაძე, თ. კეშელავა და მ. ჯვალია. მათ იკისრეს სახალხო სახლის ასაგები საშუალებების მოპოვება, მაგრამ ომმა შეუშალათ ხელი.

1915 წელს განყოფილების ხელში გადავიდა წიგნსაცავ-სამკითხველო, რომელსაც მანამდე კერძო საზოგადოება პატრონობდა. 1914 წლის 18 ოქტომბერს აღნიშნული საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: „რადგანაც უსახსრობის გამო, წიგნსაცავ-სამკითხველოს მოვლა და გაძღოლა აღარ შეგვიძლია წერა-კითხვის გამავრცელებელ განყოფილებას გადავსცეთ ვალიან-ქონებიანადო“.[1]

ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდა თითქმის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი, აგრეთვე ზოგიერთი რუსული გამოცემაც.

ზუგდიდის განყოფილება დაარსდა 1912 წელს.[2] გამგეობაში შედიოდნენ: ა. ფაღავა (თავმჯდომარე), ე. კედია, კ. ლორთქიფანიძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ნ. ბერიძე, ს. კეშელავა, ს. ბუკია (მდივანი), ი. ოსიძე, ბ. უგულავა (ხაზინადარი), გ. ჟორდანია. გ. პატარაია, ი. მიქელაძე და ხერხეულიძე.

ზუგდიდში საზოგადოების დაარსების შესახებ გაზეთი „მერცხალი“ წერდა: „გამგეობის გახსნა არსად ისე საჭირო არ იყო, როგორც ზუგდიდში, სადაც ქართული წერა-კითხვის ცოდნა მეტად კოჭლობს. მიუხედავად ამისა, მისი დაარსება მეტათ გაჭირდა“[3].

---

[1] ჟურნ. „განათლების“ დამატება, № 5, 1916, გვ. 67-71.
საქ. ცსსა, ფონდი 481, საქ. 1287, ფურც. 1.
გაზ. „მერცხალი“, 1913, 12 იანვარი, № 10.

1912 წელს საზოგადოებას ჰყავდა 33, 1913 წელს — 102, ხოლო 1914 წელს 148 წევრი. დაარსებიდანვე გამგეობა შეუდგა სკოლის გახსნის სამზადისს, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. წინასწარი ვარაუდით, სკოლას არსებობის პირველ წლებში, სულ მცირე, 1000 მანეთი მაინც დასჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, უკან არ დაუხევია და თხოვნით მიმართა გამგეობას დახმარების შესახებ, რომელმაც ზუგდიდის მომავალ სკოლას აღუთქვა წლიურად 400 მანეთი დახმარება. ამავე მიზნით, 1914 წლის 25 მაისს, ზუგდიდში გაიმართა საჯარო სეირნობა, რომლის შემოსავალი 709 მანეთი და 50 კაპიკი შეტანილ იქნა სკოლის ფონდში.

1914 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილებამ დაადგინა: „შეკრიბოს ადგილობრივი მცხოვრებნი, იქონიოს მასთან მსჯელობა სააღდგომო დარბაზობისა და სუფრის გამართვის მავნებლობაზე და შესცვალოს ეს არა სიმპატიური ჩვეულება სხვა სასარგებლო საქმით".[1] დადგენილების შესაბამისად გაიმართა ხელმოწერა მცხოვრებთა შორის „სააღდგომო სუფრის" ნაცვლად და შეგროვდა 54 მანეთი და 50 კაპიკი, რომელიც გადადებულ იქნა სკოლის სასარგებლოდ.

სკოლის გახსნის საქმე თანდათან რეალური ფაქტი ხდებოდა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ დროებით შეაფერხა ეს კარგი წამოწყება.

ბოლოს, გამგეობამ საზოგადოების წევრთა, ზუგდიდისა და მისი მაზრის მცხოვრებთა ერთსულოვანი მხარდაჭერითა და თანადგომით 1915 წლის იანვარში გახსნა სკოლა.[2]

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილება აქტიურად ილვწოდა წიგნსაცავ-სამკითხველოების გახსნისათვის, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი 1912 წელს. 6 მაისს გაიხსნა აკაკის სახელობის ბიბლიოთეკა, რომელიც მოთავსებული იყო საკუთარ შენობაში. სამკითხველო გემოვნებით იყო მოწყობილი და ღებულობდა ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთს. ბიბ-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 481, საქ. 1287, ფურც. 60.
[2] იქვე, ფურც. 62.

ლიოთეკას ჰქონდა 554 ქართული და 242 რუსული წიგნი.[1] ასევე გამგეობის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა ბიბლიოთეკები: ზუგდიდში, ხობში, დარჩელში, წალენჯიხასა და ქვალონში[2].

1915 წელს საზოგადოებამ გაზარდა თავის წევრთა რიცხვი, გამართა რამდენიმე საქველმოქმედო საღამო, გახსნა ბიბლიოთეკები ცაიშში, ყულისკარში და შეიძინა ადგილი სკოლის შენობის ასაგებად.

ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ დამფუძნებელთა კრება გაიმართა 1912 წლის ოქტომბერში, ეცნობა ქუთაისის გუბერნატორს ამავე წლის 8 დეკემბერს, ხოლო საქმიანობა დაიწყო 1913 წლის იანვრიდან.[3] გამგეობაში შედიოდნენ: თეოფილე ხუსკივაძე (თავმჯდომარე), მარიამ ჩაჩავა, იასონ ცომაია (თავმჯდომარის ამხანაგი), ბიქტორ ჟორჟოლიანი (მდივანი), გრიგოლ სარიშვილი (ხაზინადარი), პეტრე ჭარაია და სხვ.

განყოფილებას განზრახლუი ჰქონდა სკოლის დაარსება და არსებული ბიბლიოთეკისათვის შენობის აგება, მაგრამ მსოფლიო ომის გამო ეს სურვილი განუხორციელებელი დარჩა.

განყოფილება ითვლიდა 48 წევრს და მისი შემოსავალი იყო 243 მანეთი და 45 კაპიკი.

ᲚᲘᲮᲐᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ დაარსდა 1913 წელს. გამგეობაში შედიოდნენ: ნესტორ კონტრიძე (თავმჯდომარე), ს. თაყაიშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი), გ. სურგულაძე (მდივანი). ს. ურუშაძე (ხაზინადარი), ს. შავიშვილი, ვ. თალაკვაძე და სხვ.

განყოფილებას 1913 წელს ჰყავდა 25 წევრი, ხოლო 1914 წელს — 38.

გამგეობამ სოფელ ლიხაურში გახსნა უფასო სახალხო სამკითხველო, რომლის გამგედ დაინიშნა სამსონ შავიშვილი. განყოფილების მეცადინეობის შედეგად დაარსდა „ძველი ნაშთების დამცველი კომისია“, რომელშიაც შედიოდნენ: რ. კონტრიძე და ნ. კვირკველიძე.[4]

---

[1] ჟურნ. „განათლების“ დამატება, № 2, 1916, გვ. 28.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 481, ანაწ. I, საქ. 1287, ფურც. 62.

[3] იქვე, საქ. 1289, ფურც. 1-5.

[4] გაზ. „თემი“, 1912, 23 სექტემბერი, № 90.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ლიხაურის განყოფილება მართავდა მასიურ გასართობ ღონისძიებებსა და ლექციების კითხვას, ასევე შექმნა მომღერალთა გუნდი ნესტორ კონტრიძის ლოტბარობით.

ვანის განყოფილება დაარსდა 1913 წელს, რომლის თავმჯდომარე იყო ევსევი ავალიანი, ხოლო წევრები: ა. სანადირაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ვ. რატიანი, ბ. აბრამიძე (ხაზინადარი), ი. ლორთქიფანიძე, დ. ნიკოლეიშვილი და სხვ.

განყოფილებას ჰყავდა 36 წევრი.

საზოგადოების მზრუნველობაში იმყოფებოდა ერთი ბიბლიოთეკა თვით სოფელ ვანში. გამგეობამ გახსნა წიგნის მაღაზია. ასევე იგი სისტემატურად აწყობდა საჯარო ლექციებსა და წარმოდგენებს.

ონში განყოფილება გაიხსნა 1914 წელს. გამგეობაში შედიოდნენ: მათე გორდეზიანი (თავმჯდომარე), იოსებ მდივნიშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი), ლ. კიკვიძე (მდივანი), კ. წულუკიძე, ს. გელოვანი, გ. მასხარაშვილი, ნ. გაჩეჩილაძე და სხვ.

1914 წელს განყოფილებას ჰყავდა 53 ნამდვილი წევრი. გამგეობა თავისი ხარჯით ინახავდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. საზოგადოებამ გახსნა ბიბლიოთეკა უწერაში, წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზია ონში.

გამგეობის დიდი სურვილი იყო შეეძინა საზაფხულო თეატრის შენობა წარმოდგენების გასამართავად.

ლანჩხუთის განყოფილება დაარსდა 1915 წელს. გამგეობაში შედიოდნენ: ეპ. ჩხაიძე (თავმჯდომარე), ტ. ჯგუშია, ფ. დგებუაძე, ივ. ებრალიძე, ეკ. ფხაკაძე, ვ. გვარჯალაძე, ნ. ფირცხელაშვილი. გამგეობას მიზნად ჰქონდა დასახული არსებული სკოლების დახმარება და ღარიბი მოსწავლეების შემწეობა, ბიბლიოთეკების გახსნა და მოვლა-პატრონობა.

გამგეობამ დააარსა სამი სამკითხველო დაბა ლანჩხუთში, ეწერსა და ჯაპანაში. ასევე საზოგადოების განკარგულებაში გადა-

სულა გომახურში, ლესასა და ძიმითში წინად გახსნილი სამკითხველოები.[1]

საზოგადოების გამგეობის ბიბლიოთეკებს გამოწერილი ჰქონდათ შემდეგი გამოცემები: „სახალხო ფურცელი“, „ნაკადული“, „მეგობარი“, „აზრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ზაკავკაზსკაია რეჩ“, „ოგონიოკი“ და სხვ.[2]

1915 წელს საზოგადოებაში გაერთიანებული ყოფილა 37, ხოლო 1916 წელს — 147 წევრი.

გამგეობამ დაბა ლანჩხუთში გახსნა წიგნის მაღაზია, სადაც იყიდებოდა ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებების შექმნამ ეს საზოგადოება ფართო, მასშტაბოვან, მასობრივ ორგანიზაციად გადააქცია და მან უკვე მთელი საქართველო მოიცვა. განყოფილებების მოღვაწეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმას, რომ საზოგადოებას პირნათლად შეესრულებია მის წინაშე მდგარი უკეთილშობილესი ამოცანა — სწავლა-განათლების სხივი შეეტანა მშრომელთა ფართო მასებში და დაღუპვისაგან გადაერჩინა ქართული სულიერი კულტურის არაერთი ბრწყინვალე ძეგლი.

---

[1] ჟურნ. „განათლების“ დამატება, № 2, 1917, გვ. 12.
[2] ჟურნ. „განათლების“ დამატება, № 2, 1917, გვ. 13.

## თავი II

# საქველმოქმედო საზოგადოებანი ხელოვნებისა და კულტურის დარგში

## § 1. ქუთაისის დრამატული საზოგადოება (1909—1920 წწ.)

თეატრი ქართული კულტურის ის ძირითადი ფენომენია, რომელიც ყოველთვის წამყვან როლს ასრულებდა ხალხის ინტელექტუალურ ცხოვრებაში.

XIX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც თერგდალეულებმა მაღლა აღმართეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა, ქართული თეატრი იქცა ეროვნული თვითგამორკვევის, ეროვნული კულტურის განვითარებისა და დამკვიდრების ერთ-ერთ ძირითად კერად. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ 1879 წელს ქართული დრამატული საზოგადოების წესდება შეადგინა ნიკო ნიკოლაძემ. ხოლო მისი სრული ტექსტი გამოქვეყნდა გაზეთ „დროების" ფურცლებზე (1881 წ.).

ქართული თეატრის უდიდესი საზოგადოებრივი დანიშნულების შეგნებას გამოხატავდა ქართული დრამატული საზოგადოების დამფუძნებელი კრების (1881 წლის 18 იანვარი) გადაწყვეტილება ამ საზოგადოების თავმჯდომარედ ქართველი ერის სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის, ხოლო მის მოადგილედ აკაკი წერეთლის არჩევის შესახებ. საზოგადოების შემადგენლობაში შევიდნენ: კ. ყიფიანი, გ. თუმანიშვილი, რ. ერისთავი, გ. ყიფიანი, ნ. ქანანაშვილი და სხვანი.

განსაკუთრებულია ქუთაისის როლი ქართული თეატრის ისტორიაში.[1] აქ პირველი წარმოდგენა გაიმართა ჯერ კიდევ 1861

[1] ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ქუთაისის თეატრის ისტორიის კვლევა, ეს სხვა დიდი თემაა.

წლის 3 მარტს, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით. მაყურებელს უჩვენეს გ. ერისთავის კომედია „გაყრა". მეორე სპექტაკლი ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში" სცენისმოყვარეთა მიერ დაიდგა 1862 წელს. ამ წარმოდგენის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო აკაკი წერეთელი.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული თეატრალური წარმოდგენები ქუთაისის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. 1875 წელს ქუთაისში შეიქმნა სცენისმოყვარეთა წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ეფრო კლდიაშვილი და ანტონ ლორთქიფანიძე. წარმოდგენების შემოსავალი საქველმოქმედო მიზნებისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო ნაწილი ქუთაისის არალეგალურ ხალხოსნურ ორგანიზაციას ეძლეოდა.[1]

1885 წლის ზაფხულში კოტე მესხის ხელმძღვანელობით ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა მუდმივ პროფესიულ თეატრს, რომელმაც სახელოვანი და რთული გზა განვლო.[2]

ცნობილი მწერალი და თეატრალური მოღვაწე შალვა დადიანი თავის მოგონებებში წერდა: „ქუთაისის ქართული თეატრი, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა... ემსახურებოდა ქართული ინტელიგენციის აზროვნების გაღრმავებას და სიფაქიზეს... თეატრის შემადგენლობა თავის აზროვნებით ოაზისს წარმოადგენდა, მხოლოდ მათ შორის, მათ შეკრებილებაში თუმცა ლეგალურს, მაგრამ ძალიან გაბედულს სიტყვებს და იდეათა აღიარებას მოისმენდით".[3]

1896-1906 წლებში ქუთაისის თეატრს სათავეში ედგა ქართული სასცენო ხელოვნების უბადლო ოსტატი ლადო მესხიშვილი. ამ პერიოდის თეატრის შესახებ გერონტი ქიქოძე წერდა: „ჩემთვის რომ ეკითხათ, როგორ შეიძლება ორიოდე სიტყვით გამოითქვას, რაში მდგომარეობდა ქუთაისის თეატრის თავისებურება, როდესაც მას ლადო მესხიშვილი ხელმძღვანელობდაო, მე ვიტყოდი: ეს იყო ჰეროიკული თეატრი, ეს იყო რეალისტური თეატრი ძლი-

---

[1] გ. ბუხნიკაშვილი, თეატრალური ქუთაისი, თბ., 1976, გვ. 19.

[2] ს. გერსამია, ქუთაისის თეატრი, თბ., 1947, გვ. 33.

[3] შ. დადიანი, რაც გამახსენდა, თბ., 1959, გვ. 146.

ერი რომანტიკული განხრით-მეთქი. შემდეგ ეს იყო ნათლად გამოკვეთილი არტისტული ინდივიდუალობის თეატრი, ის ორ დედაბოძზე იყო დაყრდნობილი. ორი ძლიერი ტრაგიკული ნიჭის მსახიობზე: ერთი იყო თვით მესხიშვილი, მეორე ნინო ჩხეიძე; უფრო გვიან მათ ალექსანდრე იმედაშვილი შეუერთდა. გარდა ამ კორიფეებისა ქუთაისის თეატრს რამდენიმე საუცხოო მსახიობი ჰყავდა: ვასო ბალანჩივაძე, შ. დადიანი, დ. ჩარკვიანი, თუთბერიძე, მარო მდივანი და სხ.ვ".[1]

პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხების შემდეგ თეატრის მუშაობის პირობები არნახულად გაუარესდა. იგი პოლიციისა და ჟანდარმერიის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ აღმოჩნდა, სათეატრო რეპერტუარზე კი უმკაცრესი ცენზურა დაწესდა. გაუჭირდა ქუთაისის თეატრსაც. მის დასახმარებლად დაირაზმნენ ქუთაისის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

1909 წელს დაარსდა დრამატული საზოგადოება, რომელიც სათავეში ჩაუდგა სათეატრო საქმეს არა მარტო ქუთაისში, არამედ მთელს დასავლეთ საქართველოში. დრამატული საზოგადოების პირველი გამგეობის შემადგენლობაში შედიოდნენ: კ. ერისთავი (თავმჯდომარე), გ. ანჯაფარიძისა, ი. ჩიქოვანი (პონტელი), ალ. კრინიცკი (დარახველიძე), ა. ავალიშვილი, დ. კლდიაშვილი და სხვ.[2]

1915 წელს ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ივლიანე ანჯაფარიძე, დიდი ქართველი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის მამა. სხვადასხვა დროს გამგეობის შემადგენლობაში შედიოდნენ: პ. მდივანი, შ. სანებლიძე, ე. მეფისაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ს. კილაძე, ა. ფალავა, პ. უზნაძე, გრ. ლაღაძე, გ. გიორგაძე, კ. კაჭახიძე, ჯ. ჯორჯიკია, ი. პურადაშვილი და სხვ.[3]

---

[1] გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1958, გვ. 298.
[2] საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში ლხცსა), ფონდი 18, ანაწ. 2, საქ. 7, ფურც. 7.
[3] იქვე, საქ. 15, ფურც. 2, საქ. 21, ფურც. 7.

დრამატული საზოგადოების მატერიალური სახსრების შეგროვებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობა, შავი ქვის მრეწველთა საბჭო და ცალკეული ქველმოქმედი მამულიშვილები. ასე მაგალითად, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობამ 1914 წელს დრამატულ საზოგადოებას 2000 მანეთი გამოუყო, ეკატერინე სარაჯიშვილმა — 1000 მანეთი და სხვ.[1]

დრამატული საზოგადოება თავისი ფონდის გასაძლიერებლად აწყობდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. მაგალითად, 1909 წლის სექტემბერში გაიმართა სეირნობა, რომლის შემოსავალი გადაეცა აღნიშნულ საზოგადოებას,[2] ამავე მიზანს ემსახურებოდა 1910 წლის 13 ნოემბრის გამართული საღამო.[3] საზოგადოების აქტიური წევრის ს. ხეჩინაშვილის ენერგიული მუშაობის შედეგად შეგროვდა 2878 მანეთი და 30 კაპ.[4]

დრამატული საზოგადოების საქმიანობაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ალექსანდრე კრინიცკისა და ივანე პურადაშვილს, რომლებიც ქალაქში დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდნენ და „ეს გავლენა სხვა საკითხთა შორის იმით გამოიხატა. რომ ქუთაისის მსხვილი ვაჭრები გორდაძე, დათეშიძე, ფეიქრიშვილი, ოცხელი დიდი ფასდაკლებით, ზოგჯერ სულ უფასოდ აწვდიდნენ თეატრს სხვადასხვა მასალას".[5]

რამდენიმე სიტყვა დრამატული საზოგადოების საქველმოქმედო მოღვაწეობის შესახებ. 1911 წელს „საზოგადოებამ" დახმარება აღმოუჩინა ავადმყოფ მსახიობს დ. ჩარკვიანს,[6] ასევე დაეხმარა მსახიობ დ. ივანიძის ობლებს.[7] დრამატული საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა სცენის მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და შესაძლებლობის ფარგლებში უმსუბუქებდა მათ მდგომარეობას. ამ მიზნით გაიცა 2500 მანეთი.[8]

---

1 ლ ხ ც ს ა, ფონდი 18, ანაწ. 2, საქ. 23, ფურც. 31.
2 ი ქ ვ ე, საქ. 7, ფურც. 9.
3 ი ქ ვ ე, ფურც. 34.
4 ი ქ ვ ე, ანაწ. 1, საქ. 15, ფურც. 1.
5 მ. კ ო რ ე ლ ი, მოგონებები, თბ., 1969, გვ. 196.
6 გაზ. „კოლხიდა", 1911, 23 ოქტომბერი, № 168.
7 გაზ. „იმერეთი", 1914, 29 მაისი, № 65.
8 ლ ხ ც ს ა, ფონდი 18, ანაწ. 2, საქ. 49, ფურც. 1.

1916 წლის 19 დეკემბერს „საზოგადოებას" დაუდგენია, რათა შალიკაშვილისათვის მიეცათ დახმარება 100 მანეთის რაოდენობით.[1]

მართალია, ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას მოკრძალებული სუბსიდიები ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ხელს უწყობდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ამა თუ იმ მსახიობს და მის ოჯახს.

ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ 1920 წლამდე იარსება. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მისი ფუნქციები გადაეცა მსახიობთა პროფესიულ კავშირს.

## § 2. ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (1912—1927 წწ.)

ქართველი ხალხის კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც დაარსდა თბილისში 1907 წლის სექტემბერში, გამოჩენილი მეცნიერისა და მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით. ამ ეროვნული საქმის განხორციელებაში მას მხარში ედგნენ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: გ. გაბაშვილი, დ. კარიჭაშვილი, გ. ყიფშიძე, ვ. მიქელაძე, ალ. სარაჯიშვილი, ს. გორგაძე, კ. მაყაშვილი და სხვ.

მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში ასეთი საზოგადოების შექმნა მეტად რთული საქმე იყო. „პირველი რევოლუციის პერიოდში, როცა რუსეთის ლიბერალური ინტელიგენციის განწყობილება მკვეთრ ოპოზიციურ ხასიათს ატარებდა, თვითმპყრობელობა იძულებული გახდა მასთან გათამაშების პოლიტიკა ეწარმოებინა და ზოგი რამ დაეთმო. ამ ვითარებაში იმპერიაში მომრავლდა ე. წ. ნებაყოფლობითი საზოგადოებანი, რომელთა

[1] ლ ხ ც ს ა, ფონდი 18, ანაწ. საქ. 23, ფურც. 28.

ტრიბუნას დემოკრატიული ინტელიგენცია თავისი აზრებისა და იდეების საპროპაგანდოდ იყენებდა. მეფე და მისი მოხელეები დიდი ხალისით როდი იძლეოდნენ ასეთ საზოგადოებათა შექმნის ნებართვას, მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ ეს მხარდაჭერა ინტელიგენციის რევოლუციურ განწყობილებას ერთგვარად მაინც შეანელებდა და ცარიზმს სულის მოთქმის საშუალებას მისცემდა. მართალია, ცარიზმის სატრაპები განაპირა ნაციონალურ რაიონებში სიფხიზლეს იჩენდნენ, მაგრამ სრულ შეზღუდვას მაინც ვერ ბედავდნენ."[1]

მეფის მთავრობის ამ „წყალობით" ისარგებლეს ერის მოჭირნახულეებმა და საფუძველი ჩაუყარეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ქართულ კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებას — საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახით, რომელიც კორნელი კეკელიძის სიტყვით „იყო მაშინ ჩვენი უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტიც".

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. საზოგადოებაში გაერთიანებული იყო 450-ზე მეტი წევრი, მათ შორის ქართული კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები: ა. წერეთელი, ნ. მარი, ალ. ხახანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ვ. პეტრიაშვილი, ალ. ჯავახიშვილი, პ. მელიქიშვილი, დ. არაყიშვილი, ვ. ბარნოვი, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ს. მგალობლიშვილი, ლ. და თ. რაზიკაშვილები, ნ. ცხვედაძე, დ. კლდიაშვილი, ალ. ჯაბადარი, ლ. ბოცვაძე და სხვ.

საზოგადოების შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ერის ცხოვრებაში. მან დიდად აამაღლა დემოკრატიული ინტელიგენციის შემოქმედებითი საქმიანობა ეროვნულ-კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებაში.[2]

საზოგადოებას ჰქონდა განყოფილებები: ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიის, ლინგვისტიკის და ნუმიზმატიკის. გამგეობამ დააარსა მუზეუმი და შექმნა ბიბლიოთეკა.

---

[1] ა. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977, გვ. 109.
[2] ა. სურგულაძე, ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში, თბ., 1986, გვ. 216.

დიდი ყურადღება ექცეოდა ექსპედიციების მოწყობას, რომლებსაც ფართო მეცნიერული ხასიათი ჰქონდა (გროვდებოდა ძველი წიგნები, ხელნაწერები, ტარდებოდა არქეოლოგიური გამოკვლევები). მოეწყო სხვადასხვა სახის გამოფენები. მაგალითად. VI-XIX საუკუნეების ძველ ქართველ ხუროთმოძღვართა ნამუშევრების გამოფენა.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ლექსიკოგრაფიულ და ლინგვისტურ საქმიანობას, რომელშიაც აქტიურად მონაწილეობდნენ: ს. გორგაძე, გ. იმნაიშვილი, იუსტ. აბულაძე, პ. კარბელაშვილი, ი. სონღულაშვილი და სხვ.

საზოგადოება პერიოდულად სცემდა კრებულებს — „ძველი საქართველო" და „საქართველოს სიძველენი". მანვე დააარსა გამოცემათა კიდევ ორი სხვა სერია — „ძველი ქართული მწერლობა" და „ქართული ხალხური სიტყვიერება".

ყოველი პატრიოტი მამულიშვილი თავის საპატიო მოვალეობად თვლიდა საზოგადოების წევრი გამხდარიყო და დახმარება გაეწია მისთვის როგორც მატერიალურად, ისე შეწირულებათა გზით. სხვადასხვა დროს საზოგადოებას დიდი ამაგი დასდეს: ალექსანდრე სარაჯიშვილმა, ალექსანდრე ყიფშიძემ, ნიკოლოზ ღოღობერიძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ცნობილმა ქველმოქმედმა დავით სარაჯიშვილმა და მისმა მეუღლემ, პავლე თუმანიშვილმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ, აკაკი ხოშტარიამ, ნიკოლოზ ჯაყელმა, კოლექციონერმა დიმიტრი შჩუკინმა, სიმონ ავალიანმა, რაჟდენ დათეშიძემ და სხვ.[1]

საზოგადოება რეგულარულად მართავდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, დიდ მუშაობას აწარმოებდა მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის. საზოგადოების საქმიანობა იმდენად მრავალმხრივი და შრომატევადი გახდა, რომ საჭირო შეიქნა ადგილებზე ჰყოლოდა თავისი რწმუნებულები.

---

[1] ე. თაყაიშვილი, მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში (1907-1917), კრებული — აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966, გვ. 199-202.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოსა და განსაკუთრებით ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები. „თბილისის შემდეგ სწორედ ქუთაისი იყო, სადაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავისი მუშაობა ფართოდ გაშალა“.[1]

საზოგადოებას დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში თავისი აგენტები ჰყავდა: ქუთაისში — ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ივანეს ძე ოცხელი (მას თანაშემწედ დაენიშნა რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძე), ჭიათურაში — ექიმი გრიგოლ მუხაძე, წალენჯიხაში — სამსონ თვალთვაძე და სხვ.

1908 წლის სექტემბერში ექვთიმე თაყაიშვილი იოსებ ოცხელს აცნობებდა: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ ამა სექტემბრის 10-ის სხდომაზე დაადგინა მოგანდოს „საზოგადოების“ აგენტობა ქ. ქუთაისში. გაუწყებთ რა ამას, აქვე გაახლებთ „საზოგადოების“ ქუთათურ წევრთა სიას და გთხოვთ (ნამდვილ წევრის წლიური გადასახადია 3 მანეთი, ხოლო დამხმარე წევრისა — 1 მანეთი), იმ პირთ, რომელნიც უკვე „საზოგადოების“ წევრებად ითვლებიან, დააჩქარებინოთ საწევრო ფულის შემოტანა. დარწმუნებული ვართ ჩვენი საზოგადოების სიმპატიურს საგანს დახმარებას არ მოაკლებთ“. ხოლო 1909 წელს ე. თაყაიშვილი ი. ოცხელს წერდა: „თქვენი წერილი და გამოგზავნილი ფული მივიღეთ. სამსონ დათეშიძეს სთხოვეთ ჩემ მაგიერ იკისროს თქვენთან ერთად ჩვენი საზოგადოების აგენტობა. გიგზავნით ოცდაათ ცალს ახალს ჩვენს გამოცემას „ძველ საქართველოს“ და გთხოვთ მალე დაურიგოთ ვინც საწევრო ფული შემოიტანა, ან შემოიტანოს, თუ გადაგრჩეთ თომა მთავრიშვილს გადაეცით წიგნის მაღაზიისათვის გასასყიდად. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენ და სამსონ დათეშიძე მხნედ შეუდგებით ფულის მოკრეფას, წევრების შოვნას და ყოველგვარ დახმარებას ასეთი სასარგებლო საზოგადოებისათვის“.[2]

---

[1] რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982, გვ. 97.

[2] ქცსა, ფონდი 9, საქ. 1068, ფურც. 35.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისელი წევრები იყვნენ: ალექსანდრე ლორთქიფანიძე, კირილე ლორთქიფანიძე, მელიტონ ჩოგოვაძე, სამსონ ყიფიანი, სიმონ ღოღობერიძე, თევდორე ჟორდანია, სიმონ ქვარიანი, მოსე ქიქოძე, იაკობ ფანცხავა, იოსებ ოცხელი, სიმონ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, თეოფილე ხუსკივაძე, თომა მთავრიშვილი, დავით მდივანი, კონსტანტინე გოცირიძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, კონსტანტინე ბაქრაძე, დავით ბაქრაძე, ანთიმოზ გიორგაძე, გიორგი ზდანოვიჩი, მიხეილ მღვდლიევი, სამსონ დათეშიძე, დავით ხელთუფლიშვილი, ეპისკოპოსი გიორგი. შემდეგ ,,საზოგადოებას" კიდევ რამდენიმე წევრი შეემატა: ტრიფონ ჯაფარიძე, ივლიანე აბესაძე, მიხეილ ჩინჩალაძე, იონა კობახიძე, გერასიმე ცაგარეიშვილი, სოლომონ ჩიქელაძე, პეტრე ყიფიანი, სოლომონ წერეთელი, ვენერა ბერიძე, ნინო ხელთუფლიშვილი, ბარბარე ვოლსკაია, ნიკოლოზ შარაშიძე, იასონ ნიკოლეიშვილი, სერგი რობაქიძე, დიმიტრი უზნაძე და სხვ.[1]

1909 წელს ,,საზოგადოების" წევრები გახდნენ: ექიმი გიორგი კახიანი, დავით რიჟინაშვილი, სერგი ჯაფარიძე, კალისტრატე ჩიკვაიძე, დიდიმ ჩიკვაიძე, ილია ჩიქოვანი და მომრიგებელი მოსამართლე ვლადიმერ აბულაძე.[2]

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან თანამშრომლობის რამდენიმე წლის შემდეგ ქუთაისის ინტელიგენციის ერთ ნაწილში წარმოიშვა აზრი იმის შესახებ, რომ ადგილზე დაარსებულიყო აღნიშნული საზოგადოების განყოფილება ან დამოუკიდებელი საზოგადოება. ეს იდეა პირველად ჩაისახა ქართული გიმნაზიის პედაგოგთა წრეში, რომელსაც სათავეში იოსებ ოცხელი ედგა. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთათურ წევრებს სურდათ უფრო აქტიურ საქმიანობაზე გადასულიყვნენ ქართული მატერიალური კულტურის შეკრებისა და დაცვის მიზნით. ამიტომ მათ საზოგადოების თანამშრომლის ან აგენტის ფუნქცია აღარ აკმაყოფილებდათ. ამასთან დაკავშირებით 1911 წლის ნოემბერში იოსებ ოცხელი ექვთიმე თაყაიშვილს წერდა:

---

[1] რ. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 98.
[2] ქცსა, ფონდი 9, საქ. 1068, ფურც. 41.

„რამდენიმე პირმა ისტორიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულმა სურვილი გამოთქვა: კარგი იქნება ქუთაისში დაარსდებოდეს საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების განყოფილებაო.

ვინაიდან არ ვიცით, შესაძლებელია თუ არა, წესდების ძალით, ხსენებული განყოფილების გახსნა, გვსურს ვიცოდეთ, ხომ არ შეუშლის ხელს ქუთაისში განყოფილების დაარსება თქვენს საზოგადოებას. უმორჩილესად გთხოვთ გვაცნობოთ ამის შესახებ თქვენი აზრი და შეხედულება. ამასთან საჭიროდ ვთვლით მოგახსენოთ, რომ ჩვენი სურვილია თქვენის ხელმძღვანელობით და რჩევით თქვენთან ერთად მუშაობა".[1]

ექვთიმე თაყაიშვილი ქუთაისში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გახსნის საკითხზე ოცხელს სწერდა: „თქვენი წერილი მივიღე. პირველ კითხვაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი წესდების ძალით არა გვაქვს ნება განყოფილება გვქონდეს სხვა ქალაქში. მეორე კითხვაზე ჩემი აზრი ასეთია: მე დარწმუნებული ვარ განყოფილების დაარსება არა თუ ამჟამად არ გამოადგება ჩვენს საზოგადოებას, არამედ ძლიერ შეუშლის ხელს. ჩვენი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ნორჩი საზოგადოებაა, მანამ წელს და ძარღვს არ გაუმაგრებთ ამ საზოგადოებას, ყოვლად მავნებელი იქნება განყოფილების დაარსება. ძალები დაიქსაქსება, სახსარი არც ერთს არ ექნება და არც მეორეს. განყოფილება მაშინ მოიტანს სარგებლობას, როდესაც დედა საზოგადოება ღონიერი იქნება, ძალა და სახსარი გადამეტებული იქნება და შრომის განაწილება და თანხებისა შესაძლებელი იქნება... საზოგადოებამ უნდა მოაწყოს და გახსნას მუზეუმი და ეს მუზეუმი ჭეშმარიტი სალარო უნდა იყოს ქართული კულტურის ნაშთებისა. როდესაც ამას მივაღწევთ, მაშინ არა თუ შესაძლო, პირიქით, აუცილებელი გახდება განყოფილების გახსნა...

„ქუთაისში ბევრი შეგნებული და ენერგიული ინტელიგენტია. დარწმუნებული ვარ, თუ სურვილი აქვთ, დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ. ყველას საშუალება ეძლევა ჩვენი საზოგადოების

[1] მ. ნიკოლეიშვილი, განძი და საგანძური, ქუთაისი, 1966, გვ. 7-8.

წევრობით ისარგებლოს და ამ საზოგადოების სახელით, იმოგზაუროს, შეკრიბოს ნივთები, ხელნაწერები, მოგვიპოვოს წევრები, მოგვაწოდოს მასალანი და სხვა. თქვენ თვითონ ბრძანებთ, თქვენთან ერთად გვინდა ვიმუშაოთო, სწორეთ საერთო მუშაობა გვიშველის და მოიტანს ნაყოფიერ შედეგს. დაე ჯერ ერთი იყოს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და როდესაც მოდედლდება, მაშინ იბარტყოს".[1]

1911 წლის 4 დეკემბერს, ქუთაისის ქართული გიმნაზიის შენობაში გაიმართა ინტელიგენციის წარმომადგენელთა კრება, რომელმაც განიხილა ქუთაისში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების საკითხი[2]. კრებაზე წაიკითხეს ე. თაყაიშვილის წერილი. მიუხედავად ამისა, კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისში დაარსებულიყო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. აირჩიეს სპეციალური კომისია საზოგადოების წესდების შესამუშავებლად. მასში შევიდნენ: გრიგოლ გველესიანი, ალექსანდრე თორაძე, სიმონ ქვარიანი, სილოვან ხუნდაძე, ტრიფონ ჯაფარიძე და ჯაჯუ ჯორჯიკია.

ქუთაისის ინტელიგენციის ეს გადაწყვეტილება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი განუდგა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას და მისგან დამოუკიდებლად, სეპარატულად აწარმოებდა მუშაობას საკუთარი თავისა და სახელის გამოსაჩენად. შემდეგში ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდებაში სპეციალურად ჩაიწერება მუხლი დ) ...საზოგადოება ხელს უწყობს თბილისის ქართული მუზეუმის გამდიდრებასა და შევსებას".

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან რამდენიმე წლის თანამშრომლობამ ქუთაისის ინტელიგენცია მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქართული მატერიალური კულტურის, თუ სხვა სიძველეთა შეკრების, დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში იმდენი რამ არის გასაკეთებელი, რომ ერთი საზოგადოება, განყოფილებებისა და ფილიალების გარეშე, მარტო

---

[1] ქცსა, ფონდი 9, საქ. 1068, ფურც. 47-50; იხ. აგრეთვე რ. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 203-205.
[2] მ. ნიკოლეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 8.

აგენტებისა და რწმუნებულების თანამშრომლობით, ამ საქმეს მაინც ვერ გაწვდებოდა რაგინდ ენერგიულადაც არ უნდა ემუშავნა. მასალა კი იმდენი იყო მოსაძევი და შესაკრები, რომ ეყოფოდა არა თუ ერთ ეროვნულ მუზეუმს, რამდენიმესაც კი.

ქართველი ხალხის ეროვნულ საუნჯეს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა არა მარტო დროთა სიავისაგან, არამედ უცხოელთა ხელყოფისაგან. ამიტომ ქუთაისის ინტელიგენციამ ერთ-ერთ უპირველეს მიზნად დაისახა ქალაქში ქართული მუზეუმის დაარსება და მიიღო დადგენილება ქუთაისში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნის შესახებ. ინტელიგენციის კრებამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ იგი აქტიურად ითანამშრომლებდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო დედა-საზოგადოებასთან და მასთან ერთად ემსახურებოდა საქართველოს სიძველეთა დაცვის დიდ ეროვნულ საქმეს. ქუთაისში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი ინციატორი — გრიგოლ გველესიანი გარკვევით მიუთითებდა: „პირველ რიგში უნდა გადაწყდეს კოლექციების შეგროვების საქმე. ეს არის აუცილებელი, ხოლო თუ სად იქნება იგი დაცული, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. იმ შემთხვევაშიც, თუ ჩვენ კოლექციას თბილისის მუზეუმის საკუთრებად გავხდით, ჩვენი შრომა ხომ უნაყოფო არ იქნება, საერთო ეროვნულ საქმეს შევუწყობთ ხელს, შევძენთ რასმე თბილისის მუზეუმს, რომელსაც შეიძლება ყველგან ვერ გაუწვდეს ხელი და ამიტომ ბევრი რამ დაეკარგოს. ყველას ერთი საქმე გვაქვს და მას უნდა ვემსახუროთ. პირადად ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ თუ ქუთაისში ქართული მუზეუმი, ქართული გაზეთი, თუ სხვა ქართული დაწესებულება გაჩნდება, ეს ორი სხვადასხვა საქმისადმი სამსახურს არ ნიშნავს".[1]

დრომ დაადასტურა ქუთაისის ინტელიგენციის გადაწყვეტილების სისწორე. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელმძღვანელობით და მითითებებით მუშაობდა, დიდი ეროვნული საქმე გააკეთა: დაღუპვისაგან გადაარჩინა ქართული კულტურის არა ერთი უნიკა-

---

[1] გაზ. „კოლხიდა", 1911, 20 ნოემბერი, № 192.

ლური ძეგლი და გახსნა მეორე ეროვნული მუზეუმი — ამჟამად ქართული მატერიალური კულტურის ერთ-ერთი უმდიდრესი საცავი.

1911 წლის 4 დეკემბერს არჩეულმა კომისიამ შეადგინა საზოგადოების წესდება, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა 1912 წლის 17 ივნისს.

1913 წლის 18 თებერვალს გაიმართა ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პირველი კრება, რომელმაც აირჩია გამგეობა 13 კაცის შემადგენლობით: ტრიფონ ჯაფარიძე (თავმჯდომარე), სამსონ ყიფიანი (თავმჯდომარის ამხანაგი), ვიქტორ ასათიანი, ვუკოლ ბერიძე (მდივანი), გრიგოლ გველესიანი, გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი (მუზეუმის გამგე), რაჟდენ დათეშიძე (მოლარე), ვლადიმერ ვეკუა, სპირიდონ ლეკვეიშვილი, სიმონ ქვარიანი, ვლადიმერ წერეთელი, სილოვან ხუნდაძე, კონსტანტინე ჯორჯიკია.[1] რადგან ვ. ბერიძემ და რ. დათეშიძემ დროის უქონლობის გამო დავალების შესრულება ვერ შეძლეს, გამგეობამ მდივნის მოვალეობის შესრულება მიანდო ტ. მარგველაშვილს, მოლარეობა — გ. გველესიანს, ხოლო შემდეგ — ვ. ვეკუას.

წესდების მიხედვით საზოგადოების მიზანს შეადგენდა ისტორიული, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლიტერატურული, ეთნოგრაფიული, არქიტექტურული, სახვითი ხელოვნებისა და საერთოდ, ქართული კულტურის ძეგლების შეგროვება, დაცვა და მეცნიერული შესწავლა; ქუთაისში კი — ქართული მუზეუმის ბიბლიოთეკითურთ დაარსება, რომელშიაც თავმოყრილი იქნებოდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ შეგროვილი მასალა და მათ შესახებ არსებული ლიტერატურა; ჟურნალების, კრებულების, წიგნების, ატლასების, ლექსიკონებისა და ა. შ. პერიოდულად გამოცემა, ასევე სამეცნიერო და არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა, საჯარო ლექციების გამართვა და კურსების მოწყობა ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე, ზრუნვა მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვასა, განახლებასა და აღდგენაზე, გამოფენების მოწყობა, საისტორიო და საეთნოგრაფიო

---

[1] ანგარიში ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა 1913-1915 წლებში, ქუთაისი, 1916, გვ. 3-4

ცოდნის გავრცელება, იმ პირთა შეძლებისდაგვარად ნივთიერად უზრუნველყოფა, რომლებიც იკვლევდნენ საქართველოსა და კავკასიის ისტორიულ წარსულს.

საზოგადოება შედგებოდა საპატიო და ნამდვილი წევრებისაგან. ადგილებზე მას ჰყავდა კორესპონდენტები, რომელთაც ევალებოდათ სიძველეთა შესახებ ცნობებისა და მასალების მოწოდება.

საზოგადოების სახსრები შედგებოდა მზრუნველი და ნამდვილი წევრების მიერ შემოტანილი თანხის· ნებაყოფლობითი შეწირულების, მოძრავი თუ უძრავი ქონების, მუზეუმის, გამოფენების, ლექციებისა და კურსებისათვის შემოღებული გადასახადებისაგან. საღამოების, წარმოდგენების, კონცერტების, ასევე საზოგადოების გამოცემათა გაყიდვით და პერიოდულ გამოცემებზე ხელისმოწერისაგან.

საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა საერთო კრება, რომელიც საბჭოს ირჩევდა. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ თავმჯდომარე, მოლარე, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გამგე, ხაზინადარი, მდივანი და რვა წევრი.

წესდებით საზოგადოების დამფუძნებელი წევრები იყვნენ ქართული გიმნაზიის პედაგოგები: იოსებ ივანეს ძე ოცხელი, სამსონ გიორგის ძე ყიფიანი, სიმონ ივანეს ძე ოცხელი, კონსტანტინე ივანეს ძე ჯორჯიკია, ქალთა საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორი ტრიფონ მიხეილის ძე ჯაფარიძე.[1]

1913 წლის მეორე ნახევარში საზოგადოების გამგეობამ დაბეჭდა წესდება, დაამზადა საკანცელარიო საბუთები, გამოსცა ვრცელი მოწოდება და შეუდგა წევრების მიღებას. მოწოდებაში ნათქვამი იყო: ,,ქალაქ ქუთაისში დაარსდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება· რომლის მიზანსაც შეადგენს საზოგადოთ ჩვენი ძველი კულტურის კვლევა-ძიება, ხოლო დღესდღეობით უმთავრესად — ძველი დროის სიმდიდრის, ხელნაწერებისა და სხვადასხვა ნივთის მოძებნა, მოგროვება და შენახვა.

ძვირფასო თანამოძმენო! გულითადი თხოვნით მოგმართავთ ყველას, ვისაც რაიმე ძველი ხელნაწერი ან ძველი დროის სხვა

---

[1] წესდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა ქუთაისში, ქუთაისი, 1912, გვ. 31.

ნივთები მოგეპოვებათ, ან სადმე გეგულებათ, მოაწოდოთ ყველა ეს ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას — და საზოგადოება ყოველ ღონეს იხმარს — დღეიდან ღირსეულათ დაიცვას ისინი და ჩვენი ქვეყნის მომავლის სასარგებლოთ და სასახელოთ გამოიყენოს".

ამის პარალელურად გამგეობამ შეარჩია აგენტები, რომელთაც დაევალათ საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების ფართო პროპაგანდა, სამუზეუმო დანიშნულების ნივთებისა და სხვა მასალების აღრიცხვა, შეგროვება და დაცვა. საზოგადოების აგენტები იყვნენ: ქუთაისში — დავით ავალიანი, ვასილ არდიშვილი, ტიხონ ასათიანი, იოსებ ელიგულაშვილი, გალაკტიონ თუთბერიძე, კონსტანტინე კაჭახიძე, ადრიანე კოსტავა, პროკოფი ფანცხავა და სხვ; ქუთაისის მაზრაში — კირილე ძოძუაშვილი; ხონში — გიგლა მებუკე; ფოთში — იოსებ კოხრეიძე და ვლადიმერ ხოშტარია; ოზურგეთში — გიორგი მუმლაძე; ლანჩხუთში — ეპიფანე ჩხაიძე; ზუგდიდში — კონდრატე ჩაჩიბაია; სოხუმში — ოლღა დადიანი; შორაპნის მაზრაში — სანდრო აბაშიძე, გრიგოლ მიქაშავიძე და ლუკა ტყაბლაძე; ჭიათურაში — ალექსანდრე ჩინჩალაძე; რაჭაში — ონისიმე მინდელი, ვალერიან ჯაფარიძე, სტრატონ მინდელი; ლეჩხუმში — ალექსი გელოვანი და იოანე მუსერიძე; სვანეთში — ეგნატე გაბლიანი და იოსებ გულედანი.[1]

ირკვევა, რომ ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ქუთაისითა და მისი შემოგარენით არ შემოიფარგლებოდა. მის მიზანს შეადგენდა შესაძლებლობის ფარგლებში საისტორიო და საეთნოგრაფიო კვლევა-ძიებითი და შეგროვებითი სამუშაოები ეწარმოებია მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. მართლაც, საზოგადოება თავისი არსებობის მანძილზე დასავლეთ საქართველოს მასშტაბით მოქმედებდა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ რეგიონის ისტორიული მნიშვნელობის სიძველეების გამოვლენის, შესწავლისა და დაცვის საქმეში.

საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევდა მოკლევადიანი ექსპედიციების (ექსკურსიების, როგორც მაშინ უწოდებდნენ) მო-

---

[1] ანგარიში ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა 1913-1915 წლებში, ქუთაისი, 1916, გვ. 4-5.

წყობას. ერთ-ერთი ასეთი პირველი ექსპედიცია ჩატარდა 1914 წლის ზაფხულში შორაპნის მაზრის ჭალის მთის მიდამოებში. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ საზოგადოების წევრები გრ. გველესიანი, ტ. მარგველაშვილი, ტრ. ჯაფარიძე და რამდენიმე ენთუზიასტი. ჭალის მთის ისტორიული სიძველეების ფოტოგრაფიული სურათები გადაიღო სტუდენტმა, შემდეგში ცნობილმა მეცნიერმა გიორგი კოკოჩაშვილმა. ექსპედიცია შეწყდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო. საზოგადოების წევრები ხშირად მოგზაურობდნენ დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში, რამაც საიმედო საფუძველი ჩაუყარა ეროვნული მუზეუმის შექმნას ქუთაისში. გამგეობამ დაიწყო ვრცელი კატალოგის შედგენა, სადაც დაწვრილებითი ცნობები იყო მოცემული შემოწირული, შეგროვილი თუ შესყიდული ნივთების შესახებ. 1916 წლისათვის საზოგადოებას საისტორიო მნიშვნელობის 1000-ზე მეტი ნივთი ჰქონდა შეგროვილი.

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება სულ უფრო და უფრო აფართოებდა თავის საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა კუთხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებისა და შესწავლის თვალსაზრისით. მისი დიდი სურვილი იყო მოეწყო ექსპედიცია ლაზისტანსა და ტრაპიზონში. აღნიშნული საკითხის შესახებ ტრიფონ ჯაფარიძე ექვთიმე თაყაიშვილს წერდა:

„ღრმად პატივცემულო ბატონო ექვთიმე!

გამგეობას სურს მიაქციოს თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ ლაზისტანსა და ტრაპიზონში დღეს თუ ხვალ დაიწყებს მოგზაურობას ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი შმიდტი, რომელსაც პეტროგრადის ისტორიული საზოგადოება გზავნის. ვინაიდან იმ ადგილებში ქართველთა ბევრი სიძველე ინახება, ძლიერ საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენის მხრით თუ მოისურვებთ და საჭიროდ დაინახავთ თქვენგანაც გაგზავნილ იქნეს დასახელებულ მხარეში ერთი პირი, რომელსაც თქვენის მხრით გაგზავნილთან ერთად დაევალება ყველაფერი დაათვალიეროს, ასწეროს და რაც მოხერხდება წამოიღოს ჩვენი მუზეუმებისათვის (თუ რამე ვიშოვეთ, იმედია გაყოფაზე არ წავიკიდებთ). ამ პირისთვის (ან პირები-

სათვის) საჭირო იქნება მეფისნაცვლისაგან ისეთი საბუთი, რომ მის (ან მათ) პიროვნებას არავინ შეეხოს და ხელი შეუწყონ კიდეც მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. ამისათვის გთხოვთ ამ საგანზე თქვენც მოიკითხოთ და ეს საქმე მოაწყოთ ისე, როგორც სჯობდეს თქვენი შეხედულებით. ჩვენის მხრივ გასაგზავნად ვასახელებთ ვუკოლ ბერიძეს, რომელიც სრული თანახმაა ეს საყურადღებო და. საჭირო მინდობილობა მიიღოს.

ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი შუამდგომლობა გუბერნატორის წინაშე აღვძრათ, რადგან დასახელებული რაიონი მას არ ექვემდებარება და არც ჩვენი წესდების ფარგალშია. ასე, რომ შუამდგომლობა მეფისნაცვლის წინაშე უნდა აღიძრას და, თუ ჩვენგან ქაღალდი ან სხვა რამე საჭირო იქნება, გთხოვთ საჩქაროდ გვაცნობოთ. მანამდის კი თუ საჭიროება მოითხოვს, შუამდგომლობის აღძვრაში დახმარებას გაგიწევსთ ჩვენი მარშალი თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე, რომელსაც, გთხოვთ, შინაარსი ამ წერილისა გააცნოთ.

გამგეობა ეცდება ვუკოლ ბერიძესვე მიენდოს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისაგან ანკეტის მოხდენა დამშეულ ჭანელთა შესახებ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ საჭიროა ესეც აღინიშნოს ქაღალდზე, რათა მას რაიმე დაბრკოლება არ შეხვდეს".[1]

ტრიფონ ჯაფარიძეს პასუხად ე. თაყაიშვილი წერდა: „პრინციპულად საბჭო სავსებით იზიარებს იმ აზრს, რომ კარგი იქნებოდა მოწყობილიყო საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ექსკურსია თქვენ მიერ დასახელებულს რაიონში. მაგრამ, თუ სახეში მიიღებთ თვით ამგვარი ექსკურსიის მოწყობის ტექნიკური მხარის სიძნელეს დღევანდელს პირობებში და აგრეთვე მეტად გამოურკვეველს და რყევად-ცვალებადს სტრატეგიულს მდგომარეობას აღნიშნულ რაიონში, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოთ, რომ შეუძლებელია ამჟამად ამ რაიონში ნაყოფიერის სამეცნიერო ექსკურსიის მოწყობა. ამიტომ ჩვენი „საზოგადოების" საბჭო უმჯობესად სცნობს აღნიშნულ რაიონში წარმომადგენელი გაიგზავნოს არა სამეცნიერო საზოგადოების, არამედ „საქველმოქმედო საზოგადოების" სახელით და თუ გაგზავნილი პირი იმავე დროს საარქეოლოგიო და საეთ-

[1] ქim, ფონდი 5286, საქ. 12.

ნოგრაფიო ნივთებსაც შეიძენს, ჩვენი საზოგადოება მზადაა საჭირო ხარჯები იტვირთოს".[1]

ორივე საზოგადოების დიდი სურვილისა და მონდომების მიუხედავად ლაზისტანსა და ტრაპიზონში არქეოლოგიური ექსპედიციის მოწყობას განხორციელება არ ეწერა მსოფლიო ომის გამო.

საზოგადოება ცდილობდა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლების ალბომების გამოცემას. ამ მიზნით მან სპეციალურად მოიწვია გერმანელი მხატვარი — ფოტოგრაფი თევდორე კიუნე ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისა და გელათის მონასტრის ფოტოსურათების გადასაღებად. ამის საფუძველზე მომზადდა გამოსაცემად ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის ალბომები. გარდა ამისა, საზოგადოებას შეუძენია ბაგრატის ტაძრის სურათები გადაღებული ცნობილი ფოტოგრაფის ერმაკოვის მიერ. ამასთან დაკავშირებით დ. შევარდნაძე 1916 წლის 28 მარტს გრიგოლ გველესიანს წერდა: „ვსარგებლობ შემთხვევით და გიგზავნით შეპირებულ ფოტოგრაფიულ სურათებს ბაგრატის ტაძრიდან გადაღებულს ერმაკოვის მიერ. რამოდენიმე სურათი კიდევ დავუმატე ზედ". და იქვე აცნობებდა: „...უნდა შეგატყობინოთ, რომ ერმაკოვი მთელ თავის კოლექციებს ჰყიდის რუსეთში, რომელიღაც მუზეუმს. ეს ძალიან სამწუხარო ამბავია. რადგან ძალიან ბევრი მასალები აქვს შეგროვილი და ჩვენ რომ არ გვრჩება ქართველებს საწყენია. თუ შემთხვევა გექნებათ ჩამობრძანდით თბილისში. უთუოდ დაათვალიერეთ ერმაკოვის ალბომები".[2]

საისტორიო და საეთნოგრაფიო ცოდნის პროპაგანდის მიზნით საზოგადოება პერიოდულად ატარებდა ლექცია-მოხსენებებს. მაგალითად, წაკითხულ იქნა შემდეგი ლექციები: „ბრინჯაოს კაცის ქანდაკება ბაღდათის რაიონიდან" (ტ. მარგველაშვილი)· „დიმიტრი ბაქრაძის ცხოვრება და მოღვაწეობა" (ი. ფერაძე), „გეოლოგ შმიდტის გამოკვლევები მოწამეთის მიდამოების შესახებ" — (ტრ. ჯაფარიძე), „ქართული მართლწერის შესახებ" — (ს. გორგაძე) და სხვ.

---

1 ქიმ, ფონდი 5286, საბ. 17.
2 ქიმ, ფონდი 5947, საბ. 173.

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა ყველა იმ ღონისძიებაში, რომელსაც საქართველოს დედა საზოგადოება ატარებდა. გამგეობამ აქტიური წვლილი შეიტანა აკაკის თხზულებათა გამოცემის საქმეში. ამ საკითხთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი კ. ლორქიფანიძეს წერდა: ,,როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ემზადება აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემას. ამჟამად დგება სრული ბიბლიოგრაფიული სია მისი ს ჯერებისა, თუ როდის დაწერილია ან სად დაბეჭდილა, ან სად მოიპოვება. ვინაიდან თქვენ ახალგაზრდობიდან განსვენებულის მგოსნის ახლობელი ამხანაგი და მეგობარი ბრძანდებით, მის ნაწარმოებს თვალს ადევნებდით და აგროვებდით, ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს ყოველგვარ დახმარებას აღმოგვიჩენთ და საჭირო ცნობებს მოგვაწოდებთ"[1], ასევე საზოგადოებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის" გამოცემის საქმეში. ამ მიზნით მან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მიაწოდა ,,ვეფხისტყაოსნის" ყველა ხელნაწერი, რომელიც მის წიგნსაცავში ინახებოდა[2].

ამასთან ერთად ,,საზოგადოება" ატარებდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. მაგალითად, 1911 წელს მან ჩაატარა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. მუსიკალური განყოფილების მოწყობა დაუვალებიათ კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილისათვის; 1916 წლის იანვარში გაიმართა აკაკი წერეთლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება[3]; აგრეთვე 1917 წლის 26 და 27 იანვარს დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღის აღსანიშნავად საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ქალაქის თეატრში გამართა დიდი ეთნოგრაფიული საღამო მრავალფეროვანი პროგრამით[4].

ძველი ქართული გალობის ნიმუშების შეკრების მიზნით საზოგადოებას განზრახული ჰქონდა ფონოგრაფი შეეძინა და ამ

---

1 ქიმ, ფონდი 2173, საბ. 331.
2 ქიმ, ფონდი 5286, საბ. 31.
3 გაზ. „სამშობლო", 1916, 26 იანვარი, № 271.
4 გაზ. „სახალხო ფურცელი", 1917, 19 თებერვალი, № 799.

საქმის სპეციალისტი მოუწვევია. ამასთანავე გამგეობას სურდ. სამხატვრო გამოფენის მოწყობა ფართო საზოგადოებისათვის და ამ მიზნით სათანადო შუამდგომლობა აღძრა თბილისის მხატვართა საზოგადოების წინაშე, მაგრამ ეს საქმე სხვადასხვა მიზეზის გამო დროებით შეფერხდა.

საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა მის სამოქმედო ზონაში არსებული ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის საკითხი.

ქართული ხუროთმოძღვრების ფასდაუდებელი ძეგლი — ბაგრატის ტაძარი არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა. საჭირო იყო მისი სასწრაფო რესტავრაცია და დაცვა. ამ მიზნით გამგეობამ ბეჭდური წესით გამოაქვეყნა მოწოდება მოსახლეობისადმი, რომელშიაც ვკითხულობთ: „ჩვენი წინაპარნი არ ზოგავდნენ არც ფულს და არც უზომო შრომას ტაძრებისა და ციხე-სიმაგრეების ასაგებად. რამდენი შრომა და ენერგია უნდა ეხმარათ, რომ აეგოთ ისეთი შენობა, როგორიც არის ბაგრატის ტაძარი! ხშირად ცალ ხელში თოფით მტრის მოსაგერიებლად და მეორეში ჩაქუჩით უნდა ემუშავნათ. ახლაც, როცა ტექნიკური ცოდნა განვითარებულია, ხსენებული შენობა დაჯდებოდა რამოდენიმე მილიონი მანეთი. აი, ასეთი ძვირფასი საუნჯე დღეს სამწუხარო მდგომარეობაშია. ეზო ტაძრისა წარმოადგენს საქონლის ფარეხს... ზღუდეები დანგრეულია და გალავანში თავისუფლად დასეირნობენ ძაღლები, ღორები, ხარები და სხვ... ნუთუ ასეთი გულგრილობა უნდა გამოვიჩინოთ ამ შენობის ნაშთის სუფთად დაცვაში, რომლისთვისაც ჩვენი წინაპარნი არ ზოგავდნენ არც ფულს და არც შრომას. სხვა რომ არ იყოს რა, თავმოყვარეობამ მაინც არ უნდა მოგვცეს უფლება შევირცხვინოთ თავი განათლებულ ხალხის წინაშე, რომლებიც ხშირად მოდიან ხოლმე ხსენებული ნაშთის დასათვალიერებლად. საჭიროა ზღუდის შემოვლება, ეზოს გასუფთავება და კარების აგება. ამ მცირე, მაგრამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის ნუ დავიშურებთ მცირეოდენ შემწეობას[1].

---

[1] ქიმ, ფონდი 2173, საბ. 1174.

საზოგადოებამ თხოვნით მიმართა ქალაქის გამგეობას, რათა გამოენახა საჭირო სახსრები ბაგრატის ტაძრის წესრიგში მოსაყვანად.

1911 წელს გერმანელი მეცნიერი შმიდტი კრაკოვის უნივერსიტეტის სტუდენტ კოსტოვსკისთან ერთად აწარმოებდა გათხრებს საკაჟიას გამოქვაბულში. მათ საქმიანობას საზოგადოების გამგეობამ ეჭვის თვალით შეხედა და შეამოწმა უცხოელი მეცნიერის უფლებამოსილება. გამოირკვა, რომ შმიდტს არ ჰქონდა გათხრებზე კოსტოვსკის მოწვევისა და აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების გატანის უფლება. გამგეობამ ამ ფაქტის შესახებ აცნობა ქუთაისის გუბერნატორს და სთხოვა, რათა ამიერიდან გუბერნიაში ასეთ პირებს მუშაობის ნება არ მისცემოდათ საზოგადოების დასტურის გარეშე. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „იმერეთი" წერდა: „დღიდან მუშაობის დროს მათ (შმიდტსა და კოსტოვსკის — დ. გ.) ესწრებათ ყარაული... და ნახული ნივთების გადარჩევა და განაწილება მოხდება ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობის მხედველობის ქვეშ. ასე, რომ ყოველი მხრით დაცული იქნება კანონიერება და წესიერება"[1].

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი უდიერად ექცეოდა ჩვენს სიძველეებს. მაგალითად, სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსის ნებით გადაუწყვეტიათ ბედიის მონასტრის შეკეთება (განსაკუთრებით ფრესკების). ამის შესახებ გამგეობამ დასაბუთებული განცხადება გაუგზავნა ეპისკოპოს ანდრიას და სთხოვა სიძველის ხელშეუხებლად დატოვება. ეპისკოპოსი იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნა.

საზოგადოებას ღრმად სწამდა, რომ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხების შემდგომი კვლევისათვის აუცილებელი იყო განათლებული და ერუდირებული სპეციალისტების მომზადება, განსაკუთრებით აღმოსავლური ენების, მხატვრობისა და მუსიკის დარგში. ამ მიზნის განსახორციელებლად გამგეობა ყოველმხრივ ხელს უწყობდა და მატერიალურად ეხმარებოდა იმ

---

[1] გაზ. „იმერეთი", 1914, 19 ივნისი, № 83.

სტუდენტ-ახალგაზრდობას, რომლებიც აღნიშნულ სპეციალობებზე სწავლობდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში.

1915 წელს ქუთაისის საზოგადო საკრებულომ დააწესა აკაკი წერეთლის სახელობის სტიპენდია რუსეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის 360 მანეთის რაოდენობით[1]. აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის უფლება მიენიჭა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას. პირველად სტიპენდია დაენიშნა ვალერიან ჯაფარიძეს, ხოლო მისი ომში გაწვევის შემდეგ ილია ასათიანს[2].

საზოგადოების საქმიანობის უპირველეს მიზანს შეადგენდა ეროვნული, ქართული მუზეუმის დაარსება ქუთაისში. დასავლეთ საქართველოში მუზეუმის დაარსების საკითხი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში წამოიჭრა. მაგრამ მაშინ ეს საქმე დადებითად არ გადაწყვეტილა. არც 900-იან წლებში მოჰყოლია შედეგი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ცდებს ამ მიმართებით.

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების შემდეგ ეს საკითხი კვლავ დღის წესრიგში დადგა. ჯერ კიდევ 1911 წელს გრ. გველესიანი წერდა: „თუ სასწრაფოდ არ შევუდგებით კოლექციის გადარჩენას, უცხოელნი თუ მთლად არა, უმეტეს და უკეთეს ნაწილს ჩვენ სიძველეთა ჩვენი ქვეყნიდან გაზიდავენ და ამ სახით ჩვენი წარსულის ნაშთები ევროპის სხვადასხვა მუზეუმებში ან საანტიკვარო მაღაზიებში დაიფანტება, ჩვენ კი ხელცარიელი დავრჩებით და ერთ მუზეუმისთვისაც — საქართველოს დედაქალაქის მუზეუმისთვისაც არ გვექნება საკმაო მასალა“[3].

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნის ინიციატორებმა 1912 წელს აქტიურად დაიწყეს მუზეუმისათვის მასალების შეგროვება. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ფართოდ გამოეხმაურა მოწოდებას ისტორიული მნიშვნელობის მასალების მუზეუმისათვის გადაცემის შესახებ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელზე დაიწყო შეწი-

---

[1] ქიმ, ფონდი 5286, საქ. 42.
[2] იქვე, საქ. 49.
[3] გაზ. „კოლხიდა“, 1911, 20 ნოემბერი, № 192.

რულებათა შემოსვლა. მაგალითად, 1913 წელს საზოგადოების წევრმა რაჟდენ დათეშიძემ მუზეუმს შემოწირა „ვეფხისტყაოსნის“ მე-17 საუკუნის ხელნაწერი წიგნი[1], გრ. გველესიანმა — სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ხელნაწერი, კ. ლორთქიფანიძემ — მე-15 საუკუნის მინიატურებიანი ხელნაწერი წიგნი. საზოგადოებამ პრინც მიურატისაგან ჩაიბარა ჭურჭელი და სამკაული[2]. სოფელ ვარცხუთის (რაჭის მაზრა) მცხოვრებმა გრიგოლ ჯაფარიძემ ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობას გადასცა ოქროს ფული მეფე კონსტანტინე დიდის დროისა და ვერცხლის ბეჭედი ფირუზის თვლებით მოჭედილი; მასწავლებელმა ქალმა ანა ჟღენტმა მუზეუმს შეწირა ვერცხლის ფული, მეფე ვახტანგის კანონთა წიგნის ხელნაწერი, აგრეთვე ხუცურ ენაზე დაწერილი ჟამნი[3]; ბეგლარ დადიანმა — ხუთი ხელნაწერი — სამეგრელოს მთავრის მანუჩარ დადიანისაგან გაცემული[4]; საყურადღებოა დავით ნიჟარაძის მიერ შემოწირული ძველი თოფი და ხმალი[5].

შემდეგ წლებში შეწირულობანი კიდევ უფრო გაიზარდა.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ის ღვაწლი, რომელიც ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას დასდო ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, პუბლიცისტმა, ჟურნალისტმა და კრიტიკოსმა კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძემ (1839—1919). მან თავისი არქივი და ერთადერთი ქონება — უნიკალური ბიბლიოთეკა — უანდერძა ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. 1916 წლის 14 იანვარს ის წერდა ტრ. ჯაფარიძეს: „კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩემი ბიბლიოთეკა დიდი ხანია დაგირავებულია იმ ბანკში, სადაც მე ოცდახუთს წელიწადს ვმსახურობდი და ჯერ კიდევ ვერ შევძელი მისი გამოსყიდვა, თუმცა ჩემი გულითადი სურვილი იყო ეს გირაო უთუოდ გამომესყიდა და ერთის რომელისამე კულტურულის დაწესებულებისათვის მე-

---

[1] გაზ. „კოლხიდა“, 1911, 2 აგვისტო, № 102.

[2] მ. ნიკოლეიშვილი, მუზეუმის ისტორიიდან. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, ნაკ. I, 1968. გვ. 8.

[3] გაზ. „იმერეთი“, 1914, 2 სექტემბერი, № 143.

[4] გაზ. „სამშობლო“, 1916, 5 აპრილი, № 327.

[5] გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919, 26 დეკემბერი, № 227.

ძღვნა. გამოსყიდვა მე შემეძლება მხოლოდ ომიანობის გათავების შემდეგ, როდესაც ზოგიერთის ჩემი ადგილმამულის ნაწილის რეალიზაცია მოსახერხებელი იქნება.

საჭიროდ ვსთვლი ამასთანავე მოგახსენოთ, რომ ჩემი ბიბლიოთეკის კატალოგში რამდენიმე ასი წიგნი იმისთანა ურევია, რომელიც დაგირავებული არ ყოფილა, რადგანაც ეს წიგნები მერმე გამოიცა და მერმე შეძენილია. ასიოდე ძველი ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნი და გეოგრაფიული ქარტები ცალკე არის ჩემგან წარმოდგენილი, მათ შორის ზოგი ეტრატზე ნაწერი და ზოგიც მინიატურები, წარმოდგენილია აგრეთვე ნივთები და სურათები.

ვათავებ ამ წერილს შემდეგის ჩემის გადაწყვეტილებით: ამჟამად, როცა ქუთაისში ახალი კულტურული დაწესებულება დაარსდა, რომელსაც დიდი სამსახური შეუძლია ჩვენი საზოგადოების წინაშე, სახელად „ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება", ამ საზოგადოებას მე ვუძღვნი ყველა ზემოაღნიშნულს წიგნებსა და ნივთებს, იმედი მაქვს ამ საზოგადოებას ცოტათი მაინც გამოადგება"[1].

კირილეს ქველმოქმედების შესახებ გაზეთი „ჩვენი ქვეყანა" წერდა: „კირილე ლორთქიფანიძეს უნდა ვუმადლოდეთ ქუთაისის ეთნოგრაფიული საზოგადოების მუზეუმს თუ ისეთი კოლექციები აქვს, რომელთა მსგავსსაც ვერცერთი სხვა მუზეუმი ვერ დაიქადის.

მის მიერ ხსენებული საზოგადოებისათვის შეწირულ წიგნსაცავში თითქმის ყველა ძველის ქართულ პერიოდულ გამოცემის კომპლექტებია და იმავე დროს სხვადასხვა ქართული წიგნის თითო ცალი და რუსული წიგნების ისეთი ძვირფასი უნიკუმები, რომელნიც ამიერკავკასიაში არსად მოიპოვებიან.

დიახ! მისი წიგნთსაცავი საქართველოს უკანასკნელი ისტორიის ფასდაუდებელი და შეიძლება ითქვას, ერთადერთი მასალაა"[2].

---

[1] ქიმ, ფონდი 2173, საქ. 449; იხ. აგრეთვე კ. მ ე ძ ვ ე ლ ი ა, თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე, თბ., 1965, გვ. 40-41.
[2] გაზ. „ჩვენი ქვეყანა", 1919, 11 მაისი, № 63.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მუზეუმისათვის იმდენი ნივთი დაუგროვდა, რომ საჭირო გახდა მისთვის ცალკე ბინის გამონახვა. ამ მიზნით გამგეობამ თხოვნით მიმართა ქართულ გიმნაზიას, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, სათავადაზნაურო ბანკსა და საკრებულოს, მაგრამ საკუთარი ბინის სივიწროვის გამო ეს თხოვნა, მიუხედავად დიდი თანაგრძნობისა და სურვილისა ვერცერთმა დაწესებულებამ ვერ დააკმაყოფილა. კერძო სახლებში მუზეუმისათვის ბინის შოვნა არ მოხერხდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მოხერხებულ ადგილას ოთახები არ აღმოჩნდა და, მეორე — მატერიალური მდგომარეობის გამო გამგეობას არ შეეძლო ქირის გადახდა. ბოლოს, საზოგადოებამ მიმართა ქალაქის საბჭოს, რათა მისთვის განკუთვნილ შენობაში თავისუფალი ოთახები დაეთმო მუზეუმისათვის. საბჭომ თხოვნა შეიწყნარა. სხვადასხვა დროს მუზეუმი მოთავსებული იყო რეალური სასწავლებლის გაუქმებული ეკლესიის დარბაზში, მეოთხე ტექნიკუმის შენობაში, აგრეთვე ოლდენბურგის (ახლანდელი გ. ტაბიძის) ქუჩაზე. ამჟამად მუზეუმი მოთავსებულია ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ყოფილ შენობაში (თბილისის ქ. № 1).

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დიდი სურვილის მიუხედავად 1923 წლამდე ვერ მოხერხდა გამოფენის მოწყობა, რომელიც წარმოაჩენდა წლების მანძილზე შეგროვილ ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის საყურადღებო ნიმუშებს.

ქუთაისის მუზეუმში პირველი სტაციონალური გამოფენა გაიხსნა 1923 წელს.

დღეს ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი კარგადაა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ის წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ მძლავრ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებას. იგი დამტკიცებულია დასავლეთ საქართველოს მეთაურ მუზეუმად. მუზეუმის ფონდებში ინახება ქსიფილინოსის ხუთტომიანი აგიოგრაფიული კრებული, რომლის დედანს ბერძნულ ენაზე ჩვენამდე არ მოუღწევია, ექვთიმე მთაწმინდელის ნათარგმნი ტექსტები (XI საუკუნე),

„ვეფხისტყაოსნის“ XVII საუკუნის ხელნაწერი წიგნები, სულხან-საბა ორბელიანის შრომების ორიგინალები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნები[1]; ძვ. წ. აღ. V საუკუნის ვერცხლის კოლხური დიდრაქმა (უნიკუმი), ანტიკური პერიოდის ოქრომჭედლობის იშვიათი ნიმუშები — ვერცხლის ლარნაკი, ოქროს მონეტები და სხვადასხვა სახის სამკაულები, სასანური პერიოდის ბრინჯაოს გრიფონი, XI—XII საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობისა და ტიხრული მინანქრის ნიმუშები და მრავალი სხვ.[2]

მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათასით განისაზღვრება, ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის. აქვეა დაცული ქართველ საზოგადო მოღვაწეთა გ. მაიაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, დ. ნაზარიშვილის, ტრ. ჯაფარიძის, ალ. გარსევანიშვილის პირადი არქივები. აგრეთვე გაზეთების: „დროების“, „ივერიის“, „შრომის“, „კვალის“; ჟურნალების: „ცისკრის“, „საქართველოს მოამბის“, „აკაკის კრებულის“, „იმედის“ და სხვათა კომპლექტები.

1985 წლისათვის მუზეუმში დაცული იყო 140 ათასზე მეტი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში, ხელნაწერი წიგნები, ისტორიული საბუთები და ფოტოსურათები[3].

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის ნათელი ძეგლია.

---

[1] პ. ვაპრიძე, გ. გაბუნია, ქუთაისი, თბ., 1967 გვ. 263.

[2] მ. ნიკოლეიშვილი, განძი და საგანძური, ქუთაისი, 1986, გვ. 26.

[3] იქვე, გვ. 51

საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემდეგ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ყოველთვის მიაჩნდათ ჩვენი ქვეყნის მძლავრ ეროვნულ ბურჯად. სწორედ ამ ორგანიზაციისა და მისი მესვეურების დამსახურებაა ის, რომ ერის საისტორიო მეხსიერებას ხელოვნებისა და კულტურის არაერთი უნიკალური ძეგლის დეტალური აღწერილობა შემორჩა. მათ შორის ისეთებისაც, რომლებმაც საუკუნეთა ჭირვარამს გაუძლეს, მაგრამ ბოლშევიკური ტირანიის ავადსახსენებელ წლებში აღიგავნენ პირისაგან მიწისა. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ შთამომავლობისათვის პირველქმნილი მადლით გასხივოსნებული შემოენახა წინაპრების მიერ შექმნილი დიდი კულტურა. ვაი, რომ მღელვარე ეპოქა და ერის ბედის „მჭედლები" ყოველთვის არ უდგნენ მათ მხარში ამ კეთილშობილი მისიის განხორციელების დროს.

## თავი III

# სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საზოგადოებანი

## § 1. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და მისი განყოფილებანი დასავლეთ საქართველოში *(1906—1921 წწ.)*

1906 წლის დეკემბერში კავკასიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაამტკიცა „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების" წესდება[1].

საზოგადოების ძირითად მიზანს შეადგენდა კავკასიაში მცხოვრები ქართველების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მიზნით იგი, წესდების თანახმად, ცდილობდა მოსახლეობაში გაევრცელებინა მიწათმოქმედებასა და ვაჭრობა-მრეწველობაში გამოსადეგი ცოდნა, ხელსაყრელ პირობებში მიეცა კრედიტი ღარიბთათვის, დაესაქმებინა უმუშევრები, დახმარება გაეწია სტიქიური უბედურებით (შიმშილი, ეპიდემია, ხანძარი, სეტყვა, წყალდიდობა) დაზარალებულთათვის. საჭიროების შემთხვევაში გაეცა ფულადი დახმარება, უსახლკაროთათვის მოეწყო თავშესაფრები, მისადები პუნქტები და სხვა სახის საქველმოქმედო დაწესებულებანი.

საზოგადოების სახსრები შედგებოდა საწევრო შესატანების, ნებაყოფლობითი შეწირულების, საჯარო ლექციების კითხვისა და ა. შ. შემოსული თანხებისაგან. საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა საერთო კრება, რომელიც ირჩევდა მთავარ გამგეობას თავმჯდომარის, მისი მოადგილის (ამხანაგის), მდივნის, ხაზინადარისა და რამდენიმე წევრის შემადგენლობით.

---

[1] საქ. ც ს ს ა, ფონდი 517, ანაწ. 1, საქ. 139, ფურც. 1.

წესდების მე-19 პარაგრაფის მიხედვით საზოგადოებას უფლება ჰქონდა საჭიროების შემთხვევაში ადგილებზე გაეხსნა განყოფილებანი, რომელთა მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევდა მთავარი გამგეობა.

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ აქტიური საქმიანობა დაიწყო ცოტა მოგვიანებით, 1914 წლიდან.

1914 წლის 20—21 დეკემბერს ჩატარდა საზოგადოების კრება, რომელმაც აირჩია მთავარი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: მიხეილ მაჩაბელი (თავმჯდომარე), პართენ გოთუა (თავმჯდომარის ამხანაგი), ვასილ ყიფიანი (ხაზინადარი), ფილიპე გოგიჩაიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, იოსებ ბარათაშვილი, რ. გაბაშვილი; კანდიდატები: ივანე გომართელი, მიხეილ ლაღიძე, გერონტი ქიქოძე[1].

1915 წლის აპრილიდან 1921 წლამდე, საზოგადოების ლიკვიდაციამდე, მდივნად მუშაობდა პავლე საყვარელიძე.

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ განსაკუთრებით გააცხოველა მუშაობა 1915—1918 წლებში.

1914 წელს, როგორც ცნობილია, მეფის რუსეთი პირველ მსოფლიო ომში ჩაება. საომარი ოპერაციები კავკასიაშიც გაიშალა. ომმა აურაცხელი ზარალი მიაყენა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს, მათ შორის ქართველებსაც. ამას თან დაერთო სტიქიური უბედურებანი — წყალდიდობა, ეპიდემია, შიმშილი. ამასთან დაკავშირებით ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ შემდეგი მოწოდებით მიმართა მოსახლეობას: „საქართველოს არცერთი კუთხე არ დარჩენილა დაუზარალებელი. ომის უბედურებას სიმშილის უბედურება მოჰყვა. ორივეს წყალდიდობით გამოწვეული უბედურება მიემატა და ამნაირათ ხალხი უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა.

საჭიროა მთელმა საზოგადოებამ იცოდეს უბედურების სურათი და ზარალის რაოდენობა, მიუცილებელია ყველამ გავიგოთ ვის, სად და როგორი ზარალი მოუვიდა. საჭიროა ცნობების შეკრება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, რომ დაახლოებით

---

[1] ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წელს, ტფილისი, 1916, გვ. 1.

წარმოვიდგინოთ უბედურების სიდიდე და რამდენადმე მაინც გავუმკლავდეთ მას შეერთებული ძალ-ღონით... გვაცნობეთ რომელი სოფელი და საზოგადოება რით დაზარალდა, დაზარალებულთა დაახლოვებითი რაოდენობა, ზარალის საერთო სიდიდე, როგორი დახმარების აღმოჩენაა საჭირო და სხვა ასეთი ცნობები და თქვენი საკუთარი დაკვირვებანი"[1].

ასეთი შრომატევადი სამუშაოს შესრულება საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას მარტო საკუთარი ძალებით, ცხადია, არ შეეძლო. ამიტომ გადაწყდა საზოგადოების წესდების მე-19 პარაგრაფის მიხედვით ადგილებზე შექმნილიყო განყოფილებანი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ინიციატივა საქართველოს ცალკეული რაიონებიდანაც მოდიოდა.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ერთ-ერთი პირველი ადგილობრივი განყოფილება შეიქმნა ქუთაისში. 1915 წლის 22 აპრილს ქუთაისის გუბერნატორს ატყობინებდნენ, რომ გაიხსნა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის რაიონული განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობაში არჩეული არიან: მელქისედეკ ფაღავა (თავმჯდომარე), ილია ჩიქოვანი, გიორგი ზდანოვიჩი, გრიგოლ გველესიანი, ევგენი გეგეჭკორი, გრიგოლ პარკაძე, იაკობ ცინცაძე, ივანე აბაშიძე. განყოფილების მდივნად აირჩიეს გრიგოლ გიორგაძე[2].

1915 წლის 7 მაისს ქუთაისის განყოფილებამ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას სპეციალური მიმართვა გაუგზავნა, რომელშიაც ატყობინებდა, რომ განყოფილება უკვე შეუდგა მუშაობას[3].

ქუთაისის სარაიონო განყოფილებამ ინტენსიური მუშაობა გააჩაღა. იგი მალე ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ძირითად დასაყრდენ ძალად გადაიქცა დასავლეთ საქართველოში. საზოგადოების მთავარი გამგეობა ადგილებზე განყოფილებების შექმნის საკითხზე ხშირად ეთათბირებოდა ქუთაისის სარაიონო განყოფილებას. ამ მხრივ საინტერესოა მთავარი გამგეობის პასუხი

---

[1] საქ. ც ს ს ა, ფონდი 517, ანაწ. 1, საქ. 19, ფურც. 1.
[2] ი ქ ვ ე, საქ. 6, ფურც. 1
[3] ი ქ ვ ე, ფურც. 3.

ქიათურის ინტელიგენციის წარმომადგენლებისადმი: „თქვენი წინადადება ქიათურაში განყოფილების გახსნის შესახებ, — წერდა მთავარი გამგეობის მდივანი პ. საყვარელიძე, — ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ განიხილა და დაადგინა შემდეგი: გამგეობა სასიამოვნო მოვლენად თვლის ადგილობრივი ძალების ამოქმედებას, მაგრამ ფიქრობს მადაური განყოფილების გახსნის საკითხი გადაჭრას მაშინ, როცა წინასწარ მოისმენს ქუთაისის განყოფილების აზრს საერთოთ ადგილობრივი განყოფილების დაარსების შესახებ"[1].

მეორე დოკუმენტში მითითებულია: „ამ ბოლო ხანებში ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილებიდან დაჟინებით გვთხოვენ გავხსნათ ადგილობრივი განყოფილებები ჩვენი საზოგადოებისა. თბილისის გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი აზრი და გადაწყვეტილება ამის შესახებ"[2].

1915 წელს სარაიონო განყოფილებები შეიქმნა ზუგდიდში (თავმჯდომარე ალშიბაია), ოზურგეთში (თავმჯდომარე — კ. ერისთავი), ფოთში (თავმჯდომარე — ს. ხოშტარია), ახალსენაკში (თავმჯდომარე — გ. მხეიძე), ზესტაფონში (თავმჯდომარე — ვ. ჩხეიძე), სამტრედიაში (თავმჯდომარე — ლ. მიქელაძე), რაჭა-ლეჩხუმში (თავმჯდომარე — შ. გელოვანი), სენაკში (თავმჯდომარე — გ. მაღნარაძე) და სხვ.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება შეიქმნა აგრეთვე ბათუმსა (თავმჯდომარე — ვ. კრინიცკი) და სოხუმში (თავმჯდომარე — ნ. თავდგირიძე). იქ, სადაც არ არსებობდა სარაიონო განყოფილება, საზოგადოება აგზავნიდა თავის რწმუნებულს, რომლის მოვალეობას შეადგენდა შეესწავლა მოსახლეობის მდგომარეობა და შეემუშავებინა კონკრეტული წინადადებანი მათთვის დახმარების ღონისძიებათა შესახებ.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას და მის განყოფილებებს დიდი საზრუნავი და სამუშაო გაუჩინა პირველმა მსოფლიო ომმა, რომელმაც მშობლიურ კერას მოსწყვიტა ათასობით მუშაკი და ოჯახის მარჩენალი. ამას ზედ დაერთო წყალდიდობა

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 517, ანაწ. I, საქ. 6, ფურც. 14.
[2] იქვე, ფურც. 8.

და ნიაღვარი, რამაც მილიონობით ზარალი მიაყენა საქართველოს დაბა-ქალაქებსა და სოფლებს. მოუსავლიანობამ გამოიწვია შიმშილი. არნახულად გაძვირდა სურსათი და პირველი მოთხოვნილების საგნები, სამაჰმადიანო საქართველო — აჭარა — ომის ასპარეზად გადაიქცა, რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა დროებით აყრილიყო მშობლიური ადგილებიდან და მთელ საქართველოში გაფანტულიყო. ასეთ ისტორიულად საპასუხისმგებლო ხანაში ქართული საქველმოქმედო საზოგადოება ერთ-ერთი ეროვნული დაწესებულება აღმოჩნდა, რომელმაც თავისი ნაყოფიერი და ენერგიული მოღვაწეობის შედეგად დიდი ამაგი დასდო ქართველ ხალხს, როგორც მატერიალური, ისე მორალური თვალსაზრისით. „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას სასოების თვალით შეჰყურებდნენ საქართველოს დამშეულები, დარბეული, აწიოკებული მოძმენი, წყალდიდობისაგან აყრილდაზარალებულნი, უმწეო მოსწავლე-ახალგაზრდობა, ჯარში გაწვეულთა ოჯახები და სხვ.

ყველას თვალი ამ საზოგადოებისაკენ არის მიქცეული და მისგან მოელიან გაჭირვების ცრემლის შეშრობას", — წერდა გაზეთი „საქართველო"[1].

1915 წლის გაზაფხულზე დასავლეთ საქართველოს თავს დაატყდა დიდი სტიქიური უბედურება — წყალდიდობა. რიონის, ცხენისწყლის, ენგურის და მისი შენაკადების არნახულად ადიდების შედეგად წაილეკა და განადგურდა დიდი ტერიტორია, იყო ადამიანთა მსხვერპლი. წყალდიდობამ საგრძნობი მატერიალური ზარალი მიაყენა რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის, გურია-სამეგრელოს მოსახლეობას. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და მისი განყოფილებანი შეეცადნენ რამდენადმე შეემსუბუქებინათ დაზარალებულთა ერთობ მძიმე მდგომარეობა. მთავარი გამგეობის დავალებით საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ სტიქიით დაზარალებულ რაიონებში მდგომარეობის ადგილზე შესასწავლად გაგზავნა თავისი წარმომადგენელი. გამოირკვა, რომ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა რაჭა-ლეჩხუმის მაზრის სოფელ ზუბში. აქ, წყალდიდობის შედეგად, მეტ-ნაკლებად

---

[1] გაზ. „საქართველო", 1916, 31 იანვარი, № 24.

დაზარალდა 227 მოსახლე. ზარალმა 155424 მანეთი შეადგინა. სერიოზულად დაზარალდნენ სოფლები: გულბაგი, წიფერთი და სხვ. საერთო ზარალი 257395 მანეთს უდრიდა[1].

ცხენისწყლის ადიდების შედეგად ამ მდინარის ორივე სანაპიროზე მდებარე სოფლების ნათესები შლამის სქელი ფენით დაიფარა. ადიდებულმა მდინარემ წალეკა სოფლების: ქოლბანის, პატარა და დიდი გეზათის (აბაშის საბოქაულო), მათხოჯისა და სხვათა ნათესები, დაანგრია ნაგებობანი, წისქვილები, ხიდები.

სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში ადიდებულმა მდინარემ დაახრჩო და წალეკა აუარებელი შინაური პირუტყვი და ფრინველი. განსაკუთრებით დაზარალებულა ზუგდიდის მაზრის შემდეგი სოფლები: ახალი აბასთუმანი, ხობი, ხორგა, დარჩელი, ხიბულა, წალენჯიხა, კახათი და სხვ.[2]

წყალდიდობისაგან დაზარალებულთა უნუგეშო მდგომარეობის შესამსუბუქებლად აქტიური მუშაობა გააჩაღეს ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა დასავლეთ საქართველოში. პირველ რიგში შეიკრიბა ცნობები მიყენებული ზარალის ოდენობისა და დაზარალებულთა მდგომარეობის შესახებ. საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საიმპერიო კავკასიის და ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე სასწრაფო დახმარება აღმოეჩინათ დაზარალებულთათვის. როცა ცხადი გახდა, რომ მთავრობა მაინცდამაინც არ ჩქარობდა რაიმე რადიკალური ზომების გატარებას უბედურებაში ჩავარდნილი ხალხის მდგომარეობის გამოსასწორებლად, იგი თვითონ შეუდგა ამ საკითხის მოგვარებას.

საზოგადოებას, რასაკვირველია, არ შეეძლო მთავრობის ჩარევის გარეშე დაზარალებულთათვის აენაზღაურებია წყალდიდობით მიყენებული მატერიალური ზარალი, მაგრამ იგი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ხალხის გვერდით იდგა და ყოველმხრივ დახმარებას უწევდა მას.

როგორც უკვე აღინიშნა, განსაკუთრებით დაზარალდა რაჭალეჩხუმის მაზრის სოფელი ზუბი. საჭირო გახდა მოსახლეობისათ-

---

[1] საქ. ც ს ს ა, ფონდი 517, ანაწ. I, საქ. 19, ფურც. 36.
[2] საქ. ც ს ს ა, ფონდი 517, ანაწ. 1, საქ. 19. ფურც. 21—22.

ვის ახალი სამოსახლო ადგილების შეძენა. საქველმოქმედო საზო-გადოების ქუთაისის განყოფილებამ მთავარ გამგეობასთან ერთად მოლაპარაკება დაიწყო საქართველოში არსებულ ბანკების ხელ-მძღვანელობასთან ზუბელებისათვის 600 დესეტინა მიწის შეძენის შესახებ. საზოგადოებამ შეძლო დასავლეთ საქართველოს სხვა-დასხვა ადგილებში ზუბელებისათვის მიწების შეძენა. გარდა ამი-სა, მისი აქტიური ჩარევით საგლეხო ბანკმა ზუბელთა ერთ ნა-წილს მისცა გრძელვადიანი სესხი მიწების შესაძენად. საერთოდ. დაზარალებულთათვის შეგროვდა 1000 მანეთზე მეტი. წყალდი-დობის რაიონებში გაიგზავნა სურსათ-სანოვაგე, მედიკამენტები და სამედიცინო საქმის სპეციალისტები.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისა და მისი განყო-ფილებების მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს შეადგენდა დამშეულთა დახმარება. ომმა, წყალდიდობამ, ზედიზედ ორმა მოუსავლიანმა წელმა არნახული შიმშილი გამოიწვია. შიმშილმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო დასავლეთ საქართველო-ში, კერძოდ, მარცვლეულის ძირითად რაიონებში — სამეგრელო-სა და გურიაში. როგორც გაზეთები იტყობინებოდნენ პროვინცი-ებიდან შემაძრწუნებელი ცნობები მოდიოდა. ქართულმა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა დასავლეთ საქართველოში, ენერგიული ზომები მიიღეს საკვების შემოტანისა და დამშეულთათვის მისი განაწილების ორგანიზაციის მიზნით. საზოგადოების ქუთაისის განყოფილება აქტიურად მონაწილეობ-და აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსთან შექმნილ დამშეულთა დამხმარე კომიტეტის (თავმჯდომარე — დ. ნიჟარაძე) მუშაობაში.

დამშეულებმა, გაიგეს რა, რომ საქველმოქმედო საზოგადო-ება სახსრებსა და საკვებს აგროვებდა მათ დასახმარებლად, სის-ტემატურ ცნობებს აწვდიდნენ საზოგადოებას თავიანთი მდგომა-რეობის შესახებ.

კავკასიის ადგილობრივი ხელისუფლება დამშეულად მარტო სამეგრელოს თვლიდა, გურიას კი, მისი შეხედულებით, სიმინდი არ აკლდა. საჭირო იყო ამ მცდარი აზრის გაბათილება, რადგან საქველმოქმედო საზოგადოების მიერ შეკრებილი ცნობების მიხედ-

ცით გურიაც ისევე დამშეული იყო. როგორც სამეგრელო. „თუ დაჩქარებით რაიმე არ ეშველა დამშეულ გურულებს, ახლო მომავალში მოწამე ვიქნებით დიდის უბედურებისა“[1]. საქველმოქმედო საზოგადოებამ შეძლო დაერწმუნებინა მთავრობა, რომ გურიაც დამშეული იყო. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ფართო საზოგადოებრიობის აქტიური ზემოქმედებით მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული ღონისძიებანი გაეტარებია საქართველოში შიმშილის მასშტაბების შესამცირებლად. ასეთ პირობებში საქველმოქმედო საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ მთავრობას ზუსტად სცოდნოდა სად და რა სახის დახმარება იყო საჭირო.

ფოთის თვითმმართველობაში დამშეულებმა შემოიტანეს ორი განცხადება. ერთს ხელს აწერდა 119 კაცი, ხოლო მეორეს — 79. ისინი მოითხოვდნენ პურს სესხად, რადგან საშინელ შიმშილს განიცდიდნენ და იმუდარებოდნენ უკიდურეს შემთხვევაში თითო ტომარა ფქვილი მოგვიხერხეთ „სული რომ მოვიბრუნოთო“[2].

„ჩვენი რაიონი უსიმინდობით განიცდის დიდ გაჭირვებას, — იტყობინებოდნენ სამტრედიიდან. — სიმინდი ეხლა გასაყიდად რაც უნდა ღირდეს არ მოიპოვება. საჭიროა შველა“[3].

დამშეულთა დასახმარებლად გაწეული მუშაობა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: პირველ რიგში საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა სასწრაფოდ და ოპერატიულად შეაგროვეს ცნობები დამშეულთა რაოდენობისა და მათთვის აუცილებლად საჭირო საკვების მიწოდების შესახებ. ამის შემდეგ მათ რამდენჯერმე დააყენეს საკითხი მთავრობის წინაშე დამშეულთათვის დახმარების შესახებ და აიძულეს იგი გარკვეული ღონისძიებები გაეტარებია. მეორეს მხრივ საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა დასავლეთ საქართველოში შეაგროვეს სახსრები დამშეულთა დასახმარებლად.

1915 წლის 18 ივნისს გაიმართა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის წევრთა კრება,

---

[1] გაზ. „სამშობლო“, 1915, 10 ივნისი, № 100.
[2] საქ. ც ს ს ა, ფონდი 517, ანაწ. 1, საქ. 39, ფურც. 7
[3] იქვე, ფურც. 57.

რომელმაც განიხილა მთავარი გამგეობის მიმართვა იმერეთში გასაგზავნი სიმინდისათვის ვაგონების გამოყოფის შესახებ. კრებამ დაადგინა: ეთხოვოს ქუთაისის გუბერნატორს 30 ვაგონი და როცა დატვირთულნი დაბრუნდებიან, გაიგზავნოს 3—3 ვაგონი ჭიათურაში, სამტრედიასა და აბაშაში; ლანჩხუთში — 4; ქუთაისში — 6 (ლეჩხუმისა და სვანეთისათვის); ნატანებში — 5, სენაკში — 4 და ტყიბულში — 2. ასევე ქუთაისის განყოფილებამ 18 ათასი მანეთი გაიღო რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის დასახმარებლად[1], 500 ფუთამდე სიმინდი დაურიგდა კუხის, სიმონეთისა და გუბის საზოგადოების გლეხებს[2], ხოლო 22 ვაგონი გაიგზავნა წყალტუბოს დამშეულ მცხოვრებთა დასახმარებლად[3]. 1914 წლის 2 მაისს სიმინდით დახმარება გაეწია ქუთაისის გუბერნიის სოფლების ოკრიბისა და ბანოჯის მცხოვრებლებს[4]. გარდა ამისა, ქუთაისის გუბერნიაში სიმინდის ვაჭრობა სპეკულანტებს ხელთ რომ არ ჩავარდნოდათ, საზოგადოების განყოფილებამ მთავარ გამგეობასთან შეთანხმებით ჩრდილოეთ კავკასიიდან და ბესარაბიიდან რამდენიმე ათეული ვაგონი სიმინდი ჩამოიტანა, რომელიც გასაყიდად გაიტანა გამგეობის მიერ მითითებულ ადგილებში[5]. ფუთი სიმინდი იყიდებოდა 1 მანეთად და 3 კაპიკად, რამაც დასცა სიმინდის ფასი და დამშეულები სპეკულანტების კლანჭებისაგან იხსნა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება მატერიალური და მორალური დახმარება აღმოეჩინა ომში გაწვეულთა, ხოლო შემდეგ დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართა ოჯახებისათვის.

საზოგადოების იმედით ადგილებზე არსდებოდა „ომში დაზარალებულთა ოჯახებზე მზრუნველი კომიტეტები", სარეგისტრაციო პუნქტები, რომლებსაც უნდა შეეკრიბათ შემდეგი ცნობები: დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართა, ტყვედ წაყვანილთა, ომის სხვადასხვა მიზეზით დაზარალებულთა, დახოცილ ჯარისკაცთა

---

[1] საქ. ც ს ს ა, ფონდი 517, ანაწ. 1, საქ. 116, ფურც. 7.
[2] გაზ. „იმერეთი", 1914, 13 აპრილი, № 29.
[3] გაზ. „ა ზ რ ი", 1914, 25 აპრილი, № 36.
[4] გაზ. „აზრი", 1914, 3 მაისი, № 43.
[5] საქ. ც ს ს ა, ფონდი 517, ანაწ. 1, საქ. 6, ფურც. 45.

ოჯახების შესახებ. გარდა ამისა, სარეგისტრაციო პუნქტებში გროვდებოდა მასალები იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ ეხმარებოდა ომისაგან დაზარალებულთა ოჯახებს, ომის მიზეზით ლტოლვილთ და გადმოხვეწილთ. შეგროვილი მასალა სათანადო სიებითურთ ეგზავნებოდა საზოგადოების მთავარ გამგეობას, რომელიც პირველ რიგში თავის განკარგულებაში არსებული სახსრებიდან ცდილობდა აღმოეჩინა დახმარება ომის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის. აგრეთვე იგი მიმართავდა თხოვნით მეომართა ოჯახების დამხმარე კავკასიის კომიტეტს და რუსეთის იმპერიაში არსებულ სხვადასხვა საქველმოქმედო დაწესებულებებს სათანადო თანხა გაეღოთ ამ მიზნით.

სახსრების შესაგროვებლად ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ინიციატივით ეწყობოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებანი. გროვდებოდა ფული ე. წ. ყულაბებით. კინო-თეატრ „ვიუს" გამგეობამ გადაწყვიტა ყოველდღიური შემოსავლიდან 10 პროცენტი გადაედო ქუთაისიდან ომში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლად ომის დამთავრებამდე[1].

პეტროგრადში არსებულმა ქართველ მეომართა ოჯახების დამხმარე საზოგადოებამ[2] ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას 5000 მანეთი გამოუგზავნა, თვით მთავარმა გამგეობამ კი 500 მანეთი ასეთი თხოვნით: „300 მანეთი, რომელიც სკოლებისათვის გეგზავნებათ, უნდა მოხმარდეს ომისაგან დაზარალებულთა შვილებს"[3].

მოწოდებას ომში მობილიზებულთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ ფართოდ გამოეხმაურა რუსეთსა და საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სტუდენტობა. მართალია, მოსწავლე ახალგაზრდობას თვითონაც ძალიან უჭირდა, მაგრამ, როგორც გაზეთი „სამშობლო" წერდა, „აღარავის ენანება უკანასკნელი გროშიც კი გაიღოს, ოღონდაც საქმე მართლა მოეწყოს, ოღონდაც მისი წვლილიც იქნეს შეტანილი დიადი საქმის საკურთხეველზე"[4].

---

1 გაზ. „იმერეთი", 1914, 9 აგვისტო, № 125.
2 ЦГИАЛ, ф. 568, оп. 13, д. 1146.
3 საქ. ც ს ს ა, ფონდი 517, ანაწ. 1, საქ. 23, ფურც. 22.
4 გაზ. „სამშობლო", 1915, 22 მაისი, № 84.

ქუთაისის ქალთა საზოგადოებამ სათადარიგო ჯარისკაცთა ბავშვებისათვის 1915 წელს გახსნა უფასო სასადილო[1]

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა ყურადღება მიაქციეს აგრეთვე ომში დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართა მკურნალობისა და სამშობლოში დაბრუნების საქმეს. საზოგადოება დაკავშირებული იყო რუსეთის ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ჰოსპიტლებთან და საავადმყოფოებთან, სადაც ძირითადად თავს იყრიდნენ დაჭრილ-დასახიჩრებული მეომრები. საზოგადოება ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო დაჭრილთა გამოჯანმრთელებისა და ხეიბართა საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფისათვის. 1915 წელს საზოგადოების რწმუნებული გაზეთ „შრომის" რედაქციას წერდა: „მადლობას უძღვნით ქალაქ ვიშნივოლოჩეკში (ტვერის გუბერნია) რკინიგზის უწყების ქვეშ არსებულ დაჭრილ ჯარისკაცთა დამხმარე საავადმყოფოში მოსამსახურე ექიმ ქალს ორლოვა-სადიკოვსკაიას და მოწყალე დებს: ეკატერინე სოსიპატროვას, ლუბა ტარაკანოვას, კლავდია შარაკოვსკაიას და ელენე პარამანოვას, რომლებმაც დიდათ დეგვეხმარეს ყველა იქ მყოფ ქართველ დაჭრილ ჯარისკაცთ და თავისი პატიოსნური მოქმედებით დაგვიმტკიცეს ნამდვილი ძმური გულშემატკივრობა[2].

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ თავის სხდომაზე (1916 წლის 9 სექტემბერი) განიხილა პეტროგრადის „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების" წინადადება გაჭირვებაში ჩავარდნილი ტყვეებისადმი დახმარების აღმოჩენის ღონისძიებათა შესახებ.

გერმანიასა და ავსტრიაში ქართველ ტყვეებს საშინლად აწიოკებდნენ და აშიმშილებდნენ. შეიტყო რა ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ ამის შესახებ, მან 500 მანეთი გაუგზავნა პეტროგრადის „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას", რადგან მათთვის უფრო მოსახერხებელი იყო ქართველი ტყვეებისათვის დახმარების მიწოდება. ამასთან ერთად „რუს ქვეშევრდომ ტყვეთა დამხმარე თბილისის კომიტეტს" მთავარი კომიტეტისათ-

---

[1] გაზ. „სამშობლო", 1915, 20 დეკემბერი, № 45.
[2] გაზ. „შრომა", 1915, 27 იანვარი, № 20.

ვის სტოკჰოლმში გაუგზავნია 100 მანეთი ქართველ ტყვეთა დასახმარებლად[1].

დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომრებზე ზრუნვა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად უბანს შეადგენდა.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების პრაქტიკულმა საქმიანობამ მთლიანად ვერ მოიცვა წესდებით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები. ეს აიხსნება იმით, რომ საზოგადოებას განსაკუთრებით აქტიური მოღვაწეობა მოუხდა პირველი იმპერიალისტური ომის დროს. ომმა იმდენი გადაუდებელი პრობლემები დააყენა საქველმოქმედო საზოგადოების წინაშე, რომ მან ვერ შეძლო სხვა საკითხებისათვის სათანადო ყურადღება მიექცია.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისა და მისი განყოფილებების მოღვაწეობის განხილვის დროს ცალკე უნდა გამოვყოთ მათი დამოკიდებულება აჭარისადმი.

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე აჭარა სამი საუკუნის მანძილზე თურქ-ოსმალთა საშინელ უღელქვეშ გმინავდა. დამპყრობლები ძალით ამუსლიმანებდნენ ქართველებს. ისინი ამ ღონისძიების განსახორციელებლად მიმართავდნენ ყველაზე ბარბაროსულ მეთოდებს. ათასობით ადამიანს კლავდნენ, თავს ჰკვეთდნენ, მდინარეებში ყრიდნენ, შვილების თვალწინ ხოცავდნენ მშობლებს და პირიქით,... სპობდნენ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, წვავდნენ წიგნებს და სხვ[2].

დამპყრობლებმა ძლიერ შეაფერხეს მხარის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, თითქმის მთლიანად ჩაკლეს მისი მეურნეობა. ხალხის ბრძოლა, მიმართული დამპყრობთა წინააღმდეგ, მარცხით მთავრდებოდა, მხოლოდ 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა განთავისუფლდა დამპყრობთა უღლისაგან და დაუბრუნდა დედა საქართველოს.

აჭარის განთავისუფლება იყო უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მშობლიურ მხარეს სამუდა-

---

საქ. ცსსა, ფონდი 517, ანაწ. 1, საქ. 51, ფურც. 50.

ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1956, გვ. 38.

მოდ დაუბრუნდა ოსმალეთის მიერ მიტაცებული უძველესი კულტურის ერთ-ერთი კერა, რის შედეგადაც საქართველო ნაწილობრივ აღსდგა თავის ისტორიულ საზღვრებში[1]

ქართველი საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმა აჭარის გათავისუფლებასა და საქართველოსთან შეერთებას. ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტთან დაკავშირებით წერდა: „ქართველობავ!... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შეეეწივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე, შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად შემძლებელია, როგორც სხვაგან. ვაჩვენოთ, რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება[2]".

აჭარის კულტურულად დაწინაურების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას. 1881 წლის მარტში ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აჭარის მოსახლეობის მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების, ეროვნული კულტურის მიღწევათა დანერგვისა და საერთოდ, ეროვნული ფსიქოლოგიის გამთლიანების საქმეში.

ხალხის გათვითცნობიერებისა და მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვივების საქმეში დიდი ამაგი მიუძღვის შესანიშნავ მამულიშვილთ: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, გიორგი წერეთელს, დავით კლდიაშვილის, ანტონ ფურცელაძეს, იაკობ გოგებაშვილს, სერგეი მესხს, გიორგი ყაზბეგს. დიმიტრი ბაქრაძეს, ზაქარია ჭიჭინაძეს, კეიდარ აბაშიძეს, აჭარასა და მთელ საქართველოში პოპულარულ პიროვნებას გულო კაიკაციშვილს, ასევე

---

[1] ა. ბ. სურგულაძე, განმათავისუფლებელი მოძრაობიდან აჭარაში, ბათუმი, 1978, გვ. 3.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, თბ., 1955, გვ. 30—31.

ახმედ ხალიფაშვილს, ლომან ქარცივაძეს, აბდულ მიქელაძეს და სხვ[1].

აჭარა სერიოზული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა პირველი იმპერიალისტური ომის დროს. როგორც ცნობილია, 1914 წლის შემოდგომაზე გერმანიის მხარეზე ომში ჩაება თურქეთი, რომელსაც ფართო დაპყრობითი გეგმები ჰქონდა (იგი ითვალისწინებდა თურქთა ძალაუფლების ქვეშ ამიერკავკასიის, დაღესტნის, ყირიმის, შუა აზიისა და ვოლგისპირეთის მოქცევას). აჭარა სამხედრო ოპერაციების ასპარეზად გადაიქცა. რუსთა ჯარებმა შეტევა დაიწყეს ერზრუმის, ოლთისისა და ერევნის მიმართულებით, თურქებმა ამ დროისათვის დაიკავეს ართვინი, ბორჩხა, ხოლო შავ ზღვაში შემოსულმა გერმანულმა ხომალდებმა „გებენმა“ და „ბრესლაუმ“ ყუმბარები დაუშინეს ბათუმს, მაგრამ რუსების საპასუხო ცეცხლის შედეგად უკუიქცნენ. იმისათვის, რათა კავკასიის ფრონტზე გადამწყვეტი გამარჯვება მოეპოვებინა, თურქეთის სარდლობამ დაიწყო შეტევა სარაყამიშის რაიონში, რაც, როგორც ცნობილია, მათი სასტიკი დამარცხებით დამთავრდა.

სარაყამიშის ოპერაციამ განამტკიცა კავკასიის არმიის მდგომარეობა და ჩაფუშა გერმანიისა და თურქეთის იმედები — შეექმნათ კავკასიის ხალხებში რაიმე დასაყრდენი. თურქეთის დიდი ვეზირი, სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა დარწმუნებული იყო, რომ მისი წარმომადგენლების გამოჩენა კავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობაში, მათ რუსეთის წინააღმდეგ განაწყობდა. ამ მიზნის განსახორციელებლად მან აჭარაში თავისი აგენტები შეაგზავნა, მაგრამ ანტირუსულ აგიტაციას შედეგი არ მოჰყოლია. ბათუმის ოლქის მცხოვრებთა მხრიდან რაიმე მტრულ გამოსვლებს რუსეთის ადმინისტრაციის, მისი წარმომადგენლების ან ჯარების მიმართ ადგილი არ ჰქონია. პირიქით, ადმინისტრაციის თითქმის ყველა თანამდებობის პირი აღიარებდა, რომ მოსაზღვრე რაიონის მოსახლეობა, რომელსაც თურქეთის შემოტევის ეშინოდა, ქვეყნის შიდა რაიონებში გადასახლებას ითხოვდა. მუსლიმანი მოსახლეობა რუსეთის ჯარებს დათოვლილი უღელტეხილების გაწ-

---

[1] აბ. სურგულაძე, გელო კაიკაციშვილი, ბათუმი, 1973, გვ. 5.

მენდაში ეხმარებოდა და უფასოდ აწვდიდა საკვებ პროდუქტებს სამხედრო ნაწილებს, ენერგიულად მოქმედებდნენ ოსმალების წინააღმდეგ და მთელი ძალ-ღონით ეხმარებოდნენ კავკასიის არმიას[1]. მიუხედავად ამისა, ცარიზმი მაინც უნდობლად ეკიდებოდა აჭარის მოსახლეობას. შეიქმნა უაღრესად ტრაგიკული მდგომარეობა. აჭარის მცხოვრებთ, რომლებმაც პანთურქისტებს ვერ გაუმართლეს იმედები, სასტიკად ეპყრობოდა თურქეთის მთავრობა, ხოლო ცარიზმი ბრალს სდებდა ღალატში. შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ ამ კრიტიკულ მომენტში მაჰმადიანი მოძმეების დასაცავად ერთსულოვნად აღსდგა მთელი საქართველო, მთელი ქართველი ერი.

ომით გაპარტახებული მოსახლეობის დასახმარებლად და ცარიზმის ცილისწამებისაგან მათ დასაცავად განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა დასავლეთ საქართველოში. როგორც უკვე აღინიშნა, ომმა განსაკუთრებული უბედურება დაატეხა თავს საქართველოს განაპირა კუთხეებს. მთელი სამაჰმადიანო საქართველო და, კერძოდ, აჭარა, შავშეთი, იმერხევი, კლარჯეთი (საერთოდ ბათუმის ოლქი) ომის არენად გადაიქცა. ქვეყანა აოხრდა, მოსახლეობის სახლ-კარი და სარჩო-საბადებელი ცეცხლმა შთანთქა. ომის სტიქიონი ანადგურებდა ყველაფერს. შეძრწუნებული ხალხი აქეთ-იქით იფანტებოდა. ნაწილი იძულებული გახდა მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი შორს გადახვეწილიყო. მრავალი დაიხოცა. ვინც გადარჩა, საშინელ გაჭირვებასა და შიშს განიცდიდა.

ქართველ ხალხს თავი უნდა გამოედვა განადგურების პირას მისულ თანამოძმეთა გადასარჩენად. მდგომარეობა მოითხოვდა მათთვის დაუყოვნებლივ ხელის გაწოდებას. საჭირო იყო უნდობლობის ყინულის გალხობა და ძმური სიტყვის მტკიცედ თქმა ობლად დარჩენილ აჭარელთა გასამხნევებლად, წელში გასამართავად, მაგრამ ამას აბრკოლებდა საშინაო და საგარეო გარემოებანი. აჭარლების სასარგებლოდ თავისუფლად ხმის ამოღება ფაქტიუ-

---

[1] ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბილისი, 1969, გვ. 121.

რად აკრძალული შეიქნა. ხელისუფლებამ მათ მოღალატეთა იარლიყი მიაკერა და ამით მოინდომა ქართველი ხალხისათვის გზის გადაკეტვა მორალური და ნივთიერი დახმარების საქმეში. ამასთან ერთად, საზოგადოების გარკვეულ წრეებში შიში და მერყეობა ბატონობდა, რაც აფერხებდა ქართველ მაჰმადიანთა დახმარებისათვის საზოგადოებრივ გამოსვლასა და ორგანიზაციულ შეკავშირებას. ეს მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო მომენტი იყო მიუხედავად ამისა, საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობამ და ქართულმა პრესამ მაინც შეძლო აჭარელთა საკითხისადმი საერთო ყურადღების გამახვილება და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ყველა ეროვნული ძალის მობილიზება[1].

მაჰმადიანურ საქართველოში დატრიალებული ტრაგედიის ნათელი სურათია მოცემული ართვინში მცხოვრებ ქართველებისაგან გამოგზავნილ წერილში: „დიდი ხანია სიკვდილის ღმერთი თავს დასტრიალებს საქართველოს გულს — მესხეთს — და ანადგურებს მას, — ნათქვამია წერილში. დღეს ეს მშვენიერი მხარე მიწასთან არის გასწორებული. მშიერი ხალხი ბალახით იკვებება. ბევრი ახალგაზრდა, ვისაც მუშაობა შეეძლო, ოსმალეთში გარეკეს. ყოველდღიურად ართვინს ფეხშიშველი, მშიერი, ძონძებში გახვეული და დატანჯული ადამიანების ბრბო აწყდება. საუკუნეების განმავლობაში ამ ხალხს თავზე აწვა ულმობელი ვეშაპი „ისტორია"; მაგრამ ვერ მოახერხა მისი სულიერი დამახინჯება. ყველანი, განსაკუთრებით კი კაცები და ბავშვები წმინდა, შეუბღალავი ქართულით ლაპარაკობენ, ახსოვთ თავიანთი დიდი წინაპრები. იციან, რომ ქართველები არიან და ოსმალებმა ძალით „გაათათრეს". ახლა გეკითხებით, ნუთუ არ არის დახმარების ღირსი ის ქართველი დედა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში მოახერხა იმ სიწმინდის დაცვა, რომელსაც სამშობლო ენა ეწოდება? ნუთუ ჩვენ გულგრილათ უნდა ვუყუროთ ჩვენი დატანჯული ძმის გადაგვარებას და შიმშილით სიკვდილს? ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება პირნათლად შეასრულებს მის წმინდა მოვალეობას და დააპურებს მშიერ მოძმეებს"[2].

---

[1] გაზ. „საქართველო", 1910, 6 ნოემბერი. № 221.
[2] საქ. ც ს ს ა, ფონდი 517, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 41—42.

საზოგადოება მართლაც ენერგიულად შეუდგა საქმიანობას პირველ რიგში საჭირო იყო აჭარის მოსახლეობისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდების ორგანიზაცია. მთავარმა საზოგადოებამ და, განსაკუთრებით, მისმა განყოფილებებმა ქუთაისსა და ბათუმში დიდი მუშაობა ჩაატარეს აჭარელთა დასახმარებლად შეწირულებათა შესაგროვებლად. პრესისა და რწმუნებულების მიერ შეგროვილი მასალების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ მაჰმადიანურ საქართველოში, პირველ რიგში, საჭირო იყო საკვების, ტანსაცმლის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, საქონლისა და სათესლე მარცვლეულის გაგზავნა, ომით დანგრეული საცხოვრებელი შენობების აღდგენა და სხვ. საზოგადოებამ 1916 წელს აჭარაში გაგზავნა 11 ვაგონი (დაახლოებით 11000 ფუთი) სიმინდი. ქართული საქველმოქმედო საზოგადოების წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურნენ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც. ომისაგან დაზარალებულ აჭარლებისადმი დახმარების აღმოჩენა დაიწყო ადგილობრივმა ადმინისტრაციამაც. აჭარაში შეტანილი სიმინდის გასანაწილებლად შეიქმნა სასოფლო კომისიები, ხოლო საუბნო ცენტრებში — ხულოსა და ქედაში — შედგა მთავარი საუბნო სასურსათო კომისიები[1]. ისინი ხელმძღვანელობდნენ და თვალყურს ადევნებდნენ სურსათის განაწილებას. აჭარის მოსახლეობა დიდი სიხარულით ღებულობდა ყოველგვარ დახმარებას რა მცირეც არ უნდა ყოფილიყო ის" სიმინდთან ერთად — წერდა გაზ. „საქართველო" — ისინი თითქოს სხვა უფრო მნიშვნელოვან რამეს ღებულობდნენ. ეს მათ სულიერად ამხნევებდა და უკეთესი იმედით სჭვალავდა. სიმინდს ხალხი ღებულობდა როგორც საქართველოდან, ქართველი საზოგადოებისაგან გამოგზავნილ საჩუქარს".[2] სიმინდთან ერთად გაიგზავნა აგრეთვე საპონი, მარილი, ნავთი, თბილი ტანსაცმელი, თეთრეული და პირველი მოთხოვნილების სხვა საქონელი.

საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია აჭარის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმესაც. დაარსდა სპეციალური სამე-

---

[1] ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წლის, თფილისი, 1916, გვ. 4.
[2] გაზ. „საქართველო", 1916, 8 ნოემბერი, № 223.

დიცინო კომისია, რომელშიც შედიოდნენ ექიმები: ი. ელიაშვილი (თავმჯდომარე), გ. მუხაძე, შ. მიქელაძე, უ. კაკილაშვილი, პროვიზორი ა. ახვლედიანი და ექთანი გ. კაჭახიძე. სამედიცინო კომისიის წევრები მოსახლეობას უფასოდ მკურნალობდნენ და ასევე უფასოდ ეძლეოდათ ავადმყოფებს წამლები და სხვა სამედიცინო მედიკამენტები. საზოგადოების ანგარიშის მიხედვით 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე საექიმო კომისიის წევრებმა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს 870-მდე ავადმყოფს[1].

იმის გამო, რომ აჭარა საომარი მოქმედების ასპარეზად გადაიქცა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იძულებული გახდა დროებით დაეტოვებია მშობლიური ადგილები და საქართველოს შიდა რაიონებში გადასახლებულიყო. განსაკუთრებით დიდი იყო ლტოლვილთა რაოდენობა ომის პირველ თვეებში.

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა დასავლეთ საქართველოში შექმნეს სპეციალური სარეგისტრაციო პუნქტები და ლტოლვილთა თავშესაფრები, რომლებიც აგროვებდნენ ზუსტ ცნობებს მათი რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ. სარეგისტრაციო პუნქტების მონაცემებით შავი ზღვის სანაპირო დაბა-ქალაქები თითქმის დაიცალა. ლტოლვილთა საერთო რაოდენობამ 25 000 გადააჭარბა. მათი ძირითადი რაოდენობა თავს იყრიდა ქუთაისის გუბერნიასა და სოხუმის ოლქში, ამის გამო მათზე ზრუნვა ძირითადად საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას დაევალა.

მთავარი გამგეობის წინაშე ლტოლვილი აჭარლების ადგილმამულის შენარჩუნების საკითხი დაისვა. როდესაც ადგილობრივმა მმართველობამ ამ ადგილების იჯარით გაცემა დაიწყო, საქმეში ჩაერია ქუთაისის სარაიონო განყოფილება, რათა ლტოლვილთა მიწები კერძო პირებს არ ჩაეგდოთ ხელში. 1916 წლის თებერვალში ბათუმში გაიგზავნა განყოფილების რწმუნებული, რომელმაც ბათუმის განყოფილებასთან ერთად ქართული საქველმოქმედო საზოგადოების სახელზე იჯარით აიღო 12 სოფელი. ეს

---

[1] ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წელს, ტფილისი, 1916, გვ. 6.

სოფლები მესაკუთრეების დაბრუნებამდე იჯარით გადაეცათ იმ აჭარლებს, რომლებიც აქ იყვნენ დარჩენილნი. იჯარის პირობა ასეთი იყო: მიწა დაუყოვნებლივ გადაეცემოდა მესაკუთრეს, როგორც კი მშობლიურ კერას დაუბრუნდებოდა. გარდა ამისა, მმართველობის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა შეეწყვიტა ამ მიწების იჯარით გაცემა, ხოლო მათი მოვლა-პატრონობა დაკისრებოდა სათანადო სამეურნეო დაწესებულებებს. იჯარით აღებული სოფლების მოსავლელად განყოფილებამ სპეციალური მოურავი დანიშნა. მიღებულ იქნა ენერგიული ზომები მოსავლის (ხილი, კაკალი) შესაგროვებლად და სარეალიზაციოდ[1].

შიმშილის გამო აჭარაში ათეულობით ადამიანი იხოცებოდა. დარბეულ, დამშეულ ხალხს მრავალგვარი დახმარება სჭირდებოდა, რომ ,,მამა-პაპათა სისხლით მორწყული ადგილ-მამულიდან არ გადახვეწილიყვნენ".

ჟურნალი ,,თეატრი და ცხოვრება" წერდა: ,,საჭიროა მთელმა ქართველმა ხალხმა, მოწინავე საზოგადოებამ, საფინანსო, საქველმოქმედო, წოდებრივმა და სხვა დაწესებულებათ სათვალსაჩინო თანხა გადასდონ დაზარალებულ აჭარელთა სასარგებლოდ, თბილისს-ქუთაისს და საქართველოს სხვა დაბა-ქალაქ-სოფლებშიაც გაიმართოს დილა-საღამოები ამავე მიზნით, აჭარაში გაიგზავნოს შესაფერი კაცები საჭირო ცნობების შესაკრებად და დახმარების აღმოსაჩენად"[2]

ცნობილი ქართველი მწერალი ქალი დომინიკა ერისთავი (განდეგილი) წერდა: ,,ქართველო ქალებო! დავეხმაროთ ჩვენს მოძმეებს, გავიღოთ ჩვენი წვლილი ვის რამდენიც შეგვიძლია და სიკვდილს და გასაჭირს გადავარჩინოთ ჩვენი ძმები და შვილები, მე თამამად მოგმართავთ თქვენ, რადგან ვიცი თქვენ უფრო მგრძნობიარე ხართ და უფრო მხნეთ შეუდგებით ამ წმინდა მოვალეობის ასრულებას"[3].

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა დაიწყეს შეწირულებათა შეგროვება და დანიშნულები-

---

[1] საქ. ც ს ს ა, .ფონდი 517, ანაწ. 1, საქ. 6, ფურც. 52.
[2] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", № 24, 1915, გვ. 2.
[3] ა პ. წ უ ლ ა ძ ე, ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს, ტფილისი, 1915, გვ. 61.

საჭირო გაგზავნა. ასეთმა კეთილშობილურმა მოქმედებამ აჭარლებ- რიც „გამოაფხიზლა და ქრისტიან ქართველების სიყვარული ჩა-უნერგა გულში".

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა კორპორაციამ აჭარლების სასარგებლოდ შეაგროვა 192 მანეთი და 24 კაპიკი[1].

საინტერესოა ქართველ დაჭრილ ჯარისკაცთა წერილი, რო-მელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ დაჭრილი და დაავადმყოფებული ჯარისკაცების ერთი ნაწილი, რომელნიც თფილისში ვიმყოფებით ლაზარეთში ვსწირავთ უკანასკნელ კაპეიკს, რათა ამით მაინც შევუმსუბუქოთ გაჭირვება დაზარალებულ აჭარლებს"[2].

ლეჩხუმში, დაბა ლაილაშში ადგილობრივი ინტელიგენციის თაოსნობით და მარიამ გელოვანის ხელმძღვანელობით გაიმართა აჭარელ ქართველთა სასარგებლოდ წარმოდგენა-საღამო. შემოსა-ვალი — 100 მანეთზე მეტი გაიგზავნა ქართველ მაჰმადიანთა დასახმარებლად[3]. 1915 წლის 7 მარტს ოზურგეთის თეატრში ჩატარდა დიდი ლიტერატურულ-მუსიკალური და საცეკვაო სა-ღამო, რომლის შემოსავალი გადაეცა აჭარელთა დახმარების ფონდს.

აჭარელთა დახმარების საქმეს დიდი ღვაწლი დასდეს ქარ-თველმა სტუდენტებმაც. მათი ინიციატივით გამოიცა წიგნაკების სერია, რომლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის, პეტრე უმიკაშვილის, ნიკო მარისა და სხვათა წერილები.

აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარელთა დახმარების საქმეში თა-ვისი წვლილი შეიტანეს ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლეებმაც[4].

პირველი მსოფლიო ომის დროს აჭარლებზე ნაკლებად არც ლაზები და ჭანები დაზარალებულან. მამაკაცები ოსმალებმა ტყვედ წაიყვანეს, ხოლო მათი ოჯახები უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საჭირო იყო გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა. მთავარმა გამგეობამ ლაზთა და ჭანთა დასახმარებლად გაგზავნა

---

[1] გაზ. „სამშობლო", 1915, 19 მაისი, № 81.
[2] გაზ. „თანამედროვე აზრი", 1915, 27 მარტი, № 20.
გაზ. „სამშობლო", 1915, 28 აგვისტო, № 163.
ქ ც ს ა, ფონდი 20, საქ. 354, ფურც. 14—15.

500 მანეთი, ხოლო ტრაპიზონში ასევე 500 მანეთი თავშესაფრის გასახსნელად[1].

აჭარლების, ლაზების, ჭანებისა და საერთოდ, ლტოლვილთა დახმარების საქმეში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების სოხუმის სარაიონო განყოფილებამ (თავმჯდომარე ნ. თავდგირიძე), რომელიც მთავარ გამგეობას წერილობით აცნობებდა სასწრაფოდ გაეგზავნათ მათთვის თანხა, რადგან „ამაზეა დამოკიდებული ჩვენი არსებობა და საქმის გაფართოება... ჩვენ, ქართველებსა და ამათ შუა (იგულისხმებიან აჭარლები — დ. გ.) ხიდი იყო საჭირო და ეს ხიდი ჩვენი განყოფილებაა, რომ არ ჩაიმტვრეს და ჩვენ შორის კავშირი არ გაწყდეს უნდა ეხლავე მივხედოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საუკეთესო წუთები ჩვენის ძმობის განმტკიცებისა თოვლივით გადნება. ამას კი არავინ მომავალ თაობათაგანი არ გვაპატიებს და სირცხვილი იქნება ჩვენთვის"[2].

ამავე დროს სოხუმის განყოფილებამ მთავარი გამგეობის რეკომენდაციით შრომის ბიურო დააარსა უმუშევართათვის, სხვადასხვა სამუშაოზე დაასაქმა ასამდე აჭარელი და ლაზი. მანვე დახმარება აღმოუჩინა ასზე მეტ ოჯახს ტყვედ წაყვანილთა ძებნაში და სურსათ-სანოვაგის შოვნის საქმეში.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით 1915 წლის ზაფხულში გამოიცა გაზეთი-ალმანახი „ძმური სიტყვა". ქართულ და რუსულ ენებზე, რომლის უმთავრესი მიზანი იყო ნივთიერი და მორალური დახმარება აღმოეჩინა რეგიონის მოსახლეობისათვის. ის ამავე დროს გამოხატავდა „ჩვენს გრძნობებს. ჩვენს თანაგრძნობასა და ეროვნულ დამოკიდებულებას დიდი ხნით მოშორებულ თანამოძმეებისადმი". საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ფულადი დახმარება აღმოუჩინა აპოლონ წულაძეს მისი შრომის — „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს" — გამოცემის საქმეში. ორივე გამოცემის გარკვეული რაოდენობა უფასოდ დარიგდა ქართველ მაჰმადიანთა შორის.

---

[1] საქ. ც ს ს ა, ფონდი 517, ანაწ. 1, საქ. 8, ნაწ. II, ფურც. 54.
[2] ი ქ ვ ე, საქ. 148, ფურც. 33.

რასაკვირველია, მატერიალურ და მორალურ დახმარებას ქართველი მაჰმადიანებისადმი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამასთან ერთად საჭირო იყო მათში კულტურული მუშაობის ფართოდ გაშლა, სწავლა-განათლების გავრცელება და სხვ. იოსებ ყიფშიძე მოახსენებდა მთავარ გამგეობას: ,,არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის ლაზებს. თუ ომი მალე არ გათავდა, ჩვენი ბავშვები უსწავლელნი დარჩებიან, რადგან ძველი სკოლები მოისპო და ახალს კი არავინ გვიარსებსო"[1]. ი. ყიფშიძის აზრით, სასურველი იყო მოძრავი სკოლების გახსნა, რომლის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ თუნდაც ერთ მასწავლებელ ქალს ან მამაკაცს შემოევლო აჭარა და მსურველთათვის ესწავლებინა წერა-კითხვა. ამავე დროს მას საჭიროდ მიაჩნდა რამდენიმე ახალგაზრდის მაინც თბილისის სასწავლებელში აღზრდა.

ეპისკოპოსი ლეონიდე აყენებდა წინადადებას ,,მოდით, მთელ ქართველობიდან შევჯგუფდეთ ხუთასი კაცი, შევიტანოთ ყოველწლივ ოცი მანეთი, რომ შემდგარი თანხა მოხმარდეს ქართველ მაჰმადიანთა შვილების საშუალო სასწავლებელში აღზრდას"[2].

ბუნებრივია, ომის პირობებში ძნელი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და სკოლების გახსნისათვის ზრუნვა სამაჰმადიანო საქართველოში, მაგრამ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და ერის მოჭირნახულე შვილები ყველაფერს აკეთებდნენ ამ მხარეში სწავლა-განათლებისა და კულტურული ნაკადის შეტანისათვის.

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ სკოლები გახსნა სუცუბანში, ხულოში, ყოროლისთავსა და დიდაჭარაში. 1916 წლის 11 მარტს ქართული სკოლა გაიხსნა სოფელ ჩხუტუნეთში (ქვემო აჭარა), სადაც მასწავლებლად დაინიშნა ნ. ქამუშაძე.

თუ რა მზრუნველობით ეკიდებოდა სკოლების საქმეს მთავარი გამგეობა, ეს ნათლად ჩანს შემდეგი საბუთიდან (ასეთი კი მრავლადაა): ,,გთხოვთ თქვენ და საკუთრივ სკოლების ზედამხედველთ, — სწერდა საზოგადოების გამგეობა ბათუმის განყოფილებას. — გვაცნობოთ რა მდგომარეობაშია სკოლების მოწყობილობა.

---

[1] საქ. ც ს ს ა, ფონდი 517, ანაწ. 1. საქ. 55, ფურც. 9.
[2] გაზ. „საქართველო", 1915, 29 ნოემბერი, № 155.

არის თუ არა საკმაოდ ყველგან სასწავლო ნივთები, როგორ არის დაყენებული სამეურნეო ნაწილი და სხვ.[1].

ოზურგეთის საქველმოქმედო საზოგადოებამ ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა სოფელ აჭის სკოლას, სადაც ქართველი მაჰმადიანი ბავშვები სწავლობდნენ[2].

პირველი მსოფლიო ომის დროს, როგორც უკვე აღინიშნა, აჭარის მოსახლეობას ცარიზმმა ღალატში ბრალი დასდო. ნამდვილად კი აჭარლებს ამის მსგავსი არაფერი არ ჩაუდენიათ. როგორც ობიექტურმა და სპეციალურმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, მათ არ გამოუჩენიათ არავითარი სარწმუნეობრივი მტრობა ან რაიმე მასობრივი უკმაყოფილება მეფის რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. არაერთმა ოფიციალურმა კომისიამ და განსაკუთრებით აჭარლების სასამართლო პროცესმა დაადასტურა, რომ ხალხი, შეძლებისდაგვარად, ყოველმხრივ ეხმარებოდა რუსეთის ჯარს. აფრთხილებდა ადგილობრივ ადმინისტრაციას თურქეთის ჯარები მოდიან და ნუ მიგვატოვებთო.

როდესაც 1914 წელს ოსმალეთის ჯარი შავშეთსა და იმერხევში შემოიჭრა, მათ შეუერთდა ადგილობრივი თურქი მოსახლეობა. იმერხევის 18 სოფლის ქართველმა მაჰმადიანებმა კი არათუ არ შემოუშვეს ოსმალები თავის სოფელში, არამედ მათი დარბევისაგან იხსნეს სომხებით დასახლებული ქრისტიანული სოფელი ფციყური. გერმანელთა და ოსმალთა ცდის მიუხედავად ქართველმა მაჰმადიანებმა არ უღალატეს დედა საქართველოს. მათ შეადგინეს შეიარაღებული რაზმები, რომლებიც ოსმალთა რაზმების შემოსევისა და რბევისაგან იცავდნენ მეზობელ სომხებს. როცა ოსმალთა სამხედრო შენაერთის უფროსმა იმერხეველებს მოციქული გაუგზავნა და თხოვა არ ჩარეულიყვნენ ფციყურის გაძარცვის საქმეში, მოხუცმა მაჰმადიანმა ქართველებმა უპასუხეს: „მხოლოდ ჩვენი და ჩვენი ცოლ-შვილთა გვამებზე გადასვლით შეგიძლიათ შეხვიდეთ ფციყურშიო". ასე იცავდა ოთხი თვის განმავლობაში იმერხეველთა შეიარაღებული რაზმი ფციყურს, ვიდრე იმერხევში რუსეთის ჯარი არ შემოვიდა[3]. მიუხედავად ამისა, რუ-

---

[1] საქ. ც ს ს ა, ფონდი 517 ანაწ. 1, საქ. 11, საქ. 8, ფურც. 8.
[2] იქვე, საქ. 159, ფურც. 17.
[3] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", № 28, 1915, გვ. 11.

სული შოვინისტური პრესა უღირს და გულღვარძლიან აგიტაციას ეწეოდა აჭარის მოსახლეობის მიმართ. განუწყვეტლივ და სისტემატურად აღვივებდა ეროვნულ და რელიგიურ შუღლს. ზოგჯერ ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლებიც კი იძულებული იყვნენ ეღიარებიათ, რომ აჭარლების წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია სახელმწიფოებრივი უგუნურება და პოლიტიკური პროვოკაცია იყო. მაგალითად, რუსეთის არმიის ერთ-ერთი გენერალი თავის მოხსენებით ბარათში წერდა, რომ ბოროტი ძალები, ნაციონალა ელემენტები, რომლებმაც ომის პირველ თვეებში თავი მაღლა ასწიეს, ყოველმხრივ ცდილობდნენ წაექეზებიათ რუსეთის ჯარები ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. გენერლის სიტყვებით, ყოველივე ეს ხდებოდა ისე მოხერხებულად, დამნაშავენი დაუსჯელი რჩებოდნენ. ეს წაქეზება-წასისინება კი ძვირად დაუჯდა აჭარასა და მის მოსახლეობას. ოფიციალურმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ამ მხარის ქართველობას გულშიაც არ გაუვლია ოსმალეთის მხარეზე გადასვლა[1]. მათთვის მეფის რუსეთის მიერ წაყენებულ ბრალდებას შედეგად მოჰყვა ის, რომ მრავალი აჭარელი საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა. ჩატარდა ,,აჭარელთა საქმის" სახელწოდებით ცნობილი რამდენიმე სასამართლო პროცესი. ქართველ მაჰმადიანებს სერიოზული საფრთხე დაემუქრათ. მათ დასაცავად მთელი ქრისტიანული საქართველო აღსდგა. მაჰმადიან ქართველთა დაცვის საქმეში დიდია ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისა და მისი, ქუთაისისა და ბათუმის განყოფილებების დამსახურება.

1915—1916 წლებში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ყურადღების ცენტრში იდგა სასამართლოში მიცემულთა აჭარელთა დაცვის საქმის ორგანიზება. განყოფილებამ საზოგადოების მთავარ გამგეობასთან ერთად შეადგინა ვრცელი მოხსენება აჭარელთა მდგომარეობისა და მათი, თითქოსდა, ,,ღალატის" შესახებ. ეს მოხსენება წარედგინა მთავრობას და გადაეცა პროგრესულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს,

---

[1] ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წელს, თბილისი, 1916, გვ. 10.

რათა რუსეთის ფართო საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონოდა მისი გაცნობისა. მართალია, გამგეობამ უარყო „ღალატის“ ბრალდება აჭარის მთელი მოსახლეობისადმი, რაც ქართული მოწინავე საზოგადოებრიობის სერიოზული გამარჯვება იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პასუხისგებაში მისცეს რამდენიმე ასეული აჭარელი და მათი საქმე სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეს.

პირველმა სასამართლო პროცესებმა დაადასტურეს, რომ საჭირო იყო განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა პროცესის იურიდიულ მხარეს, რათა სასჯელისაგან დაეცვათ უდანაშაულონი და ამასთან ერთად ხელი შეეწყოთ მაჰმადიანი და ქრისტიანი მოსახლეობის დაახლოებისათვის.

მთავარი გამგეობის მითითების შესაბამისად ქუთაისის განყოფილებამ შექმნა ადვოკატთა მუდმივი ბიურო, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა „აჭარელთა პროცესებში“. გარდა ამისა, შეიქმნა იურიდიული კომისიები, რომელშიაც შედიოდნენ თბილისის. ქუთაისის და ბათუმის გამოჩენილი იურისტები. აჭარელთა დაცვის საქმეს განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდეს თბილისიდან: ი. მაჭავარიანმა, შ. მესხიშვილმა, პ. გედევანიშვილმა, ი. ბარათაშვილმა, ი. კაჩუხაშვილმა[1], გ. ანდრეევმა, ნ. ქარცივაძემ, ს. ჯაფარიძემ, ი. გუნცაძემ და ბ. ტატიშვილმა.; ქუთაისიდან: მ. ფაღავამ, ალ. საყვარელიძემ, ი. გეგეჭკორმა, ნ. გიგოძემ, გ. გიორგაძემ, გ. ლაღიძემ და ი. ფირცხალაშვილმა; ბათუმიდან: გ. ანჯაფარიძემ, ა. მუატმა, ფუქსმა, სახნოვსკიმ და სხვ.

---

[1] „აჭარელთა პროცესის“ შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული რ. გაბაშვილის მოგონებებში. იგი აღნიშნავს, რომ „საქველმოქმედო საზოგადოების“ გადაწყვეტილებით შეირჩა სამი საუკეთესო ვექილი აჭარელთა დასაცავად: შალვა მესხიშვილი, ოსიკო ბარათაშვილი და ივანე კაჩუხაშვილი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი მენშევიკების კანდიდატურა ყოფილა, რასაც ძალიან გაუხარებია ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ქართველი ინტელიგენცია. „გაგვეხარდა იმიტომ, რომ პირველად, მენშევიკებიც მონაწილეობას იღებდნენ ნამდვილ ეროვნულ საქმეში“. მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან სოციალ-დემოკრატთა ოჩეულმა ადვოკატმა მთელი ფული ქაღალდში წაავო და პროცესს „ველარ ჩაუსწრო“. მას განმეორებით მისცეს სამგზავრო თანხა, მაგრამ ისიც ბანქომ შეიჭირა. „ასე დაიცვა კიდევ ერთმა მენშევიკმა მოძმე ქართველები“ — აღნიშნავს რ. გაბაშვილი (იხ. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“, წიგნი III, თბ.; 1992, გვ. 153).

ქართველი მაჰმადიანების წინააღმდეგ მოწყობილი სასამართლო პროცესებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო და ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა ორს — „49 არტანუჯელის“ და „ცხრა აჭარელის“ პროცესებს. არტანუჯელთა დაცვაში მონაწილეობდა 13 იურისტი. პასუხისგებაში მიცემულ 49 კაცისაგან 16 გაამართლეს, ოცდაათს სამუდამო კატორღა, ხოლო სამს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს[1]. მაგრამ ადვოკატთა ენერგიული მეცადინეობით სამხედრო სასამართლომ მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა კატორღელთა და სიკვდილმისჯილთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რასაც შედეგად მოჰყვა სასჯელის მნიშვნელოვნად შემსუბუქება.

განსაკუთრებით გახმაურდა ცხრა აჭარელის საქმე. პასუხისგებაში მიცემულ პირებს, ქართველ მაჰმადიანებს: ნური ბერიძეს, ფეგრატ (ფერად) მეხეშიძეს, დურსუნ ბოლქვაძეს, ოსმან ჩაგანიძეს, ახმედ ბეჟანიძეს, იუნუს მელაძეს, მეხტი გარგაძეს, ხუსეინ ირემაძეს, მერჯან დევიძეს, ბრალი დასდეს სახელმწიფო ღალატში, ოსმალეთის ჯარის მიმხრობასა და რუსეთის ჯარებზე შეიარაღებულ თავდასხმა-

---

საინტერესოა აჭარელ თანამოძმეთა ამ „გულმხურვალე დამცველის“ შემდგომი კარიერა. დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ ივ. კაჩუხოვი (კაჩუხაშვილი) მილიციის უფროსად გაამწესა თბილისში, სადაც მან სამორინე გახსნა და ზღვარს გადაცილებული მექრთამეობით გამოიჩინა თავი. 500 მანეთიან კუპიურს ხალხი ხუმრობით „კაჩუხოვს“ ეძახდა სახელად. მექრთამეობისათვის მთავრობამ კაჩუხაშვილი „დასაჯა“ და ქუთაისში გადაიყვანა გენერალ-გუბერნატორად. „კაჩუხოვმა გაამართლა“ მასავით სანდო მთავრობის „ნდობა“ და ქვეყანამ გაიგო, რომ მან მთელი სამეგრელო „კანონგარეშე“ გამოაცხადა... მთელი პროვინციის კანონგარეშე გამოცხადებამ თავისი აკლების, ძალადობის მცარცველი რეკვიზიციების, მკვლელობის და სხვა შედეგებით — უარესი აღშფოთება გამოიწვია მთელ ქართველ საზოგადოებაში“. ამის მიუხედავად. მთავრობამ გადაწყვიტა კაჩუხაშვილის დანიშვნა მთელი საქართველოს გენერალ-გუბერნატორად. გრიგოლ ვეშაპელმა პრესის მეშვეობით ამხილა ახლადმოელენილი გუბერნატორის მექრთამეობა. ამ უკანასკნელმა სასამართლოში იჩივლა დიფამაციისათვის. ჟაიმართა სასამართლო პროცესი (კაჩუხაშვილის დამცველი იყო სილიბისტრო ჯიბლაძე, ვეშაპელის კი რევაზ გაბაშვილი), რომლის შემდეგაც მთავრობამ ხელი აიღო კაჩუხაშვილის გაგენერალგუბერნატორების მცდელობაზე. (იხ. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, „დაბრუნება“, წიგნი III, თბ., 1992. გვ. 165—169).

[1] ანგარიშით ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წელს. ტფილისი 1916, გვ. 12.

ში. სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა 1915 წლის 17—19 სექტემბერს. ბრალდებულებს იცავნდენ ნაფიცი მსაჯულები: ნ ფალავა, ევ. გეგეჭკორი, ი. მაჭავარიანი, მუატი, გ. ანჯაფარიძე და სახნოვსკი. სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: იუნუს მელაძეს, მეხტი გარგაძეს, ხუსეინ ირემაძეს, მერჯან დევიძეს, ფეგრატ მეხეშიძეს და დურსუნ ბოლქვაძეს მიესაჯათ ღირსების აყრა და ჩამოხრჩობა, ხოლო ნური ბერიძე, ოსმან ჩაგანიძე და ახმედ ბექანიძე გაამართლა. მაგრამ ადვოკატებმა მიაღწიეს იმას, რომ თვით სასამართლომ აღძრა შუამდგომლობა მეფის სასამართლოს წინაშე სიკვდილმისჯილთათვის სასჯელის შემსუბუქების შესახებ[1].

1915—1916 წლებში სულ გაიმართა 27 სასამართლო პროცესი. პასუხისგებაში მიცემული იყო 255 კაცი. მათგამ 73 გაამართლეს, ხოლო დამნაშავედ ცნეს 182. სიკვდილის განაჩენი მრავალს გადაუწყვიტეს. მაგრამ სისრულეში მხოლოდ ერთი მოიყვანეს. დანარჩენთ სასჯელი კატორღით და პატიმრობის სხვადასხვა ვადით შეუცვალეს.

აჭარელთა პორცესებს დიდი პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. „არ არის აჭარაში არც ერთი კუთხე, არც ერთი კუნჭული, რომ ლოცვა-კურთხევით არ იხსენიებდეს ქართველებს მათი მზრუნველობისათვის. ამ დიდმა ჭირმა აგვიხილა თვალი და დაგვიმტკიცა, რომ ქართველები ნამდვილი ჩვენი ძმები ყოფილან, უბედურებაში მოგვხედეს და დაგვიფარესო"[2], — ნათქვამია ქართული საქველმოქმედო საზოგადოების 1915 წლის ანგარიშში. ხოლო გაზ. „საქართველო" აღნიშნავდა: „ძაფი ჩვენ და ქართველ მაჰმადიანებს შორის უკვე გაბმულია, რასაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს"[3].

---

[1] გაზ. „საქართველო", 1915. 26 სექტემბერი, № 102.

[2] ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წელს, თფილისი, 1916. გვ. 12.

[3] გაზ. „საქართველო", 1916, 18 ნოემბერი, № 231.

## § 2. სახალხო უნივერსიტეტი
## *(1909—1918 წ.წ.)*

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისსა და ამერიკაში დაიწყო მოძრაობა უმაღლესი განათლების დემოკრატიზაციისათვის, რაც შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. ხალხთა მასებში „უნივერსიტეტის გაფართოების“ პირველი იდეა აღმოცენდა ინგლისში ჩარტისტული მოძრაობის წარმოშობასთან ერთად. პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლით დაინტერესებულ ოქსფორდელ ახალგაზრდათა პატარა წრემ მიზნად დაისახა გაევრცელებინა მუშებს შორის იდეა მათი სოციალური ყოფის ქრისტიანულ საფუძვლებზე გაუმჯობესების შესახებ. წრის წევრები მუშათა შორის კითხულობდნენ ლექციებს. „უნივერსიტეტის გაფართოებისაკენ“ მისწრაფება წარმოშვა აგრეთვე იმან, რომ ინგლისში უაღრესად მოძველდა უმაღლესი განათლების მთელი სისტემა.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში უნივერსიტეტები წარმოადგენდნენ კარჩაკეტილ კორპორაციებს, სადაც უმაღლესი განათლების მონოპოლია ხელთ ეპყრა პრივილეგიურ კლასს[1]. მოძრაობამ უნივერსიტეტის გაფართოებისათვის ვრცელი და რთული გზა გაიარა და ხალხთა ფართო მასებში უმაღლესი ცოდნის ელემენტების გავრცელების ერთ-ერთ ძირითად ფორმად ე. წ. სახალხო უნივერსიტეტები იქცა. 1867 წელს პროფესორ ჯ. სტიუარტის მიერ წაკითხულმა ლექციებმა საფუძველი ჩაუყარეს პირველ სახალხო უნივერსიტეტს ინგლისში[2].

უფრო ადრე პირველი სახალხო უნივერსიტეტი აღმოცენდა დანიაში 1843 წელს. მსმენელები იყვნენ სოფლის მცხოვრებნი და ამის გამო მათ გლეხთა უნივერსიტეტებს უწოდებდნენ. ამის შემდეგ სახალხო უნივერსიტეტები დაარსდა შვეციასა და ნორვეგიაში (1866 წ.). ნორვეგიაში ამ საქმის ინიციატორები იყვნენ

[1] Энциклопедический словарь, Ф. А. Брокгауза (Лейпциг) и И. А. Ефрон (С. Петербург), т. XXXIV, 1902. стр. 803.
[2] იქვე, გვ. 804.

ბიერნსონი და ულმანი[1]. შვეციიდან სახალხო უნივერსიტეტები ფინეთშიდაც გავრცელდა[2].

XIX საუკუნის 70—80-იანი წლებიდან სახალხო უნივერსიტეტები ყალიბდება მთელს ევროპასა და ამერიკაში.

დრეზდენის სახალხო უნივერსიტეტი დაარსებულ იქნა გეის შეწირულების შედეგად, ხოლო 1882 წელს მოქმედება დაიწყო ჰამბურგის უნივერსიტეტმა[3]. 1898 წელს საფრანგეთში დაიწყო მოძრაობა ხალხში უმაღლესი განათლების გასავრცელებლად, რასაც შედეგად მოჰყვა წმინდა ანტუანეტას გარეუბანში სახალხო უნივერსიტეტის გახსნა[4]. ამერიკაში „უნივერსიტეტის გაფართოების" იდეა ვრცელდება XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან და იგი დაკავშირებულია ბალტიმორის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორის ადამსის სახელთან[5].

ხალხთა მასებში განათლების შეტანის კეთილშობილური მისწრაფება ედოთ საფუძვლად დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების თაოსნობით შექმნილ საკვირაო სკოლებს, რომლებიც სახალხო უნივერსიტეტების წინამორბედი იყო რუსეთში.

1871 წელს ოდესაში მოეწყო ლექციების კითხვა. 90-იან წლებში ლექციებს კითხულობდნენ პეტერბურგში, ხარკოვში, სარატოვში, ნოვგოროდში, ნიკოლაევსა და სხვა ქალაქებში.

მოსკოვში 1879 წელს გაიხსნა პრეჩისტენსკის კურსები მუშებისათვის — პირველი მუშათა უნივერსიტეტი, რომელმაც 1917 წლის ოქტომბრამდე იარსება[6].

საყოველთაოდ გაითქვა სახელი და დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოსკოვის ა. შანიავსკის სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც 1908 წელს დაარსდა.

ალფონს ლეონის ძე შანიავსკი (1837—1905) ლიბერალური საზოგადო მოღვაწეა რუსეთის სახალხო განათლების დარგში. მან დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია და მიაღწია გენერლის

---

[1] გაზ. „ივერია", 1890, 10 ნოემბერი, № 240
[2] გაზ. „ფონი", 1910, 7 თებერვალი, № 6.
[3] გაზ. „ივერია", 1902, 15 მარტი. № 57.
[4] გაზ. „ფონი", 1910, 7 თებერვალი, № 6.
[5] Энциклопедический словарь. Ф. А. Брокгауз (Лейпциг) и И. А. Ефрон (С. Петербург), т. XXXIV, стр 806.
[6] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX, თბ., 1985, გვ. 258.

ჩინს. 70-იან წლებში გავიდა თადარიგში და მუშაობა დაიწყო ამურის ოქროს საბადოების სარეწებში. დააგროვა დიდი ქონება, რომელიც ძირითადად მოახმარა სახალხო განათლების განვითარების საქმეს. ანდერძის თანახმად მისი ქონების გარკვეული ნაწილი და საკუთარი სახლი გადავიდა მოსკოვის საზოგადოებრივი მმართველობის განკარგულებაში იმ პირობით, რომ გახსნილიყო სახალხო უნივერსიტეტი ა. შანიავსკის ჯერ კიდევ სიცოცხლეეშივე შედგენილი პროექტით.

შანიავსკის უნივერსიტეტის კანონპროექტი განიხილა სათათბირომ 1908 წლის ივლისში და დართო მისი გახსნის ნება. აქ ასწავლიდნენ გამოჩენილი მეცნიერები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ სამოღვაწეო ასპარეზს სახელმწიფო სკოლებში მათი პროგრესული შეხედულებების გამო.

შანიავსკის უნივერსიტეტს გააჩნდა შესანიშნავად მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები. იგი წარმოადგენდა მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციის მსხვილ ცენტრს. 1912 წელს მასში სწავლობდა 3669 მსმენელი.

1918 წლის ბოლოს სახალხო განათლების სისტემის საერთო რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, შანიავსკის უნივერსიტეტი დახურეს. შენობა, რომელშიც მოთავსებული იყო უნივერსიტეტი, გადაეცა სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტს, ხოლო შემდეგ სკკპ ცკ-თან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლას[1].

ქართველი მამულიშვილები მეფის ხელისუფლების წინაშე აყენებდნენ საკითხს საქართველოშიც დაერთოთ ნება სახალხო უნივერსიტეტის გახსნისათვის, რომელიც მოწოდებული იქნებოდა ხალხის უმეცრებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ საბრძოლველად[2].

1905 წელს გამოჩენილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა დააყენა საკითხი საქართველოში სახალხო უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. ამასთან ერთად ის მოითხოვდა.

---

[1] Большая Советская Энциклопедия, второе издание, т. 1957, стр. 524—525.
[2] ბ. ბაქურაძე. სახალხო უნივერსიტეტები., 1973, გვ. 96.

რათა სასწავლო პროცესი მშობლიურ ენაზე წარმართულიყო. ახასიათებდა რა უნივერსიტეტების მნიშვნელობას ხალხთა მასების განათლების საქმეში, ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა: „სახალხო უნივერსიტეტში გამეფებულია ცოცხალი სიტყვა, აქ ისმენენ ცოცხალ ლექციებს და მოშორებულნი არიან მშრალის წიგნების გაზეპირებას. ოფიციალურს სასწავლებლებში მასწავლებელნი არიან ყურმოჭრილნი ყმანი ოფიციალურის რეჟიმისა და სულ იმას ცდილობენ, თუ როგორ აამონ თავის უფროსებსა და წინ წაიწიონ სამსახურში. მოსწავლეთა სიკეთე კი ყველა მათგანს, მეტ-ნაკლებობით, დავიწყებული აქვს. სახალხო უნივერსიტეტებში ლექციებს კითხულობენ თავისუფალნი ინტელიგენტნი, განსწავლულნი მამულიშვილნი, რომელნიც გამსჭვალულნი არიან ხალხის სიკეთითა"[1].

1907 წელს თბილისში ილია ნაკაშიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა პირველი სახალხო უნივერსიტეტი, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი პედაგოგი ვასილ რცხილაძე[2]. უნივერსიტეტის დაარსებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი პროგრესულმა ინტელიგენციამ.

თბილისის კვალდაკვალ სახალხო უნივერსიტეტები დაარსდა ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ფოთში, ჭიათურაში და სხვ.

1908 წელს საინიციატივო ჯგუფმა იკისრა ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის დაარსება და ამ მიზნით გუბერნატორს წარუდგინეს წესდება დასამტკიცებლად, მაგრამ მათ ექვსი თვის ლოდინის შემდეგ უარი მიიღეს. მხოლოდ 1909 წლის 11 აპრილს დამტკიცდა ქთაისის უნივერსიტეტის წესდება, რომლის ძალითაც სახალხო უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო მთელი გუბერნიის სახალხო განათლების ცენტრი და ფართოდ გაეშალა საგანმანათლებლო მუშაობა[3].

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს გ. ქიქოძე, ხოლო ამხანაგად (მოადგილე) ალ. გარსევანიშვილი. გ. ქიქოძის შემდეგ (მცირე ხანს იყო თავმჯდომარედ)

---

[1] გოგებაშვილი, თხზ., ტ. IV, თბ., 1955, გვ. 96.
[2] სურგულაძე, ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია რევოლუციაში, თბ., 1986, გვ. 228.
[3] გაზ. „ფონი", 1910, 14 თებერვალი, № 7.

თავმჯდომარის პოსტი დაიკავა ალ. გარსევანიშვილმა, რომელიც ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტს თავკაცობდა მისი არსებობის მთელ მანძილზე.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილი (1864—1936) იყო სახელგანთქმული მასწავლებელი, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის, პედაგოგიკის დაუცხრომელი მკვლევარი, მთარგმნელი და რედაქტორ-გამომცემელი.

ალ. გარსევანიშვილის მრავალმხრივი და შინაარსიანი ცხოვრების უდიდესი ნაწილი, თითქმის 30 წელი, ქუთაისთანაა დაკავშირებული. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული 24 წლის ჭაბუკი მუშაობას იწყებს ქუთაისის ქართულ ოთხკლასიან პროგიმნაზიაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ალ. გარსევანიშვილი აქტიურად იყო ჩაბმული ქუთაისის სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ეწეოდა დიდ საქველმოქმედო მუშაობას.

ალ. გარსევანიშვილის სახელთანაა დაკავშირებული ქუთაისში „ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობის" ჩამოყალიბება. მანვე გამოსცა ლიტერატურული კრებული „ცდა" (გამოვიდა სამი ნომერი 1889—1891 წლებში), შეადგინა რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის[1]. მის მიერ იქნა დაარსებული ე. წ. „ქალ-ვაჟთა წრე", სადაც ასწავლიდა საქართველოს ისტორიას და ლიტერატურას. ეს მაშინ, როცა ცარიზმი სასტიკად სდევნიდა ასეთი საგნების სწავლებას. წრე აქტიურად ეწეოდა ეროვნულ-პატრიოტული იდეების პროპაგანდას და ახალგაზრდობას უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს.

ალ. გარსევანიშვილმა დიდი მუშაობა გასწია ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის დაარსებისა და მის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეში. „ამ ფრიად სიმპათიურ დაწესებულებას — წერ-

---

[1] ი. ვარლამიშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, თბ., 1971, გვ. 37; იხ. აგრეთვე ს. ცაიშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", კრებული 1, თბ., 1953. გვ. 267—274; ზ. კიკნაძე, ალექსანდრე გარსევანიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1959.

და გაზეთი „კოლხიდა“ — განსაკუთრებული სიყვარულითა და მზრუნველობით ეკიდება ბატონი გარსევანიშვილი, რომელიც ღირსეულ ჭირისუფლობას უწევს მას“[1].

ალ. გარსევანიშვილი გატაცებული ყოფილა მუსიკით და როდესაც 1916 წელს ქუთაისში დაარსდა ქართული ფილარმონიული საზოგადოება, მის თავმჯდომარედ ერთხმად ალექსანდრე აურჩევიათ. ასევე იგი დიდი ტრფიალი იყო თეატრის, რომელმაც თანამოაზრეებთან ერთად შეადგინა სცენისმოყვარეთა დასი და დადგა რამდენიმე რევოლუციური შინაარსის პიესა.

ალ. გარსევანიშვილის შრომებიდან აღსანიშნავია: „საქართველოს პოეტი აკაკი წერეთელი“, „უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო“, „საფრანგეთის მწერალი ქალი ჟორჟ სანდი“, „გმირი ქალი, მათე ყაჩაღად წოდებული“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ალ. გარსევანიშვილი საცხოვრებლად გადავიდა გორში, სადაც ხელმძღვანელობდა სახალხო უნივერსიტეტს, პარალელურად ეწეოდა თეატრალურ მოღვაწეობას და წერდა პიესებს აქტუალურ თემებზე.

ცნობილი მწერალი დავით კლდიაშვილი იგონებდა: „მე დღესაც მიკვირს, როგორ გამოსტყუა გარსევანიშვილმა მთავრობას სახალხო უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა, როგორ მოიპოვა საშუალება ფართო მასასთან მისასვლელად! მთავრობა, ალბათ, ფიქრობდა — არაფერი გამოვაო და ნებასაც ამიტომ რთავდა. თუ ასე იყო, შეცდა ძალზე, მეტად. თავდაპირველში ჩვენც ძლიერ გვეეჭვებოდა ამ საქმის მოგვარება. მატერიალური საშუალება კიდევ მოიძებნებოდა უნივერსიტეტის მოწყობისათვის — ღიმილით, უნდობელი ღიმილით წვლილის გამოღებაზე უარს არავინ ამბობდა, — მაგრამ საჭირო იყო ლექტორთა, ქართულ ენაზე ლექციათა ჯგუფის შედგენა. როგორც მოგახსენებდით, საზოგადოდ ეძნელებოდათ საჯაროდ ქართული ენით გამოსვლა. — სხვადასხვა საგნების კითხვა ხომ უარესი საძნელო გასაბედავი უნდა ყოფილიყო. ასედაც იყო, მაგრამ გარსევანიშვილმა არ მოუსვენა ლექტორებად განზრახულ მისაწვევ პირებს, ალი აღანთო მათში გა-

---

[1] გაზ. „კოლხიდა“, 1911, 21 დეკემბერი, № 217.

ჩაღებული ცეცხლის და... შესაძლებელი გახდა ქუთაისში გახსნილიყო სახალხო უნივერსიტეტი"[1].

სახალხო უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობანი განსაზღვრული იყო წესდებით, რომლის მიხედვით მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობა ქუთაისსა და მის რაიონში. ამ მიზნის განსახორციელებლად საზოგადოება აარსებდა სახალხო უნივერსიტეტებს, სისტემატურ საზოგადო განათლების თუ პროფესიონალურ კურსებს, მუზეუმებს, ლაბორატორიებს, ობსერვატორიებს და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო დაწესებულებებს. მართავდა ლიტერატურულ-მუსიკალურ და დრამატულ საღამოებს, ხსნიდა ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, წიგნების მაღაზიებს; საწყობებს; მართავდა გამოფენებს, ცემდა ბროშურებს, წიგნებს, სურათებს, ტაბულებს, რუკებს და საკუთარ ბეჭდვით ორგანოსაც.

საზოგადოებას უფლება ჰქონდა შეეძინა უძრავ-მოძრავი ქონება, მიეღო მემკიდრეობა და ანდერძი.

საზოგადოების წევრი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ „დაწესებულებები (სახელმწიფო და საზოგადო), ერობები, ქალაქები, ამხანაგობები, საზოგადოებები, ორივე სქესის კერძო პირები, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, არა ნაკლებ 18 წლისა.

საზოგადოების წევრად ღებულობდნენ პირს, რომელსაც ორი წევრის რეკომენდაცია ექნებოდა. გამგეობა ორი კვირის განმავლობაში ან აკმაყოფილებდა მათ თხოვნას ან უარს ეუბნებოდა. უარის შემთხვევაში უკანასკნელთ უფლება რჩებოდათ გაესაჩივრებინათ თავიანთი თხოვნა საზოგადოების საზოგადო კრებაზე, სადაც ეს საკითხი ფარული კენჭისყრით წყდებოდა.

საწევრო შესატანი განსაზღვრული იყო არა ნაკლებ 5 მანეთი წლიურად.

საზოგადოების საქმეებს განაგებდა საზოგადო კრება, გამგეობა და სარევიზიო კომისია.

გამგეობა დასახმარებლად და საქმის საწარმოებლად ქმნიდა კომისიებსა და სექციებს, რომელთა ინტერესებს ამტკიცებდა საზოგადო კრება.

---

[1] კალიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 177—178.

საზოგადოების საშუალებებს შეადგენდა საწევრო თანხა, შეწირულებანი, დახმარება მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათა მხრივ, ნებადართული შეკრება ფულისა, შემოსავალი გამოფენებიდან, კონცერტებიდან, საღამოებიდან, გამოცემებიდან, ფასიანი ლექციებიდან. საზოგადოების უძრავ-მოძრავი ქონების შემოსავლიდან, ანდერძით დატოვებული თანხის პროცენტებიდან და სხვ.

თუ რაიმე მიზეზით საზოგადოება შეწყვეტდა მოქმედებას, მთელი მისი ქონება მოხმარდებოდა იმ დანიშნულებას. რომელსაც საზოგადოება გადაწყვეტდა.

1909 წლის 29 ნოემბერს ჩატარდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის დამფუძნებელთა საერთო კრება, რომელმაც აირჩია გამგეობა 15 წევრის და სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით. გამგეობაში აირჩიეს გ. ქიქოძე (თავმჯდომარე), ალ გარსევანიშვილი (მოადგილე), ელ. ხელთუფლიშვილი (მოლარე), გრ. გიორგაძე, დ. უზნაძე, ეკ. ნიკოლაძე, გრ. გველესიანი, ს. რობაქიძე, გ. ინასარიძე, ი. მანდარია, ბ. ბიბინეიშვილი, ვ. კაკიტელაშვილი, ქ. შარაბიძე, დ. კლდიაშვილი, მ. ბერიშვილი[1].

1909 წლის 1 დეკემბერს გაიმართა გამგეობის პირველი სხდომა, რომელმაც აირჩია პრეზიდიუმი. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას. 1910 წლის 31 იანვარს ქალაქის თეატრში გაიმართა პირველი საჯარო ლექცია თემაზე: „სახალხო უნივერსიტეტები საზღვარგარეთ, რუსეთში და ჩვენში".

საჯარო ლექციების გამართვის საქმეს ხელმძღვანელობდა სახალხო უნივერსიტეტის ცალკე სექცია, რომელსაც სათავეში ალ. გარსევანიშვილი ედგა. სექციის წევრები ყოველი კვირის სამშაბათს იკრიბებოდნენ სახალხო უნივერსიტეტში წასაკითხი ლექციების თემატიკის განსახილველად. ლექციების წასაკითხად გამგეობა იწვევდა მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. ლექციების თემატიკა მრავალფეროვანი იყო. იგი მოიცავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. ლიტერატურის, ხელოვნებისა და

---

[1] ქიმ, ფონდი 2175, საბ. 41.

მუსიკის, საერთოდ, კულტურის ისტორიის საკითხებს, კოოპერაციის, თვითგანვითარების, პედაგოგიკის ძირითად პრობლემებს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეცნიერებებიდან უნივერსიტეტში წაკითხულ იქნა შემდეგი ლექციები: საქართველოს კულტურა — თამარ მეფე (ა. ფაღავა), დავით ბატონიშვილი (ალ. გარსევანიშვილი), მოკლე ცნობები ქუთაისის ისტორიიდან (ალ. გარსევანიშვილი), ერობა და მისი მნიშვნელობა (გრ. გიორგაძე), ორი ლექცია ინგლისის ახალი ისტორიიდან (აკ. წერეთელი), თანამედროვე ოსმალეთი (გ. ნიორაძე), აჭარა და ლაზისტანი (ს. რობაქიძე), აღმოსავლეთ საქართველო (ს. რობაქიძე), გლეხობა და აზნაურობა ვახტანგის კანონით (გრ. გიორგაძე), სარწმუნეობრივი თავისუფლება ევროპაში (გრ. გიორგაძე), წყალსადენი ქუთაისში (ალ. გარსევანიშვილი), კაცობრიობის ცხოვრების პირველყოფილი ხანა (გრ. ნასარიძე), შამილი (ალ. გარსევანიშვილი), ეგვიპტის სულიერი კულტურა (დ. უზნაძე), ერეკლე II, როგორც სარდალი (ალ. გარსევანიშვილი), ქართველი ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში (ს. ქვარიანი), მოგება და რენტა (გრ. გიორგაძე), გიორგი სააკაძე (ს. ქვარიანი), სახელმწიფო და მისი შემადგენელი ელემენტები (გრ. გიორგაძე), ასურეთი და ბაბილონი (დ. უზნაძე), თბილისის აოხრება სპარსელებისაგან მე-18 საუკუნეში (ალ. გარსევანიშვილი), გლეხობის განთავისუფლების ისტორიიდან რუსეთში (გრ. გიორგაძე), ბატონყმობის მოსპობის ზნეობრივი მნიშვნელობა (გ. ნათაძე), ბატონყმობის ისტორიიდან საქართველოში მე-18 საუკუნეში (ალ. გარსევანიშვილი); მათემატიკური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან: ჰაერი და ჰავა (გ. ნასარიძე), ი. მეჩნიკოვი, როგორც მეცნიერი და მოაზროვნე (გ. ბადრიძე), ხოლერა და ბრძოლა მის წინააღმდეგ (ვ. წერეთელი), ადამიანის სხეულის ბრძოლა სხვადასხვა გადამდებ სენთან (გ. ბადრიძე), მუცლის ტიფი (გ. ნასარიძე), სიცოცხლის საზღვრები (ა. ჯანელიძე), მდინარის, ტბების და ზღვის წაყლი (გ. ნასარიძე); ლიტერატურის, ხელოვნების, მუსიკის და საერთოდ, კულტურის ისტორიის საკითხებზე: ა. ცაგარელი, როგორც დრამატურგი (ალ. გარსევანიშვილი), ეკატერინე გაბაშვილი (კ. აბაშიძე), ქართველი ქალი ახალ ქართულ

მწერლობაში (ქ. შარაბიძე), ქართული მუსიკის შესახებ (კ. ფოცხ-ვერაშვილი), მუსიკის მნიშვნელობა საერთოდ კ. ფოცხვერა-შვილი), ცხოვრება და ხელოვნება (ი. ცინცაძე), მგოსანი ბესიკ გაბაშვილი (ა. თორაძე), საბა ორბელიანი (ალ. გარსევანიშვი-ლი) და სხვ. კოოპერაციის, თვითგანვითარების, პედაგოგიკის ძირითად პრობლემებზე: კოოპერაცია და წვრილი კრედიტის და-წესებულებანი (გ. გიგინეიშვილი), დანია, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების სამეფო (ი. გაბილაია), კოოპერაცია და მისი ეკონომიური მნიშვნელობა (შ. ელიავა), სახალხო სკო-ლა დ უნივერსიტეტი შვეციაში (ალ. გარსევანიშვილი), პედაგო-გიკა საშუალო საუკუნეებში (გ. ნასარიძე), ზრუნვა განათლებაზე და მისი ნაყოფი (ალ. გარსევანიშვილი), სწავლა-აღზრდის საქმე ძველ ხალხთა შორის (გ. ნიორაძე), პროფესიული კავშირები (გ. გიორგაძე)[1].

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ცდილობდა მსმენელები-სათვის გაეცნო რუსეთისა და დასავლეთ ევროპის დიდ მოაზროვ-ნეთა შემოქმედება და ამით ხელი შეეწყო ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალური სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა სხვა ღონისძიებებთან ერთად უნივერსი-ტეტში წაკითხული საჯარო ლექციები: „ბესარიონ ბელინსკი, რო-გორც კრიტიკოსი“ (ლ. ნათაძე), „უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო“ (ალ. გარსევანიშვილი), „მსოფლმხედველობა ანდრე-ევისა“ (გ. ნათაძე), „ნ. ნეკრასოვის შემოქმედება“ (ალ. გარ-სევანიშვილი), „თ. დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“ (ნ. ბალანჩივაძე), „მსოფლიო მგოსანი შილერი და მისი მნიშ-ვნელობა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში“ (ალ. გარსე-ვანიშვილი) და სხვ.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის ცხოვრებაში მნიშვნელო-ვანი მოვლენა იყო დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ლექცია, რომელიც მან 1910 წლის 18 აპრილს წაიკითხა[2]. აკა-კიმ ყურადღება გაამახვილა ქართული კულტურის ძეგლთა დაც-

---

1 ქიმ. ფონდი 2175, საბ. 21, 25, 36.
2 აკაკის ლექციას დასწრებია 720 მსმენელი (გაზ. „სამშობლო“, 1916, 24 მარტი, № 318.

ვისა და საერთოდ, სიძველეების შეგროვების მნიშვნელობაზე. გაზეთ „ფონის“ ცნობით აკაკიმ აღნიშნა: „ქუთაისში ერთი უძველესი ბაგრატის ტაძარი ისე უყურადღებოდაა მიტოვებული, რომ მოზაიკური ქვებით მცხოვრებლები კერძო სახლებს იშენებენ. ბევრს იგი გულდასმით არც კი აქვს ნანახი და დათვალიერებული... საჭიროა ძველი ლიტერატურული ნაწერების დაცვა, ზეპირსიტყვაობის შეგროვება-გამოცემა, ძველი საჭირო ნაწერების დაბეჭდვა. მე ვბედავ და ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას შეადგინოს საკუთარი ფონდი ფრიად საჭირო საქმისათვის და დაუტოვოს შვილებს და შვილიშვილებს მოსამკელად“[1].

სახალხო უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი საჯარო ლექციები დიდი პოპულარობით სარგებლობდა მსმენელთა ფართო მასებში. თეატრში, სადაც ხშირად იმართებოდა ასეთი ლექციები მუდამ ხალხით იყო სავსე. როგორც გაზეთი „ფონი“ წერდა: „ხშირად ადგილებიც აღარაა და ლექციის მოსმენის მსურველები გულდაწყვეტილნი მიდიან შინ“[2].

გამგეობა დაინტერესებული იყო გამოერკვია აუდიტორიის სულიერი მოთხოვნილებანი. ამ მიზნით საინტერესოა ის კითხვარი, რომელიც მან უნივერსიტეტის მსმენელებს დაურიგა: აი, ეს კითხვარიც: 1) რა მიზნით დადიოდი ლექციებზე სახალხო უნივერსიტეტში, 2) იშვიათად დადიოდი თუ ხშირად; 3) ხარ კმაყოფილი საზოგადოთ ლექციებზე სიარულით; 4) რა შინაარსის ლექციები უფრო მოგწონდა; 5) გაიგე ან ისწავლე რაიმე ახალი ამ სამი წლის განმავლობაში; 6) იყო ისეთი ლექცია, რომლის შინაარსი გაუგებარი დარჩა შენთვის? 7) დადიოდი თუ არა სადღესასწაულო ლექციებზე და რა შთაბეჭდილებით ბრუნდებოდი სახლში; 8) მოგიტანა რაიმე სარგებლობა შენ ან შენ ნაცნობ მსმენელებს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა[3].

უნივერსიტეტში საჯარო ლექციების კითხვას თან ახლდა ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიებანი და ზოგჯერ მრავალფეროვანი საკონცერტო განყოფილება, რაც მსმენელთა დიდ და-

---

[1] გაზ. „ფონი“, 1910, 18 აპრილი, № 15.
[2] გაზ. „ფონი“, 1910, 4 აპრილი, № 13.
[3] ქიმ, ფონდი 2175, საბ. 57.

ინტერესებას იწვევდა და ხელს უწყობდა სახალხო უნივერსიტეტის პოპულარიზაციას მშრომელთა ფართო მასებში. უნივერსიტეტს ამ მხრივ დიდ დახმარებას უწევდნენ ქართული და კლასიკური გიმნაზიების, აგრეთვე სხვა სასწავლებლებში თუ დაწესებულებებთან არსებული მომღერალთა გუნდები, ორკესტრი და ცალკეული შემსრულებლები. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა თავის ანგარიშებში განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მოიხსენიებდა ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა სიმებიანი ორკესტრის ხელმძღვანელს ა. კვაჭანტირაძეს და მოსწავლეთა გუნდის ლოტბარს. ნ. შარაბიძეს მათი უანგარო დახმარებისათვის ამ დიდ ეროვნულ საქმეში.

სახალხო უნივერსიტეტის მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას საჯარო ლექციების კითხვა შეადგენდა. 1910—1916 წლებში უნივერსიტეტში წაკითხულ იქნა 278 ლექცია, რაც მის დიდ პოპულარობაზე მიუთითებდა.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა დაბეჯითებით ეძებდა მშრომელთა ფართო მასებში მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, რადგან მას ღრმად სწამდა, რომ „სახალხო უნივერსიტეტი უნდა იყოს ცოცხალი დაწესებულება, ცხოვრების მოთხოვნილებით გამოწვეული"[1]. გამგეობას გულწრფელად სურდა ხელი შეეწყო უნივერსიტეტის მსმენელთა გონებრივი და ინტელექტუალური ჰორიზონტის გაფართოებისათვის. ამ მიზნით გადაწყდა უნივერსიტეტთან გახსნილიყო საღამოს კურსები, რომლის ძირითადი მიზანი იქნებოდა ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის დაწყებითი განათლების საფუძვლების მიცემა. „როგორც იუწყებიან, — ადგილობრივ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას საღამოს კურსების მოწყობა განუზრახავს, რაც სწორეთ დროს შესაფერ და სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს... ქუთაისში ბლომათ მოიპოვებიან ისეთი ხელოსნები, მუშები, შეგირდები და ქარგლები, რომელთაც ან სრულებით არა, ანდა ძალიან სუსტათ აქვთ შესწავლილი წერა-კითხვაც კი. ეს საღამოს კურსები მოსამ-

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1901, 3 ოქტომბერი, № 1599.

კადებელი საფეხური იქნება მათთვის, შემდეგში ლექციები შეგნებით მოისმინონ" — წერდა გაზეთი „კოლხიდა"[1].

საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად უნივერსიტეტის გამგეობამ შეადგინა საღამოს კურსების პროგრამა, რომელიც 1911 წელს დაამტკიცა ქუთაისის გუბერნატორმა.

საღამოს კურსებზე პროგრამით გათვალისწინებული იყო შემდეგი საგნების სწავლება: ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, რუსეთისა და მსოფლიო ისტორია, რუსული ენა და ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურა, არითმეტიკა, ბუნებისმეტყველება (ქიმია, ფიზიკა, ბოტანიკა), გეოგრაფია, მუსიკა. კურსებზე მიიღებოდნენ მსმენელები 16 წლის ასაკიდან.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას 1912 წლის ბოლოს მთავრობამ ნება დართო გაეხსნა საღამოს კურსები[2]. შეიქმნა საღამოს კურსების სექცია ელენე ხელთუფლიშვილის ხელმძღვანელობით. მსმენელების ძირითად ნაწილს ნოქრები და ხელოსნები შეადგენდნენ. მსმენელები დაყოფილი იყვნენ სამ — უფროს, საშუალო და უმცროს ჯგუფებად. 1914 წლის მეორე სემესტრიდან საღამოს კურსებზე მეცადინეობა ნაცვლად ორი დღისა, სამ დღეს წარმოებდა, დღეში ორ-ორი გაკვეთილი ტარდებოდა. უფროსი ჯგუფის მსმენელებს პოპულარული ხასიათის ლექციები უტარდებოდათ, ხოლო უმცროს ჯგუფში სასკოლო საგნები ისწავლებოდა. საღამოს კურსების მსმენელები აქტიურად მონაწილეობდნენ სახალხო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში — ლიტერატურულ-მუსიკალურ დილა-საღამოებში, ლიტერატურულ გასამართლებებში, დისპუტებში და სხვ. საღამოს კურსებზე ცალკეულ საგნებს ასწავლიდნენ ქუთაისის პედაგოგიური საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები: იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე), ალექსანდრე გარსევანიშვილი, ს. ლეკვეიშვილი (ქართული ენა და ლიტერატურა), ან. ოდიშარია, ფ. ლორთქიფანიძე, გ. ნასარიძე, ნ. ლომია (არითმეტიკა), ალ. ნიჟარაძე, ს. მჭედლიძე, ნ. ლეზანიძე (რუსული ენა და ლიტერატურა), დ. უზნაძე (მსოფ-

---

[1] გაზ. „კოლხიდა", 1911, 2 აპრილი, № 7.
[2] ქიძ. ფონდი 2175, საქ. 61.

ლიო ისტორია), ვ ბადრიძე, ა. ჯანელიძე, ს. რობაქიძე (პოეზიის მეტყველება) და სხვ[1].

საღამოს კურსებზე ყოველწლიურად 170 მსმენელი სწავლობდა. გარდა ქუთაისისა, საღამოს კურსები გაიხსნა აგრეთვე ჭიათურაში არსებულ საღამოს უნივერსიტეტთან. სწავლება ყველგან უფასო იყო.

სახალხო უნივერსიტეტის მოღვაწეობის ერთ-ერთ უბანს საიუბილეო თარიღების აღნიშვნა შეადგენდა. სხვადასხვა დროს უნივერსიტეტის თაოსნობით გაიმართა ილია ჭავჭავაძის, უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს, გამოჩენილი რუსი კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის და სხვათა ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები[2].

მშრომელთა ფართო მასებში ლიტერატურისა და ხელოვნების პროპაგანდის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა იყენებდა ლიტერატურულ დილა-საღამოებს, ცალკეულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა საჯარო კითხვა-გარჩევას ლიტერატურულ გასამართლებას და სხვ. მაგალითად, 1912 წლის 25 ნოემბერს გაიმართა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი დილა, ამავე წლის 23 მარტს საღამოს კურსების სექციამ ჩაატარა ალ. ყაზბეგისადმი მიძღვნილი დილა. 23 სექტემბერს ქალაქის თეატრში მოეწყო ი. გოგებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი დილა.

1914 წელს ცნობილი ქართველი მწერლის გ. წერეთლის პატივსაცემად გაიმართა ლიტერატურული საღამო, ხოლო თეატრში მოეწყო ლიტერატურული გასამართლება ბ. შიუკაშვილის პიესის „სიმახინჯის" გმირი ქალის სონასი, რომელშიც მონაწილეობა მიუღია აკაკი წერეთელს, კ. აბაშიძეს. ია ეკალაძეს და სხვ. ასევე მოეწყო ლიტერატურული გასამართლებები ალ. ყაზბეგის ნაწარმოების „მოძღვარის" გმირი ქალის მაყვალასი და დ. ერისთავის „სამშობლოს" მთავარი პერსონაჟის ქეთევანისა და სხვ.

---

[1] ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მოქმედების ანგარიში 1912 წელს, ქუთაისი, 1913, გვ. .4.

[2] გაზ. „იმერეთი", 1912, 15 ნოემბერი, № 43, გაზ., „კოლხიდა", 1912, 22 სექტემბერი, № 152. გაზ. „ჩვენი ერი", 1914, 30 აპრილი, № 35. ქიმ. ფონდი 2175 ,საბ. 41„ ფურც. 4.

მე-19 საუკუნის 70—80-იანი წლებიდან მოყოლებული ქუთაისი ბრწყინავდა თავისი სახელგანთქმული ინტელიგენციით, კერძოდ მხატვრული სიტყვის ოსტატებით, კომპოზიტორებით, თეატრალური მოღვაწეებით, პედაგოგებით და ა. შ. პროფესიული თეატრის სპექტაკლებთან ერთად ქალაქში დროგამოშვებით იმართებოდა იაფფასიანი სახალხო წარმოდგენები, რომელშიც უმთავრესად მონაწილეობდნენ სცენისმოყვარენი. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს საქმე შეფერხდა, მაგრამ 10-იან წლებში ისევ ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა წრე, რომელიც სახალხო უნივერსიტეტის ცალკე თეატრალურ სექციას შეადგენდა და მოწოდებული იყო დაედგა ისეთი პიესები, რომლებიც ხალხისათვის ადვილი გასაგები და ამავე დროს ხელმისაწვდომი იქნებოდა[1]. სცენისმოყვარეთ არ ჰქონდათ საშუალება, რომ სისტემატურად გაემართათ წარმოდგენები საკუთარი შენობის უქონლობის გამო და უნივერსიტეტის მესვეურები შენატროდნენ იმ ბედნიერ დღეს, როცა მათ თბილისის მსგავსად საკუთარი სახალხო თეატრი ექნებოდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სახალხო წარმოდგენების დადგმების ვანახლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან თვით ხალხთა მასებმა გულის სიღრმეში იგრძნო, რომ თეატრი დიდი საგანმანათლებლო დაწესებულება ყოფილა ყოველი განათლებული საზოგადოებისა. ხალხმა უტყუარ ჭეშმარიტებად მიიღო ის, რაც წინათ საეჭვოდ მიაჩნდა. თეატრი ხომ საზომია ყოველი ერის განათლებისა და მისი კულტურისა.

პირველი წარმოდგენა, რომელიც სახალხო უნივერსიტეტის თეატრალურმა სექციამ მაყურებელს უჩვენა, იყო ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". შემდეგ წარმოადგინეს კარეევის სამმოქმედებიანი დრამა „ცხოვრების გზა"[2] და დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება". ხუთი წლის განმავლობაში თეატრალურმა სექციამ განახორციელა რვა სახალხო წარმოდგენა[3].

მსახიობთაგან დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ გ. თუთბერიძე, ვ. ბალანჩივაძე, ე. ჯანოევი და სხვ.[4]

---

გაზ. „მერცხალი", 1913. 17 თებერვალი. № 36.
გაზ. „მერცხალი", 1913. 12 ნოემბერი, № 87.
გაზ. „სამშობლო". 1916. 24 აპრილი, № 318.
გაზ. „სიმართლის ხმა", 1914, 14 იანვარი, № 10.

სახალხო უნივერსიტეტის მოქმედება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ქუთაისის მასშტაბით. იმდენად დიდი იყო მისი პოპულარობა, რომ სოხუმის უნივერსიტეტის გამგეობა 1914 წლის 3 თებერვალს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას თხოვდა მათთან გაეგზავნათ ლექტორები ლექციების ჩასატარებლად კულტურის ისტორიაში, საქართველოს და რუსეთის ისტორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, იურისპრუდენციაში, ბუნებისმეტყველებაში, ქალთა საკითხზე და სხვ.[1]

1913 წელს უნივერსიტეტის გამგეობამ ოზურგეთიდან 25 კაცის ხელმოწერით მიიღო თხოვნა, რომ უახლოეს მომავალში გაეხსნა იქ სახალხო უნივერსიტეტის ფილიალი.

სახალხო უნივერსიტეტმა თავისი მრავალმხრივი და საინტერესო მოღვაწეობით ცენტრალური პრესის ყურადღებაც მიიპყრო. 1911 წელს გამგეობის სახელზე წერილი მოვიდა პეტერბურგის საკვირაო გაზეთის „Школа и жизнь"-ის რედაქციიდან. წერილში ნათქვამი იყო, რომ გაზეთის მკითხველები დაინტერესებული არიან იმ დაწესებულების მოღვაწეობით, რომელიც „ემსახურება ერის განათლების საქმეს" და ითხოვდნენ მასალებს უნივერსიტეტის შესახებ[2].

სახალხო უნივერსიტეტის სახელზე თითქმის ყოველ კვირაში მოდიოდა წერილები პროვინციებიდან ლექციების ჩატარების შესახებ, რასაც გამგეობა ყოველთვის დიდი ყურადღებით ემსახურებოდა. სხვადასხვა დროს უნივერსიტეტის ლექტორებმა ლექციები წაიკითხეს: ი. გაბელაიამ — ოზურგეთში, ფოთში, სუჯუნაში, ლანჩხუთში, ძველ სენაკსა და ნაოღალევში[3], ალ. ჯანელიძემ — სამტრედიაში, ხონში, ზესტაფონში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, ზუგდიდში[4]; ალ. გარსევანიშვილმა — საჩხერეში, ქუთაისსა და ზესტაფონში.

სახალხო უნივერსიტეტის ინიციატივით საკვირაო სკოლა

---

[1] ქიმ. ფონდი 2175. საბ. 26.
[2] გაზ. „კოლხიდა", 1911 14 აპრილი, № 13.
[3] გაზ. „იმერეთი", 1914, 12 აპრილი, № 29.
[4] ლ. ტ ო რ ო შ ე ლ ი ძ ე, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი, ქ. თაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XV, ქუთაისი, 1956, გვ. 275.

გაიხსნა სოფელ მუხიანში, ხოლო სვირსა და ობჩაში სამკითხველო და საღამოს კურსები.

გამგეობამ თანახმად წესდების მეორე პარაგრაფისა მოაგვარა წიგნების, ბროშურებისა და წაკითხული ლექციების ბეჭდური წესით გამოცემის საქმე. 1912 წელს სახალხო უნივერსიტეტმა გამოსცა ალ. გარსევანიშვილის წიგნი „უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო“[1].

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი დიდ მზრუნველობას იჩენდა უპატრონო, უდედმამო ბავშვების მიმართ. გამგეობის მიერ დაარსებულ სპეციალურ სკოლაში გაერთიანებული ყოფილა 140 უპატრონო ბავშვი[2].

უნივერსიტეტის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საიმპერიო სახალხო უნივერსიტეტების შემოწმების შედეგების შეჯამების შედეგად მას მეორე ადგილი მიაკუთვნეს.

ქუთაისსა და საერთოდ, საქართველოში არსებულმა სახალხო უნივერსიტეტებმა დიდი როლი შეასრულეს მოსახლეობის დაბალი ფენების გათვითცნობიერებისა და განათლების საქმეში.

## § 3. დავით აღმაშენებლის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოება „წმინდა ძმობა“

1891 წლის 16 მარტს საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ დაამტკიცა წესდება დავით აღმაშენებლის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოებისა („წმინდა ძმობა“), რომელიც დაარსდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან[3].

საზოგადოების ძირითადი მიზანი იყო: მატერიალური დახმარება აღმოეჩინა ღარიბი მოწაფეებისათვის, უზრუნველყო ისინი სასწავლო ნივთებით, ბინით, ტანსაცმლით, შესაძლებლობისგვარად

---

1 ყ ა ჭ ა რ ა ვ ა, როტაციონის ბრუნავს მანქანა, ქუთაისი, 1979, გვ. 96.

2 ლ. ტ ო რ ო შ ე ლ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 281.

3 ქსსა, ფონდი 21, საქმე 18354, ფურც. 4.

ხელი შეეწყო სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებისათვის. ასევე, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დახმარებოდა იმ მოსწავლეებს, რომლებიც სურვილს გამოთქვამდნენ სწავლა განეგრძოთ სასულიერო სემინარიაში.

ძმობის წევრობა შეეძლო ყველას, ვინც თანაუგრძნობდა სასულიერო განათლებას.

ძმობა შედგებოდა საპატიო, ნამდვილ და თანამგრძნობი წევრებისაგან.

საპატიო წევრად ითვლებოდა ის პირი, რომელიც ძმობას შესწირავდა 100 მანეთს. ნამდვილ წევრად კი ის, ვინც ყოველწლიურად ძმობის სალაროში შეიტანდა სამ მანეთს, აგრეთვე ვინც ერთდროულად გაიღებდა არანაკლებ 60 მანეთს. სასწავლებლის ზედამხედველი და მისი მოადგილე თანამდებობის მიხედვით ნამდვილ წევრებად ითვლებოდნენ.

პირი, რომელიც გადაიხდიდა სამ მანეთს, იწოდებოდა თანამგრძნობ წევრად, მაგრამ ამასთანავე ისინი ვალდებული იყვნენ მოეწვიათ სხვა წევრებიც, რომლებიც დაეხმარებოდნენ სასწავლებელს სწავლა-აღზრდის საქმეში.

ძმობის სახსრებს შეადგენდა: საწევრო და ერთდროული შენატანები, შეწირული თანხა, როგორც წევრთაგან, ისე გარეშე პირთაგან, ადგილობრივი სამღვდელოებისაგან ყოველწლიურად შეწირული 300—500 მანეთი, ლიტერატურული საღამოებიდან, სასულიერო კონცერტებიდან და სხვა მსგავსი ღონისძიებებიდან შემოსული თანხები.

ძმობის საქმეებს განაგებდა რჩევა და საზოგადო კრება. რჩევაში შედიოდნენ: თავმჯდომარე, მისი ამხანაგი (მოადგილე), ნამდვილი წევრები, ხაზინადარი, საქმის მწარმოებელი და კიდევ სამი პირი.

რჩევის ყველა წევრი, გარდა ნამდვილი წევრებისა, ირჩეოდნენ ძმობის საზოგადო კრების მიერ სამი წლის ვადით ფარული კენჭისყრით.

წესდების მიხედვით საქმის მწარმოებლად და ხაზინადრად არჩეული უნდა ყოფილიყვნენ უსათუოდ ქუთაისში მცხოვრები პირები.

რჩევა იკრიბებოდა საჭიროების მიხედვით, თავმჯდომარის შეხედულებით ან წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც შეტანილი უნდა ყოფილიყო რჩევის სამი წევრისაგან.

ძმობის რჩევა ზრუნავდა გაემრავლებინა თავის წევრთა რაოდენობა. ამ მიზნით იგი იწვევდა თავისი ქველმოქმედებით სახელგანთქმულ მოღვაწეებს. აგრეთვე აწარმოებდა მიწერ-მოწერას სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ადგენდა ყოველწლიურ ანგარიშს ძმობის საქმიანობის შესახებ წლიურ კრებაზე განსახილველად.

საზოგადო კრების ამოცანას შეადგენდა წლიური ანგარიშის განხილვა და მისი წარდგენა მღვდელმთავრისადმი, თავმჯდომარისა და რჩევის სხვა წევრთა არჩევა.

ძმობას ჰქონდა ბეჭედი წარწერით: „ძმობა საქართველოს მეფის „წმინდა დავით IV აღმაშენებლისა".

1891 წლის ნოემბერში დავით აღმაშენებლის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოება „წმინდა ძმობა" საზეიმო ვითარებაში აკურთხეს[1]. „ამ ძმობის დაარსება აუცილებლად საჭირო იყო დღემდისაც. უმეტესი ნაწილი დასავლეთის საქართველოის სამღვდელოებისა ფრიად ღარიბია, მაგრამ მიუხედავად ამა სიღარიბისა თითოეულს მღვდელს და მედავითნეს სურს სწავლა მისცეს თავის შვილს და მართლაც თვითონ იკლებენ საზრდოს და უკანასკნელს გროშს თავის შვილებს უგზავნიან საზრდოდ... უკანასკნელი ჩვენი კაპეიკი, რომელსაც შევსწირავთ ზემოდაღნიშნულს ძმობის სასარგებლოდ დაიხარჯება იმ ღარიბი მოსწავლეებისათვის, რომელნიც შემდეგში უნდა ემსახურონ სამშობლოს" — წერდა გაზეთი „მწყემსი" ძმობის დაარსებასთან დაკავშირებით[2].

ძმობის საბჭოში შედიოდნენ ალექსანდრე იაროსლავი (თავმჯდომარე), რაჟდენ გიგაური (მოადგილე), ანთიმოზ გიორგაძე, ამბაკო სულაქველიძე, ანდრია ბენაშვილი, ივანე გაფრინდაშვილი, საპატიო წევრად ითვლებოდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი; მუდმივ წევრად მღვდელი ნესტორ ყუბანეიშვილი და მიხეილ შნეიდერი — საპატიო მზრუნველი სასულიერო სასწავლებლისა.

---

[1] გაზ. „მწყემსი", 1891, № 21—22, გვ. 6.
[2] გაზ. „მწყემსი", 1891, № 8-10, გვ. 8.

საქველმოქმედო საზოგადოებას დახმარებას უწევდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირებიც. მაგალითად, გაბრიელ ეპისკოპოსმა ძმობას შესწირა 100 მანეთი, ხრეითის სამრევლო-საეკლესიო სასწავლებლის მასწავლებელმა საყვარელიძემ 60 ეგზემპლარი დაბეჭდილი ბლანკი, ნიკიფორე კაკილაძემ 11 მანეთი და 45 კაპიკი, გაზეთ „მწყემსის" რედაქტორმა დეკანოზმა დამბაშიძემ თავის სტამბაში დაბეჭდილი ანგარიშები და მოწოდებები, მიხეილ შნეიდეროვმა 300 მანეთად ღირებული ბიბლიოთეკა, ვსილ ფერაძემ 6 მანეთი[1].

საზოგადოების წევრთა გამრავლების კვალობაზე შეწირულობანიც იზრდებოდა.

ძმობა მაქსიმალურად ზრუნავდა ღარიბეს მოწაფეთა დასახმარებლად. 1891—1892 სასწავლო წელს დახმარება აღმოუჩინეს ნესტორ კილაძეს, გრიგოლ კელენჯერიძეს, ალექსანდრე შარვაშიძეს, კირილე ძოძუაშვილს, გერასიმე მომცემლიძეს[2].

1893 წელს მოწაფეთა დახმარების მიზნით დაიხარჯა 834 მანეთი და 13 კაპიკი[3]. რამდენიმე მოწაფე, რომლებიც წარჩინებით სწავლობდნენ, სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნეს თბილისის სასულიერო სემინარიაში და ერთდროულად მიეცათ დახმარების სახით 30-დან 40 მანეთამდე.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი მოსწავლეთა რაოდენობით თითქმის ერთ-ერთი რიცხვმრავალი სასწავლებელი იყო მთელს საქართველოში. ამიტომ, ბუნებრივია, აქ ხელმოკლე ოჯახის შვილებიც მრავლად სწავლობდნენ. „არა მგონია, რომ სხვა რომელსამე სასწავლებელში, შედარებით ამდენი ღარიბი მოწაფე იყოს, რომელნიც თვისის უკიდურეს მდგომარეობის გამო იძულებულნი არიან ხოლმე, თავი დაანებონ სწავლას, ანდა ითმინონ დიდი გაჭირვება, რასაც არასასურველი შედეგი მოსდევს მასის ჯანმრთელობისათვის", წერდა გაზეთი „ივერია" 1893 წელს[4].

1893 წელს „ძმობას" დახმარების ხელი გაუწვდია 150 მოსწავლისათვის, ხოლო 1894 წელს შემწეობა აღმოუჩენია 114 შე-

---

1 გაზ. „მწყემსი", 1894, № 3, გვ. 2.
2 ქცსა, ფონდი 7, საქმე 1574, ფურც. 4, 5, 6, 8, 12.
3 გაზ. „მწყემსი", 1894, № 3, გვ. 2.
4 გაზ. „ივერია", 1893, № 24, გვ. 3.

გირდისათვის. გარდა მატერიალური დახმარებისა ძმობა მოსწავლე-ახალგაზრდობას უკერავდა ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს. მაგალითად, საზამთრო ხალათები და შარვლები დაურიგდათ მიხეილ გულეიშვილს, სიმონ ჯაოშვილს, რაჟდენ არსენიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, პიმენ ახობაძეს და სხვა. სულ 22-მა მოწაფემ მიიღო ორ-ორი წყვილი ხალათი და შარვალი. ხოლო ფულადი დახმარება გაეწია 28 მოსწავლეს.

სასულიერო სასწავლებელში ყოველი წლის 26 იანვარს (ძვ. სტილით), დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს, იმართებოდა მოსწავლეთა ლიტერატურულ-მხატვრული ღონისძიება, მიძღვნილი საქართველოს გმირი მეფისადმი.

ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების მოკლე ანგარიშს, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში". „ოთხშაბათს, 26 იანვარს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა იდღესასწაულა ხსენება საქართველოს მეფის, წმინდა დავით აღმაშენებლისა .. დღესასწაული წესისამებრ იყო გარდახდილი. წირვა პარაკლისითურთ აღასრულა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა ექვს თანამწირველ დეკანოზ-მღვდლებითურთ სასწავლებლის ეკლესიაში[1].

საღამოზე მოხსენებითა და სიტყვებით გამოვიდნენ მოსწავლეები, მათვე წაიკითხეს ამ დღისადმი მიძღვნილი ლექსები. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით ძმობის საპატიო წევრს გ. შნეიდერს თავისი ხარჯით მოურთავს სასწავლებლის ბიბლიოთეკა..

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში აღიზარდნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: გრიგოლ რობაქიძე, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე და სხვა.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოებამ „წმინდა ძმობამ" იარსება 1918 წლამდე და მან არაერთი ხელმოკლე, ნიჭიერი ახალგაზრდა დაიფარა შიმშილისაგან და მრავალ მათგანს აღმოუჩინა რეალური დახმარება უკიდურესი გაჭირვების დროს.

---

[1] გაზ. „ივერია", 1893, № 24, გვ. 5.

სასულიერო სასწავლებლის მრავალი ყოფილი მოსწავლე შემდეგში სასულიერო სემინარიისა და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, რომლის დამთავრების შემდეგ მათმა უმრავლესობამ დიდი წვლილი შეიტანა განათლების, კულტურისა და მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.

## § 4. ბუნებისმოყვარულთა ქუთაისის საზოგადოება

1910 წელს ქუთაისში დაარსდა ბუნებისმოყვარულთა საზოგადოება. წესდების მიხედვით ამ საზოგადოების მიზანი იყო დასავლეთ ამიერკავკასიის (ქუთაისის გუბერნია, ბათუმისა და სოხუმის ოლქები) შესწავლა ისტორიულ-საბუნებისმეტყველო თვალსაზრისით. დასახელებული რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრეების შესასწავლად საზოგადოება მოაწყობდა მეცნიერული ხასიათის ექსკურსიებსა და ექსპედიციებს, დააარსებდა საღამოს კურსებს და მოაწყობდა საჯარო ლექციების კითხვას საბუნებისმეტყველო ცოდნის გასავრცელებლად, გამოსცემდა საზოგადოების მოღვაწეობის ბიულეტენებს და რაც მთავარია, იგი შექმნიდა ადგილობრივ საბუნებისმეტყველო მუზეუმს[1].

საზოგადოების დაარსების ერთ-ერთმა ინიციატორმა ინჟინერ-ქიმიკოსმა ლეონიდე გრიგოლის ძე რომანოვმა ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენელთა კრებაზე განაცხადა: ჩვენ ბუნებისმკვლევართა ჯგუფმა წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტეთ დავაარსოთ ბუნებისმკვლევარ-მოყვარულთა საზოგადოება. საუცხოო და ბუნებით მდიდარი ქუთაისის გუბერნია უხვ მასალას მოგვცემს ხსენებული საზოგადოების სამოღვაწეოდ... საზოგადოებას შეუძლია შექმნას საბუნებისმეტყველო მუზეუმი, სადაც თვალწინ წარმოგვიდგება ყოველივე სიმდიდრე ჩვენი ქვეყნისა[2].

---

[1] ქიძ, ფონდი 6406, საბ. 27, ფურც. 3
[2] გაზ. „ფონი", 1910, 4 აპრილი, № 13.

ლ. რომანოვმა წარადგინა საზოგადოების წესდების პროექტი, რომელიც კრებამ განიხილა და მოიწონა, ხოლო 1910 წლის 15 მაისს იგი დაამტკიცა ქუთაისის გუბერნატორმა.

საზოგადოების დაფუძნებაში, ხოლო შემდეგ მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: არჩილ ნიკოლოზის ძე ავალიანი, კონსტანტინე დიმიტრის ძე ბაქრაძე, ლეონიდე გრიგოლის ძე რომანოვი, სტეფანე დავითის ძე გაგუა, მოსე მიხეილის ძე ბახტაძე, ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ავდეევი (სამთო ინჟინერი), ანტიფ სტეფანეს ძე ბირიუკოვი, ვიქტორ ავგუსტის ძე ბაბე (რეალური სასწავლებლის მასწავლებელი), მიხეილ ვასილის ძე გლუშკოვი (კლასიკური გიმნაზიის დირექტორი), კონსტანტინე ღოღობერიძე (წმინდა ნინოს სასწავლებლის ინსპექტორი), იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი, იასონ ფანცხავა, ლ. სემიონოვი და სხვ.[1].

საზოგადოება მოღვაწეობას შეუდგა 1910 წლის გაზაფხულიდან. მოკლე დროის განმავლობაში ენერგიული ღონისძიებების შედეგად შეგროვილ იქნა მნიშვნელოვანი მასალა, რამაც შესაძლებელი გახადა ქუთაისში გახსნილიყო საბუნებისმეტყველო მუზეუმი და ბიბლიოთეკა, რომელშიაც თავმოყრილი იყო სპეციალური ხასიათის ლიტერატურა. საბუნებისმეტყველო მუზეუმი მოთავსებული იყო რეალური სასწავლებლის შენობაში. მაგრამ შემდეგ იმის გამო, რომ ქუთაისიდან წავიდნენ საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე ლ. სემიონოვი, კომიტეტის წევრები: ლ. რომანოვი, ვ. ბაბე, ა. შუგუროვა და სხვები, — საზოგადოების მუშაობა ერთგვარად შეფერხდა, მაგრამ 1913 წლიდან მან კვლავ განაახლა მუშაობა. 1913 წლის 12 მარტს შედგა საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელმაც კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია ალექსანდრე მიხეილის ძე ბიკოვი. რეალური სასწავლებლის დირექციის თანხმობით საბუნებისმეტყველო მუზეუმი გადატანილ იქნა შენობის მეორე სართულზე, სადაც საზოგადოებას დაეთმო აგრეთვე ვრცელი აუდიტორია.

საბუნებისმეტყველო მუზეუმს სათავეში ედგა ა. ს. სობრიევსკი, ხოლო ბიბლიოთეკას განაგებდა პ. ს. შელესტოვი. მუზეუმსა და ბიბლიოთეკას შედგენილი ჰქონდა შესაბამისი კატალოგები,

---

[1] ქიჩ. ფონდი 6406, ს.ბ. 12, ფურც. 3.

რაც აადვილებდა მათ გამოყენებას საზოგადოების მიერ დასახული მიზნებისათვის.

საბუნებისმეტყველო მასალების შეგროვებისათვის ფართო, სისტემატური და მეცნიერული ხასიათი რომ მიეცა, საზოგადოებამ გამოსცა სპეციალური პლაკატი ასეთი მასალების შეგროვების, შეფუთვის და შენახვის წესების შესახებ.

საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო საბუნებისმეტყველო კოლექციების შექმნას. ამ მიზნით მას ჰყავდა თავისი რწმუნებულები ადგილებზე, რომლებიც დიდძალ მასალას აგროვებდნენ და უგზავნიდნენ ქუთაისის საბუნებისმეტყველო მუზეუმს.

ბუნებისმეტყველ პირებს შორის, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ზოოლოგიური მასალის შეგროვების საქმეს, უნდა აღინიშნოს ფრანგი ვიქტორ ბაბე. იგი სპეციალობით გეოლოგი იყო, მაგრამ ბოტანიკასა და ზოოლოგიაშიც საფუძვლიანი ცოდნა გააჩინდა, ასევე მადლიერებით მოსახსენებელია ქუთაისის სახაზინო პალატის მოხელე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სობრიევსკი, რომელიც აგროვებდა რბილტანიანი ცხოველების (მოლუსკების) ნიჟარებს, როგორც ადგილობრივს (საქართველო, კავკასია), ისე საზღვარგარეთის ქვეყნებისას, რის შედეგად იმ დროისათვის საკმაოდ მდიდარი ფონდი შეუქმნია. ნაწილი ამ კოლექციისა მას უსასყიდლოდ გადაუცია რეალური სასწავლებლისათვის[1].

ბუნებისმოყვარულთა ქუთაისის საზოგადოების მიერ შეგროვილი მასალების დიდი უმრავლესობა შემდგომში საფუძვლად დაედო ახლადგახსნილი პედაგოგიური ინსტიტუტის ზოოლოგიურ მუზეუმს.

საინტერესო და სასარგებლო მუშაობას ატარებდა საზოგადოება მოსახლეობაში საბუნებისმეტყველო ცოდნის გავრცელების მიზნით. მის ირგვლივ შემოკრებილი იყო სპეციალისტთა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი, რომლის წევრები ფართო აუდიტორიის წინაშე გამოდიოდნენ ლექციებით, საერთოდ, საბუნებიმეტყველო და კონკრეტულად, დასავლეთ ამიერკავკასიის ფლორის საკითხებზე. მაგალითად, საზოგადოების წევრებმა წაიკითხეს შემდეგი

---

[1] დოც. გ. კოკოჩაშვილის პირადი არქივი.

ლექციები: ლ. პოტულოვმა — „ორხიდეია“, ი. ვიშნევსკიმ — „რატომაა ასე ლამაზი ყვავილები?“, ვ. ფიქენკომ — „ქუთაისის გუბერნიის ტყეების შესახებ“, ა. ვასილევსკიმ — „პროფესორი ა. ნ. კრასნოვი და მისი მოღვაწეობა“. წაკითხულ იქნა აგრეთვე მოხსენებები: „ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მისი თანამედროვე მდგომარეობა და მნიშვნელობა“, „სუბტროპიკული მებაღეობის ელემენტები დასავლეთ ამიერკავკასიაში“ და სხვ.

ბუნებისმოყვარულთა საზოგადოების ესოდენ მრავალფეროვანი და მრავალმხრივი მოღვაწეობა შეწყვიტა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებამ.

## § 5. ქუთაისის ქალთა საზოგადოება (1912—1918 წ.წ.)

1911 წელს გაზეთ „კოლხიდაში“ გამოქვეყნდა წერილი „ქართველი ქალის აღსარება“, რომელშიც ვკითხულობთ: „ქუთაისელ ქალებს არასდროს არ გვიფიქრია რაიმე წრის დაარსება და ამ წრის საშუალებით ათასგვარ საქვეყნო საკითხების გაცნობა. აბა რომელ ჩვენგანს მოუცლია ამგვარი ფიქრებისათვის? ჩვენ მხოლოდ ჭორების გავრცელება გვემარჯვება... საოცარ ჭაობში ვართ ჩაფლული, ვმცონარეობთ. დრო არის ძილს თავი წავართვათ“[1].

აღნიშნულმა წერილმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ქუთაისელ ქალთა შორის. გადაწყდა შექმნილიყო ქალთა საზოგადოება. შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც შეადგინა სათანადო წესდება.

1912 წლის 29 მაისს შედგა ქუთაისის ქალთა დამფუძნებელი კრება. არჩეულ იქნა გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: ელენე წერეთელი (თავმჯდომარე), თეოდოსია ჯაყელი (თავმჯდომარის ამხანაგი), ელენე ჩიქოვანი, ნატალია ქორქაშვილი (მდივანი), ოლღა ქორქაშვილი, ანასტასია ყიფიანი (ხაზინადარი), ნი-

---

[1] გაზ. „კოლხიდა“, 1911, 6 მაისი, № 32.

ნო ბადრიძე, ეკატერინე ნიკოლაძე, ნინო ფანცხავა, სოფიო მაჭავარიანი, მარიამ ვარდოსანიძე, ელენე ხუნდაძე, მარიამ კლდიაშვილი, ელენე მეფისაშვილი[1].

გამგეობის ორმა წევრმა ეკატერინე ნიკოლაძემ და ელენე ხუნდაძემ გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადეს და მათ მაგივრად მოიწვიეს ელენე კლდიაშვილი და ოლღა იოსელიანი[1]. საკითხი სასურველათ გადაწყვიტეს[2].

წესდებით საზოგადოების მიზანს შეადგენდა ქალთა შორის ისტორიის, ლიტერატურის და აღზრდის საკითხებზე ლექცია-მოხსენებების ჩატარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა ე. წ. ქალთა საკითხის ისტორიის გაცნობას. საზოგადოება მიზნად ისახავდა აგრეთვე სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ქართველ ქალთა არა მარტო ინტელექტუალური ჰორიზონტის გაფართოებას, არამედ მათში პრაქტიკაში გამოსაყენებელი ცოდნის გავრცელებას.

ქუთაისის ქალთა საზოგადოების დაარსების შესახებ გაზეთი „კოლხიდა" წერდა: „ქალთა საზოგადოებას მეტად სიმპატიური და ძალიან ფართო კულტურული მიზანი დაუსახავს. ცალკე ძალთა შეერთება და შეკავშირება საზოგადო ასპარეზზე სამოქმედოთ ყოველთვის სასარგებლო იყო და ახლაც ამას უნდა მოველოდეთ. სხვათა შორის ეს ახალი „საზოგადოება" ააღორძინებს ქალთა წრეს და სამუშაოთ გამოიწვევს ბევრ დამალულ (პოტენციალურ) ძალას... ეჭვი არ არის ქალთა წრის გაღვიძება, ქალთა ძალების შეერთება და საზოგადო ასპარეზზე სამუშაოთ გამოწვევა არსებითად შესცვლის ქალების მდგმარეობას და დააჩქარებს ქალთა საკითხის სასურველათ გადაწყვეტას"[3].

საზოგადოების გამგეობა სისტემატურად ატარებდა ლექციამოხსენებებისა და რეფერატების კითხვას საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე.

---

[1] ქუთაისის ქალთა საზოგადოების 1912—1913 წლების ანგარიში, ქუთაისი, 1913, გვ. 1.

[2] ქუთაისის ქალთა საზოგადოების 1912—1913 წლების ანგარიში, ქუთაისი, 1913, გვ. 2.

[3] გაზ. „კოლხიდა", 1912, 29 მაისი, № 58.

ისტორიკოსმა და მწერალმა სიმონ ქვარიანმა მრავალი საინტერესო ლექცია წაიკითხა საქართველოს ისტორიის საკითხებზე, მათ შორის აღსანიშნავია: საქართველოს ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა", „ხეთი და ნაირი (ქართველი ერის ბინადრობა მცირე აზიაში"), „ქართველი ერის გადმოსახლება ამიერკავკასიაში. კოლხიდა, ივერია, მესხეთი და ალბანია", „შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი".

ლიტერატურიდან ლექციები წაიკითხეს: ანტონ ფურცელაძემ, კიტა აბაშიძემ, დომინიკა ჩიხლაძემ. გამოჩენილი მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის მოღვაწეობაზე მისივე თანდასწრებით რეფერატი წაიკითხა ალექსანდრე გარსევანიშვილმა. მანვე წაიკითხა ლექცია „რუსის ჯარის პირველი შემოსვლა საქართველოში მე-18 საუკუნეში"[1]. ვასილ წერეთელი თავის ლექციაში შეეხო მეათე საუკუნის ქართულ ლიტერატურას. ქალთა საკითხზე ლექცია წაიკითხა გრიგოლ რობაქიძემ. ჩიტო შარაძის მოხსენების თემა იყო „ქართველი ქალები ქართულ ლიტერატურაში", გიორგი ბადრიძემ რამდენიმე ლექცია წაიკითხა შემდეგ საკითხებზე: „ძუძუთა ბავშვის აღზრდა", „გადამდები ავადმყოფობა და მისი აცრა", „რა აძლიერებს თვითდაცვის ძალას ადამიანის სხეულში"[2].

1914 წლის სექტემბერში ქალთა საზოგადოებამ გახსნა სახელოსნო სკოლა სამი წლის კურსით. პირველ კურსზე სწავლობდნენ ჭრა-კერვასა და ქარგვას. მეორე კურსზე განაგრძობდნენ ამავე სპეციალობის შესწავლას, მაგრამ უფრო ვრცელი პროგრამით. მესამე წელს პირველი და მეორე კურსების ზემოაღნიშნულ სპეციალობებს გადიოდნენ პრაქტიკულად, მოწვეული სპეციალისტის ხელმძღვანელობით. სკოლაში შემსვლელთათვის სავალდებულოდ ითვლებოდა ქართული წერა-კითხვა და ანგარიში.

ქალთა სკოლამ დიდი პოპულარობა და ავტორიტეტი მოიპოვა ქუთაისის მოსახლეობაში და მისი კონტინგენტი ყოველწლიურად იზრდებოდა.

---

[1] გაზ. „აზრი", 1914, 25 აპრილი, № 36.
[2] ქუთაისის ქალთა საზოგადოების 1912—1913 წლების ანგარიში, ქუთაისი, 1913, გვ. 3—5.

ქალთა საზოგადოების გამგეობასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ცნობილ მოღვაწეებს: დავით კლდიაშვილს, ჯაჯუ ჯორჯიკიას, ვასილ წერეთელს, ევგენი გეგეჭკორს და სხვ.

გარდა ლექცია-მოხსენებებისა და რეფერატების კითხვისა, გამგეობა ატარებდა სხვადასხვა ღონისძიებებს. მაგალითად, 1914 წლის 16 მაისს ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების 20 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო საღამო, რომელზეც წაკითხულ იქნა მისი ბიოგრაფია და მოთხრობა „გოგია უიშვილი". ასევე, გაიმართა დიდი საღამო ლატარია-ალეგრით ომში გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლად[1].

საზოგადოებამ მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაბეჭდა მოწოდება და გაგზავნა სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში. ამავე მიზნით გამგეობამ კინოთეატრ „რადიუმში" გამართა სეანსი და სეირნობა ქალაქის ბაღში. ორივე ღონისძიებიდან შემოსულა 1300 მანეთი[2], ხოლო 1915 წლის 14 მაისს ჩატარებული ღონისძიებიდან გამგეობას წმინდა შემოსავალი დარჩენია 828 მანეთი და 60 კაპიკი[3].

ქუთაისელ ქალთა საზოგადოებამ თავისი წვლილი შეიტანა ილია ჭავჭავაძის ფონდის გაძლიერების საქმეში.

ქალთა საზოგადოების გამგეობა სცემდა გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა", რომელსაც ცნობილი რევოლუციონერი ქალი ეკატერინე (კატო) მიქელაძე ხელმძღვანელობდა. გაზეთი ფართოდ აშუქებდა იმდროინდელი ქართველი ქალის როლს და მტკიცედ იბრძოდა მისი სრული ემანსიპაციისათვის.

ქუთაისის ქალთა საზოგადოებამ იარსება 1918 წლამდე და მან მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქალაქის ინტელექტუალურ ცხოვრებას.

• • •

დღევანდელ დამოუკიდებელ საქართველოში ახალი ძალით აღორძინდა ქველმოქმედება. შეიქმნა და კვლავაც გრძელდება სხვადასხვა

---

[1] გაზ. „იმერეთი", 1914, 8 სექტემბერი, № 148.
[2] გაზ. „სამშობლო", 1915, 6 ივნისი, № 97.
[3] გაზ. „საქართველო", 1916, 27 იანვარი, № 20.

სახის საქველმოქმედო საზოგადოებათა ჩამოყალიბება. ამ საზოგადოებათა შორის ცალკე უნდა გამოვყოთ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მზრუნველთა საბჭოს დაფუძნება 1992 წლის დეკემბერში. საბჭო მუშაობას შეუდგა მომდევნო წლის იანვრიდან.

თანამედროვე ეტაპზე ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უდიდესი მისია ეკისრება ქართველი ერის წინაშე. მან უნდა შეძლოს თბილისის უნივერსიტეტთან ერთად მძლავრი იმპულსი მისცეს ქართული მეცნიერული აზრის განვითარებას და ახალ სიმაღლეზე აიყვანოს სპეციალისტების დაოსტატების დონე. ბუნებრივია ეს ვერ მოხერხდება სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მეცნიერ-პედაგოგთა მაღალკვალიფიციური კადრების გარეშე. უნივერსიტეტის ახლანდელი ფინანსური მდგომარეობა ვერ პასუხობს გაზრდილ მოთხოვნებს; შექმნილ მდგომარეობაში უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო პროცესის განგრძობა მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთა საქველმოქმედო ინიციატივაზე.

სწორედ ზემოთქმულის საფუძველზე დაფუძნდა უნივერსიტეტის მზრუნველთა საბჭო, რომლის თავკაცები არიან სერგო (არჩილ) მურღულია — საწარმოო გაერთიანება ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის გენერალური დირექტორი და თენგიზ თავზარაშვილი — ქუთაისის ბინსოცბანკის მმართველი. ასევე მზრუნველთა საბჭოს დამფუძნებლები არიან: თამაზ წივწივაძე — გაზეთ ,,ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორი, გულნარა შენგელია — სამკერვალო გაერთიანება ,,იმერეთის" გენერალური დირექტორი, მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი), რეზო დვალიშვილი — ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომბინატის დიერქტორი, ალექსანდრე ძოწენიძე — ფირმა ,,ინმჟენსერვისის" თავმჯდომარე, დავით სანიკიძე — ფირმა ,,ბუბას" პრეზიდენტი, ნუგზარ მჭედლიშვილი — რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის დირექტორი, ილია მანდარია — პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, ზურაბ მელქაძე — აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი (გარდაიცვალა), ზურაბ თადუმაძე — მცირე-

გაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის დირექტორი, გივი მერკვილაძე — საგადასახადო ინსპექციის უფროსი.

უნივერსიტეტის რექტორატსა და მზრუნველთა საბჭოს შორის კოორდინატორად დანიშნულია ამ სტრიქონების ავტორი.

მზრუნველთა საბჭო მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას; იგი გარკვეულ სახსრებს გამოჰყოფს საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად, ხელმოკლე სტუდენტებისა და ასევე თანამშრომლების დასახმარებლად.

მზრუნველთა საბჭომ უკვე გადადგა თავისი პირველი ნაბიჯები: 18 სტუდენტს დაუნიშნა წამახალისებელი სტიპენდია. დააფინანსა უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „მოამბე“ და გაზეთი „ქუთაისის უნივერსიტეტი“. საბჭო სპონსორობას უწევს უნივერსიტეტთან შექმნილი ქართული დიალექტოლოგიის (დირექტორი — დოც. ტარიელ ფუტკარაძე), ქუთაისის ისტორიისა (დირექტორი — დოც. გურამ გაბუნია) და ქართული ბიბლიის შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით (დირექტორი — პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე) ინსტიტუტებს.

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მზრუნველთა საბჭო საქმიანად და დიდი რუდუნებით აგრძელებს თავის საპატიო და კეთილშობილურ მისიას...

# დასკვნა

რევოლუციამდელ საქართველოში, ისევე, როგორც რუსეთის იმპერიაში საერთოდ, მოქმედებდნენ ე. წ. ნებაყოფლობითი ანუ საქველმოქმედო საზოგადოებანი, რომლებსაც რევოლუციურ-დემოკრატიული თუ ლიბერალური ინტელიგენცია მათი პირდაპირი, წესდებით გათვალისწინებული დანიშნულების გარდა, ხალხთა ფართო მასებში პროგრესული იდეების პროპაგანდის მიზნით იყენებდა. ამის გამო მეფის ხელისუფლება დიდ სიფრთხილეს იჩენდა, განსაკუთრებით განაპირა მხარეებში, ასეთი საზოგადოებების დაარსების დროს, ხოლო ნებართვის გაცემის შემდეგ ცდილობდა მათი საქმიანობა ოფიციალური ხელისუფლების მკაცრ კონტროლს დამორჩილებოდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ინტელიგენცია მაინც ახერხებდა სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საზოგადოებათა დაარსებას, რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში მათ ჩაყენებას.

XIX საუკუნის 70-იან — XX საუკუნის 10-იან წლებში დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა რამდენიმე საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც აქ მცხოვრებ და მოღვაწე ქართველ, რუს თუ სხვა ეროვნების ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს აერთიანებდა.

ნაყოფიერი და სასარგებლო მუშაობა ჩაატარეს სახალხო განათლების დარგში მოქმედმა საქველმოქმედო საზოგადოებებმა. პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ „ღარიბ მოწაფეთა დამხმარე“ და „ღარიბ ბავშვებზე მზრუნველი“ საზოგადოებანი, რომლებმაც, მიუხედავად მატერიალურ შესაძლებლობათა შეზღუდულობისა, გარკვეული როლი შეასრულეს მშრომელთა ფართო მასებში განათლების შეტანის საქმეში. ვინ იცის რამდენი ახალგაზრდა გამოსტაცეს მათ უწიგნურობის კლანჭებს და საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანებად აქციეს. განსაკუთრებით დიდია ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების როლი საქართველოს სახალხო მეურნეობის, განათლების, კულტურის და მეცნიერების ეროვნული კადრების აღზრდის საქმეში. ამ საზოგადოების მრავალმხრივმა და ენერ-

გიულმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების საქმეში.

განათლებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს მოიცავდა დასავლეთ საქართველოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებათა საქმიანობა. მათ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს ქართველი საზოგადოების ისტორიულ ცხოვრებას. პირველდაწყებითი სკოლების, ბიბლიოთეკების და სხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებით შეჰქონდათ რა სწავლის შუქი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, ისინი ამით ხალხთა ფართო მასებისაკენ გზას უკაფავდნენ ქართულ ჭეშმარიტ კულტურას, ხელს უწყობდნენ მათი ეროვნული თვითშეგნების აღზრდას.

ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შეგროვების, დაცვისა და შესწავლის საქმეში განსაკუთრებით დიდია ქუთაისის დრამატული საზოგადოებისა და ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამსახურება. დრამატული საზოგადოების ისტორია ქუთაისის მდიდარი თეატრალური წარსულის შემადგენელი ნაწილია. ქუთაისის თეატრალური ტრადიციების შესწავლა სპეციალური კვლევის საგანია და იგი მომავლის საქმეა.

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის შედეგად ქუთაისში დაარსდა ქართული მუზეუმი, დღეს ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც კარგადაა ცნობილი არა მარტო ჩვენში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იგი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ მძლავრ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებას, რომლის ფონდები ფართოდაა ცნობილი სპეციალისტთა შორის. ეს მუზეუმი ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის ნათელი ძეგლია.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და მისი განყოფილებანი დასავლეთ საქართველოში ცდილობდნენ შესაძლებლობის ფარგლებში შეემსუბუქებიათ იმპერიალიზმის ეპოქაში კავკასიაში მცხოვრები ქართველების მძიმე მატერიალური მდგომარეობა. მა-

თი საქმიანობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა პირველი მსოფლიო ომის დროს. ომმა მშობლიურ კერას მოსწყვიტა ათასობით მუშაკი და ოჯახის მარჩენალი. ამას ზედ დაერთო წყალდიდობა და ნიაღვარი, რომელმაც მილიონობით ზარალი მიაყენა საქართველოს დაბა-ქალაქებსა და სოფლებს. მოუსავლიანობამ გამოიწვია შიმშილი. არნახულად გაძვირდა სურსათი და პირველი მოთხოვნილების საგნები. სამაჰმადიანო საქართველო — აჭარა ომის ასპარეზად გადაიქცა, რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა დროებით აყრილიყო მშობლიური ადგილებიდან და მთელ საქართველოში გაფანტულიყო. ასეთ ისტორიულად საპასუხისმგებლო ხანაში ქართული საქველმოქმედო საზოგადოება ერთ-ერთი ეროვნული დაწესებულება აღმოჩნდა, რომელმაც თავისი ნაყოფიერი და ენერგიული მოღვაწეობის შედეგად დიდი ქონებრივი და ზნეობრივი ამაგი დასდო ქართველ ხალხს.

მშრომელთა ფართო მასებში მეცნიერულ-პოპულარული და ლიტერატურულ-მუსიკალური ცოდნის პროპაგანდისა და გავრცელების მიზნით განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა გასწია სახალხო უნივერსიტეტმა ქუთაისში. უნივერსიტეტის გამგეობის გარშემო დარაზმული იყო მთელი საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საჯარო ლექციების კითხვაში მონაწილეობდნენ სახელგანთქმული ქართველი, რუსი და სხვა ეროვნების მეცნიერები. უნივერსიტეტი ხელს უწყობდა მისი მსმენელების — მუშების, ხელოსნების, ნოქრების, შეგირდების და სხვათა გონებრივ-ინტელექტუალური და პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოებას.

დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-საბუნებისმეტყველო თვალსაზრისით შესწავლის საქმეში გარკვეული მუშაობა ჩაატარა ბუნებისმოყვარულთა ქუთაისის საზოგადოებამ. მისი მოღვაწეობის შედეგად XX საუკუნის 10-იან წლებში ქუთაისში გაიხსნა საბუნებისმეტყველო მუზეუმი და ბიბლიოთეკა. საინტერესო და სასარგებლო მუშაობა ჩაატარა მან აგრეთვე მოსახლეობაში საბუნებისმეტყველო ცოდნის გავრცელების მიზნით.

საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში ქალების ფართოდ ჩაბმის მიზნით დიდი მუშაობა გასწია „ქუთა-

ისის ქალთა საზოგადოებამ". საზოგადოების გამგეობის ინიციატივით სისტემატურად ეწყობოდა ლექცია-მოხსენებებისა და რეფერატების კითხვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე „საზოგადოების" კლუბი სცემდა გაზეთ „ხმა ქართველი ქალისა" (1917—1918 წწ.), რომელსაც ცნობილი რევოლუციონერი ქალი ეკატერინე (კატო) მიქელაძე რედაქტორობდა.

გაზეთი ფართოდ აშუქებდა იმდროინდელი ქართველი ქალის როლს და აქტიურად იბრძოდა მისი სრული ემანსიპაციისათვის.

საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებათა მუშაობაში ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობა იყო ერთ-ერთი გამოხატულება მისი ეროვნული შეგნების მაღალი დონისა, რაც ნათლად გამოვლინდა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში. მტკიცედ შეიძლება ვთქვათ, რომ საქველმოქმედო საზოგადოებათა ისტორია — ქართული კულტურის, საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის, საერთოდ, ქართველი ხალხის ისტორიის ორგანული შემადგენელი ნაწილია.

# მ ა ს ა ლ ე ბ ი

## ქუთაისის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას

ქართულ გიმნაზიაში კურსდამთავრებულ სტუდენტის *კონსტანტინე გამსახურდიას*[1]

### თხოვნა

ვიმყოფები რა მატერიალურად უკიდურესს მდგომარეობაში უმორჩილესად გთხოვთ აღმომიჩინოთ დახმარება და ამით საშვალება მომცეთ უმაღლესს სასწავლებელში წასასვლელათ. ჩემს შესახებ ცნობებისათვის გთხოვთ მიმართოთ ბ-ნ ბართლომე მოსეშვილს ან და ქუთაისის ქართულ გიმნაზიას[2].

**კონსტანტინე გამსახურდია**

1912 წ. 22 ივნისი

## ქუთაისის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას

ს. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის სტუდენტის კონსტანტინე სიმონის ძე გამსახურდიას[3]

### თხოვნა

დამხმარებელ საზოგადოების გამგეობას ვთხოვ აღმომიჩინოს ერთდროული მატერიალური დახმარება. მე თუმცა სტიპენდია

---

ქიმ. ფონდი 6465, საბ. 1036.
აქ და შემდეგში ავტორისა სტილი დაცულია.
[3] ქიმ. ფონდი 6465, საბ. 1037.

მეძლევა (თვეში 25 მ.) ქალაქის გამგეობიდან, მაგრამ რადგანაც პირველ წელსა ვარ უნივერსიტეტში, სწავლის ქირიდან არ მათავისუფლებენ. გარდა ამისა, მე ავათმყოფობ ხშირად და 25 არც კი მყოფნის საზდოთ. ამას ემატება ისიც, რომ საჭიროა ტანისამოსი, წიგნები და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი საჭიროებანი მაიძულებენ მოგმართოთ თხოვნით რაიმე მატერიალურ დახმარებისათვის. ამასთან გიგზავნით სათვისტომოსგან მოცემულ სიღარიბის მოწმობას. ასეთ ჩემ მდგომარეობას დაამტკიცებენ თუ კი მიმართავთ: თქვენივე პატივცემულ საზოგადოების წევრი ბატონი ბართლომე მოსეშვილი და ბ-ნი დავით ავალიანი.

თუ ახლო მომავალში რაიმე დახმარებას გამიწევთ გთხოვთ შემდეგ მისამართით:

Петербургъ, Волховский пер. д. 4, кв. 10
Студенту Восточн. фак. АКАКИЙ ШАНИДЗЕ
*კოწია გამსახურდიას.*

მთხოვნელი კ. გამსახურდია

1 ოქტომბერი, 1912 წ.

## ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტის (ქართული განყოფილების) სტუდენტის *კოწია გამსახურდიას*[1]

### თ ხ ო ვ ნ ა

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ავათმყოფობის გამო, დროებით დავანებე უნივერსიტეტს თავი და წამოვედი გერმანიაში, რომ იქ ჯანმრთელობითაც გამოვკეთებულიყავ და ენაც შემესწავ-

---

[1] ქიმ. ფონდი 6465, საქ. 560, ფურც. 2.

ლა. აგერ მეორე თვეა ევროპის — აღმოსავლეთ გერმანიის — ქალაქ კონიგსბერგში (კენიგსბერგი — დ. გ.) ვიმყოფები. ვსწავლობ ენას, მაგრამ ხელმოკლეობა მატერიალური ფრიად ხელს მიშლის კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ — თუმც ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან ვღებულობ 25 მ. თვეში, მაგრამ მოგეხსენებათ, ევროპაში კი არა ამ დროებით ინტელიგენტური მოთხოვნილების დაკმაყოფილება ქუთაისში არ შეიძლება ამ ფულით. ვიმყოფები უკიდურეს გაჭივრებაში. ეს ფული ჯერ საცხოვრებლადაც არ მყოფნის. აქამდე მქონდა რამოდენიმე გროში ჩემივე შრომით შეგროვილი,. ახლა ისიც გამომელია, გარდა იმისა, რომ ეს 25 მ. საცხოვრებლად არ მყოფნის. ახლა უკვე ენა ასე თუ ისე შევითვისე. მინდა თეატრში წავიდე, გაზეთი წავიკითხო, წიგნები მჭირია. არც ერთის შეძენა არ შემიძლია. ამ მდგომარეობამ მაიძულა მომემართა თქვენ პატ-ცე-ლ საზოგადოებისათვის თხოვნით, რათა გამიწიოთ ერთდროული დახმარება და საშვალება მომცეთ ეს წელი სრულიად უქმად არ დავკარგო უცხოეთში. ამ ქალაქში მე ერთადერთი ქართველი ვარ — და ასეთი მდგომარეობა უფრო მიჭირებს საქმეს. ყველასათვის უცხო ვარ. იანვრიდან უნივერსიტეტში ვაპირობ დროებით (მაისამდის), ჩაწერას და ამისათვის ფულია საჭირო. მაშ მოგმართავთ გამიწიოთ მატერიალური დახმარება ასეთ კრიტიკულ მომენტს.

ჩემ მდგომარეობას დაამოწმებს ბატონი დათიკო ავალიანი და აგრეთვე თქვენივე პატივცემულ საზოგადოების წევრი ბ-ნი ბათლომე მოსეშვილი. (მოწმობა ჩემი სტუდ. ერთი ქუთაისის ქალაქის სამმართველოშია პეტერბურგის უნივერსიტეტიდან მოცემული და მეორე კი პეტერბურგის ქართულ სტუდ. სათვისტომოდან გამოტანილი სეკტემბრის შვაში გამოუგზავნე თქვენსავე სახელზე და არ ვიცი მიიღეთ თუ არა).

თუ რაიმე დახმარებას გამიწევთ გთხოვთ ასეთი შემდეგ მისამართით გადმოგზავნოთ პეტერბურგს.

Петербургъ Волховский пер. д. 4, кв. 10.
Студ. Восточ. фак. АКАКИЮ ШАНИДЗЕ

გამსახურდიას.

ჩემი პირდაპირი მისამართს კი მიტომ არ გიგზავნით, რომ ამ ბინის გამოცვლას ვაპირობ სიძვირის გამო, იძულებული ვარ

ქალაქს გარედ დავსახლდე, თორემ ასე ცხოვრება შეუძლებელი ხდება.

თქვენი პატივისმცემელი კონსტანტინე გამსახურდია.
26 ნოემბერი, 1912 წელი.
კონიგსბერგი პრუსიის.

## ქ. ქუთაისის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობას

მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის ისტორიკო-ფილოლოგიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტის *კოწია გამსახურდიას*[1]

### თხოვნა

ამა წლის 15-ამდის თუ ვერ შევიტანე 49 მ. უნივერსიტეტში, 25 უნივერსიტეტის სასარგებლოთ და 24 პროფესორების, უნივერსიტეტიდან გამომრიცხავენ. უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას აღმომიჩინოს დახმარება.

ერთდროულად 49 მ. მოცემით დამიხსნით უკიდურესს მდგომარეობიდან.
1914 წ. თებერვლის 17.

P. S. თანვე გაახლებთ საჭირო მოწმობას სათვისტომოდან და უნივერსიტეტიდან.

კოწია გამსახურდია.

---

[1] კიმ. ფონდი 6465, საქ. 1159.

ბ.გ![1]

მგონი მოლაპარაკებას ვერ მოვახერხებ და მისთვის ვწერ. იურიევის უნივერსიტეტში ფულის შეტანის ვადა 25 ამ თვემდე ყოფილა. საჭიროა 50 მან. არ ვიცი, რა რიგ მოვიქცე. საბჭოს ვერ ვთხოვ, რადგან პრივილეგია არ მინდა მქონდეს; თორემ ივნისისა და ივლისის ფული (50+30 მ.) საქართველოში არ დამჭირდება. თუ თქვენ არ შესწუხდებით, მასესხეთ ეს 50 მანეთიც; სულ იქნება ჩემი ვალი 80 მან. (წინანდელი 25 მ.+ 5 მ.) ამ ვალში თქვენ აიღეთ ივნისისა და ივლისის სარგო ფული. თუ თქვენ არ გექნებათ, იმ შემთხვევაში დეპეშა მინდა კიტას გავუგზავნო. შეიძლება თავისი გამომიგზავნოს.

თქვენი გ. რ.[2]

## ბატონო გიორგი![3]

თქვენი ადრესი გავიგე შემთხვევით და გწერთ საჩქაროთ. მადლობას გიცხადებთ ფულის (50 მ.) დეპეშით გამოგზავნისათვის: საბჭოდან უკვე მივიღე. ჩემი ადრესი არ იციან სამშობლოში და ამისთვის შემდეგში არა მომსვლია-რა. პეტერბურგში უნდა ჩავიდე და მადეთგან უნდა ვაცნობო მათ ადრესი. ხოლო მად ჩამოსვლისათვის და მოწყობისათვის 25 მ. მჭირდება. თუ არ შეწუხდებით და რამე თავისუფალი ფული გაქვთ, გთხოვთ ეს 25 მან. ფოსტით ან დეპეშით მომაწოდოთ.

ადრესი:

ЮРЬЕВ Гр. Робакидзе Довастребования.

თქვენი პატივისმცემელი გრ. რობაქიძე

---

[1] ქიმ. ფონდი 6416, საბ. 1858. წერილის ადრესატია გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი.

[2] გ რ ი გ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ე. (1880—1962) — გამოჩენილი ქართველი მწერალი. ავტორი თხზულებისა „გველის პერანგი“; „წმინდა გრაალის მცველნი“, „ლამარა“ და მრავალი სხვ. გარდაიცვალა ჟენევაში. ნინო და კალისტრატე სალიების ინიციატივით გადაასვენეს პარიზში და დაკრძალეს ლევილში.

[3] ქიმ. ფონდი 6412, საბ. 1928.

## ბატონო გიორგი![1]

ბევრჯერ მინდოდა თქვენთან შემოსვლა, მაგრამ, რამდენჯერ გამოვიარე, იმდენჯერ ოთახს გაუნათებელს ვხედავდი და არ შემოვსულვარ. ეხლა ისევ წერილს ვიხმარ.

მრავალი მწერალი გავიცანი. სხვათა შორის. ვიაჩ. ივანოვი. მეტად საინტერესო პიროვენებაა. მას წავუკითხე ჩემი წერილი ვაჟა ფშაველას შესახებ. აღფრთოვანდა ვაჟას შემოქმედი ნიჭით.

სხვა „ერში" თანამშრომლად შესვლა მეტად ძნელი ყოფილა, როგორც ფილოსოფოსმა გადმომცა ყველა დღეები დაჭერილი ქქონიათ საფელეტონედ სხვადასხვა მწერლებს და ახალმა, რაც უნდა კარგი-რამ დასწეროს, ძვირად გაუშვებენო. წერილს (ვაჟას შესახებ) მითხრა მან — „რუსსკაია მისლში" რომ გაგზავნიდე, უკეთესი იქნებაო. რედაქციაში მე თვითონ მიგიწერთ წერილს ბრიუნოვთან, რომელიც ლიტერატ. განყოფილებას აწარმოებსო. ვნახოთ რა იქნება.

გთხოვთ, როცა წერილი მისწეროთ საბჭოს, ჩემს შესახებაც ჩაურთოთ ორიოდე სიტყვა. სახელდობრ, რომ ის წლიური 480 მან. ათ თვედ გამინაწილონ: ვიდრე ივნისის გასვლამდე ხუთ-ხუთი თუმანი და ივლისში (უკანასკნელ თვეში) 30 მან. ამის შესახებ მე დღეს კიტასაც ვსწერ წერილს, მაგრამ თქვენ სიტყვას უფრო მეტი ძალა ექნება. უამისოდ აქ ცხოვრება ჩემთვის, პირველხანებში მაინც შეუძლებელი იქნება.

თქვენი პატივისმცემელი გრ. რობაქიძე

## დიდათ პატივცემულო ბატონო გიორგი![2]

გუშინ იყო ჩემი ლექცია. თბილისის საზოგადოება გულცივად შეხვდა ჩემს ჩამოსვლას: ლექციას ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო. თან უღონოდაც ვიყავი, და ამ გარემოებამ გუნება სრუ-

---

[1] ქიმ. ფონდი 6416, საბ. 1925.
[2] ქიმ. ფონდი 6416, საბ. 1927.

ლიად ამიშალა. გადავსწყვიტე სრულიად არ წამეკითხა: მეშინოდა, ვაი, თუ ვეღარ წავიკითხე ჩვეული აღფრთოვანებითა — თქო მაგრამ ახლობელი პირნი ჩამაცივდნენ და გადაწყვეტილება შევცვალე. საბედნიეროდ ვსძლიე სულიერ ცუდ განწყობილებას და ისე მარჯვედ წავიკითხე, რომ საზოგადოება დიდს აღტაცებაში მოვიდა; ამბობდნენ: ასეთი დიდი შთაბეჭდილება უწინაც არ მოუხდენიაო. ჰე, რაც იყო — იყო: მორალურად მაინც უნდა დავკმაყოფილდე, თუმცა ესეც უნდა ვთქვა, რომ თბილისის საზოგადოებას ამიერიდგან ქართულად ლექციას აღარ მივაწოდებ. ამ ცოტა ხანში ქუთაისში ვიქნები. დარწმუნებული ვარ, ქუთაისი ასე თავს არ შეირცხვენს.

თქვენი კეთილის მსურველი გრ. რობაქიძე.

P. S. თქვენი მმართებს 85 მანეთი. ამის დასაფარავად 50 მანეთს ამა წლის სარგო ფულიდან მიიღებთ: ამის შესახებ პეტერბურგიდან მოვწერე მად საბჭოს. რაც შეეხება დანარჩენ 35 მანეთს, ამის გადახდას რაიმე სხვა გზით მოვახერხებ.

## ძვირფასო ბატონო გიორგი![1]

ბარათი აქამდეც უნდა მომეწერა. მაგრამ ქართულმა სენმა ალბათ მეც მძლია: ჩვენში ხომ ბარათით გამოხმაურება მეტ ბარგათ მიაჩნიათ...

ახლა მაინც ვასწორებ ამ დანაშაულს...

საინტერესოს ჩემი ცხოვრებიდან ამ ჟამად ვერაფერს მოგაწვდით; იურიევში მეტად ერთფეროვანია სიცოცხლე და თვალისმომჭრელი „ფერი" არ ახალისებს სიცოცხლის ყვავილნარს: ყოველს საგანს აქ მოწყენის რუხი ფერი აქვს... ვემზადები სახელმწიფო გამოცდებისათვის.

უკვე გავიარე ცხრა საგანი ამ მოკლე ხანში (გამოცდაც ცხრა საგანს შეიცავს); მაგრამ უნდა მოგახსენოთ: ამ ცხრა საგანში ორი

---

[1] ქიმ. ფონდი 6416, საბ. 1926. აღნიშნული წერილი პირველად გამოაქვეყნა მიხეილ ნიკოლეიშვილმა. (იხ. ჟურნ. „განთიადი", 1991, № 3, გვ. 190—192).

საგანი თუ არის ისეთი, რომელიც სტუდენტში სიყვარულს თუ არა ინტერესს მაინც იწვევდეს; და საკვირველი არ არის, თუ ჯეროვნად ვერ ვსძლიე ეს საგნები...

აქ გამოცდას არ „ვაბარებ"; ამის მიზეზი შემდეგია: აქ არის სისხლის სამართლის პროფესორი პუსტოროსლევი, რომელიც გამოსაცდელად თავისს სახელმძღვანელოს გავლას თხოულობს, საშინელს და ზოგჯერ პირდაპირ უაზროს; გიგზავნით მაგალითისათვის ორს მის ფორმულას; წაიკითხეთ და გადასწყვიტეთ, შესაძლოა თუ არა ამ ფორმულების დასწავლა? (ზეპირად თხოულობს); ასეთი ფორმულებით არის სავსე მისი სახელმძღვანელო (ორი ტომი, სულ 900 გვერდი); სხვისა რა მოგახსენოთ და მე კი არ შემიძლია მათი დაზეპირება: მე მგონია, ტვინს გააფუჭებს, გაალაყებს...

რადგან იურიევის უნივერსიტეტის პროგრამა, გარდა სისხლის სამართლისა, ძლიერ უახლოვდება ყაზანის უნივერსიტეტის პროგრამას, ამისათვის გადავსწყვიტე სახელმწიფო გამოცდა ყაზანში „მივსცე"; თხუთმეტ მარტს კიდეც უნდა გავემგზავრო იქ; ჩემთან ერთად სხვებიც მოდიან...

ყაზანში ეგზამენის დაჭერას კიდევ ერთი უპირატესობა აქვს: იქ სესსია ეკენისთვეშიც არის; ასე რომ, თუ შემთხვევით ჩავიჭერი მაისში, — ადამიანი ყველაფერს უნდა ელოდეს, — შეძლება მექნება სამი თვის შემდგომ ეკენისთვეში დავიჭირო და მით ერთი წელი არ დავკარგო... თითქმის ორ თვეზე მეტია, რაც ავად ვარ; თუმცა მეცადინეობას ეს არ მიშლის, მაგრამ „გუნებას" (გულის — ნებას) კი ძალზე მიმღვრევს; გარდა ამისა, ნივთიერის მხრითაც მაწუხებს: წამლობა-ექიმობაში ჯერ 40 მანეთი დამეხარჯა; ამ ცოტა ხანში უნდა სრულიად განვთავისუფლდე; ეს იყო მიზეზი, სხვათა შორის, რომ „საბჭო" შევაწუხე და მან იანვრის პირველ რიცხვებში 50 მანეთთან ერთად 50 მანათიც წინდა წინ გამომიგზავნა; თებერვლისათვის უფულოდ დავრჩი — და გუშინ კიდეც მოვსწერე საშა კრინიცკის, რომ გამოაგზავნოს, თუ წესი მაინცდამაინც ძალზე არ დაირღვევა; არ დამჭირდებოდა შეწუხება, რომ ჩემი ფული, ზაფხულში ლექციებით აღებული შემენახა: ამ ფულიდგან 300 მანეთამდე დამეკარგა მისესხებით...

აშლილ „გუნებას" ხელოვნებით ვიქარვებ ხოლმე; ასე გასიხ-ჯეთ, ამ ავადმყოფობის დროს ერთი ერთმოქმედებიანი თუმცა ვრცელი დრამა დავსწერე; ჯერ კი მგონია (თუ აწი აფრთოვანება არ გამიცივდა), რომ კარგი არის; ვნახოთ, რა იქნება...

„სახ. გაზ.", „ფოთლებს" ვუგზავნი ხოლმე; ერთს „ფოთოლ-ში" მინდა თქვენი პიროვნების სილუეტი ავსახო მხატვრულად. ამას კიდეც დავსწერ ამ მოკლე ხანში, მაგრამ დავბეჭდავ თუ არა, ეს კიდევ საკითხია; ხომ იცით, რას იფიქრებენ ჩვენში. ჩვენში პიროვნების კულტურა ჯერ კიდევ იმ დონეზე სდგას, რომ ყოვე-ლი კარგი ხსენებისათვის ანგარებას მოგაწერენ; და მეც ვეჭვობ მისთვის მის დაბეჭდვას...

კიტასაც ვერა მივსწერე რა: შესაძლოა კიდეც დამემდუროს

ერთი რამ მინდა გამცნოთ: მე მგონია. ფედერალისტები ხან-დახან ორ სკამზე სხედან; მოკლედ აი ჩემი ახსნა: ს. დ.-ისათვის ეროვნულისა და სოციალურს მომენტთა შორის არსებითი სხვაობა არ არსებობს: პირველი არსებობს იმდენათ, რამდენათ იგი „ვა-რიაციაა" კლასთა ბრძოლისა; აქედან: იცავენ რა მომენტს სო-ციალურს, ს. დ. ები ეროვნულსაც იცავენ; ჩვენ შეგვიძლია ეს თეორია არ მივიღოთ, მაგრამ მათი „სილლოგიზმი" სწორი არის; ახლა მივმართოთ ფედერალისტებს: მათის აზრით, ეროვნული და სოციალური მომენტი სხვადასხვაა არსებითათ, მიუხედავათ მათი ურთიერთ-ზეგავლენისა; ესაა — თეორია; პრაქტიკა: ცდილობენ ორივე მომენტი დაიცვან; მაგრამ აქ კითხვა იბადება: შესაძლოა თუ არა, ეს ორი მომენტი ერთი-მეორეს ეწინააღმდეგებოდეს და თუ შესაძლოა, რომელს მიეცემა უპირატესობა? მე მგონია ამ სა-კითხს ფედერალისტები გვერდს ვერ აუვლიან; და ვერც უვლიან: მაგალითი: ხიზანთა საკითხი; თუ მივიღებთ ეროვნულს მომენტს (საქართველოს ტერიტორია), ხიზნების ისეთი განთავისუფლება. რომელსაც ქართველთა პროგრესული ნაწილი ესწრაფვის, ყოვ-ლად შეუწყნარებელია (დიდი ნაჭერი ტერიტორიისა ოსების ხელ-ში გადავა); თუ კი სოციალურს მომენტს მივსცემთ უპირატესო-ბას (ხიზნები როგორც მშრომელთა ჯგუფი), მაშინ რასაკვირვე-ლია, ხიზნებს სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოსთ; „სახ. გაზ". უკანასკნელს ზომას მიმართავს, მაგრამ რით დაიცავს მაშინ იგი

ტერიტორიის პრინციპს, თუ კი სოციალურ მომენტს შეუძლია სძლიოს იგი?... ჩემის აზრით, აქ ისინი ორს სკამზე სხედან... მინდა ამ საგნის შესახებ ვრცელი წერილი დავბეჭდო „სახალხო გაზეთში": არ ვიცი მხოლოდ დაბეჭდავს თუ არა... თქვენ რომ გამოსთქვამდეთ აზრს ამ საკითხის შესახებ მწერლობაში, ძალიან კარგი იქნება...

ვათავებ სიკეთის სურვილით...

სალამი კიტას, დათიკოს, იასონს, საშას, პეტრეს და სხვებს...

7. თებერვალი, 1914 წ.

თქვენი მარად ერთგული გრიგოლ რობაქიძე.

## ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობას

დორპატის საიმპერატორო უნივერსიტეტის სტუდენტის აკაკი პაპავას[1]

## თხოვნა

მოწყალეო ხელმწიფევ!

ამ ხანათ საშინელ ვიწროობას განვიცთი მატერიალურის მხრივ, ვინაიდან დამხმარე თითქმის არავინა მყავს, ხოლო კერძო გაკვეთილები იმდენ დროსა და ენერგიას წამართმევდა, რომ მე იძულებული ვიქნებოდი ჩემ სპეციალურ საგნებსა და მეცნიერებას ზერელე მოვპყრობოდი, რაიც არასასურველია ფრიად.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ უმორჩილესის თხოვნით აღმომიჩინოთ შეძლებისდაგვარად ერთდროული მატერიალური დახმარება.

ამავე დროს, თხოვნასთან ერთად, ვადგენ სიღარიბის მოწმობასაც.

12 სექტემბერი, 1912 წ. აკაკი პაპავა[2].

---

[1] ქიმ. ფონდი 6465, საბ. 1053.

[2] აკაკი პაპავა (1890—1964) ცნობილი ლიტერატორი, კრიტიკოსი და პოეტი. გარდაიცვალა არგენტინაში. ანდერძის თანახმად გადაასვენეს ლევილში.

## ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას

დორპატის (იურევის) უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის აკაკი პაპავას[1]

### თხოვნა

უზომოთ შევიწროვებულმა მატერიალურმა მდგომარეობამ მაიძულა შორს ჩრდილოეთიდან გამოვბრუნებულიყავ ისევ სამშობლოში, რათა ცოტა ხნით მაინც უზრუნველმეყო ჩემი მდგომარეობა, მაგრამ ჩემდა საუბედუროთ ვერაფერი მოვაგვარე. ეხლა, რადგან დრო მეტს აღარ ითმენს, მინდა ისევ გავბრუნდე სამეცადინოთ და თმენით ვუცადო როდის დადგება უმჯობესი პირობები.

კარგს იზამს თქვენი ფრიად სიმპატიური საზოგადოება თუ სხვებთან ერთად ჩემს უმწეო მდგომარეობაშიც შევა და შესაფერ მატერიალურ დახმარებას აღმომიჩენს. ამასთანავე საზოგადოებას ვუდგენ სიღარიბის მოწმობას დორპატის ქართულ სათვისტომოსაგან, რომელიც ადასტურებს, რომ ჩემი ზოგიერთი უზრუნველყოფილი „მოკეთეები" უყურადღებოთ მტოვებენ. რისი მიზეზის დასახელება ეხლახან უადგილოთ მიმაჩნია.

1914 წ. \ აკაკი პაპავა.

---

[1] ქიმ. ფონდი 6405, საბ. 831.

## ქ. ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას

ქ. დორპატის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის აკაკი პაპავას[1]

## თხოვნა

უკიდურესი მატერიალური შევიწროება მაიძულებს მივმართო პატივცემულ საზოგადოებას უმორჩილესის თხოვნით, რომ მან მასესხოს 100 მანეთი, რის თამასუქსაც ამასთან ერთად ვგზავნი. ვაუწყებ საზოგადოებას, რომ აღნიშნულ თანხას სულ მოკლე ვადაში დავუბრუნებ ღრმესის მადლობით, რადგან მიმდინარე წლის განმავლობაში ვიმედოვნებ უნივერსიტეტის დამთავრებას. ამასთან ერთად ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოების გამგეობას, რომ ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ქართული საქველმოქმედო საზოგადოება არ შემიწუხებია (მხოლოდ შარშანის წინ მივიღე თქვენგან ერთდროული დახმარება) და არც მომავალში ვაწუხებდი, რომ ჩემი განწყობილება და მდგომარეობა ძირიანად არ შეცვლილიყო ბოლო ხანებში და მით ზედმეტად ხელი არ შემშლოდა საქმის დამთავრების დროს.

სწორედ ამ მატერიალურმა ხელმოკლეობამ მაიძულა სხვათა შორის, მიმეტოვებინა ქ. დორპატი და მის მოშორებით ს. ელვაში დავბინავებულიყავ, საცა აგერ ექვსი თვეა რაც ვცხოვრობ შედარებით სიიაფის გამო. დამეთანხმებით, ასეთი მდგომარეობა ფრიად ხელის შემშლელია ჩემი შრომა-მეცადინეობისათვის. რამდენადაც მახსოვს, საზოგადოება ყოველ თებერვალს ანაწილებს თანხას ღარიბ სტუდენტთა შორის და, თუ ეს როგორმე მოსახერხებელი იქმნეს, ვთხოვ პატივცემულ გამგეობას მიყოლიოს მხედველობაში და სესხის სახით მომაწოდოს ათი თუმანი. ამით იგი საშუალებას მომცემს დროზე დავამთავრო სწავლა, დავაღწიო აქაური ჩრდილოეთის მავნე ჰაერს და სამშობლოს მივაშურო.

---

[1] ქიმ ფონდი 6465, საბ. 452.

ვიმედოვნებ უკანასკნელს ჩემისთანა პატარა ძალებისათვისაც მოეპოვება მცირედი ასპარეზი და ჩემს გულწრფელ სიყვარულსა და შრომას მიიღებს.

დავშთები პატივისცემით, სტ. აკაკი პაპავა.
დ. ელვა
7 იანვარი, 1914 წ.

## ბატონო გიორგი![1]

ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, თუ შორეულ რუსეთიდან ვკადნიერდები და გაწუხებთ. ვგრძნობ რომ გაწუხებთ, შეიძლება შეურაცხყოფასაც გაყენებთ, მაგრამ თავს ერთი რამით ვიმართლებ: გაჭირვებულს, მგონი აქვს იმდენი მორალური უფლება, რომ თავის მეს წუხილი შეატყობინოს სხვას. ვსარგებლობ ამ პრინციპით და მოგმართავთ თქვენ. ვიცი, რომ ჭიათურის საბჭოს ერთ ბურჯს თქვენ წარმოადგენთ, რომ იქ თქვენ გადამწყვეტი ხმა გაქვსთ. ამ თვის თორმეტში, როგორც თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ირჩევა სტიპენდიები. მე, ქართული გიმნაზიის კურსდამთავრებულს შემოტანილი მაქვს თხოვნა, რითაც სტიპენდიის მიღებას ვფიქრობ, მე აქ არ მინდა აგიწეროთ ჩემი მდგომარეობა, რადგან ეს ძალიან შორს წამიყვანდა და თან მეშინია თავი არ შეგაწყინო, ვიტყვი მხოლოდ, რომ მატერიალურ გაჭირვებას განვიცთი. დამიჯერებთ, თუ ჯერ კიდევ არ დაგკარგვიათ იმედი ქართველ სტუდენტის სიტყვის სიმართლეში. აი, ამ მდგომარეობამ მაიძულა გამებედნა და თქვენთვის დახმარება მეთხოვნა. მე დარწმუნებული ვარ, რომ რამდენათაც მე ვიცი თქვენ არ დაიზარებთ და შემწეობას აღმომიჩენთ. ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ ხმა ჩემი „არ დარჩება

---

[1] ქიმ. ფონდი 6416, საბ. 1772.

სმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", რადგან თქვენი კაცთმოყვარული ბუნება ჩემთვისაც იშოვის თავშესაფარს.

მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი **ვიკტორ ნოზაძე**[1].

## დიდათ პატივცემულო ბატონო გიორგი![2]

მაპატიეთ, რომ გაცდენთ. მაგრამ მეტი გზა არა მაქვს, ისევ თქვენ უნდა შეგაწუხოთ.

წარსული წლის დეკემბრის გასულს მანდ რომ გახლდით, გთხოვეთ ჯერ-ჯერობით ერთდროული ფულით დახმარება აღმოეჩინა თქვენ საბჭოს. ახლა უკვე ყაზანში გახლავართ და აქედანაცა გთხოვთ: უყურადღებოთ არ დასტოვოთ ჩემი თხოვნა და იმდენი მაინც გადაადებინოთ საბჭოს, რომ უნივერსიტეტში სწავლის ფული შევიტანო და გაზაფხულამდე როგორმე გამოვიკვებო. მართალია, ბევრნი გაწუხებენ, მაგრამ მათ შორის ჩემი მდგომარეობა განსაკუთრებულია: მე ცოლშვილიანი კაცი გახლავართ, ცხოვრებისა და პოლიციისაგან დევნილ-წამებული, მაგრამ იმდენათ დიდი იყო ჩემში სწავლის სურვილი, რომ ჩემ კერძო გულის თქმაზე ხელი ავიღე და გამოვსწიე ამ შორეულ ქვეყანაში, რომ იქნება უფრო რიგიანათ მოვემზადო და ღირსეული წევრი შევიქმნე საზოგადოებისა. ბევრის ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ. მე ძლიერ კარგათ მიცნობენ კიტა აბაშიძე, რომანოზ ფანცხავა, სერაფიონ მიქაძე და სხვანიც. იმედი მაქვს ყველა ესენი თავმდებათ დამიდგებიან, რომ ბოროტათ არ მოვიხმარებ თქვენის საბჭოს ფულებსა და ნდობას. ხოლო თქვენი შუამავლობა კი საბჭოს წინაშე სიკვდილამდე ჩემთვის დაუვიწყარი იქნება.

---

[1] ვ ი ქ ტ ო რ  ნ ო ზ ა ძ ე (1893—1975) — სახელოვანი ქართველი მეცნიერი, რუსთველოლოგი (მისი შრომებია: „განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა", „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება", „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება", „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება", „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება", „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გზით" (და სხვ.). ანდერძის თანახმად დაკრძალეს ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

[2] ქიმ. ფონდი 0412, საბ. 1928.

იმედი მაქვს ბატონო გიორგი, რომ ამ წერილის მიღებისთანავე განიხილავთ ჩემ თხოვნას და არც უყურადღებოდ დასტოვებთ მას, ხოლო როცა სტიპენდიების განაწილებაზე გექმნებათ მსჯელობა არ დამივიწყებთ.

მარადის თქვენი პატივისმცემელი

(იაკობ) ი. ეკალაძე- ცინცაძე

ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

## დიდათ პატივცემულო ბატონო გიორგი![1]

მერწმუნეთ, ფრიად მიმძიმს, როდესაც პირად საქმისთვის სხვა ვინმეს ვაწუხებ, მაგრამ უფრო სამძიმო და საპასუხისმგებლო მოვალეობათა შესახები მოსაზრებანი მაიძულებენ ამ სიმძიმის გადალახვას; ამიტომ, იმედია თქვენც მომიტევებთ შეწუხებას. საქმე შემდეგშია: წელს ჩემთვის აუცილებელია პარიზში ჩავიდე. მოტივებს მოკლეთ გაცნობებთ: ვინც მოინდომებს რაიმე საგნის შესწავლა გააღრმავოს უნივერსიტეტის კედლებში და მასზედ სადოკტორო თეზა დაიცვას. მისთვის აუცილებელია, თანახმად არსებულ პირობებისა უმაღლესი სწავლის სამი მოწმობა მეცნიერებათა იმ ციკლიდან, რომელსაც ეკუთვნის მისგან არჩეული საგანი. მე ბუნების მეცნიერება აეირჩიე. განსაკუთრებით გეოლოგიას მინდა დავადგე ტულუზაში,. სადაც ამჟამათ ვარ, სხვა საგნები კარგათ იყო მოწყობილი, რაც შეეხება გეოლოგიას, ის მეტათ სუსტობს. ამ საგნის მოსმენა აქ უსარგებლოა განსაკუთრებით იმისთვის, ვინც მას დაადგება შემდეგში. მე კი ამ წლიდან აუცილებლად უნდა ხელი მივყო მის შესწავლას აქედან. საჭიროა ისეთი ქალაქის არჩევა სამეცადინოთ, სადაც საგანი კარგათ არის დაყენებული. ასეთ ქალაქებს შორის ქ. საფრანგეთში, ცნობილია პარიზი და მერე ლიონი. ცხოვრების სიძვირის მხრივ თითქმის

---

[1] ქიმ. ფონდი 6416, საჰ. 1940.

არავითიარი განსხვავება არ არსებობს ამ ხსენებულ ქალაქებს შორის (მე მაინც ასე დამარწმუნეს ლიონის შესახებ და ნამდვილათ არ ვიცი, არ მიცხოვრია იქ); ხოლო რადგან გეოლოგია ლიონზედ უკეთ პარიზში არის დაყენებული ამიტომ იქ წასვლა გადავწყვიტე. ჩემის სახსრით იქითკენ პირის მიბრუნება თავხედური და სახიფათო ავანტიურა იქნება. 80 ფრანკი ჯერ აქ არ მყოფნის ჭამისა, ბინისთვის რომ თავი გავანებოთ სწავლის ფულს, წიგნებსა და ტანისამოსს. მაგრამ აქ, საბედნიეროთ, ჰაერი მაინც კარგი არის. სივრცე გაქვს რამდენიც გინდა. ეს შველის ძლიერ ადამიანს. პარიზში კი ჩემის თანხით, ჯანმრთელობის დაზიანებას ვერ ავცდები — აქედან აუცილებელია მუშაობის ნაყოფიერების თუ არ სრული დაცემა, ძალზედ შემცირება მაინც. წელს ამ სამხრეთის ჰაერმა და ბუნებამ ჩამიდგა სული, თორემ ძალიან ცუდათ ვიყავ პარიზში ყოფნის დროს. ეს მოკლე მოთხრობა საკმაოდ ცხადყოფს ჩემს მდგომარეობას. გთხოვთ, თუ თქვენთვის ამას შესაძლოთ შესაფერისად დაინახავთ, მიშუამდგომლოთ საზოგადოების თუ საბჭოს წინაშე სტიპენდიის მომატება, ისეთ მინიმუმამდე (50 მან.) მაინც ასწიეთ იგი, რომ მისი ამარა ეცხოვრებოდეს ადამიანს აქ. საფრანგეთში.

აქაურად ოკტომბრის დამლევს იწყება სწავლა პარიზის უნივერსიტეტში და გთხოვთ მანამდის გამომირკვიოთ შემიძლია იმედი ვიქონიო თუ არა. იმედი მაქვს დროზე გამცემთ პასუხს.

სალამი იასონს და სხვა თქვენს ახლო თანამოსამსახურეთ.

თქვენი პატივისმცემელი კედია საირიდონ

ტულუზა, 20 აგვისტო.

## ბატონო გიორგი![1]

მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ არ მომეცა დრო და საშუალება, საქმე ის გახლავთ, რომ ამას წინათ შუამდგომლობა გააჩელით იმის შესახებ, რომ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დაენიშ-

---

[1] ქ-მ. ფონდი 6416, საბ. 1929.

ნა სტიპენდია ყოფილი ჩვენი მოწაფე სილოვან ყიფიანისათვის. უნდა მოგახსენოთ, რომ მართლაც იშვიათი ყმაწვილია და მე არ მახსოვს, რომ მასზე სრული და ბუნებით დაჯილდოებული ადამიანი შემხვედროდეს. მართალია არ ბრწყინავს სიტყვა-პასუხით და გარეგნობით, მაგრამ ჩემის აზრით წარმოადგენს იშვიათი ნიჭის, დაკვირვებული, შორს გამჭვრეტსა და დინჯს. ყველა საგნის სწავლა ემარჯვებოდა. სწერდა ჩინებულად, ენებიც კარგად იცის, მაგრამ ყველაზე მეტ ნიჭს იჩენდა მათემატიკასა და ფიზიკაში და ამიტომ თვითონაც მოინდომა და მეც ვურჩიე ინჟინრის ნაწილზე წავიდეს. მე დარწმუნებული ვარ სამაგალითო ინჟინერი იქნება. მასთანვე შესანიშნავი ხასიათის ადამიანი. როცა მაგაზე ვწერ არ ვამბობ რასმე, მეშინია გადამეტებული არ მომივიდეს იმდენათ მე კარგი აზრის ვარ მაგ ყმაწვილზე.

სილოვანსაც უნდა მაგაზე თქვენთან მოლაპარაკება და როცა ნახავთ ყველაფერს აგიხსნით.

თქვენი პატივისმცემელი

ႨႭႱႤႡ ႭႺႾႤႪႨ.

## ႻႫႠႭ ႢႨႭႰႢႨ!![1]

ერთმა სტუდენტმა განსვენებული ექიმის მიხეილ ძნელაძის შვილმა მოგმართათ თქვენ თხოვნით სტიპენდიის შესახებ. იმათი ოჯახის მდგომარეობა ვიცი და მთხოვეს მომეწერა თქვენთვის ყველა გარემოება. სტუდენტის ბიძა აქაური არხიტექტორი სიმონ კლდიაშვილი ვალებშია ჩაფლული და ძნელაძის ობლების გარდა თავისი ავადმყოფი ძმის ოჯახი ჰყავს სარჩენი. არავითარი საშუალება არა აქვს სტუდენტს, თავის დისწულს, განსვენებული მაშო ძნელაძის შვილს რაიმე დახმარება აღმოუჩინოს. სიმონ კლდიაშვილი არჩენს თავისი დის მაშოს ორ პატარა ობლებს. ასე, რომ ყოველმხრივ შევიწროვებულია, თუ რამე ღონეს იღონებთ და

---

[1] ფონდი 6416. საქ. 1931. ფურც. 2.

სტიპენდიის გადაწყვეტაში დაეხმარებით სტუდენტ ძნელაძეს კეთილი საქმე იქნება.

გწერს თქვენთვის კეთილისმსურველი
თქვენი ძმა **ილია ნაკაშიძე.**
2ა ეკენისთვე. 1910 წ. თბილისი.

## ბატონ გიორგი ზდანოვიჩს![1]

პირველად გისურვებთ თქვენთვის ყოველივე კარგს, გარდა ამისა თქვენთან ერთი სათხოვარი საქმე მაქვს და იმედია მიაქცევთ ყურადღებას. წრეულს ჩვენს სასწავლებელში კურსი დაამთავრა ისაია ყარამანის ძე ხარაიძემ. უნდა გითხრათ მართალი. რომ ეს ყმაწვილი ერთი საუკეთესოთაგანი იყო ჩვენს კლასში როგორც სწავლით ისე ყოფაქცევით. ის როგორც მე დანამდვილებით ვიცი ქონებრივათ ძალიან ღარიბია, მთელი ხუთი წლის განმავლობაში ის სოფლიდან დადიოდა უბრალო ბლუზის ამარა, ზამთარ ზაფხულ; მაგრამ მიუხედავად ამისა ის შესანიშნავათ სწავლობდა. ახლა იმას უნდა გააგრძელოს სწავლა, მაგრამ პირობები ხელს არ უწყობენ, სახელდობრ სიღარიბე. მის მამას არაფერი არ შეუძლია, ასე გასინჯეთ მუშაობაც. ორჯელ ტუნელშია დამტვრეული და დასახიჩრებული. ის ადესაშია მიღებული, ელექტროტეხნიკურ სასწავლებელში, მაგრამ ჯერ არ წასულა, იმიტომ, რომ უცდის სტიპენდიას თუ დაუნიშნეს, მაშინ ისესხებს გზის ფულს და წავა, თუ არა და დარჩება. ის რომ სასწავლებელში ვერ შევიდეს და სწავლას მოცდეს დიდი უსამართლობა იქნება. ის ერთი იმათთაგანია, რომელიც დიდ რამეს გვპირდება მომავალში, დაიჩაგრება და ჩაქრება ახლად აფურჩქვნილი ნიჭი, რომელსაც ბევრი სარგებლობა შოუძლია მოუტანოს სამშობლოს. კი გაწუხებთ და თავს გაბეზრებთ, მაგრამ ვალდებულათ ვხდი ჩემ თავს, რომ

---

[1] ქიმ. ფონდი 6416, საბ. 1670.

ამისთანა ადამიანი სწავლა-განათლებას არ მოსწყდეს, გთხოვთ და შეგაწუხოთ, თუ კი ჩემი თხოვნა ნაყოფს გამოიღებს, რომ მას დაუნიშნოთ სტიპენდია. ბოდიშს ვიხდი რომ გაწუხებთ.

21/VIII—1910 წ. ივ. გომელაური

## თქვენო ბრწყინვალებავ![1]

ჟენევის ქართველთა ურთიერთდამხმარე საზოგადოება „ივერია" ყოველ წლივ მართავს ქართულ საღამოს, რომლის შემოსავალი უნაწილდება ჟენევის ხელმოკლე ქართველებს. დარწმუნებულნი ქართულ საქმისადმი თქვენს თანაგრძნობაში, ვკადნიერდებით და მოგმართავთ თხოვნით არ დაგვტოვოთ უყურადღებოთ შორს გადახვეწილნი თანამემამულენი.

საზოგადოების თავმჯდომარე: მაღალაშვილი
მდივანი: დ. სულიაშვილი
10 მარტი, 1912 წ.

## დიდათ პატივცემულო ბატონო გიორგი![2]

მომილოცავს თქვენი განთავისუფლება მთავრობის დევნისაგან, რაიც გაზეთებიდან გავიგე. მაპატიებთ, რომ აქედან თხოვნით გაწუხებთ. აქ სწავლობს ერთი ყმაწვილი სიმონ კუხალაშვილი, თქვენც იცნობთ მას. წამოსვლისას მას მიეღო თქვენგან შვიდთუმან ნახევარი. აი, სწორეთ იმ ყმაწვილმა მაიძულა თქვენთვის თხოვნით მომემართნა. ნამეტან გაჭირვებულ მდგომარეობაშია. სურვილი სწავლისა დიდი აქვს და დილიდან საღამომდე სულ

---

[1] ქიმ. ფონდი 6416, საბ. 1699.
[2] ქიმ ფონდი 6416, საბ. 1931.

სწავლობს, მაგრამ არავითარი საღსარი არ გააჩნია. ამჟამათ მე თვითონ არ მაქვს იმდენი, რომ ამას დახმარება აღმოუჩინო. მხოლოდ სახლის ქირას ვუსტუმრებ. ქუთაისში ცხოვრება რომ შემეძლოს თქვენ აღარ შეგაწუხებდით, მე შევინახამდი. მე როდის შემეძლება მად ცხოვრება, ვინ იცის და ამას კი ნამეტანი უჭირს. გთხოვთ ჩემს მდგომარეობაში შედით და სტიპენდია მომეცითო. თუ ვინმეა სტიპენდიის ღირსი ესეც არის. უკიდურესად ღარიბია და ამაზე დახარჯული ფული დაკარგული არ იქნება, სწავლას უსათუოდ დაამთავრებს და სხვას თუ არა თავის თავს მაინც გამოადგება. იმ შემთხვევაში თუკი სტიპენდიას რაიმე მიზეზისა გამო არ მიცემენ, გთხოვთ დროებითი დახმარება მაინც აღმოუჩინოთ სტიპენდიის თანხიდან, რომ ცოტა ხანს მაინც გაძლოს, სანამ რაიმე წყაროს იშოვიდეს. რამოდენიმე ხანს რომ შეინახავდეს თავს, რაკი მე საშუალება მომეცემა მანდ დაბრუნებისა მე გამოუგზავნი ხოლმე. ხოლო თუ სტიპენდიას მოუხერხებთ ეს რასაკვირველია უმჯობესი იქნება ამისთვის. მაპატიეთ შეწუხებისათვის, მაგრამ ამ ყმაწვილმა ველარ გაბედა წერილის მოწერა, ისეც შევაწუხეო და მე დამაყენა თქვენთან მოციქულათ.

თქვენი უმორჩილესი ი. გომართელი.[1]

## ძვირფასო ბატონო გიორგი![2]

თქვენთან წერილის მოწერას და თქვენს შეწუხებას ვეკრძალევი, მაგრამ უკიდურესი ჩემი მდგომარეობა მაბედვინებს მოგმართოთ თხოვნით.

მე როგორც თქვენთან, ისე თქვენს დასთან ოლინკასთან დიდი დავალებული ვარ და ასეთი წერილის მოწერა მხოლოდ უსვინდისო კაცს შეუძლია. მაგრამ მერწმუნეთ, რომ გაჭირვება მაიძულებს შეგაწუხოთ.

---

[1] ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ექიმი.
[2] ქიმ. ფონდი 6416, საბ. 1810.

მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მაინც არ დამტოვებთ უყურადღებოდ.

ვერ წარმოიდგენთ, ბატონო გიორგი, რა გაჭირვებას განვიცდი ეხლა მე. აგერ მესამე კვირაა, რომ ჩემს მუცელში ჩაის და პურის მეტი არა ჩასულა რა. ამის გაძლება კიდევ შესაძლებელი იყო, რომ ხაზაიკა არ მაწუხებდეს.

უნდა მოგახსენოთ ჩემო ბატონო, რომ მე არასოდეს არ ვყოფილვარ კარგს მდგომარეობაში, მაგრამ არც ისე გამჭირებია, რომ სადილი და ოთახი არ მქონოდეს. ეს რომ კავკასიაში დამმართოდა, არაფერი არ გამიჭირდებოდა. ძალიან ბევრი ნაცნობები და მეგობრები მყავს და მომიწყობდნენ ხელს.

მე სრული დარწმუნებული ვარ ბატონო, რომ მომეხმარებით. ხაზაიკამ გამიჭირა საქმე, თორემ უსადილობა რა უნდა იყოს, შიმშილს მიჩვეული გახლავარ და არ მეშინია მისი. თუ ჩაი და პური მექნა, ღმერთით, იმუშავებს კიდევ კაცი. ველი თქვენს პასუხს.

ხაზაიკას სულ 13 მანეთი უნდა მივცე ამ თვის.

თქვენი მონა ერთგული კოკი აბაშიძე
3 ქრისტეშობისთვე 1910 წელი, პეტერბურგი.

ეს წერილი აგერ მესამე დღეა დაწერილი რომ მაქვს და ვერ ვბედავდი გამოგზავნას. ამ წუთში ხაზაიკამ მითხრა დამიცალეთ ოთახიო. მომეხმარეთ რამე, ჩემო ბატონო. აქ არ ვიცი რა მეშველება, წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელმაც უკვე დააგირავა თავის ტანისამოსი, მშიერი და ხვალ ან ზეგ ოთახსაც უნდა გამოეთხოვოს. აი, ასეთ მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი, ჩემო ბატონო!

შეუძლია ასეთ ადამიანს რამე გააკეთოს?

მე დარწმუნებული ვარ ბატონო გიორგი, რომ თქვენ დამეთანხმებით ამაში.

პეტერბურგში სწავლის მისაღებათ წამოვედი და ამით რა დამემართა...

სიკვდილის კი არ მეშინია, ბატონო გიორგი!

რას იტყვიან კოკი აბაშიძე შიმშილით მოკვტა პეტერბურგშიაო; რას მიდიოდა და სხვა.

## ძვირფასო და დიდათ პატივცემულო ბატონო გიორგი![1]

თქვენთან წერილის მოწერას და თქვენს შეწუხებას ვიკრძალევი, მაგრამ გაჭირვება მაბედვინებს მოგმართოთ თხოვნით.

თქვენგან პატივისცემა მე არ მაკლია; თქვენ არაერთხელ გამომიყვანეთ გაჭირვებულ მდგომარეობიდან და კიდევ თქვენი შეწუხება ჩემი მხრით დიდი უსვინდისობა და მასთანვე გაუზრდელობაც არის, მაგრამ, რომ წარმომიდგება თვალწინ ჩემი მომავალი, მაშინ ყველაფერი მავიწყდება.

ეს წელიწადი როგორც იყო გადავიტანე, რაც მე გაჭირვება გამოვცადე ამ ერთ წელიწადში, იმის აწერა შეუძლებელი და მასთანავე არა საინტერესო არის. მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც ვმაცადინობდი და ცოტაოდენი შევიძინე კიდეც.

მაისის შვა რიცხვებში მე უთუოდ დავბრუნდები კავკასიაში, რომ ცოტაოდენი მაინც მოვითქვა სული და მერე ისევ მინდა დავბრუნდე უკან.

ერთად ერთი იმედი მაქვს თქვენზე. თუ თქვენ არ მომაქციეთ ყურადღება, მთლად დავიღუპები.

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: მარტოდ-მარტო ვარ დარჩენილი ამ დაწყევლილ დედამიწაზე. არავინ შემწე მე არა მყავს. მამამ დიდი ხანია რაც მიმატოვა და დედას კი არაფერი არ გააჩნია. ნათესავები ვისაც კი არ მივმართე, ყველა უარს მელაპარაკება. განათლება მე არ მიმიღია, რომ რამე ადგილი დავიჭირო საზოგადოებაში. დამრჩენია მხოლოდ მეცადინეობა და ამასაც მოკლებული ვარ.

ერთად ერთი მიზანი ეხლა ჩემს ცხოვრებაში ეგ არის და, თუ ეგეც გამიცრუვდა, მაშინ რაღა სიცოცხლე იქნება ჩემი სიცოცხლე? მუხლმოდრეკილი გევედრებით როგორმე მომიხერხოდ „სტიპენდია". თუმცა ძალიან ძნელი იქნება ჩემთვის „სტიპენდიის" მოხერხება, რადგანაც „ატესტატი" არ მაქვს.

როგორც თქვენ, ისე ბატონ კიტასაც ვსთხოვ მომეხმაროს ამ საქმეში. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ, თუ ცოტად გავაუმჯობესე ჩემი მატერიალური მდგომარეობა უსათუოდ დავიჭერ ეგზამენს და მივიღებ „ატესტატს".

---

[1] ქიმ ფონდი 6416, საბ. 1811.

სულ ერთი კლასი მაკლია და ნუთუ ვერ შევძლებ მომზადებას?

როგორ უნდა შევსძლო ეხლა მე მაცადინობა, როდესაც ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ?

თუ „სტიპენდიის" მოხერხება შეუძლებელი იქნება, მაშინ გთხოვთ როგორმე „პოსობიე" მომიხერხოდ. მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ, როგორც თქვენ, ისე ბატონი კიტაც მომეხმარებით ამ საქმეში და გამომიყვანთ ამ აუწერელ და გაჭირვებულ მდგომარეობიდან.

თქვენი მონა ერდგული კოკი აბაშიძე.

8 აპრილი, 1911 წ.

ქ. პეტერბურგი

## დიდად პატივცემულო სიმონ ივანეს ძევ![1]

მაპატიეთ, რომ გაწუხებთ — მიზეზი ამის მომტანისა მეტად შემაწუხებელი მდგომარეობაა. ამ ყმაწვილმა გვარად ბეგლარ ფაღავამ შარშან გაათავა ჩვენი გიმნაზია საუკეთესო მოწაფედ, მაგრამ სიღარიბის გამო შარშან ვერ წავიდა უნივერსიტეტში. წელსაც საშინელ მდგომარეობაშია — საწყალი იღუპება — გზის ფულიც არა ,აქვს, რომ რუსეთში წავიდეს.

ბატონო სიმონ! ეგებ რაიმე შემწეობა მოუხერხოთ დამხმარებელი საზოგადოების კასიდან ბევრს უთხოვია ჩემთვის შუამდგომლობა, ყველას უარს ვეუბნებოდი და არასდროს არ შემიწუხებია თქვენი საზოგადოება. ეს კი რაღაც იშვიათი შემთხვევაა. ყმაწვილი კაცი შესანიშნავია როგორც ნიჭით, ისე ზნეობით. მეტის მეტი ღარიბი და მასთანავე ერთი წელიწადი გააცდინა და თუ მეორე წელიც გაუცდა უფლებას დაკარგავს, რომ უნივერსიტეტში შევიდეს. კიდევ გთხოვ უყურადღებოთ ნუ დატოვებთ ამ ყმაწვილს.

თქვენი მარად პატივისმცემელი ი. ოცხელი.

20 აგვისტო, 1911 წ.

---

[1] ქიმ. ფონდი 6465. საბ. 800. წერილის ადრესატია ცნობილი მკერნალი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ხეჩინაშვილი.

ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობას

ხარკოვის უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტის (ისტ. ფილ. ფაკ.) ალექსანდრე შვანგირაძის[1]

ᲗᲮᲝᲕᲜᲐ

უმორჩილესათ ვთხოვ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას ღირსეული ყურადღება მიაქციოს შემდეგ გარემოებას: ოთხ წელზე მეტია მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა მამაჩემი, მღვდელი თადეოზ შვანგირაძე და დასტოვა ცოლი და შვიდი მცირეწლოვანი ობოლი ყოველგვარ საცხოვრებელ სახსარს მოკლებულნი. არა გვაქვს ადგილ-მამული, გარდა ორი ქცევა მიწისა სოფელში, რომელიც არავითარ შემოსავალს არ გვაძლევს ნიადაგის სიმწირის გამო ან სხვა რაიმე კერძო შემოსავალი რითაც შეიძლებოდეს ამოდენა ოჯახის წევრთა ნივთიერათ უზრუნველყოფა. ულმობელმა ბედისწერამ მთელი თავისი საშინელება თავს დაგვატეხა. შიმშილობა, სიტიტვლე და რაც ყველაზე უარესია, ავათმყოფობა. ყველა ეს ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. განსაკუთრებით უკანასკნელმა მოიკიდა ფეხი ჩვენს ოჯახში. ერთი ქალი ქრონიკულათ არის ავათ და ისედაც გავერანებულს ოჯახს უწამლავს არსებობას თავისი აქიმობისათვის ხარჯით.

ზემონახსენებ შვიდ ბავშვში ოთხი სწავლობს სხვადასხვა სასწავლებელში, დანარჩენი სამი კი (ერთი ამათგანი ხომ ავათ არის) ჯერ კიდევ პატარები არიან. ყველა ამათ (მოსწავლეთა და არა მოსწავლეთა) საზრდოთ გვაქვს ყოველწლიურად 200 მანეთი პენსიის სახით, რომელიც სინოდმა დაგვინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ განსვენებული მამა ძალიან ცოტა ხანს იყო სამსახურში. ამას გარდა გვქონდა კიდევ უფასო ბინა. აქ, არქიელის გორაზე გვაქვს ერთი სამოთახიანი სახლი, რომელიც აშკარაა, არავითარ სარგებლობას არ გვაძლევს იმას გარდა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ

---

[1] ქიმ. ფონდი 6465, საბ. 469.

შიგ, მაგრამ საუბედუროთ ჩვენდა, ეს სახლიც დაგირავებულია 1000 მანეთად საადგილმამულო ბანკში და პერიოდული გადასახადის შეუტანლობის გამო ახლო მომავალში კიდეც დარჩება ბანკს. ამნაირათ თავშესაფარიც წაგვერთმევა.

იმედი მაქვს ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობა ყურადღებას მიაქცევს ყველა ზემონათქვამს და რამე დახმარებას აღმომიჩენს მის განკარგულებაში მყოფ თანხიდან.

1915 წ. 20 ივნისს

ალ. შვანგირაძე

სტ. ალექსანდრე შვანგირაძის მდგომარეობას ვამოწმებთ:

*ვლადიმერ ფუთურიძე* *დიმიტრი ქანტურია*
*სიმონ ბუნდაძე* *ბეჟლარ ფაღავა*
*ნიკოლოზ ლაჭყებიანი* *შალვა გაბადაძე*

აგრეთვე ალ. შვანგირაძის მდგომარეობას ადასტურებს ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის ქართველთა სათვისტომოს გამგეობა.

## ოდესის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტის არხიპო ქებულაძის[1]

## თხოვნა

გთხოვთ უმორჩილესად დამხმარე საზოგადოების გამგეობას აღმომიჩინოთ რაიმე დახმარება, რადგანაც მატერიალური მხრით ძალიან გაჭირვებული ვარ. მამა არა მყავს, დედა დავრდომილი ავადმყოფია. მე და ჩემი უმცროსი ძმა, რომელიც ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობს და დის ხარჯზე ვართ, რომელიც ღებულობს თვეში ორმოც მანეთს, ამ ორმოც მანეთით ვცხოვ-

[1] ქიმ. ფონდი 6465, საბ. 993.

რობთ სამი კაცი, წარმოიდგინეთ თუ რა გაჭირვება იქნება და ამიტომ გთხოვთ შემიმსუბუქოთ ეს ეკონომიური მდგომარეობა ცოტა ხნით მაინც.

არხიპო ქეგულაძე.
1913 წ. 10 იანვარი.

## ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობას

ქუთაისის ქართული გიმნაზიის ახლათ კურსდამთავრებულ სტუდენტ ეპიფანე ნიშნიანიძისაგან[1]

მამაჩემის უკიდურესი სიღარიბისაგან გამოწვეული ტანჯვა-წვალებით გარემოცული ჩემი ცხოვრების პირობები, იძულებულს მხდიან მოგმართოთ პატივცემულ გამგეობას შემდეგი თხოვნით: თუ რა წვითა და დაგვით დავამთავრე ზემოხსენებული გიმნაზია, ამაზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ, რადგან ჯერ ერთი, რომ შორს წამიყვანს და მეორე ისეთი ნაღველ-გესლით არის ალ[illegible]ილი განვლილი წლები ჩემი მოწაფეობისა, რომ მისი აღწერაც კი შეუძლებელია. ათი წლის განმავლობაში ერთი ნაბიჯიც კი არ გადამიდგამს გიმნაზიაში, ამავე გიმნაზიის მზრუნველის ბ-ნ ი. ოცხელისა და საღმრთო სჯულის მასწავლებელი დეკანოზი ივლიანე აბესაძის დაუხმარებლად. რომლებმაც თავს იდვეს ჩემი უკიდურესი მდგომარეობის გაუმჯობესება. ესენი თავიანთი, უხვი დახმარებით, ხელს უწყობდნენ ჩემი მიზნის განხორციელებას, რაც პირნათლად შეასრულეს, დავამთავრე გიმნაზია სწორედ ამათი დახმარებით. წინააღმდეგ შემთხვევაში კი იძულებული ვიქნებოდი სულ ადრე გამოვსალმებოდი გიმნაზიის კარებს, მაგრამ გიმნაზიის დამთავრებით ყოველივე არ გათავებულა. ჩემი ცხოვ-

---

[1] ქიმ. ფონდი 6465, საბ. 573.

რების ნარ-ეკლით დაფარული გზა ჯერ კიდევ წყვდიადით არის მოცული. მიუხედავათ ასეთი უმწეო მდგომარეობისა, უმაღლესი განათლების მისწრაფება სულ მქონდა თავიდანვე და ჯერაც არ გამქრალა ის ჩემს გულში. ამიტომ უმორჩილესათ გთხოვთ, აღმომიჩინოთ დახმარება და დამინიშნოთ სტიპენდია თქვენ მიერ აღნიშნულ განსვენებული ფიფინაშვილის ქვრივის შემოწირული თანხიდან.

იმედი მაქვს ჩემს თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებთ.

მთხოვნელი: ეპიფანე ნიკიფორეს ძე ნიშნიანიძე.

ქ. ქუთაისი, 14 ივნისი, 1917 წ.

## ქუთაისის გუბერნიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას[1]

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სათვისტომოს გამგეობას პატივი აქვს გაცნობოთ შემდეგი: ამ რამდენიმე ხნის წინად მოგვივიდა თქვენგან ცნობა — გვეცნობებია სია სათვისტომოს ღარიბ სტუდენტთა. გამგეობა პირველად დიდ მადლობას გწირავთ ამისათვის და შემდეგ კი გიგზავნით განსაკუთრებით ღარიბ სტუდენტთა სახელებს და გვარს, თუ ვინცობაა აქ ჩამოთვლილთაგანს დაენიშნება რამე, იმათ ვინც ამ ჟამათ ქ. ქუთაისში არიან მიეცემათ პირადათ თქვენგან და დანარჩენების გადასაცემად გთხოვთ გადმოუგზავნოთ გამგეობის ხაზინადარს ალექსანდრე ზალდასტანიშვილს.

### სია

| *I. იღებენ 15 მანეთს* | *II. არ იღებენ არაფერს* |
| --- | --- |
| 1. ალექსანდრე ნანეიშვილი | 1. მამულაშვილი ალექსანდრე |
| 2. ქაჯაია ვასილ | 2. შოთაძე მიშა |
| 3. გაწერელია მიშა | 3. გვარაშვილი ლევან |

[1] ქიმ. ფონდი 6465, საბ. 992.

4. ჯაფარიძე სიმონ
5. შარაშიძე კოტე
6. სვანაძე ნოე
7. სვანაძე ნიკ.
8. ჩიტაია ა.
9. მკურნალი ალ.
10. ფალავანდიშვილი კოტე
11. მიქელაძე ევსევი
12. დავითაშვილი სიმონი

4. მსუქნიშვილი ალექსანდრე
5. ცაგურია ვლადიმერ
6. ყიფშიძე დავით
7. ფალავა ერასტი
8. მუჯირი მიშა
9. კაკაბაძე დავით
10. ანთაძე იოსები

ამასთან საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ყველა ზევით მოხსენებული პირი ძლიერ მუყაითად მუშაობენ და ითვლებიან მომეცადინე ყმაწვილებად.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობა.

იანვარი, 1913 წ.

## ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას[1]

მოწყალეო ხელმწიფე!

გიგზავნით სიას იმ ქართველ სტუდენტთა, რომელნიც ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდიან.

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ყველა ესენი ერთი მეორეზედ ხელმოკლეა — არც ერთი მათგანი არ იღებს თვეში 15 მანეთზე მეტს.

1. პეტრე ჯაფარიძე
2. სიმონ საყვარელიძე
3. გრიგოლ დალაქიშვილი
4. ვლ. ქლენტი

---

[1] ქიმ. ფონდი 6465, საბ. 805.

5. გედეონ გაბუნია
6. არ. კაკაბაძე
7. დავით ღოღობერიძე
8. სერგო მესხი
9. გერ. კუპრაშვილი
10. შ. ავალიანი
11. ძმები მიხ. და ილ. ცეცხლაძეები
12. გ. ურუშაძე

ოდესის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო.

## ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების წევრთა სია (1907 წ.)[1]

1. ამირაგოვი ანა
2. არსენიშვილი იეხონია მიხეილის ძე
3. ასლანიშვილი იოსებ ანტონის ძე
4. ბაქრაძე იასონ თომას ძე
5. ბახტაძე აგრაფინა
6. გაბარაშვილი კონსტანტინე ბიძინას ძე
7. გველესიანი გრიგოლ დავითის ძე
8. გიგინეიშვილი ალექსანდრე
9. დოლაბერიძე ოლიმპიადა
10. ელიგულაშვილი არონ იაკობის ძე
11. ერიქაშვილი ალექსანდრე იოსების ძე
12. თევზაძე ილია მოსეს ძე
13. იაკობიშვილი შიმშონ
14. იმნაძე ვარლამ მარკოზის ძე
15. კემულარია იოსებ გრიგოლის ძე
16. კოკოჩაშვილი ლევან პეტრეს ძე
17. ლექავა ბენედიქტე ანდრიას ძე
18. ლორთქიფანიძე დავით ნიკოლოზის ძე
19. მაჭავარიანი დავით პავლეს ძე
20. მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე

---

[1] ქიმ. ფონდი 6105, საბ. 34.

21. მგელაძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე
22. მოშიაშვილი მიხეილ
23. ნაზარიშვილი დიმიტრი ალექსანდრეს ძე
24. ნაცვლიშვილი მიხეილ ზაალის ძე
25. პურადაშვილი ივანე ისაკის ძე
26. ჟღენტი ივანე მიხეილის ძე
27. ჟღენტი ილარიონ მოსეს ძე
28. რიჟინაშვილი დავით
29. საყვარელიძე ალექსანდრე სიმონის ძე
30. ტერტეროვი სერგო იაგორის ძე (საპატიო)
31. ქუთათელაძე დავით ნიკოლოზის ძე
32. ქავთარაძე ივანე თეიმურაზის ძე
33. ყურაშვილი ,ტერენტი ეგნატეს ძე
34. შურღაია ლაზარე ბეჟანის ძე
35. ჩაკვეტაძე პავლე ნიკოლოზის ძე
36. ჩარექოვი იაკობ
37 ჩიქოვანი ევგენ ყარამანის ძე
38. ჩიქოვანი ნესტორ დავითის ძე
39. ჩხენკელი არკადი ზაქარიას ძე
40. ცინცაძე იაკობ თომას ძე
41. წერეთელი სოლომონ ექვთიმეს ძე
42. წულეისკირი ვასილ პეტრეს ძე
43. ჭელიძე ფილიპე ნიკოლოზის ძე
44. ჭირაქაძე ალექსანდრე რაჟდენის ძე
45. ხაზარაძე ილარიონ ანტონის ძე
46. ხეჩინაშვილი ელისაბედ ნიკოლოზის ას (საპატიო)
47. ხეჩინაშვილი ნიკოლოზ სიმონის ძე
48. ხეჩინაშვილი სიმონ , ივანეს ძე (საპატიო)
49. ჯაფარიძე ალექსანდრე რომანის ძე
50. ჯაყელი ფედოსი პეტრეს ასული
51. ჯორჯიკია კონსტანტინე (ჯაჯუ) ივანეს ძე

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას

ქართული გიმნაზიის უკანასკნელი სერიის მოწაფის ვარლამ დონდუას[1]

### თხოვნა

უკიდურესი ნივთიერი გაჭირვება მაიძულებს მოგმართოთ უმორჩილესი თხოვნით — მიშვამდგომლოთ წ. კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობასთან, რათა უკანასკნელმა სტიპენდიის დანიშვნით საშუალება მომცეს მივიღო უმაღლესი განათლება.

მთხოვნელი ვარლამ დონდუა.
ქუთაისი, 10 ივნისი, 1915 წ.

## ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას

სტუდენტის მესამე კურსის ისტორიკო-ფილოლოგიური ფაკულტეტისა (ხარკოვში) ტერენტი ყურაშვილისა[2]

### თხოვნა

უკვე მესამე წელია რაც ქუთაისის ქართული გიმნაზია დავამთავრე და რუსეთს გავემგზავრე უმაღლეს სწავლის მისაღებად. მიუხედავად მატერიალური შევიწროვებისა, როგორც იქნა შევძლე

---

[1] შემდეგში ცნობილი ქართველი ისტორიკოსი. საქ. ცსსა, ფონდი 481, ანაწ. 1, საქმე 1555, ფურც.

[2] შემდეგში ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი. საქ. ცსსა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1555, ფურც. 104.

და მესამე კურსამდის მივაღწიე. ამჟამათ კი მდგომარეობა უფრო გამწვავდა და მიუხედავათ ათასგვარი ცდისა იძულებული ვხდები სწავლა შევწყვიტო თუ კი დახმარებას არავინ ამომიჩენს, ურომლისოდ ჩემს პირობებში შეუძლებელია სწავლის გაგრძელება. უმორჩილესი თხოვნით მივმართავ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, რომ დამსდოს პატივი, შევიდეს ჩემს უმწევო მდგომარეობაში და აღძრას შუამდგომლობა ხსენებული საზოგადოების მთავარი გამგეობის წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა ერთ-ერთი თავისუფალი სტიპენდიის დანიშვნით შეძლება მომცეს სწავლა განვაგრძო.

ტერენტი ჟურაშვილი (ეგნატეს ძე).

ქ. ქუთაისი, 1915 წ. 16 ივნისი.

# წესდება
# ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებისა[1]

## *1. მიზანი, მოქმედება და უფლება საზოგადოებისა*

§ *1.* საზოგადოების მიზანია სამეცნიერო განმანათლებელ დაწესებულებათა მოწყობა ქ. ქუთაისში და აგრეთვე ასეთი ინიციატივის განვითარებისათვის ხელის შეწყობა მის რაიონში.

§ *2.* ამ მიზნის განსახორციელებლათ საზოგადოება აარსებს: სახალხო უნივერსიტეტებს, მართავს საჯარო ლექციებს, სისტემატიურ საზოგადო განათლების, თუ პროფესიონალურ კურსებს, მუდმივ ან მოძრავ სამეცნიერო მიზნით ექსკურსიებს, სამეცნიერო მუზეუმებს, ლაბორატორიებს, ობსერვატორიებს და მრავალ სხვა დამხმარე განმანათლებელ დაწესებულებებს. საზოგადოების წევრთა და მათ ოჯახების მიერ თავისუფალ დროს გამოსაყენებლათ საზოგადოება მართავს სალიტერატურო, მუსიკალურ და დრამატიულ საღამოებს, ხსნის ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, წიგნების საწყობებს, მაღაზიებს და

---

[1] ქიმ. ფონდი 2175, საქ. 45.

მრავალ სხვა ამგვარ დაწესებულებებს, მართავს გამოფენებს, ცემს ბროშურებს, წიგნებს, სურათებს, ტაბულებს, კარტებს და საკუთარ ბეჭდვით ორგანოსაც.

§ 3. საზოგადოება იძენს უძრავ ქონებას, ღებულობს მემკვიდრეობას ანდერძით, იკვრება კანონით ნება ცართულ პირობებით და. საზოგადოთ მოქმედებს როგორც იურიდიული პირი.

შენიშვნა: ისახავს რა მიზნათ ხალხის მასის გათვითცნობიერებას სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება სდგას პარტიის გარეშე.

§ 4. საზოგადოებას აქვს თავისი ბეჭედი: „ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება“.

## 2. *საზოგადოების შედგენილობა*

§ 5. საზოგადოებას შეადგენს განუსაზღვრელი რიცხვი წევრებისა. წევრებათ შეუძლიათ იყოს 1) დაწესებულებებს (სახელმწიფო და საზოგადო), ერობებს, ქალაქებს, ამხანაგობებს. საზოგადოებებს და სხვ. და 2) ორთავე სქესის კერძო პირებს, განურჩევლათ წოდებისა და სარწმუნოებისა არა ნაკლებ 18 წლის.

§ 6 ყოველივე მოქალაქე და დაწესებულებები, აღნიშნული წესდების მე-5 §-ით, შედიან საზოგადოების წევრებათ ორი წევრის რეკომენდაციით. გამგეობა ორი კვირის განმავლობაში ან ღებულობს ახალ წევრებს ან უარს ეუბნება მათ. უკანასკნელ შემთხვევაში წევრათ ჩაწერის მსურველთ ეძლევათ უფლება გაასაჩივრონ გამგეობის გადაწყვეტილება საზოგადო კრებასთან, სადაც ეს საკითხი ფარული კენჭისყრით სწყდება.

§ 7. წევრებს შეაქვსთ წლიურათ საწევრო გადასახადი არა ნაკლებ 5 მანეთისა. წევრი, რომელიც გამგეობის მიერ განსაზღვრულ ვადამდი საწევრო ფულს არ წარადგენს, ითვლება გამორიცხულად საზოგადოებიდან და შეუძლია კვლავ შესვლა მე-6 § ძალით. გამგეობის წინადადებით და საზოგადო კრების დადგენილებით გამორიცხულად ითვლებიან ის წევრები,

რომლებიც რაიმე ზიანს მოუტანენ საზოგადოების ინტერესებს თავიანთი მოქმედებით.

შენიშვნა: საზოგადოების წევრებს, რომელთაც უნდათ თავის სიცოცხლეში განთავისუფლება საწევრო გადასახადიდან, შეაქვთ ერთბაშად არა ნაკლებ 1000 მანეთისა.

### *3. ორგანიზაცია და საზოგადოების საქმეთა წარმოება*

§ *8.* საზოგადოების საქმეებს განაგებს შემდეგი ორგანიზაციები: ა) საზოგადო კრებები, ბ) გამგეობა და გ) სარევიზიო კომისია. საზ. გამგეობა იმყოფება ქუთაისში.

*ა) საზოგადო კრებები*

§ *9.* საზოგადო კრებებს იწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ მაინც. საზოგადო კრება კანონიერია, თუ მას დაესწრო არა ნაკლებ 1/3 წევრისა.

თვითეული დაწესებულება, რომელიც ითვლება საზოგადოების წევრათ, ღებულობს მონაწილეობას საზოგადო საქმეებში თავისი რწმუნებულის საშვალებით.

შენიშვნა: გამგეობის დადგენილებით საზოგადოების კრება შეიძლება საჯაროც იქნეს.

§ *10.* საზოგადო კრების კომპეტენციას შეადგენს შემდეგი საქმეები: 1) განხილვა და დამტკიცება გამგეობის წარდგენით მომავალი წლის სმეტისა (ხარჯთ-აღრიცხვისა); 2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება წლის სმეტის შესრულების შემდეგ; 3) გამგეობის განკარგულებაში თანხის გადადება სმეტის გარეშე ხარჯებისათვის; 4) განხილვა და დამტკიცება გამგეობის მოქმედების ანგარიშისა წლის განმავლობაში; 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა და დამტკიცება შესახებ სმეტის გარეშე დანახარჯ ფულებისა; 6) საკითხები შესახებ უძრავი მამულის შეძენისა, ან მემკვიდრეობის მიღებისა; 7) განხილვა და დამტკიცება გამგეობის მიერ წარდგენილი ინსტრუქციისა საზოგადოების სხვადასხვა სექციებისათვის; 8) წესდების მუხლების გადათვალიერება და შეცვლა; 9) გამგეობის წევრთა არჩევა (არანაკლებ 7 კაცისა) და სარევიზიო კომისიისა (არანაკლებ 3 კაცისა).

§ *11*. ყველა კითხვები საზოგადო კრებაზე სწყდება უბრალო ხმის უმრავლესობით გარდა იმ საკითხებისა, რომელიც ეხება უძრავი ქონების შეძენას ან გაყიდვას, ფულის სესხს. წევრთა გამორიცხვას საზოგადოების შემადგენლობიდან, თუ ეს წევრები თავისი მოქმედებით არღვევენ საზოგადო ინტერესებს, წესდების შეცვლას, რომლისათვისაც საჭიროა დამსწრე წევრთა რიცხვის 2/3 ნაწილი.

## *ბ) საზოგადოების გამგეობა*

§ *12*. გამგეობას ირჩევს საზოგადო კრება ერთი წლით. გამგეობა აწარმოებს მიმდინარე საქმეებს, გამგეობის წევრები ერთმანეთთან შეთანხმებით ინაწილებენ თავიანთ შორის მოვალეობას და ირჩევენ თანამდებობის პირთ. გამგეობას შეადგენენ თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, მდივანი და მოლარე.

შენიშვნა: გამგეობას ეძლევა უფლება მიიწვიოს სხდომებზე გარეშე მცოდნე და სასარგებლო პირებიც და სექციების წარმომადგენლები კოოპტაციის ძალით.

§ *13*. გამგეობის კრებას ნიშნავს თავმჯდომარე და როცა ის არ არის, მისი ამხანაგი. თვეში ინიშნება არა ნაკლებ ერთი სხდომისა, თუ თვის განმავლობაში გამგეობის კრება არ შესდგა, მას იწვევს გამგეობის ორი წევრი.

§ *14* მდივანი აწარმოებს სხდომების ოქმებს, ადგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც წინასწარი განხილვის შემდეგ უნდა წარედგინოს დასამტკიცებლათ საზოგადო კრებას და აწარმოებს საზოგადოების მთელ მიწერ-მოწერის საქმეს.

§ *15*. ხაზინადარი ინახავს და ხარჯავს ფულს თანახმათ გამგეობისა და საზოგადო კრების გადაწყვეტილებისა; ადგენს შემოსავალ-გასავლის ანგარიშს და წინასწარ უდგენს გამგეობას განსახილველათ და საზოგადო კრებისათვის წარსადგენათ.

შენიშვნა: ფულის თანხა ინახება რომელიმე საკრედიტო დაწესებულებაში გამგეობის ჩვეობებით. ფულის გამოწერა შეიძლება თანახმათ გამგეობის გადაწყვეტილების თავმჯდომარის და ხაზინადარის ხელის მოწერით. მიმდინარე ხარჯებისათვის ფულის რაოდენობას საზღვრავს გამგეობა.

§ *16*. გამგეობის სხდომა ითვლება კანონიერათ, თუ სხდომაზე გამოცხადდა არა ნაკლებ 4 წევრისა.

§ 17. თანხისა და საზოგადოების ქონების წარმოების საქმეში პასუხს აგებს მთელი გამგეობა.

§ 18. გამგეობა დასახმარებლათ და საქმის საწარმოებლათ ადგენს კომისიებსა და სეკციებს, სეკციების ინსტრუქციას ამტკიცებს საზოგადო კრება, თანახმად § 20, მ. 7.

*სარევიზიო კომისია*

§ 19. შემოსავალ-გასავლის და საზოგადოთ საზოგადოების მოქმედების განსახილველათ და თავისი მოხსენებების წარსადგენათ, ყოველ წლიურათ ირჩევენ სარევიზიო კომისიას არა ნაკლებ 3 კაცისა და 2 კანდიდატისა.

§ 20. სარევიზიო კომისიის წევრები ირჩევენ თავიანთ შორის თავმჯდომარეს და მდივანს. მდივანს ევალება ოქმებისა და მთელი კომისიის საქმეების წარმოება.

§ 21. სარევიზიო კომისიის სხდომა ითვლება კანონიერად, თუ მას დაესწრო არა ნაკლებ 2 წევრისა.

§ 22. სარევიზიო კომისია მართავს ორ თვეში არა ნაკლებ ერთი სხდომისა.

§ 23. თუ სარევიზიო კომისიამ ნახა რაიმე ბოროტმოქმედება ან შეცდომები გამგეობის მოქმედებაში, ან საკმარისად არ დაინახა მისი პასუხი ან განმარტება, მას შეუძლია დანიშნოს არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

*4. საზოგადოების საშვალებანი*

§ 24. საზოგადოების საშვალებებს შეადგენს: საწევრო ფული, შემოწირულებანი, შემწეობა მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათა მხრივ, ნებადართული შეკრება ფულისა, შემოსავალი გამოფენებიდან, კონცერტებიდან, საღამოებიდან, გამოცემებიდან, ლექციების გადასახადიდან, კურსების, საზოგადოების უძრავ-მოძრავი ქონების შემოსავალი, ფულის %-ბი და სხვა.

*5. საზოგადოების დახურვა*

§ 25. თუ რაიმე მიზეზით საზოგადოებამ შესწყვიტა მოქმედება, მთელი ქონება საზოგადოებისა მოხმარდება იმ დანიშნულებას, რომელსაც მიიღებს საზოგადო კრება.

# ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მოქმედების ანგარიში
## (1912 წ.)[1]

მიმდინარე წლის 31 იანვარს შესრულდა სრული სამი წელიწადი, რაც საჯაროთ გაიხსნა ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტი.

გასული წლის 15 აპრილს მოხდა სახალხო უნივერსიტეტის წევრთა საზოგადო კრება.

კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარის თანაშემწემ ბ-მა გარსევანიშვილმა. კრების თავმჯდომარეთ ხმის უმეტესობით არჩეული იქნა ლ. ნათაძე, მდივნათ გ. ნიორაძე.

კრებამ მოისმინა: 1) გამგეობის მოქმედების ანგარიში, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება და 3) 1912 წლის ხარჯთაღრიცხვა.

შემდეგ ამისა კრებამ აირჩია გამგეობიდან გასულ წევრთა ნაცვლათ სამი ახალი და ორი ძველი წევრი.

ახლები: ლ. ნათაძე, ვ. დარჩიაშვილი და ალ. ჯანელიძე, ძველები: გ. გველესიანი და ბ. ბიბინეიშვილი. კანდიდატებათ: ბ. ალშიბაიასი, თ. მაჭავარიანის ასული, ექ. მგალობლიშვილი და ა. შარაშიძე.

სარევიზიო კომისიის წევრებათ: ს. დათეშიძე და გ. გიგინეიშვილი.

კანდიდატებათ: დ. ავალიანი და ლ. ჩიმაკაძე.

ამჟამათ გამგეობას შეადგენენ შემდეგი პირნი: 1) ალ. გარსევანიშვილი — თავმჯდომარე; 2) დ. კლდიაშვილი — მისი ამხანაგი, 3) ელ. ხელთუფლიშვილის ასული — მოლარე; 4) ქრ. შა-

---

[1] დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

რაშიძის ასული — მდივანი; 5) ე. ნიკოლაძის ასული, 6) ს. რობაქიძე, 7) ალ. ჯანელიძე, 8) გ. ნასარიძე, 9) გრ. გველესიანი, 10) ილ. მანდარია, 11) მ. ბერიშვილი, 12) ვლ. დარჩიაშვილი, 13) ბ. ბიბინეიშვილი, 14) ბ. ალშიბაიასი და 15) თ. მაჭავარიანის ასული. ეს ორი უკანასკნელი გასული წლის საზოგადო კრების მიერ კანდიდატათ არჩეულნი გამგეობამ მოიწვია ლ. ნათაძის და დ. უზნაძის ნაცვლათ, უკანასკნელნი ქუთაისიდან გადასვლის გამო გამგეობის წევრებათ ვეღარ ჩაითვლებოდენ.

სარევიზიო კომისიის წევრები: ს. დათეშიძე, გ. გიგინეიშვილი, დ. ავალიანი, ლ. ჩიმაკაძე.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 10 სხდომა, გარდა ამისა კვირაში ერთხელ იკრიბებოდა ლექციების მომწყობი სექცია.

## ლექციები

1912 წ. სახალხო უ-ის გამგეობამ გამართა 39 ლექცია. ლექციების კითხვაში მონაწილეობა მიიღო 13 ლექტორმა.

ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა 9 ლექცია. ალ. ჯანელიძემ — 7; გ. ნასარიძემ — 4; ტ. ჯაფარიძემ — 3; ს. რობაქიძემ — 3; ექ. ბადრიძემ — 2; კ. აბაშიძემ — 1; გ. ნათაძემ — 1; ვალ. ლორთქიფანიძემ — 1; ს. ქვარიანმა — — 1; გრ. გიორგაძემ — 3; ი. გაბილაიამ — 2; გ. ნიორაძემ — 2.

ლექციებს დაესწრო 7241 მსმენელი, ლექციების თითო კითხვას ესწრებოდა საშვალოთ 362 მსმენელი. რადგან სამოსწავლო უწყების განკარგულებით მოწაფეებს აეკრძალათ სცენაზე გამოსვლა, გასული წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ მოხერხდა საკონცერტო განყოფილების გამართვა ლექციების კითხვის შემდეგ.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობამ გამართა სამი სალიტერატურო დილა: 30 სექტემბერს — იაკ. გოგებაშვილის ხსოვნის პატივსაცემათ; 25 ნოემბერს ი. ჭავჭავაძის და 18 ნოემბერს — ეკ. გაბაშვილის დილა. დაწვრილებითი ცნობები მოთავსებულია ცხრილში (იხ. გვ. 8).

გამგეობა მოვალეთ სთვლის თავს მადლობა გამოუცხადოს ბ. ბ. არ. კვაჭანტირაძეს, ნ. შარაბიძეს და ლ. კარაკოზიანს, რო-

მელნიც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ კონცერტების გამართვაში. მადლობის ღირსია აგრეთვე მხატვარი ბ. გიბრაძე, რომელიც სალიტერატურო დილებისათვის მგოსანთა და მოღვაწეთა სურათებს უსასყიდლოთ უხატავდა გამგეობას და სამეურნეო სკოლის გამგე ა. შარაშიძე, რომლის ნებადართვით უფროსი კლასის მოწაფენი მისდამი რწმუნებულ სასწავლებლისა მონაწილეობას იღებდენ სადღესასწაულო დილების გამართვაში.

## საღამოს კურსები

საღამოს კურსების პროგრამა ქუთაისის გუბერნატორმა კარგა ხანია დაამტკიცა. ამ პროგრამის ძალით გამგეობას უფლება მიეცა ასწავლოს შემდეგი საგნები: 1. ქართული და რუსული ენა, 2. ქართული, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, 3. არითმეტიკა, 4. ბუნების მეტყველება (ქიმია, ფიზიკა, ბოტანიკა და სხვ.). 5. საქართველოს, რუსეთის და მსოფლიო ისტორია, 6. გეოგრაფია. 7. კანონმდებლობა. 8. გალობა. მეცადინეობა — კვირაში ორჯერ სამშაბათობით და ხუთშაბათობით, ორ-ორი საათი თითო საღამოს.

ქალაქის გამგეობამ უსასყიდლოთ დაუთმო საღამოს კურსებს ქალაქის სკოლის შენობა ივანოვის ქუჩაზე.

კურსების გახსნას აგვიანებდა შემდეგი გარემოება: მსმენელთა უმრავლესობა ნოქრებისა და ქარგლებისაგან უნდა შემდგარიყო: ესენი კი საღამოს 9 საათამდე თავისუფალი არ არიან. რადგან მოსალოდნელი განსაზღვრა სამუშაო დღისა ძალიან გვიანდებოდა, კურსებზე ჩაწერის მსურველთა რიცხვი კი ბევრი იყო, ამიტომ გამგეობამ 11 დეკემბრის სხდომაზე გადასწყვიტა: მიიღოს საღამოს კუსრების მსმენელები და დაიწყოს მეცადინეობა.

საანგარიშო წლის 16 დეკემბერს გამგეობა შეუდგა მსმენელთა ჩაწერას კურსებზე. რადგან მხოლოდ ოთხ საათს ხერხდება მეცადინეობა, კურსების ხელმძღვანელებმა მოახდინეს მსმენელთა შორის ანკეტა იმის გამოსარკვევათ, თუ რომელი საგნები მიაჩნია უმრავლესობას უფრო საჭიროთ რვა ნებადართულ საგანთაგან. არჩეულ იქნა ხუთი საგანი. 1. ქართული ენა და ქართული ლიტერატურა; 2. რუსული ენა; 3. არითმეტიკა; 4. ბუნებისმეტყვე-

ლება; 5. გალობა (ოთხშაბათობით). მსმენელთა მთელი რიცხვი მათი ცოდნის და მომზადების მიხედვით დაიყო სამ ჯგუფათ პირველ ხანებში მეცადინეობა იწყებოდა საღამოს 8 1/2 საათზე — თავდებოდა 10 1/2 — 11 საათზე. სწავლის ფასათ თითო მსმენელზე დაინიშნა 30 კაპ. ხსენებული საგნის მასწავლებლებათ მოწვეულ იქმნენ შემდეგი პირნი: ბუნების მეტყველების, ალ. ჯანელიძე და ს. რობაქიძე; რუსული ენის — ნიორაძე; არითმეტიკის ოდიშარია და ლორქიფანიძე; ქართული ენის — რევაზიშვილის და შარაშიძის ასულნი და ნიკოლაძე, გალობის — დ. ჩადუნელი. კურსების გახსნისთანავე დიდძალი Uსურველი მოაწყდა საქალაქო სკოლის შენობას. პირველ ხანებში საკლასო ოთახებში ტევა არ იყო. მაგრამ გაზაფხულის დამდეგიდანვე გამოირკვა, რომ ჯერ-ჯერობით ნორმალური მეცადინეობის დაწესება შეუძლებელია სხვა და სხვა მიზეზის გამო.

## იაფ-ფასიან წარმოდგენების გამმართველი ჯგუფი

საანგარიშო წლის სექტემბერში ქუთაისში შესდგა სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომელმაც მიზნათ დაისახა იაფ-ფასიან სახალხო წარმოდგენების მართვა. ხსენებულმა ჯგუფმა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას მფარველობა სთხოვა.

გამგეობა თანაგრძნობით მიეგება ხსენებული ჯგუფის სიმპატიურ მიზანს და დახმარება აღუთქვა მას.ა

## ზომები საშვალების გასაძლიერებლათ

გმგეობამ შეიძინა ახალი წევრები და მოჰკრიბა საწევრო გადასახადი. ამ ჟამათ სახალხო უ-ტს ყავს 413 წევრი, რომელთაც გადიხადეს საწევრო გადასახადი 423 მან. სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ გამგეობამ გამართა სეირნობა ქალაქის ბაღში. ამ სეირნობიდან წმინდა შემოსავალი დარჩა 508 მან. გარდა ამისა გამგეობამ თხოვნით მიმართა ქალაქის საბჭოს, რომ ერთდროული დახმარება აღმოეჩინა. ქალაქის საბჭომ გადასდო სახალხო

უ-ტისათვის ასი მანეთი. განსვენებულმა ივანე გველესიანმა უანდერძა სახალხო უნივერსიტეტს 200 მანეთი. სახალხო უ-ტის ფული ინახება ორ ადგილას: საურთიერთო ნდობის ბანკში, წიგნის № 272 და ქუთაისის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობის კასაში, წიგნის № 125.

## კანტორის შესახებ

ჯერ კიდევ შარშან აღნიშნული იყო გამგეობისათვის საკუთარი ბინის საჭიროება. წარსულ წელს გამგეობამ დაიქირავა კიდევაც ბინა კვიცარიძის კანტორაში, მაგრამ, რადგან ეს ბინა უხერხული გამოდგა, ამ ჟამათ ისევ ქალაქის სამმართველოს შენობაში იკრიბება გამგეობა.

თავმჯდომარე *ალ. გარსევანიშვილი.*
მისი ამხანაგი *დ. კლდიაშვილი.*
მოლარე *ელ. ხელთუფლიშვილის ასული*
მდივანი *ქ. შარაშიძის ასული.*

*ს. რობაქიძე.*
*ალ. ჯანელიძე.*
*ექ. ნიკოლაძის ასული.*
*ალ. მანდარია.*
*მელ. ბერიშვილი.*
*ბ. ბიბინეიშვილი.*
*გრ. გველესიანი.*
*გრ. ნასარიძე.*
*ელ. დარჩიაშვილი.*
*ბ. ალშიბაიასი.*
*თ. მაჭავარიანის ასული.*

## ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1912 წ.

| №№ | შემოსავალი | მან. კაპ. |
|---|---|---|
| 1 | ლექციების შემოსავალი . . | 572.65 |
| 2 | 413 წევრის საწევრო გადასახადი | 423— |
| 3 | სეირნობის შემოსავალი . | 508— |
| 4 | ქალაქის თვითმართველობის შემოწირულება . . . . | 100 |
| 5 | განსვენებ. ივანე გველესიანმა გვიანდერძა | 200— |
| 6 | 780 ცალი შევჩენკოს წიგნის ფასი | 72—48 |
| 7 | ფულის სარგებელი | 99—2 |
| | სულ | 1975—15 |
| | 1912 წ. წმინდა შემოსავალი . | 1370—5 |
| | 1912 წ. დამლევს საზოგადოებას ქონდა . . . | 2000—55 |
| | 1913 წ. დამდეგს საზოგადოებას ქონდა . | 3370—60 |
| | ეს ფული ინახება ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკში წიგნის № 272 | 2840—60 |
| | ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობის [illegible]ში. წიგნი, № 125 | 530— |

| №№ | გასავალი | მან. კაპ. |
|---|---|---|
| | ა. ლექციების მოწყობისათვის დაიხარჯა: | |
| 1 | თეატრის ქირა და მომსახურეებს | 239—80 |
| 2 | აფიშების დაბეჭდვა და გაკვრა . | 103— |
| 3 | ბილეთების და მარკების ფასი | 28— |
| 4 | წვრილმანი ხარჯი | 1—40 |
| | | 372—20 |
| | ბ. დანარჩენი ხარჯი | |
| 1 | კანტორის ქირა | 100— |
| 2 | წიგნის დაბეჭდვა . . | 55— |
| 3 | 1911 წ. ანგარიშის დაბეჭდვა | 30— |
| 4 | ქაღალდი ანგარიშისათვის და შევჩენკოს წიგნისათვის (დასამატი) | 19—90 |
| 5 | გზის ფული ჩვენს წარმომადგენელს გოგებაშვილის დასაფლავებაზედ | 10— |
| 6 | მოსაწვევი ბარათების ჩამოსატარებლათ და საწევრო გადასახადის შესავსებათ . . | 8— |
| 7 | მოსალოცავი და სამძიმრის დეპეშები | 5—30 |
| 8 | წვრილმანი ხარჯი | 2—20 |
| | | 232—90 |
| | სულ დაიხარჯა . | 605—10 |
| | 1912 წლის წმინდა შემოსავალი | 1370—5 |

| [illegible] | [illegible] | ვინ წაიკითხა | რიცხ. მსმენ. |
|---|---|---|---|
| 29 იანვარს | 1. [illegible] საზოგადო [illegible] მნიშვნელობა<br>2. სიცოცხლის საზღვრები (ცოცხ. და მკვდ. ბუნება) | გრ. ნასარიძე<br>ალ. ჯანელიძე | 248 |
| 12 თებერვალს | 1. სიცოცხლის საზღვრები<br>2. კულტურის ისტორიიდამ: ქორწინება და ნათესაობა ძველად | ალ. ჯანელიძე<br>ტრ. ჯაფარიძე | |
| 19 თებერვალს | 1. მგოსანი მილერი და მისი მნიშვნელობა<br>2. სიცოცხლის საზღვრები | ალ. გარსევანიშვილი<br>ალ. ჯანელიძე | 402 |
| 26 თებერვალს | 1. მსოფლიო ლიტერატურიდამ: დონ-კიხოტი<br>2. ძირითადი კანონები რუსეთში და საზღვარგარეთ<br>3. მანდოლინისტების ხორო | გრ. ნათაძე<br>გრ. გიორგაძე | 492 |
| 4 მარტს | 1. სიცოცხლის საზღვრები<br>2. სიმებიანი ორკესტრის კონცერტი | ალ. ჯანელიძე | 231 |
| 15 აპრილს | 1. ჭლექი და ბრძოლა მის წინააღმდეგ ევროპასა, რუსეთსა და ჩვენში<br>2. საზოგადო კრება | ვალ. ლორთქიფანიძე | 790 |
| 29 აპრილს | 1. პედაგოგიკიდამ: იეზუიტების შკოლა<br>2. ქორწინება და ნათესაობა ძველად: ქალების მდგომარეობა<br>3. ხორო და სოლო (გალობა) | გ. ნიორაძე<br>ტრ. ჯაფარიძე | 444 |
| 6 მაისს | 1. კოოპერაცია რუსეთში<br>2. ერეკლე მეფე ხალხის ხსოვნაში | ი. გაბელაია<br>ალ. გარსევანიშვილი | 208 |
| 13 მაისს | 1. რუსეთის პედაგოგი უშინსკი<br>2. პროფესორ მეჩნიკოვის თეორია სიბერის შესახებ<br>3. ლექსების კითხვა და კონცერტი (სოლო პიანინოზე). | გ. ნიორაძე<br>- ბადრიძე | 350 |

II სემესტრი

| როდის | რა თემაზე | ვინ წაიკითხა | რიცხ. მსმენ. |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | დილა იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად | | |
| 30 ენკენისთვეს[1] | 1. იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია<br>2. გოგებაშვილი, როგორც პედაგოგი და საზოგ. მოღვაწე<br>3. ლექსების კითხვა | ალ. გარსევანიშვილი<br>ტრ. ჯაფარიძე | 325 |
| 7 ოქტომბერს | 1. ნიადაგი და მისი ფიზიკური თვისებები<br>2. ეროვნული შემოქმედება (1) | გრ. ნასარიძე<br>ალ. ჯანელიძე | 404 |
| 14 ოქტომბერს | 1. მეფე გიორგი XII<br>2. ეროვნული შემოქმედება (2) | ალ. გარსევანიშვილი<br>ალ. ჯანელიძე | 458 |
| 21 ოქტომბერს | 1. ეროვნული შემოქმედება<br>2. დანია, როგორც სასოფლო და სამეურნ. კოოპ. სამეფო | ალ. ჯანელიძე<br>ი. გაბილია | 358 |
| 28 ოქტომბერს | 1 მე-18 საუკუნის პოლიტიკური მიმოხილვა (საქართველოს ისტორიიდან)<br>2. სახელმწიფო საბჭოს სხდომა, სადაც გადაწყდა საქ. ბედი | ალ. გარსევანიშვილი | 230 |
| 4 ნოემბერს | 1. ნიადაგის ქიმიური თვისებები<br>2. საქართველოს გეოგრაფიიდამ (დასავლეთი საქართველო) | გრ. ნასარიძე<br>ს. რობაქიძე | 190 |
| | დილა ეკ. გაბაშვილის პატივსაცემათ | | |
| 18 ნოემბერს | 1. ეკ. გაბაშვილისა — ბიოგრაფია<br>2. მისი პოეზიის მნიშვნელობა | ალ. გარსევანიშვილი | 208 |

[1] 23 ენკენისთვეს არ შესდგა გოგებაშვილის დილა ბინის უქონლობის გამო.

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 25 ნოემბერს | ილიას დღე<br>1 მიმართვა მგოსნისადმი<br>2. ილიას ბიოგრაფია<br>3. ილიას პოეზიის მნიშვნელობა<br>4. ლექსთა კითხვა: ვ. რუხაძე, ნ. გვარამძე, ა. შებლაძე და ელ. ხელთუფლიშვილისა | კლდიაშვილი<br>ს. ქვარიანი<br>ალ. გარსევანიშვილი | 530 |
| 2 დეკემბერს | 1. საქართველოს გეოგრაფიიდამ (2)<br>2. ქვეშევრდომნი და უცხოელნი (სახელმწიფო უფლებიდამ) | ს. რობაქიძე<br>გრ. გიორგაძე | 213 |
| 9 დეკემბერს | 1. საქართველოს გეოგრაფიიდამ (3)<br>2. მარგებელი საჭმლის გავლენა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობაზე | ს. რობაქიძე<br>გ. ბადრიძე | 181 |
| 16 დეკემბერს | 1. ნიადაგის ფიზიკური თვისებები (დასასრული)<br>2. ქვეშევრდომნი და უცხოელნი (2)<br>3. მგოსანი ილია ჭავჭავაძე | გრ. ნასარიძე<br>გრ. გიორგაძე<br>კიტა აბაშიძე | 364 |
| 20 კითხვა | 39 ლექცია | 13 ლექტორი | 7241 მსმენ. |

# ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის წევრთა სია
## *1912* წელი

1. ასათიანი მელიტონი
ახვლედიანი გიორგი
აბესაძე კალისტრატე
ასათიანი ; გიორგი
ასათიანი ნესტორი
აბულაძე კონსტანტინე
ასათიანი ვარლამი
ახვლედიანი ისიდორე
ახვლედიანის ას. სარა
10. აბესაძის ასული ნინა
ასათიანი ტიხონი
ავსარქისოვი ივანე
ალშიბაია გრიგოლი
ალშიბაია ვლადიმერი
ანჯაფარიძე ივლიანე
ასათიანი ბეჟანი
ახვლედიანი ანა
ასათიანი ვიქტორი
აბაშიძე ნ.
20. ავალიანი დავითი
ანჯაფარიძისა მარიამი
ადანაია დიმიტრი
არსენიძე რაჟდენი
ამირაღოვისა შუშანა
აბესაძე ივლიანე
აბდუშელიშვილი დავითი
აბულაძე ვლადიმერი
ბერიშვილი მელიტონი
ბუიღლიშვილი ბაგრატი
30. ბოკერია სერგეი
ბოკერია იასონი
ბოლქვაძე ივანე
ბოკერია დავითი
ბეჟანეიშვილი ვასილი
ბახტაძის ას. ელენე
ბადრიძე გიორგი
ბადრიძისა ნინო
ბარათაშვილისა ელისაბ.
ბიბინეიშვილი ბარონი
40. ბიბინეიშვილისა ოლღა
ბაბესა ანა
ბაქრაძე ვლადიმერი
ბახტაძე ნიკოლოზი
ბაქრაძე იასონ
ბექაია ივანე
ბოკერია ივანე
ბერძულიშვილი მიხეილ
ბერეკაშვლი ალექსანდრა
ბერიძე ეკატერინე
50. ბუტულაშვილი მარიამ
ბუტულაშვილი ანა
ბახტაძე ეკატერინე
ბახტაძე მათე
ბაქრაძისა სალომე
ბერიშვილი პორფილე
ბოკერია პლატონი
ბალანჩივაძე იუსტინე
ბალანჩივაძე ნესტორი
ბახტაძე სოფიო
60. ბახტაძე მარიამ
ბაბუნაშვილი კონსტან.
ბარკალაია ივანე
ბერიძე ვუკოლი
ბახტაძე სერგო
გარსევანიშვილი ალექს.
გიგინეიშვილი გრიგოლ
გაბრეჩიძე აკაკი
გოგვაძე ზაქარია
გერსამია სერგო
70. გაბუნია კირილე
გოგიძე სამსონ
გიორგაძე გრიგოლ
გუგუნავა ალექსანდრე
გველესიანი ტერენტი
გუგუნავა პროკოფი
გაბელაია იასონ

გლატკოვი გრიგოლ
გრიგოლაშვილი ივლიანე
გრიგოლაშვილი ივანე
80. გეგელაშვილი ელენე
გველესიანი გრიგოლ
გველესიანი გრ.
გველესიანი მელანია
გოკიელოვი პეტრე
გაბუნია ბესარიონ
გეგეჭკორისა ოლღა
გელაზაროვი ანტონ
გობეჩია ივანე
გიორგობიანის ას. მარიამ
90. გოცირიძისა იულია
გუნცაძე ილია
გელოვანი ბესარიონ
გორგიძე იასონ
გორდაძე გიორგი
გვეტაძე იოსებ
გაგუა თომა
გაბუნია ფარნა
გოგინაშვილი კოწია
გორგაძე ანთიმოზ
100. გარსევანიშვილის ას სოფ.
გერსამია ალექსანდრე
გოცირიძე კონსტანტინე
გიგინეიშვილი ისიდორე
დოლიძე დომენტი
დათეშიძე ვარლამი
დადუნაშვილი სერაფიონ
დათეშიძე პავლე
დემურიას ასული ლიუბა
დათეშიძე რაჟდენი
110. დარჩიაშვილი ვლადიმერ
დათეშიძისა პაშა
დანელია თეიმურაზ
დარახველიძე სიმონ
დონდუას ას. მარგარიტა
დათეშიძე სამსონ
დადიანი ონისიმე
ეზიკოვი სიმონი
ეზიკოვის ასული ელენე
ეპიტაშვილი ივანე
120. ეპიტაშვილი სოფიო
ვარდოსანიძე მარიამ
ვეკუა ვლადიმერ
ვარლამოვი გრიგოლ
ვოლსკის ასული ბარბალე
ზვიადაძე ვლადიმერ
ზენაიშვილი პლატონი
ზედგენიძის ას. დარია
ზდანოვიჩი გიორგი
ზვიადაძე მაქსიმე
130. თაბაგარი ალექსანდრე
თურქიას ას. ნატალია
თევზაძის ას. მარგარიტა
თუთბერიძე გიორგი
თოფურიძე ივანე
თათარიშვილი ლუკა
თუთბერიძე ერასტი
იოსელიანი ოლღა
ივარდავა ვლადიმერ
იოსელიანი აკაკი
140. კილასონია ანტონი
კლდიაშვილი დავითი
კალანდარაშვილი ანტონი
კაკაბაძე იოსები
კვიცარიძე ისიდორე
კილაძე ივანე
კურცხალია ბაგრატ
კუხიანიძე ივანე
კაპანაძე მიხეილ
კაკაბაძე ილია
150. კილასონია ნიკოლოზ
კანდელაკი რაჟდენ
კლდიაშვილი ოლღა
კორძაია ვერა
კახეთელიძის ას. ალექს.
კიკაჩეიშვილის ას. სოფ.
კლდიაშვილის ას. მარ.
კახაძე ვლადიმერ
კლდიაშვილის ას. ელენე
კაკაბაძისა რებეკა

160. კაკაბაძისა გოგუცა
კილაძე სამსონი
კორძაია ნოე
კლდიაშვილი გიორგი
კაჭახიძე კონსტანტინე
კიკნაძე ვასილი
კემულარია იოსებ
კვირკველია დავით
კუზანოვის ასული შუშა.
კაკაბაძე (მღვდელი)
170. კლდიაშვილი ვასილი
კოკოჩაშვილი ლუცია
კიკალეიშვილი პოლიეკ.
კაუხჩიშვილი მარიამ
კერესელიძე დავით
კილაძე ანნა
კოკოჩაშვილი ლეონ.
კაკიტელაშვილი ბენიამ.
კირაკოსიანი ლეონ.
კვაჭანტირაძე არტემ
180. კოსტავა ალექსანდრე
კობახიძე იონა
კოკოჩაშვილისა სოფიო
კრინიცკი ალექსანდრე
კვიცარიძისა ნიფადორა
ლეჟავა ბენედიქტე
ლეკვიაშვილი მელიტონ
ლეკვეიშვილი სპირიდონ
ლუკიანოვი დავით
ლორთქიფანიძისა მარ.
190. ლექვინაძე დავით
ლომინაძის ასული ნინო
ლორთქიფანიძე დ. ექ. ძე
ლორთქიფანიძე მიხეილ
ლორთქიფანიძე ვალერ.
ლორთქიფანიძე ალექსან.
ლორია პელაგია
ლორთქიფანიძე დიმიტრი
მესხიშვილი გერმანე
მანდარია ილია
200. მიქაძე ნოე
მამაგეიშვილი ვლადიმ.
მებუკე პოლიკარპ.
მეფისოვი ივანე
მესხი თედორე
მირიანოვი ალექსანდრე
მაჭავარიანი სოფიო
მიქელაძე ალექსანდრე
მიქელაძის ას. ფაფალა
მიქელაძე პიპინა
210. მიქელაძე ბონდო
მეფისოვი ანტონ
მესხი სერგო
მგალობლიშვილის ას. ლ.
მჭედლიშვილი ს. (მღვ.)
მეფისაშვილი პავლე
მთავრიშვილი თომა
მხეიძე ა. დ.
მაჭავარიანი ზაქარია
მაჭავარიანი თამარი
220. მგელაძისა ოლღა
მოსიძე პავლე
მაჭავარიანი დავით
მგალობლიშვილი მიხ.
მიქაძე ირაკლი
მაჭავარიანი პეტრე
მიქაძე რაჟდენი
მოწაფია ერმილე
მკერვალიძე დავითი
მაღრაძე კორნელი
230. მგალობლიშვილი ნოე
მამფორია ბენედიქტე
მთავრიშვილი თომა
მხეიძე ნოე
მიქაძე სერაფიონ
მდივნისა თამარი ქიქოძე
მდივანი დავით
მესხი დავით
მოსეშვილი ბართლომე
ნიკურაძე დავითი
240. ნარაკიძე გრიგოლ
ნაცვლიშვილი ვლადიმერ

ნასარიძე გრიგოლ
ნათაძე ლევან
ნათაძე გრიგოლ
ნაკაიძე ალექსანდრე
ნიკოლაძე ეკატერინე
ნიორაძე გიორგი
ნიკოლაიშვილი იასონ
ოდიშარია კირილე
250. ორაგველიძე მიხეილ
ოცხელი იოსებ
ოდიშარია ანტონ
პავლოვი ნინო
პავლოვი გრიგოლ
პაევსკი ივანე
ჟორჟოლაძე სიმონ
ჟორჟოლაძე ნიკოლოზ
რუხაძე ვარლამ
რობაქიძე სერგო
260. რობაქიძისა ანასტასია
სტუმბაკოვი ილია
სვანიძე გიორგი
სხირტლაძე ვასილი
საკრედიტო ამხანაგობა
სანიკიძე ნადეჟდა
სორაძე ტარასი
სონაძის ასული მარიამ
სვანიძის ასული ნადეჟდა
სურგულაძე დავითი
270. საყვარელიძე ალექსან.
სოხაძე სერაფიონ
სონაძე ლიუბა
სანადირაძე იოსები
სიდავას ასული რითა
სიდავას ასული როზალია
სვანიძე გიორგი სიმ. ძე
ტყეშელაშვილი კოსტან.
ტატარენკო ივანე
ტაბიძე არტემ
280. ტურკია ანტონ
უზნაძე ზაქ. იოსების ძე
უკრაინცევი მოსე
უზნაძე დიმიტრი
უზნაძისა შუშანა
ფხაკაძე ალექსანდრე
ფრუიძე ნესტორ
ფერაძე თომა
ფანცხავა ნინო
ფაღავა ნიკო
290. ფეიქაროვი თამარი
ფანცულაია ვასილი
ფურცელაძე ნესტორ
ქელბაქიანი ნიკოლოზ
ქორქაშვილი გრ. (ინჟ.)
ქორდავა პლატონ
ქიქოძე ლავრენტი
ქორქაშვილი მიხეილ
ქუთათელაძე მიხეილ
ქიქოძე მოსე
300. ქიქოძე ნიკო
ქიქოძისა ელენე
ქებაძე დავით
ქუთათელაძე დავით
ქვარიანი სიმონი
ქვლივიძე ალექსანდრე
ქორქაშვილი გიორ. (ექ.)
ღამბაშიძის ას. მაშურა
ყენია ხარიტონ
ყენია ივანე
310. ყიფიანი პეტრე
ყიფიანისა ქეთევან
ყუბანეიშვილის ას. ალექ.
ყიფიანი სამსონ
შავდია გიორგი
შალამბერიძე არსენი
შანიძე კონსტანტინე
შოთაძე ვალერიან
შუბლაძე ბარნაბა
შოთაძის ასული პელაგია
320. შუბლაძე ვასილი
შარაშიძის ასული ნიტა
შარაშიძე გიორგი
შარაშიძისა ნინო

შარაბიძე ალექსანდრე
შოთაძე გაბრიელ
შარაბიძე ნიკოლოზ
შავერზოვი ანტონ
ჩხაიძე ვატა
ჩილაჩავა პორფილე
330. ჩხატარეიშვილი ივტიხი
ჩიქვანის ასული ელენე
ჩაჩიბაიასი ანასტასია
ჩარკვიანისა იადვიგა
ჩარკვიანი აბესალომ
ჩიკვაიძე დიდიმ
ჩხეიძის ასული თამარი
ჩხეიძე ლუკა
ჩხენკელი ლავრენტი
ჩარკვიანის ას. თამარი
340. ჩადუნელი დავით
ჩხეიძე ალექსანდრე
ჩარკვიანი ელენე
ჩიკვაიძე ელენე
ჩიქვანი ნესტორ
ჩარექოვი იაკობ
ჩიქოვანი ილია
ჩორგელშვილი ალექს.
ჩინჩალაძე მიხეილი
ჩიმაკაძე ლონგინოზი
350. ჩიკვაიძე კალისტრატე
ჩიმაკაძე იაკობი
ცხაკაია თომა
ცნობილაძე ლადო
ციბაძე საბა
ცაგურაშვილი ევგენი
ცქიტიშვილი ივანე
ცინცაძე გიორგი
ცაგარეიშვილი გერასიმე
ცაგარეიშვილი მელიტონ
360. წულაძე ვლასა
წერეთელი ვ.
წიქორიძე ილია
წულეისკირისა ბარბალე
წერეთლისა ნინო გ. ას.
წერეთლისა ნინო დ. ას.
წულუკიძე დავით
წულუკიძე ალექსანდრე
წერეთელი ანემპოდისტო
წერეთელი სოლომონ
370. ჭავჭანიძე კირილე
ჭავჭანიძე დავით
ჭავჭანიძე ერასტი
ჭანჭალეიშვილი კალისტ.
ჭავჭანიძე ბაგრატ
ჭირაქაძე სილიბისტრო
ჭავჭანიძე მიხეილი
ჭეიშვილი ი. (დეკანოზ.)
ჭეიშვილი სიმონ
ჭეიშვილი ილიკო
380. ჭილაძე ვარლამ
ჭილაძისა მარგარიტა
ხუნდაძე სილოვან
ხელაძე ფილიპე
ხუნდაძე გიორგი
ხუნდაძე ერმილე (ექ.)
ხელაძე იოსებ
ხვიჩია აკაკი
ხელთუფლიშვილი ნინო
ხელთუფლიშვილი დავით
390. ხიზანიშვილი დავით
ხელთუფლიშვილი ელ.
ხუსკივაძისა ეკატერინე
ხოჭოლავასი ნინო
ხარაბაძე ვარლამ
ხაბურძანია კიმოთე
ხოჯევანიშვილი ელისაბ.
ხოჯევანიშვილი ვერა
ხეჩინოვი სიმონ
ხელაძის ასული ნინო
400. ჯანელიძე კონსტანტინე
ჯანელიძე იონა
ჯავაახაძე კონსტანტინე
ჯაფარიძე ბესარიონ
ჯაფარიძე ტრიფონ
ჯაფარიძისა ელენე

ჯაყელისა თეოდოსია
ჯაფარიძე ვიქტორ
ჯოხტაბერიძე ნესტორ
ჯანელიძე კოლია
410. ჯანელიძე ალექსანდრე
ჯორჯიკია ჯაჯუ
ჯორჯიკია სპირიდონ
ჯორჯიკია ნინო

## ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის სარევიზიო კომისიის მოხსენება

1913 წელს ათ თიბათვეს სარევიზიო კომისიამ განიხილა გამგეობის 1912 წლის შემოსავალ-გასავლის წიგნები და აღმოჩნდა, რომ საანგარიშო დავთრები წესიერათ ნაწარმოებია და იქ ნაჩვენებ ხარჯების ფულს აქვს რიგიანათ შედგენილი და დალაგებული გასამართლებელი საბუთები.

საანგარიშო წელს სრული შემოსავალი ყოფილა 1975 მ. 15 კ., ამავე დროს დახარჯულა 605 მ. 10 კ. ამგვარათ წმინდა შემოსავალი დარჩენილა 1370 მ. 05 კ.

წინაწლის დარჩენილი ფულის — 2000 მ. 55, — რომ მიუმატოთ ამ წმინდა შემოსავალს, მაშინ გამგეეობის თანხას შეადგენს 3370 მ. 60 კ.

ამ ფულიდამ 530 მ. ინახება ხელოსანთა წვრილ საკრედიტო ამხანაგების კასაში და დანარჩენი 2840 მ. 60 კ. — ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკში.

საანგარიშო წელს სახ. უნ-ის გამგეობას თავისი მოქმედება გაუფართოვებია. ის სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც ქუთაისში დაარსებულა, გამგეობას თავის მფარველობის ქვეშ მიუღია, ეს წრე ამჟამათ შეადგენს ცალკე თეატრალურ სექციას, რომლის მიზანია მართოს იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენები.

1912 წლის დამლევს გამგეობამ განახორციელა თავისი გულითადი წადილი და გახსნა მთავრობის ნება-დართვით საღამოს კურსები, სასურველია, რომ ეს ფრიად სიმპატიური საქმე გამგეობამ მტკიცე ნიადაგზე დააყენოს და მიიზიდოს მრავალ-რიცხოვანი მსმენელნი. საღამოს კურსების წინსვლა გამოიწვევს თვით

სახ. უნ-ტის წარმატებასაც: მის აუდიტორიას თანდათანობით შიემატება ბევრი შეგნებული მსმენელნი.

გამგეობის მოქმედობის უნარი იმაშიც ჩანს, რომ საანგარიშო წელს მეტი წევრიც უშოვნია და ფულიც მეტი მოუგროვებია წინა წლებთან შედარებით.

| | | |
|---|---|---|
| 1. | საწევრო გადასახადისაგან მეტი შემოსულა | 76 მ. |
| 2. | სეირნობისაგან | 84 მ. |
| 3. | შემოწირულებისაგან | 100 მ. |
| | ს უ ლ . | 260 მ. |

სარევიზიო კომისიის წევრები: *ს. დათეშიძე*
*დ. ავალიანი*
*გრ. გიგინეიშვილი*

# გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

## I. გამოუქვეყნებელი

### საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი

(საქ. ცსსა. ქიმ. ფონდი 481 — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", ანაწ. I, საქ. 1148, 1149, 1150, 1287, 1289, 1555, 1581.
ფონდი 517 — „საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება", ანაწ. I, საქ. 4, 6, 8, 19, 23, 39, 51, 139, 166; ანაწერი II, საქ. 17, 55, 118, 159.

### საქართველოს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ლხცსა)

ფონდი 18 — „ქუთაისის დრამატული საზოგადოება", ანაწ. I, საქ. 15; ანაწ. II, საქ. 7, 15, 21, 23, 49.

### ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ქცსა)

ფონდი 7 — „ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი", საქ. 1574; ფონ-დი 21. საქ. 18354.
ფონდი 9 — „ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია", საქ. 47, 1068.

### ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიმ)

ფონდი 2173 — კირილე ბექანის ძე ლორთქიფანიძის არქივი, საბ. 331, 449, 1047, 1048, 1049, 1151, 1174.
ფონდი 2175 ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილის პირადი არქივი, საბ. 26, 41, 57, 61.
ფონდი 5271 — „ღარიბ ბავშვთა დამხმარე საზოგადოება", საბ. 15; ფონდი 5279; საბ. 44; ფონდი 5282, საბ. 21, 31; ფონდი 5283, საბ. 53; ფონდი 5285, საბ. 12, 17, 120; ფონდი 5950, საბ. 16, 248, 251, 277, 355.
ფონდი 5286 — „ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება", საბ. 31, 49; ფონდი 5947, საბ. 173.
ფონდი 6406 — „ბუნებისმოყვარეთა ქუთაისის საზოგადოება", საბ. 12, 27.
ფონდი 6412 — გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩის (მაიაშვილი) პირადი არქივი, საბ. 1, 559.
ფონდი 6465 — „ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება", საბ. 40, 41, 42, 44, 46, 48, 50, 52, 55, 59, 67, 87, 134, 135, 146, 354, 364, 365, 391, 466, 469, 578, 800, 959, 992, 1001, 1016, 1130, 1241, 1304, 1307, 1322.

### Центральный государственный исторический архив города Москвы (ЦГИАМ)

Фонд 418 — «Московский императорский университет, оп. 498, ед. хр. 27.

### Центральный государственный исторический архив Ленинграда (ЦГИАЛ)

Фонд 14 — Петербургский императорский университет, оп. 25. Д. 54.
Фонд 14, оп. I, Д. 7782.
Фонд 569, оп. 13, Д. 1146.
Фонд 733, оп. 27, 318.
Фонд 733, оп. 154, Д. 398.

### Центральный государственный исторический архив ЭССР (ЦГИА ЭССР)

Фонд 296 — Юрьевский императорский университет, оп. 107, ед. хр. 1115.
Фонд 402 — Юрьевский императорский университет, оп. 7. Д. 72, 363, 373, 463, 490, 629; фонд 404, оп. I, Д. 4010, 4021.

ი. ბახტაძე, ცოტა რამ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებაში 1909—1912 წლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ. დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ხელნაწერთა წიგნი 165.

ი. პურადაშვილი, მოგონებანი, წიგნი II, დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ხელნაწერთა წიგნი 595.

## II. გამოქვეყნებული

1. ანგარიში ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა 1913—1915 წლებში, ქუთაისი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბა 1916.
2. ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წელს, თფილისი, სტამბა ვ. რუხაძისა, 1916.
3. ლ. გოდერიძე, მასალები ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, № 27—28, თბ., 1973.
4. ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1879—1900), საისტორიო მოამბე, №37—38, თბ., 1978.
ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1901—1920), საისტორიო მოამბე, №41—42, თბ., 1980.
6. ე. თაყაიშვილი, მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის

გახმაელობაში (1907—1917), კრებულში: აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966.
7. სხუა და სხუა ამბავი, ჟურნ. „ცისკარი“, № 2, ტფილისი, სტამბა არ. კერესელიძისა, 1862.
8. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების 1912 წლის ანგარიში, ქუთაისი, სტამბა ი. ხელაძისა, 1912.
9. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების 1913—1914 წლის ანგარიში, ქუთაისი, 1915.
10. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა, თბ., სტამბა არ. კერესელიძისა, 1915.
11. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას — მოხსენება ბიბლიოთეკების შესახებ, ჟურნ. „გასათლების“ დამატება, № 2. თბ., 1916.
12. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას — ყვირილის საზოგადოების ანგარიში, ჟურნ. „განათლების“ დამატება, № 4, თბ., 1916.
13. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნის ვარლამ ბურჯანაძის მოხსენება ყვირილის განყოფილების რევიზიის შესახებ, ჟურნ. „განათლების“ დამატება, № 1, თბ., 1917.
14. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობის მოხსენება, ჟურნ. „განათლების“ დამატება, № 2, თბ., 1917.
15. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას — მოხსენება სოხუმის განყოფილების ეშსახებ, ჟურნ. „განათლების“ დამატება, № 3, თბ., 1917.
16. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას — მოხსენება სოხუმის განყოფილების შესახებ. ჟურნ. „განათლების“ დამატება, № 4—5, თბ., 1917.
17. ცნობები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა, ჟურნ. „განათლების“ დამატება № 5, თბ., 1916.
18. ქართველ მაჰმადიანთა კაცთმოყვარეობა, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 28, თფილისი, სტამბა „სორაპანი“, 1915.
19. ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მოქმედების ანგარიში 1912 წელს, ქუთაისი, 1913.
20. ქუთაისის ქალთა საზოგადოების 1912—1913 წლების ანგარიში, ქუთაისი, ი. კილაძის სტამბა, 1913.
21. ძმათა აჭარელთა — ქართველ მაჰმადიანთა შესაწევრად, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 24, ტფილისი, სტამბა „სორაპანი“, 1915.
22. წესდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა ქუთაისში, ქუთაისი, სტამბა ი. ხელაძისა, 1912.
23. ა. პ. წ უ ლ ა ძ ე, ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს, თფილისი, ბ. კილაძის სტამბა, 1915.

## III. პერიოდული პრესა


1. გაზ. „აზრი“, 1914, № 36.
2. გაზ. „აზრი“, 1914, № 43.
3. გაზ. „დროება“, 1879, № 12.
4. გაზ. „დროება“, 1880, № 54.
5. გაზ. „ერი“, 1914, № 3.
6. გაზ. „ერი“, 1914, № 9.
7. გაზ. „ერი“, 1914, № 36.
8. გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1914, № 20.
9. გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 № 20.
10. გაზ. „თემი“, 1912, № 86.
11. გაზ. „თემი“, 1912, № 90.
12. გაზ „ივერია“ 1886, № 246.
13. გაზ „ივერია“, 1888, № 275.
14. გაზ. „ივერია“, 1890, № 240.
15. გაზ. „ივერია“, 1890, № 205.
16. გაზ. „ივერია“, 1893, № 24.
17. გაზ. „ივერია“, 1894, № 258.
18. გაზ. „ივერია“, 1898, № 40.
19. გაზ. „ივერია“, 1902, № 57.
20. გაზ. „იმერეთი“, 1912, № 43.
21. გაზ. „იმერეთი“, 1912, № 71.
22. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 5.
23. გაზ „იმერეთი“, 1914, № 7.
24. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 17.
25. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 28.
26. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 29.
27. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 30.
28. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 42.
29. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 65.
30. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 79.
31. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 83.
32. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 99.
33. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 125.
34. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 140.
35. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 143.
36. გაზ. „იმერეთი“, 1914, № 148.
37. გაზ. „კვალი“, 1897, № 11.
38. გაზ. „კვალი“, 1897, № 14.
39. გაზ. „კვალი“, 1897, № 15.
40. გაზ. „კვალი“, 1901, № 47.
41. გაზ. „კვალი“, 1902, № 13.
42. გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 39.
43. გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 13.
44. გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 19.
45. გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 24.
46. გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 29.
47. გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 38.
48. გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 40.
49. გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 54.
50. გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 71.

51. გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 102.
52. გაზ. „კოლხიდა“ 1911, № 168.
53. გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 170.
54. გაზ. („კოლხიდა“, 1911, № 192.
55. გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 217.
56. გაზ. „კოლხიდა“, 1912, № 14.
57. გაზ. „კოლხიდა“, 1912, № 20.
58. გაზ. „კოლხიდა“, 1912, № 28.
59. გაზ. „კოლხიდა“, 1912, № 30.
60. გაზ. „კოლხიდა“, 1912, № 47.
61. გაზ. „კოლხიდა“, 1912, № 51.
62. გაზ. „კოლხიდა“, 1912, № 58.
63. გაზ. „კოლხიდა“, 1912, № 152.
64. გაზ. „მწყემსი“, 1894, № 8, 10, 21, 22.
65. გაზ. „მწყემსი“, 1894, № 3.
66. გაზ. „მნათობი“, 1908, № 2.
67. გაზ. „მერცხალი“, 1913, № 10.
68. გაზ. „მერცხალი“, 1913, № 36.
69. გაზ. „მერცხალი“, 1913, № 71.
70. გაზ. „მერცხალი“, 1913, № 80.
71. გაზ. „მერცხალი“, 1913, № 87.
72. გაზ. „სიმართლის ხმა““, 1914, № 10.
73. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917, № 799.
74. გაზ. „სამშობლო“, 1915, № 46.
75. გაზ. „სამშობლო“, 1915, № 84.
76. გაზ. „სამშობლო“, 1915, № 97.
77. გაზ. „სამშობლო“, 1915, № 100.
78. გაზ. „სამშობლო“, 1915, № 104.
79. გაზ. „სამშობლო“, 1915, № 110.
80. გაზ. „სამშობლო“, 1915, № 120.
81. გაზ. „სამშობლო“, 1915, № 163.
82. გაზ. „სამშობლო“, 1916, № 271.
83 გაზ. „სამშობლო“, 1916, № 278.
84. გაზ. „სამშობლო“, 1916, № 318.
85. გაზ. „საქართველო“, 1915, № 17.
86. გაზ. „საქართველო“, 1915, № 102.
87. გაზ. „საქართველო“, 1915, № 103.
88. გაზ. „საქართველო“ 1915, № 155.
89. გაზ. „საქართველო“, 1916, № 8.
90. გაზ. „საქართველო“, 1916, № 20.
91. გაზ. „საქართველო“ 1916, № 24.
92. გაზ. „საქართველო“, 1916, № 61.
93. გაზ. „საქართველო“, 1916, № 68.
94. გაზ. „საქართველო“, 1916, № 94.
95. გაზ. „საქართველო“, 1916, № 221.
96. გაზ. „საქართველო“, 1916, № 223.
97. გაზ. „საქართველო“, 1916, № 231.
98. გაზ. „ფონი“, 1910, № 2.
99. გაზ. „ფონი“, 1910, № 6.
100. გაზ. „ფონი“, 1910, № 7.
101. გაზ. „ფონი“, 1910, № 13.
102. გაზ. „ფონი“, 1910, № 15.

103. გაზ. „შრომა", 1915, № 20.
104. გაზ. „ჩვენი ქვეყანა", 1919, № 83.
105. გაზ. „ჩვენი ქვეყანა", 1919, № 227.
106. გაზ. „ჩვენი ერი", 1914, № 35.
107. გაზ. „ცნობის ფურცელი", 1897, № 345.
108. გაზ. „ცნობის ფურცელი", 1901, № 1501.
109. გაზ. „ცნობის ფურცელი", 1901, № 1549.
110. გაზ. „ცნობის ფურცელი", 1903, № 2197.
111. გაზ. „ცნობის ფურცელი", 1904, № 2528.

## ლიტერატურა


1. ლ. ანთაძე, თეატრალური ზესტაფონი, თბ., 1978.
2. ხ. ახვლედიანი, სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1956.
3. ბ. ბ კურაძე, სახალხო უნივერსიტეტები (ნარკვევები წარმოშობისა და განვითარების ისტორიიდან), თბ., 1973.
4. შ. ბერძენიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, III, თბ., 1983.
5. ვ. გაგუა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1973.
6. ს. გერსამია, ქუთაისის თეატრი, თბ., 1947.
7. გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864—1905, თბ., 1928.
8. ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963.
9. შ. დადიანი, რაც გამახსენდა, თბ., 1959.
10. კ. ერისთავი, მოგონება, თბ., 1973.
11. პ. ვაჭრიძე, ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან, თბ., 1977.
12. პ. ვაჭრიძე, როტაციონის ბრუნავს მანქანა, ქუთაისი, 1979.
13. პ. ვაჭრიძე, გ. გაბუნია, ქუთაისი, თბ., 1967.
14. ი. ვარლამიშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, თბ., 1971.
15. პ. კანდელაკი, მოგონებები, თბ., 1978.
16. პრ. კეკელიძე, აკაკი წერეთელი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ. 1985.
17. ზ. კიკნაძე, ალ. გარსევანიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1959.
18. დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984.
19. მ. ლასხიშვილი, მემუარები (1885—1915), თფილისი, 1934.
20. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985.
21. გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი (1864—1917 წწ.), თბ., 1976.
22. კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, თბ., 1959.
23. კ. მეძველია, თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე, თბ., 1965.
24. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, თბ., 1980.
25. რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982.
26. რ. მეტრეველი, დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნე-ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი), თბ., 1975.

27. რ. მეტრეველი, დეკლასირებული ელემენტები შ. საუკუნეების საქართველოში V—XII საუკუნეებში, გლახაკები, თბ., 1976.
28. ი. მიქაძე, ვ. გაგუა, ძველი სენაკის საშუალო სკოლა, თბ., 1978.
29. მ. ნიკოლეიშვილი, განძი და საგანძური, ქუთაისი, 1986.
30. ნ. ნიკოლაძე, მოგონებები, თბ., 1984.
31. ვ. ონიანი, რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენცია XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს, თბ., 1960.
32. პ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ., 1962.
33. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად, ტ. III, საქართველო XI—XV საუკუნეებში, თბ., 1979.
34. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად, ტ. V, საქართველო XIX საუკუნის 30—90-იან წლებში, თბ., 1970
35. ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973.
36. ა. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1977.
37. ა. სურგულაძე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1980.
38. ა. სურგულაძე, რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში, თბ., 1983.
39. ა. სურგულაძე, ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში (1900—1921 წწ.), თბ., 1986.
40. აბ. სურგულაძე, გელო კაიკაციშვილი, თბ., 1973.
41. აბ. სურგულაძე, განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში, ბათუმი, 1978.
42. ვ. სიფრაშვილი, პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობა და ქართველი სტუდენტობა (1861-1961 წწ.), თბ., 1961.
43. ი. ტატიშვილი, თ. დეკანოსიძე, მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბ., 1960.
44. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ, თბ., 1981.
45. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბ., 1979.
46. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX, თბ., 1985.
47. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბ., 1986.
48. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
49. გ. ქიქოძე, მოგონებები განთიადიდან შუადღემდე, სიტყვები და წერილები, თბ., 1956.
50. გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1958.
51. მ. ქორელი, მოგონებები და წერილები, თბ., 1969.
52. ზ. შველიძე, რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“, თბ., 1969.
53. ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960.
54. ზ. შველიძე, რევოლუციური ხალხოსნური მოძრაობის ისტორიიდან ამიერკავკასიაში (XIX საუკუნის 60-იანი და 70-იანი წლების დამდეგი), თბ., 1964.
55. თ. ჩხიტუნიძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა, თბ., 1980.
56. ი. ცურტაველი, შუშანიკის წამება, თბ., 1979.

57. ტ. რ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960.
58. ტ. რ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1940.
59. ტ. რ. ხუნდაძე, ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბ., 1976.
60. ს. ხუციშვილი, მანათობელი, თბ., 1980.
61. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984.
62. Гамсахурдиа С. В., История просвещения в Грузии до XIX века, Тб., 1984.
63. Горгидзе М. Ф., Грузины в Петербурге, Тб., 1976.
64. Горгидзе М. Ф., Грузины в процессе 50-ти, журн. Литературная Грузия, № 6, Тб., 1964.
65. Исаков С. Г., Сквозь годы и расстояния, Таллин, 1969.
66. Лемке М., Очерки освободительного движения «Шестидесятых годов», С. Петербург, 1908.
67. Очерки Истории СССР, Период феодализма, Россия во второй половине XVI века, Москва, 1956.
68. Пантин И. К., Плимак Е. Г., Хорос В. Г., Революционная традиция в России 1783—1883, Москва, 1986.
69. Фигнер В. Н., Процесс «50-ти» в 1877 году, Москва, 1927.
70. Энциклопедический словарь, Ф. А. Брокгауз (Лейпциг) и И. А Ефрон (С. Петербург), т. XXXIV, С. Петербург, 1902.
71. ი. გოგებაშვილი, სახალხო უნივერსიტეტი ჩვენში, ტ. IV, თბ., 1955.
72. ვ. გაგუა, ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტობა და საქართველოს პრესა 1895—1905 წწ.), კრებულში: „მეგობრობა", თბ., 1980.
73. ვ. გაგუა, ქართველი სტუდენტები ტარტუში და მათი მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში (1898—1903 წწ.), კრებულში: „მეგობრობა", თბ., 1983.
74. ი. გენძეხაძე, ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XXV, ქუთაისი, 1963.
75. მ. ნიკოლეიშვილი, მუზეუმის ისტორიიდან, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, კრებული I, თბ., 1968.
76. ლ. ტიროშელიძე, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XV, ქუთაისი, 1956.
77. ვ. შადური, ლენინგრადი და ქართული კულტურა, ჟურნ. „მნათობი", № 8, თბ., 1943.
78. ს. ცაიშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული I, თბ., 1953.
79. ი. ჭავჭავაძე, საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის, ტ. IV, თბ., 1955.
80. ი. ჭავჭავაძე, ქართველი სტუდენტობა რუსეთში, ტ. IV, თბ., 1955.
81. ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1879 წელი, აპრილი, ტ. V, თბ., 1955.

# შინაარსი

შესავალი 3

**თ ავ ი I. საქველმოქმედო საზოგადოებანი სახალხო განათლების დარგში**

§ 1. ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებანი დასავლეთ საქართველოში 17

§ 2. ღარიბ ბავშვებზე მზრუნველი ქუთაისის განყოფილება

§ 3. ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება 29

§ 4. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებანი დასავლეთ საქართველოში

**თ ა ვ ი II. საქველმოქმედო საზოგადოებანი ხელოვნებისა და კულტურის დარგში**

§ 1. ქუთაისის დრამატული საზოგადოება 104

§ 2. ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება 108

**თ ა ვ ი III. სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საზოგადოებანი**

§ 1. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და მისი განყოფილებანი დასავლეთ საქართველოში 131

§ 2. სახალხო უნივერსიტეტი 158

§ 3. დავით აღმაშენებლის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოება „წმინდა ძმობა“ 174

§ 4. ბუნებისმოყვარულთა ქუთაისის საზოგადოება 182

დასკვნა 188

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 216

მხატვარი ო. ქანდარია
ტექნიკური რედაქტორი გრ. სოფრომაძე
კორექტორი თ. ციბაძე

ნაბეჭდი თაბახი 16
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,37

შეკვ. № 283
ტირაჟი 2 000

ფასი სახელშეკრულებო

ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა,
384000, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59.

ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის სტამბა,
384000, ქუთაისი, რუსთაველის პრ. № 9.